

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

აქიჩან ცაგჯიშვილი



ქულებზე
საქართველოს
უჩითიუჩოთოცა და
თანაუბოტოტოცა



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი

1980

ნაშრომში აღძრულია ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე უცნობი, ნაკლებ ცნობილი და დაუმუშავებელი საკითხები ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობისა და თანამეგობრობის შესახებ. მასში წარმოდგენილია ორივე ქვეყნის საკონტაქტო გზები და მოვლენები ყოფა-ცხოვრებაში, კულტურასა და ხელოვნებაში; ყურადღება გამახვილებულია ქართველი და ბულგარელი ხალხის ერთობლივ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და ანტითურქულ ინტერესებზე; განხილულია ორივე ერის სისხლით განმტკიცებული საბრძოლო თანამეგობრობა რუსეთ-თურქეთის ომების დროს.

წიგნში მოთხრობილია მოძმე ხალხების საურთიერთო ფაქტებსა და მოვლენებზე ყველა სფეროში; დიდძალი ფაქტობრივი მასალით ცხადყოფილია ქართველი და ბულგარელი ხალხების მეგობრული კავშირ-ურთიერთობის ნაყოფიერება და ტრადიციული კულტურული კონტაქტების დადებითი ზეგავლენა სახალხო მეურნეობის დარგებში.

რედაქტორი — ი. ტ ა ბ ა დ უ ა

შესავალი

ბულგარელმა ხალხმა 1978 წელს ზეიმით აღნიშნა თავისი ქვეყნის განთავისუფლების 100 წლისთავი. საბჭოთა კავშირის ხალხებმა ამ ისტორიული დღის გულთბილი აღნიშვნით ვალი მოიხადეს ღირსშესანიშნავი თარიღისადმი. ქართველი ხალხი ოდითგან ცხოველ ინტერესს იჩენდა ბულგარეთის კულტურისა და ხელოვნებისადმი, ლიტერატურისა და ისტორიისადმი, ბულგარელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება და ორივე მოძმე ხალხის კეთილმეზობლური კავშირ-ურთიერთობით განუხრელად იზრდება.

ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობანი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით გაღრმავდა და გაფართოვდა. სისტემატური ხასიათი მიიღო ქართველი და ბულგარელი ხალხის თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა შეხვედრებმა. სტუმარ-მასპინძლობამ, დელეგაციების გაცვლამ, სოციალისტურ მშენებლობაში მიღწეულ წარმატებათა ურთიერთგაზიარებამ; ხშირად ეწყობა ქართველ და ბულგარელ მეცნიერთა ფორუმები. მწერალთა დისკუტები, ხელოვანთა შეხვედრები, მრავალფეროვანი გამოფენები. ბულგარეთ-საქართველოს პრესა ბევრ საინტერესო და საგულისხმო მასალას, წერილსა და სტატიას აქვეყნებს ორივე ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების შესახებ.

ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობა ყველა სფეროში იგრძნობა, განსაკუთრებით კი ხელოვნებაში, ლიტერატურასა და სპორტში. შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლები გახშირდა და შესანიშნავი ეფექტიც მოგვცა. ქართველ და ბულგარელ ხელოვანთა კონცერტები ორივე ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ცხოველ ინტერესს იწვევს და მეგობრობის ზეიმადაა ქცეული.

ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცხო და ახალი თემა როდია. ამ საკითხით დაინტერესებულნი იყვნენ ორივე ქვეყნის საზო-

გადოებრიობა, მწიგნობარნი, მკვლევარნი ჯერ კიდევ XIX ს-ში. ფაქტები ქართულ-ბუღღარულ კონტაქტებზე, მეგობრობაზე, კულტურულ ურთიერთობაზე, საკითხის მეტ-ნაკლები გაშუქებით, მომოფანტულია მეცნიერულ, უმეტესად პოპულარული ხასიათის ნაშრომებში. მათ შორის აღსანიშნავია ისეთი ნაშრომები, რომლებიც ეკუთვნიან ნ. ბერძენიშვილს, აკ. შანიძეს, ტ. კოლეევასა და თ. ჩიქოვანს, ლ. ჯულაბაშვილს, პლ. ჯიშყარიანს, ს. ჭილაიას, ა. მირცხულავას, დ. ხურციძეს, ნ. კანდელაკს, ა. აბშილავას, შ. მეგრელიძეს, გ. მელიქიშვილს, ივ. ბიწაძეს, გ. შენგელიას, ო. გვინჩიძეს, აკ. ურუშაძეს, თ. გომართელს, ი. მუხაძეს, ტ. ჩიტალაძეს, რ. სირაძეს, ლ. მენაბდეს, კ. ივანიძეს, რ. კომახიძეს, კ. მეშველიანს, ბ. კანდელაკს, კ. კომაროვს, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს, ა. ჩარდანოვას და სხვ.

პრესაში გაბნეულია ბევრი საინტერესო სტატია, რომელთა უმრავლესობა ომის შემდგომ პერიოდს შეეხება და ხშირად ავტორთა შთაბეჭდილებებს მოიცავს, სხვადასხვა დარგს შეესაბამება და უმეტეს წილად ინფორმაციულ ხასიათს ატარებს. ამიტომ ისინი საჭიროებისამებრ გამოვიყენეთ და მათგან მნიშვნელოვანი მიუთითეთ კიდევ.

ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობა შუა საუკუნეებში

ბალკანეთი ჩვენს წელთაღრიცხვამდე დასახლებული იყო თრაკიელებით, ილირიელებითა და მაკედონ-ეპიროტებით. პირველნი უმეტესობას შეადგენდნენ და ეპირათ ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილის ნახევარი. თრაკიული ტომები იყვნენ: გეტები, კრობიზები, თიბალები, მიზები, სატრები, ვისები ანუ ბისები, ადრიზები, საპაიები. მეროპები, კიკონები და სხვ. ძვ. წ. III საუკუნეში ბალკანეთში გამოჩნდნენ სკორდისკების კელტურ ტომები. II საუკუნეში კი ბასტრანების გერმანული და სკვითურ-სარმატული ტომები. გეტების ალბანელთა ტომში ძველ ილირიელებს ხედავენ, ტოსკებისაში კი ძველ მაკედონ-ეპიროტებს, რაც ილირიელთა და მაკედონ-ეპიროტების ნათესაობაზე მიგვანიშნებს. თრაკიელებსა და ილირიელებს ნათესავებად მიიჩნევენ. რომის იმპერიის საზღვრებში შემავალ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე უცხოვრიათ ალანებსაც.

ახ. წ. VII საუკუნეში „დუ-ნავი“-ს პირეთს აზოვის ზღვის მხრიდან მიაწყდნენ თურქ-მონღოლური ჩამომავლობის ბულგარული ე. წ. პროტობულგარული ტომები ხან ასპარუხის მეთაურობით. აღსანიშნავია, რომ ბიზანტიელ ისტორიკოს თეოფანესთან ასპარუხის სახელი მოხსენებულია როგორც ისპერიხა. მას დუნაისიქითა მხარეში დაუმორჩილებია 7 სლავური ტომი. აქედან ჩვენთვის საინტერესოა X — XII ს-ების ქართულ ლიტერატურულ წყაროებში „ბორ-გალებად“ ხსენებული ტომის მამაცი ბელადის სახელი ასპარუხი, რომელიც გვაგონებს მცხეთელ, უფრო ზუსტად არმაზელ მამასახლის ასპარუხის სახელს. მისი ტიტული „ხანი“ პირდაპირ ეხმიანება მცირე აზიასა და ამიერკავკასიაში ოდითგანვე გავრცელებულ „ხარ//ხან“-ფუძოვან ანთროპონიმებსა და ტოპონიმებს.

¹ М. С. Д р и н о в ъ. Заселение Балканского полуострова славянами, Соч., т. I, София, 1909, გვ. 15—17.

მოქმაბარე „ბორ-გალთა“ ნაწილი ცენტრალურ რუსეთში და-
მკვიდრდა და ბოლგართა სამთავრო შექმნა. ხან ა-ს-პარ-უხმა თავი-
სი მეომრებით სასტიკი ბრძოლები გადაიტანა სლავურ ტომებთან,
ბიზანტიასთან, დაიპყრო ღუნაისპირა ნაყოფიერი დაბლობები და
ბულგარელების გვირგვინოსანი მთავარი გახდა; ახ. წ. 681 წ. კი
ასპარუხმა დაბა პლისკა ქვეყნის დედაქალაქად აქცია.

ბუნებრივია, რომ საუკუნეების მანძილზე ასპარუხის თანამებ-
რძოლნი თანდათან შეთვისდნენ და შეირწყნენ ღუნაისპირეთში
მათზე აღრე მცხოვრებ სლავებში, ილიერიელებსა და თრაკიელებ-
ში. ასიმილაციის ამ პროცესის დროს ცხადია, რომ ბულგარელი
ხალხის ჩამოყალიბებაში სათანადო წვლილი შეჰქონდათ სლავებ-
საც. რომლებიც სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ბალკანეთში
მოსახლეობდნენ.

ძველ ბულგარეთში, განსაკუთრებით თრაკიაში, უმთავრესად
კერპთაყვანისმცემლობა იყო გაბატონებული. მხოლოდ IX საუკუ-
ნის მეორე ნახევარში გავრცელდა ქრისტიანობა, რამაც IX — X
საუკუნეების მიჯნაზე ხელი შეუწყო ბულგარელთა სახელმწიფოს
აღმავლობას. ქრისტიანული რელიგიისა და რომაულ-ბიზანტიური
კულტურის ზეგავლენით ვითარდებოდა და იზრდებოდა ბულგარე-
ლი ხალხის მატერიალურ-სულიერი სამყარო, ფართოვდებოდა მა-
თი კონტაქტები და კავშირ-ურთიერთობანი მეზობელ და შორეულ
ხალხებთანაც კი, პირველ რიგში, ვლადიმირ მონომახის კიევის
რუსეთთან.

ბულგარეთ-ბიზანტიის პოლიტიკურმა ქიშპობამ და იმპერა-
ტორ ბასილ II-ის მრისხანებამ² 1014 წ. ზღვარი დაუდო „ბორ-
გალთა“ აღზევებას — ბულგარეთი დაიშინეს, მაგრამ ტირნოვოს
აჯანყების შედეგად 1185 წ. იგი განთავისუფლდა და მეორე სამე-
ფოს ჩაეყარა საფუძველი. ამ პერიოდში ბულგარეთმა განიცადა
ჯვაროსანთა თავდასხმა, რომელიც მეფე კალოიანმა უკუაქცია, გა-
დაიტანა გლეჯთა მრავალი აჯანყება, შფოთი და დიდ ფეოდალთა
შეთქმულებანი. შინაური აშლილობით გასავათებულ და მრავალი
ტანჯვით დაუძლურებულ ბულგართა მეორე სამეფოს მალე სამ-
ხრეთიდან მრისხანე მტერიც მოევლინა ოტომანური თურქეთის
სახით და 1393 წ. ტირნოვოს სამეფო დაამხო. დაიწყო ბულგა-
რეთში თურქთა ბატონობის 5 საუკუნოვანი უმძიმესი, შავბნე-
ლი ხანა და ბულგარეთს ყოფნა-არყოფნის უამი დაუდგა.


² ქართველ-ბულგართა ამ მოსისხლე მტერს ორივე ხალხმა „ძალდი“ შეარქვა
სიმუხთლისა და ვერაგობისათვის.

ბარბაროს თურქთა ბოროტებას, აღვირახსნილობას, მზაკრობას, ყაჩაღობას და ტერიორიის ბულგარელები მამაცური შემოთეობით ებრძოდნენ — პაიდუკები პარტიზანულ ცხარე ბრძოლებში ელექტონენ დამპყრობლებს, მაგრამ სასტაკი იყო. დამსჯელ „იანი-ჩართა“ სისხლიანი თარეშიც, რომელიც სულ უფრო მხეტურ ფორმებს იღებდა მეზობელი ერთმორწმუნე და მონათესავე რუსეთისადმი ბულგარელების სიმპათიების გამო.

XVI საუკუნის ბოლოს, როცა დამთავრდა თურქთა ე. წ. შეჩერების პერიოდი და დაიწყო დაცემა, როცა ამ მაჰმადიანურ, დაუძლურებულ იმპერიას ხელიდან ნელ-ნელა ეცლებოდა დაპყრობილი ტერიტორიები და ხალხები, — ბულგარეთშიც გააქტიურდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და თურქთა წინააღმდეგ საბრძოლო დროშები აფრიალდა. სახალხო ბრძოლა ბულგარეთში უფრო გაღვივდა და გაძლიერდა რუსეთ-თურქეთის ომების დროს. უფრო მეტიც: საერთო მტრის სიძულვილით გამსჭვალული ბულგარელები რუსეთის მხედრობის მსარღამხარ იბრძოდნენ თურქი ექსპანსიონისტების წინააღმდეგ.

XIX საუკუნის შუა პერიოდში, როდესაც აღმოსავლეთის საკითხი დღის წესრიგში დადგა და ბალკანეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაძლიერდა, ბულგარელი ხალხიც აღსდგა და დაირაზმა სამშობლოს განათავისუფლებლად პატრიოტ-რევოლუციონერების, ვოევოდ-მამულიშვილების — გიორგი რაკოვსკის, ვასილი ლევსკის, პაჭი დემიტჩის, სტეფანე კარაჯეს და მწერლების — ლიუბენ კარაველოვის, ხრისტო ბოტევის მეთაურობით. 1876 წ. 20 აპრილის აჯანყება მართალა მარცხით დამთავრდა, მაგრამ მან დააჩქარა რუსეთის აქტიური ჩარევა ბულგარეთის საქმეებში. 1877 წლის 12 აპრილს გაჩაღდა დიდი ომი, რომელმაც სამხრეთელი სლავების აღფრთოვანება და ენთუზიზმი გამოიწვია. ქართველი და ბულგარელი ხალხების ხანგრძლივი ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა XIX საუკუნეში საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად დაიერილი სისხლით შემტკიცდა: ბულგარეთის განთავისუფლებაში თავისი წვლილი შეიტანეს კავკასიის ფრონტზე მებრძოლმა ქართულმა წილიციამ, სამხედრო ნაწილებმა, მოხალისეებმა და თავით ბულგარეთში მოღვაწე-მეომარმა ქართველებმა.

ქართველ-ბულგართა ურთიერთსიმპათიები და მეგობრობა ამ დროს იმაშიც გამოიხატა, რომ 1876 წლის აპრილში, როცა ბულგართა აჯანყების დროს თურქებს სურდათ აჭარაში შეეგროვებინათ



ბელგარული ქველი სოფლის ერთი კუთხე.

ჯარი თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის დასათრგუნავად, ქართველებმა თავი შორს დაიჭირეს, ქობულეთელები აჯანყდნენ კიდეც და ოსმალთ ხელი ააღებინეს მზაკვრულ განზრახვაზე. ეს მართლაც ღირსშესანიშნავი ისტორიული ფაქტი მადლიერებით აღინიშნა აქარაში 1964 წელს სტუმრად ჩამოსულმა ბულგარეთის ბლაგოევგრადის ოლქის დელეგაციის პარტიულმა ხელმძღვანელმა ქრისტო ტრიჩკოვმა ბათუმის სახელმწიფო თეატრში გამართულ საოლქო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში. მან განაცხადა: „XIX საუკუნეში... როცა ბულგარეთში აჯანყებამ იფეთქა თურქეთის მიერ მიტაცებულ საქართველოს ტერიტორიაზე თურქებმა ვერცერთი ქართველი ვერ აიძულეს მონაწილეობა მიეღო აჯანყების ჩაქრობაში. ასე თანაუგრძნობდნენ ქართველები მოძმე ბულგარელებს“³.

1878 წ. სან-სტეფანოს ზავმა იურიდიულად გააფორმა 500-წლიანი მონობიდან განთავისუფლებული ბულგარეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ ბერლინის ტრაქტატმა იგი მონარქიად აქცია და თავისუფალი ეროვნული აღორძინების გზები დაუხშო. რუსეთის მთავრობის ცდა — ბულგარეთის ტახტზე სამეგრელოს მთავარი ნიკო დადიანი დაესვა, მარცხით დამთავრდა და ევროპელ მეურვეთა წყალობით ავსტრიელი პრინცი ფერდინანდ კობურგელი გამოეფდა. მძიმე და პერიპეტეიებით აღსავსე პერიოდი გადაიტანა ბულგარეთმა ჯერ პირველ, ხოლო შემდეგ მეორე მსოფლიო ომის დროს. დაბოლოს, საბჭოთა არმიამ ბულგარეთი გაათავისუფლა გერმანელ ფაშისტთა ულლისაგან და მონარქიის ნამსხვრევებზე 1945 წლის 9 სექტემბერს სახალხო რესპუბლიკა აღმოცენდა, ბულგარეთი დაადგა სოციალისტური განვითარების გზას; დაიწყო ახალი ერა ბულგარელი ხალხის ცხოვრებაში.



ბულგარეთ-საქართველოს უშუალო კონტაქტები ადრეულ ხანაში იშვიათია. სამაგიეროდ, გვხვდება მსგავსი მოვლენები კულტურაში, ხელოვნებაში და იდენტური ცხოვრებისეული პარალელებიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ხალხი ტერიტორიულად ერთმანეთს არ ესაზღვრება და მათ შორის იმ დროისათვის თითქოს.

³ ქობისა და მეგობრობის დემონსტრაცია, «საბჭოთა აქარა», 21. XI. 1964.

გადაულახავი ზღვაც არსებობდა, კულტურული ურთიერთსწრაფვა არაფერს შეეძლო დაეზრკოლებინა.

ქართულ-ბულგარული კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთ საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ბულგარული ლიტერატურული წყაროები ძველთაგანვე იცნობდნენ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ანუ პეტრე იბერიის თხზულებებს და მის ფილოსოფიურ შეხედულებებს⁴, რომლითაც ამქვეყნიური წესწყობილება, ხილულა სამყაროს სტრუქტურა თითქოს ზეციური იერარქიის ანალოგიურია.

ქართულ-ბულგარული კონტაქტები გრძელდებოდა კონსტანტინოპოლის ისეთ კულტურულ ცენტრებში, როგორიც იყო „სტოდიერის“ მონასტერი და მანგანის აკადემია; უფრო სარწმუნო იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართველ და ბულგარულ ძველ მწიგნობართა პრაქტიკულ-შემოქმედებითი და კულტურულ-მეგობრული ურთიერთობა ხელშესახებია ქალკიდონის ნ/კ-ზე მდებარე ათონის მთის რელიგიურ-კულტურულ კერა-საგანეებში. ეს რომ არ ყოფილიყო, მაშინ ბულგარული ხელნაწერები ადგილს ვერ ჰპოვებდნენ ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკის თაროებზე და არც ბულგარულ სიტყვათა კრებულს («Брашно духовное»-ს) გამოსცემდნენ ათონელი ქართველი ბერები. ივერიის მონასტრის მეზობლად მდებარე „ზოგარფოს“ ბულგართა საგანე და „მეგისტელავრა“ ქართულ-ბულგარული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობისა და ზეგავლენის ცენტრები იყვნენ, რადგან „მეგისტელავრაში“, რომელიც ათანასე ათინელმა 963 წ. დააარსა, მოღვაწეობდნენ იოანე და ექვთიმე ათონელები, ხოლო „ზოგარფოს“ მონასტერში, რომელიც დაახლოებით 1000 წ. დააარსეს, მორკმული ბულგარელი მწიგნობარი ექვთიმე ტირნოველი დიდ შემოქმედებით და პატრიოტულ საქმიანობას ეწეოდა. ამ ცნობილ ქართველ და ბულგარულ შემოქმედთა ლიტერატურული იდეალები და სტილიც ანალოგიურია: ქართულში იგი მეტაფრასტიკის, ხოლო ბულგარულში ექსპრესიულ-ემოციურის. სახელწოდებითაა ცნობილი და ორივე ათონის კულტურულ გარემოშია ჩამოყალიბებული. მაშასადამე, ერთიდაიგივე მწიგნობრული სტილის, ერთნაირად მოაზროვნე სწავლულთ ჰქონოდათ კონტაქტები, აზრთა გაზიარებანი, პაექრობები...

⁴ История на Българската литература, I, старобългарска литература. София, 1963, გვ. 111.

ამას ამტკიცებს ვარაუდი, რომელსაც რევაზ სირაძე აყენებს: ჯერ ერთი, „ბალავარიანის“ ბერძნული თარგმანი ქართულიდან ე. ი. დედანი ბულგარულისა სინამდვილეში ექვთიმე ათონელს მიეკუთვნებაო და, მეორეც, „არაა დაღეენილი. თუ სადაა შესრულებული ეს თარგმანი. ერთ-ერთი ყველაზე სავარაუდო ადგილია „ზოგარფოს“ ბულგართა მონასტერი ათონზე... რომლის საშუალებითაც ბულგარული ლიტერატურა უკავშირდებოდა ბიზანტიურ და. გამოირიცხული არაა, ქართულსაც“⁵. შესაძლოა არც ის იყოს შემთხვევითი, რომ სწორედ ამ „ზოგარფოში“ შემოინახა „ბალავარიანის“ უძველესი ბულგარული ნუსხა. მართლაც, რ. სირაძის მიერ აღმოჩენილ და გამოქვეყნებულ სუმბათ და კალი ბაყურიანების ანდერძებით ვრწმუნდებით, რომ ბულგარეთთან კავშირ-ურთიერთობა და სისხლზორცეული კონტაქტი ჰქონდა არა მხოლოდ თვით პეტრიწონის სავანეს, არამედ ათონის ქართველთა კულტურულ კერას „ივირონსაც“. რაც ორი, ერთურთისადმი დიდი სიმპათიებით განწყობილი ხალხის ხელშესახებ კულტურულ საფუძვლებსაც ქმნიდა. „შემთხვევითი არაა—განმარტავს რ. სირაძე, —რომ „ივირონის“ კულტურული საქმიანობისადმი ინტერესი აისახა კიდევაც ძველ ბულგარულ წყაროებში. კერძოდ, ზოგარფოს 1342 წლის სიგელში“.⁶

ზოგარფოს ბულგართა და ათონის ქართველთა მონასტრების მეზობლური კავშირ-ურთიერთობანი და სწავლულ ბერთა კონტაქტები ფართო პერსპექტივებს შლიდა ორივე ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების პერიპეტიულ მოვლენათა გასაცნობად, რადგან იმდროინდელი სავანე-მონასტრები, რელიგიურს გარდა, კულტურულ კერებსაც წარმოადგენდნენ და. გიორგი დიმიტროვის სიტყვებით რომ განვსაზღვროთ, ინახავდნენ ეროვნულ გრძნობებს, ეროვნულ იმედებს, ბულგარელთა ეროვნულ სიამაყეს, ეხმარებოდნენ მათ ეროვნული რაობის შენარჩუნებაში⁷.

ქართველთა „ივერიის“ (ათონის მთაზე) და „პეტრიწონის“ მონასტრის ხანგრძლივი, მჭიდრო საქმიანი ურთიერთობისა და ბულგარეთთან მეგობრობის მაუწყებელია აგრეთვე დოკუმენტი, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის დოცენტმა კ. მეშველიანმა

⁵ რ. ს ი რ ა ძ ე, ძველ ბულგარულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხები, მწნათობა, 1972, № 10, გვ. 191.

⁶ რ. ს ი რ ა ძ ე, ბულგარულ-ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობათა ისტორიიდან, «ცისკარი», 1974, №10, გვ. 107—120.

⁷ გ. დ ი მ ი ტ რ ი ვ ი, თხზ., ტ. III, სოფო, 1947, გვ. 278—279.

აღმოაჩინა სოფიის კლიმენტ ობრიდელის აკადემიის (სასულიერო სასწავლებლის) ბიბლიოთეკაში 1961—1962 წელს სამეცნიერო მივლინების დროს⁸. ეს საბუთი ათონის „ივერიის“ წინამძღოლის მიერ პეტრიწონის მონასტერში გაგზავნილი ბერძნულად შედგენილი წერილია, რომლითაც ივერიელნი მატერიალურ დახმარებას ითხოვდნენ ზაჩკოვოდან. იგი XVI საუკუნის დოკუმენტია ივერთა მონასტრის ღვთისმშობლის გამოსახულებიანი ბეჭდით. ამ დროს „პეტრიწონი“ თითქოს ბერძნებისაა, მაგრამ, ჩანს, მათი ურთიერთობა თუ ვალდებულებანი არ შეწყვეტილა და ტრადიციულად გრძელდებოდა თურქთა ბატონობის დროსაც.

ქართულ-ბულგარული ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა, რომელიც ბიზანტიური კულტურისა და ლიტერატურის ფონზე ვითარდებოდა, ორი, თითქმის ერთ ბედქვეშ მყოფი, ხალხის სულიერ მამათა მეოხებით მსგავს შეხედულებებში ისახებოდა და ერთნაირ პოლიტიკურ მოვლენებში ვითარდებოდა, ნიადაგს უქმნიდა ტაპოლოგიურ მსგავსებებს ლიტერატურაში ან ბიძგს აძლევდა ძველ ბერძნულ და ბიზანტიურ თხზულებათა თარგმნაშესწავლას ხალხის შემეცნებითი უნარის გამდიდრების მიზნით. ასეთი მჭიდრო კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედების დასადასტურებლად დავიმოწმებთ XI საუკუნის ერთ-ერთ ცნობას, რომელიც გიორგი მცირეს აგიოგრაფიულ თხზულებაშია („გიორგი ათონელის ცხოვრება“) დაცული: ათონის მთის ქართველთა სავანის მეზობლად სოფელი ლიბიზდია // ლივისდია⁹ ყოფილა, სადაც გიორგი მცირეს გადმოცემით ცხოვრობდნენ „ბორღალნი“, რომელთაც „სკლავ“ ეწოდებოდა: სოფელში მდგარა მარმარილოს ქალის კერპი, რომელსაც „ბორღალ/სკლავნი“ თაყვანს სცემდნენ. თანაც სწამდათ, რომ მისი ღვთაებრივი ძალის წყალობით ხალხს და დედაჩიწას ევლინებოდა ტაროსი და მასვე ხელეწიფებოდა ადამიანთა ყოფნა-არყოფნის განჩინება. გიორგი ათონელს კერპისათვის ჯვარი გარდუსახავს, მერც დაუმსხვრევინებია და სამისიონერო ვალიც მოუხდია წარმართი ბულგარელების წინაშე¹⁰.

საქართველოს საეკლემზიფოებრივი კულტურული რენესანსის

⁸ კ. მ. შ. ვ. ე. ი. ა. ნ. ი., ბულგარეთის არქივებში დაცული ოსმალური დოკუმენტალური წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1968, ტ. 127, გვ. 414, სქოლიო.

⁹ ამ სახელით იწოდებოდა აგრეთვე ძველი მცირე აზიის ერთი პროვინცია.

¹⁰ ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. II, თბ., 1967, გვ. 139—140.

პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა და გაფართოვდა ქართველ-ბულგართა კონტაქტები, თანდათან ხელშესახები გახდა და შესა-ბამისი ნაყოფიც გამოიღო. ჯერ იყო და ფილოსოფოსმა იოანე ჭიმჭიმელმა ქართულად თარგმნა რამდენიმე საღვთისმეტყველო ეგზეგეტიკური თხზულება¹¹ თეოფილაქტე ბულგარელისა, რომელიც თუმც ჩამომავლობით ბერძენი იყო, მაგრამ ბულგარეთის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე გახლდათ: ჭიმჭიმელის მიერ ითარ-გმნა აგრეთვე ლუკას და მარკოზის სახარებათა განმარტებანი, რომ-ლებიც თეოლოგიური ლიტერატურის ისტორიაში საკმაოდ ცნო-ბილ ბულგარელ მწერალ თეოფილაქტეს ეკუთვნოდა¹². აკად. კ. კე-კელიძე ვარაუდობს, რომ ამ დროს ქართულად უთარგმნიათ თეო-ფილაქტე ბულგარელის სხვა თხზულებანიც, სახელდობრ: მა-თესა და იოანეს სახარებათა და პავლე მოციქულის ეპისტოლეთა განმარტებანი.

„ბორღალეთი“ პარველად დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს აქვს ნახსენები, როცა საზღვარგარეთული ქართული სავანეების მეფურ შეწირულობასა და დახმარებაზე მოგვითხრობს: დავით მეფემ „ლაერანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიც, მთაწმინდისა და ბორ-ღალეთისანი... აღავსნა კეთილითა“¹³. უფრო ადრე კი ბულგარეთ-თან და იქ არსებულ ქართულ კულტურულ ცენტრთან მჭიდროდ ყოფილა დაკავშირებული ბიზანტიის დედოფალი მარიამი, რომე-ლიც საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ის ასული იყო¹⁴. მეორედ მას ბასილი ეზოსმოძღვარი იხსენიებს, როცა თამარ მეფის ცხოვრებას აღწერს: „...და შეიხუეწა უზადრუკი იგი ალექსი ბორღალეთს, თვისისა საძისა თანა. იხილა რა ბორღალთა მეფემან, სიძემან მის-მან, შეიყვანა ციხესა ერთსა“¹⁵. „...ქართლის ცხოვრება“ ბულგა-რეთს ეხება აგრეთვე მაშინ, როცა იგი ბიზანტიაში ჯვაროსანთა შეკრაზე, კონსტანტინოპოლის აღებასა და დედაქალაქიდან მეფე ალექსი III-ის ლტოლვაზე წერს: მაგრამ ბულგარეთ-საქართვე-ლოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობისათვის საგულისხ-

¹¹ კ. კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გამოც. 111, თბ., 1951, გვ. 436.

¹² კ. კ ე ლ ი ძ ე, იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან, უერ. «პრომეთე», 1918, № 1, გვ. 2.

¹³ «ქართლის ცხოვრება», ტ. 1, გვ. 352.

¹⁴ გეორგიკა, ტ. VI, გვ. 107—108.

¹⁵ ქართლის ცხოვრება, ტ II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1959, გვ. 142—143.

მოა არა ის ფაქტი, რომელზედაც ბასილი ეზოსმოდგვარი მოგვითხრობს (ბულგარეთში გაქცეულ ბიზანტიის მეფე ალექსის, ბულგართა მეფე ივ. კალოიანის /1197 — 1207/ და ჯვაროსანთა შესახებ), არამედ ის, რომ ამ მემკვიდრის წარმოდგენით ქართველთა შეხედულებანი თუ მოსაზრებანი ბიზანტიის მიმართ ემთხვეოდა ბულგართა მეფის პრინციპებს, რითაც ძველი ქართველი ისტორიკოსი ბასილი განადიდებდა კალოიანის შორსმჭვრეტელურ პოლიტიკას.

საქართველოს გარეთ მდებარე ეკლესია-მონასტრებისადმი თამარ მეფის დახმარების აღნიშვნისას ბასილი ეზოსმოდგვარი მოიხსენიებს აგრეთვე მაკედონიის პეტრიწონის ანუ თრაკიის, ე. ი. ბულგარეთის მონასტრის¹⁶, რომელსაც დღეს ბაჩკოვო ქვია. ბულგარეთისა და მისი ქართული კულტურულ-რელიგიური ცენტრის ზენს ისტორიულ წყაროებში ხშირი ხსენება იმის მომასწავებელია, რომ ბულგარეთი საკუთარი სამონასტრო-საგანმანათლებლო დაწესებულებებით აქტიურად იყო ჩაბმული შუა საუკუნეების საქართველოს კულტურულ ორბიტაში და ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ არეალში ტრიალებდა. მართლაც, სლავური ანბანის შემთხვევლ-შემქმნელს, IX საუკუნის მოღვაწეს კირილეს ანუ კონსტანტინეს, როცა ვენეციასა და რომში უმოგზაურია, კლერკალური წრეების „ტრილინგვისტურ“ ანუ ბერძნულ-რომაულ-ებრაულ ე. წ. კულტურტრეგერული თეორიის გასაბათილებლად „ივერიული“ ანბანი და მწერლობა მოუშველეს¹⁷. ეს ფაქტი ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურულ მატთანეს მეცნიერულ-მწიგნობრული იერით აფერადებს და ორი ჯალხის ურთიერთობას კეთილმეგობრულ ელფერს ანიჭებს. რამდენადაც „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებული „ბორღარ/ბორღალთა“ მოღვაწე კონსტანტინე თავისი კეთილშობილური საქმის კანონიერების დასასაბუთებლად ქართულ ორიგინალურ ანბანს და მწერლობის არსებობას იმოწმებს.

„ბორღართა“ ქვეყანა მოხსენებულია XIV საუკუნის უამთალ-მწერლის თხზულებაშიც, როცა იგი ბათო-ყაენის ურდოს ლაშქრობას ეხება: ჩინგის-ყაენმა თავის „პირმშოსა მისცა ნახევარი ლაშქარი და წარავლინა დიდსა საყიფჩაღეთსა, ვიდრე ბნელეთამდე;

¹⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 142.

¹⁷ П. А. Лавров. Материалы по истории возникновения древнейшей славянской письменности, Л., 1930, გვ. 21 и В. А. Истрин. Возникновение и развитие письма, М., 1965, გვ. 575.

ი. კ. კ. ე. ლ. ი. ძ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1960, გვ. 40.

ოსეთსა, ხაზარეთსა, რუსეთსა და ვიდრე ბორღართა და სერბიამდე¹⁸. მაშასადამე, ბულგარეთ-საქართველოს პოლიტიკური ისტორიაც კი ორივე ხალხის ძნელბედობის და ძალმომრეობის ხანაში მრავალგზის ემსგავსებოდა ერთმანეთს: ყაენი თავისთან იბარებდა „ბორღალეთის“ მეფესაც; მეფე ვახტანგ VI-ის ბრძანებით სპარსულიდან გადმოიღეს „ბარამგულანდამიანი“, რომელშიც მოთხრობილია ბულგართა მეფისწულ ბეზადზე და ქაჯთა ლაშქართან მათ წარუმატებელ ბრძოლაზე. ამიტომ იყო, რომ „ბოღღართა“ ანუ „ბორღალთა“ ქვეყანას თავის „ბორღალელი“ ხალხით კარგად აუთ არა დაახლოებით მაინც იცნობდნენ ბულგართათვის „ივერ//იბერიად“ ცნობილ საქართველოში. ბიზანტიის ასიმილაციური რეჟიმის შესუსტებისა და ეროვნულ-კულტურული ტრადიციების შენარჩუნების მიზნითაც უნდა ყოფილიყო გამოწვეული გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ ფენომენალური შემართებით გატარებული ღონისძიებანი და პეტრიწონ//ბაჩკოვოს მონასტრის სახით ერთ-ერთი კულტურულ-იდეოლოგიური ცენტრის დაარსება 1083 წელს, თეოფილაქტე ბულგარელის მონაწილეობით. ქართველი და ბულგარელი ხალხის ეს გამოჩენილი ორი მოღვაწე პირადად იცნობდა ერთმანეთს. მრავალი საერთო მიზანი ამოძრავებდათ და ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ კიდევ უთუოდ¹⁹. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ XII საუკუნის ცივილიზაციის ეს ერთ-ერთი ცენტრი ნახევრად ველურ თურქ-სელჩუკთაგან დაშორებულ და მათი ხელყოფისგან უშიშარ მდ. მარიცის აუზში შეიქმნა. ამასთანავე, თრაკიის თვალწარმატადი მთა-გორი, ნაყოფიერი ველ-მინდვრები და აყვავებული მამულები ბიზანტიის ქართველ დედოფალსა და გრიგოლ ბაკურიანის ძეს ეკუთვნოდა.

ბულგარეთსა და ბიზანტიაში მოღვაწე, ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ ქართველ კუროპალატ სუმბატ ბაკურიანსაც გააჩნდა იქვე ისეთი დიდი მამულები, როგორიც იყო რადოლივო, მუშენიანა, სუდაგა, ველემისდა, მაგრამ მარტო ეს არ უნდა იყოს პეტრიწონის სავანის დაარსების მიზეზი. აღმოსავლეთ ბიზანტიის „ზორავარ//ზოლავარს“ და „დასავლის დიდ დომესტიკოსს“ ანუ მარშალს განა არ შეეძლო სამხრეთ საქართველოში დაეარსებინა კულტურული

¹⁸ ქართლის ცხოვრება, ტ. 11, გვ. 181.

¹⁹ К. Захариев. Страници из миналото на Бачковския манастиръ. 1922 печатница «Модерно искусство», Станимака. ციტირებულია მ. კვესელავას ნაშრომიდან: ბულგარული ლიტერატურა, თბ., 1953, გვ. 11.

კერა? ტაოელი ქართველი დიდებულის ქველმოქმედება იქნებ სხვა უფრო ობიექტურმა მოსაზრებებმა და იმ დროისთვის განვითარებული ქართული კულტურის ექსპანსიის საჭიროებამ განაპირობა? ცნობილია, რომ პეტრიწონ//ბაჩკოვოს სავანეში თავდაპირველად 50 სწავლული ქართველი ბერი ერთბაშად ჩაასახლეს და სპეციალურად მიწვეული ქართველი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის მეთაურობით, რომელიც ქართულ სემინარიაში 20 წელზე მეტ ხანს ასწავლიდა ისტორიას, ლოგიკას, გრამატიკას, ფილოსოფიას, ასტროლოგიასა და ასტრონომიას, დიდი შემოქმედებით-პრაქტიკული მუშაობა გააჩაღეს. ამჟამად ცნობილი გახდა, რომ ბულგარეთში მოღვაწე ქართველთა თვალსაჩინო პლეადას განეკუთვნება კუროპალატი სუმბათ ბაკურიანი და მისი ნახევარი ძმა, მაგისტროსი სერგი, რომელთაც უცხოვრიათ და უმოღვაწიათ ბულგარეთში, როგორც ბიზანტიელ დიდებულებს, მაგრამ ამავე დროს ქართული კულტურის მოჭირნახულეთ. სუმბათ ბაკურიანის მეუღლის, უთუოდ ქართველის, სახელად კალის, მონაზვნობაში მარიამის ანდერძში ჩანს თითქოს მის მეუღლე სუმბათს ჰყავდა ნათესავი ველიკო. ეს სახელი ბულგარულადაა მიჩნეული²⁰. თუ ეს სინამდვილეა, მაშინ ქართველ-ბულგართა ქორწინებითი დანათესავება აქედან, ანუ XI საუკუნიდან დაწყებულია.

დაბოლოს, უკანასკნელად ვსვამთ იმავე კითხვას: რალა მაინცა და მაინც თრაკიის მდ. მარიცის აუზში, ჩეპელაზკას ანუ ჩაიას ხეობაში²¹ დააარსეს სამოციქულო და ქართულ-ბულგარული კულტურის, ზელოვნებისა თუ ლიტერატურის ესოლენი განვითარებისათვის ასე გულმოდგინედ გაისარჩნენ? იქნებ იმიტომაც, რომ განსწავლული გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძე, იოანე პეტრიწი, თეოფილაქტე ბულგარელი და სხვა განათლებული პირები, კარგად იცოდნენ რა უძველესი ისტორია, ბალკანელ ხალხთა ეთნოგენეზი, პელაზგთა, ილირიელ-თრაკიელთა და ფრიგიელთა ხარ-ქარ-არიულ ჩამომავლობაში ერკვეოდნენ და მათთან ქართველთა შორეული ნათესაობა, ერთი ძირიდან წარმომავლობაც მოეხსენებოდათ?

²⁰ იხ. ს ი რ ა ძ ი ს დასახ. ნაშრ., გვ. 115.

²¹ თ. ჩ ი ქ ე ა ნ ი ს და ტ. კ ო ლ ე ვ ა ს ნაშრომში: „ზან ასპარუხის ქვეყანაში“, დაშვებულია მცირე უზუსტობა, როცა მიუთითებენ, «ხეობის ბოლოს გაშენებულ ქალ. ასენოვგრადამდე მხოლოდ ათიოდე კმ თუ იქნებაო», რადგან გამოდის, რომ პლოდვივიდან ჯერ ბაჩკოვოა, მერე-კი ასენოვგრადი. სინამდვილეში პირიქითაა: პლოდვივიდან ჯერ ასენოვგრადია, მერე, ხეობის სიღრმეში—ბაჩკოვო; ხეობის თავში კი ჩეპელარაა.

ქართველი და ბულგარელი ხალხის დაახლოების, ურთიერთობისა და მეგობრობის კეთილ საქმეში მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ერთმორწმუნეობას ანუ მართლმადიდებლობას, რომელიც წარმართობის შემდეგ ბორისის მეფობისას, 865 წელს, ბულგარელთა სახელმწიფოებრივ რელიგიად იქცა. გრიგოლ ბაკურიანელს პეტრიწონის მონასტრის ადგილსამყოფელის შერჩევისას, როგორც ირკვევა²², უხელმძღვანელია აგრეთვე ბიზანტიის ადმინისტრაციულ და სამხედრო სამსახურში მყოფი იმ თანამემამულეების მძიმე საყოფაცხოვრებო მდგომარეობით, რომლებიც სიჭაბუკეში უანგაროდ ემსახურებოდნენ ან სისხლს ღვრიდნენ კონსტანტინოპოლელ მბრძანებელთა ინტერესებისათვის, ხოლო მოხუცებულობაში დაუძლურებულნი უცხოეთში უპატრონოდ რჩებოდნენ. მათთვის პეტრიწონი მართლაც სანუკვარი თავშესაფარი იქნებოდა. ამიტომაც ზომ არ იყო აკრძალული სავანის ფარგლებში ცოლიან კაცთა ცხოვრება და დედათა მონასტრის აგება?

მეტროპოლიის გარეთ მოქმედ ქართულ ლავრა-სავანეთა შორის, რომლებიც სირია-პალესტინაში, ეგვიპტეში. კვიპროსზე, საბერძნეთში, დღევანდელ თურქეთის ტერიტორიაზე ქართველებმა დააარსეს, პეტრიწონის მონასტერი ერთ-ერთი დიდი და ძლიერი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა და სამეცნიერო ცენტრი იყო. დიდი იყო ჯერის, ლაზთა, ღალიის, ათონის, ანტიოქიისა და სხვა, დაახლოებით 40-მდე კულტურულ-სამოღვაწეო ქართული მონასტრის და მათ შორის თრაკიის დაბლობის სამხრეთით ჩეპელარსკას ხეობაში მოქმედ პეტრიწონის მონასტრის მისია. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო სასტიკად კრძალავდა ბიზანტიური რელიგიური წიგნების სლავურად თარგმნას: მითუმეტეს, მოსპობილი იყო ბიზანტიურ თხზულებათა ბულგარულად თარგმნის ყველა შესაძლებლობა. ბულგარეთის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა თურქთა ბატონობის ეამს. ბულგარელი ხალხის ამ სულიერი დეპრესიის პერიოდში პეტრიწონის ქართული სავანის სამწერლო-შემოქმედებით საქმიანობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი წარმართავდა აგრეთვე ზოგიერთ პოლიტიკურ მოვლენასაც.

ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობაში პეტრიწონის მონასტერმა ფრიად ღირსშესანიშნავი როლი

²² ბ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი, ათონი, პეტრიწონი, ქვარი, თბ., 1975, გვ. 45.

შეასრულა იმიტომაც, რომ იგი თითქმის მთლიანად დამოუკიდებელი იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან, საკუთარი ინტერესებით ჯელმძღვანელობდა და ბერძნულ ზეგავლენას გაუბრუნდა. გრიგოლ ბაკურიანისძისეული ტიპიკონის XXV მუხლი კრძალავდა მონასტერში ბერძენ ბერთა მიღებასაც კი. იმდენად დიდი იყო ამ ქართული საეკლესიო პრაქტიკული საქმიანობა, ისეთ საინტერესო მუშაობას ეწეოდა იგი, რომ თავდაპირველად მინიჭებული მთელი რიგი ავტონომიური უფლებები, პრივილეგიები, „მარადიული ხელშეუხებლობა“ და სხვა ბულგართა მეფეებმა ივანე ასენმა და ივანე ალექსანდრემაც გაუფართოვეს და განუმტკიცეს. ზოგიერთთა მოსაზრებით, პეტრიწონის ამ შეუვალობამ 2 საუკუნეზე მეტ ხანს გასტანა; ამას მეტყველებს „ქართველთა ღვთისმშობლის“ ხატის წარწერა, რომელიც აკად. ნ. ბერძენიშვილმა გააანალიზა და დაასკვნა, რომ: „...XIV საუკუნეში ქართველებს პეტრიწონის მონასტერთან კავშირი გაწყვეტილი არ ჰქონიათ... ამ დროს ეს მონასტერი ჯერ კიდევ ქართველთა ხელშია“²³ და შემდეგ იმასაც დასძენს, რომ „...ეს მონასტერი ქართველთა ხელში რჩებოდა XV საუკუნის პირველ ათეულშიც კი“²⁴.

გრიგოლ ბაკურიანისეულ პლოვდივისა და ხასკოვოს ოლქთა ტოპონიმებზე თვალის ერთი გადავლებითაც დავინახავთ. რომ წარმოშობით ტაოელ ქართველს²⁵, ტიტულით სევესტროსს და თანამდებობით დომესტიკოსს, რომელსაც კარგად უნდა სცოდნოდა ქართულ-იბერიული მოდგმის წარმოშობა-განვითარება და ურთიერთობის ისტორია, მონასტრისათვის შეურჩევია ისეთი ადგილი, სადაც ძველ ბულგარელთა ჩამომავლობის უმეტესობას უცხოვრია.

პეტრიწონის არქიტექტურული ანსამბლი ანუ ღვთისმშობლის ერთი დიდი ეკლესია, იოანე ნათლისმცემლისა და წმინდა გიორგის ორი მომცრო ლამაზად ნაგები ეკლესია და „სამარხი“ თავისი ხუროთმოძღვრებით, ფრესკებით, ჩუქურთმებით, წარწერებით, ოქროჭედილი ნივთებით, ხელნაწერებით, წიგნებით დღესაც ცხო-

²³ ნ. ბერძენიშვილი, ძლევადი (გამარჯვება); თბ., 1949. გვ. 33.

²⁴ იქვე, გვ. 47.

²⁵ სამუხაროდ. გ. ბაკურიანის ეროვნულობის განსაზღვრისას მ. ცაპენკო უმეცრესს ამტკიცებს, როცა უცხოეთში მოღვაწე ამ დიდ ქართველს გვარის მიხედვით სომხად აცხადებს. იხ. М. П. Ц а п е н к о. Архитектура Болгарии. М., 1953, გვ. 142.

ველ პოლემიკას იწვევს ხელოვნებათმცოდნეებში²⁶. გრ. ბაკურიანის ძის „საძვალე“. რომელიც ოთხკუთხა თხელი აგურით. ბრტყელი ქვითა და დულაბითაა ნაგები XI საუკუნეში, — გამოიკვლიეს ა. გრაბარმა, ი. გომეშმა, დ. ლასკოვმა. ა. ვასილევმა, ე. ბაკალოვმა.

ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის თვალთახედვით საინტერესო და აღსანიშნავია ის, რომ პეტრიწონის ანუ ბაიკოვოს მონასტრის არქიტექტურული ანსამბლის შესახებ ხელოვნებათმცოდნე ა. გრაბარს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომლის თანახმად ეს იშვიათი ძეგლი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია, ხოლო გრ. ბაკურიანის ძის „საძვალე“ — უძველესი ქრისტიანული არქიტექტურის გვიანდელი გამოვლინება. აკად. ნიკო პერძენიშვილი გვაუწყებდა: „გრაბარი ამ საძვალეს აღმოსავლეთის (პალესტინის) ძველი ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ტრადიციის ნაგვიანვე გამოვლინებად სთვლის, თუმცა ქართულ მოტივებსაც ამჩნევს შესობის დეკორაციის დეტალებში“²⁷.

ქართულ-ბულგარული არქიტექტურის ურთიერთგავლენის შესახებ. უპირველესად ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ძვ. წ. V — III საუკუნეებში ე. წ. რაიასა და მეზიის ანუ ძველისძველი ბულგარეთის ტერიტორიაზე თავს იჩენდა და ვითარდებოდა გუმბათოვანი ხუროთმოძღვრული სტილი, უმეტესად ქვა-აგურით ოსტატურად ნაგებ აკლდებებში. ასეთი საამშენებლო იერ-სახე უფრო ადრე ახასიათებდა უძველეს მცირე აზიურ ცივილიზაციას. გრიგოლის საძვალესა და პალესტინურ ნაგებობებს შორის 5 — 6 საუკუნოვანი ზღვარია, მაგრამ, მიუხედავად ამისა „საძვალეში“ უშუალოდ რეპროდუცირებული ძველი ქრისტიანული არქიტექტურის ნიმუში. ამგვარად, — აღნიშნავს პარიზელი მკვლევარი ა. გრაბარი, — საძვალის ფასადის დეკორაციებში აშკარად შეინიშნება გვიანკავკასიური ნაკეთები (იგულისხმება სარკმელთა დეკორი, რომელიც ბაზილიკური სტილის შენობას თავს ევლება რკალისებურად ა. ც.), რაც შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ მონასტრის მშენებელ გრიგოლ ბაკურიანის ეროვნული წარმოშობის განსაზღვრისას. რადგან საძვალის, რომლის კონსტრუქციას არქაიზმის ღრმა ანაბეჭდი აზის, ჩუქურთმათა დეტალებში ქართული მოტი-

²⁶ М. Цапенко. Архитектура Болгарии. М., 1953, стр. 143.

²⁷ ნ. ბერძენიშვილი, ძლევაი (გამარჯება), თბ., 1949, გვ. 28 — 29.

ვები იგრძნობა: ამიტომ ხომ არ განასახიერებს იგი, ცხადია, გვიანდელი ზანის, კონსტანტინოპოლურ ტექნიკაშიც კი აღბეჭდილ (ქვისა და აგურის შენაცვლების), დაკნინებულ რომელიმე უძველეს კავკასიურ სავანეს, რომელსაც პალესტინური პირველდაწყებითი ტრადიციები ისევ შეუნარჩუნებია? წარმომავლობა და სახელი — გრიგოლი — გვაფიქრებინებს, რომ მას შეეიღო აკლდამა აეშენებინა წმ. გიორგის ძველი სავანის მიხედვით²⁵.

რამდენიმე წლის წინ ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიამ სოფიაში აკადემიკოსების ლ. ტონევის, ქ. მიატევის, პ. დიმიტროვისა და სხვათა რედაქციით გამოსცა კაპიტალური ნაშრომი სათაურით: „ბულგარეთის არქიტექტურის მოკლე ისტორია“, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი პეტრიწონ/ბაჩკოვოს მონასტრის მეცნიერულად გამოკვლეულ და შესწავლილ მასალებს... წიგნის ავტორები ღირსეულად აფასებენ ტაძრის მონუმენტურ ნაგებობას და მის შესანიშნავ არქიტექტურულ ანსამბლს. ეს ძეგლი სამართლიანად არის შეფასებული, როგორც ძველი მსოფლიოს ხუროთმოძღვრული საოცრება. ამასთანავე, უცხოეთში მოღვაწე ქართველი გრიგოლ ბაკურიანის ძე ერისთავის მიერ ბულგარეთში დაარსებული პეტრიწონ/ბაჩკოვოს მონასტრის ორიარუსიანი კომპოზიცია, მიმდებარე ძველი შენობები და „საძვალე“ მიჩნეულია ქართული საერო და სასულიერო არქიტექტურის შემადგენელ ნაწილად.

ბულგარეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთზეგავლენა ხუროთმოძღვრებაში დასტურდება აგრეთვე ასენოვგრადის ე. წ. სტენინახის ციხე-სიმაგრის ანსამბლში ჩართულ, ოთხკუთხა ბრტყელი აგურით ნაგებ ჭვარსახიან ეკლესიაშიც, რომელიც პეტრიწონის ღვთისმშობლის ტაძრად იწოდება და XII საუკუნის ანუ გრ. ბაკურიანის ძის ღარიინდელია²⁶. ქართულ-ბულგარული ხუროთმოძღვრების ურთიერთ კონტაქტის თუ ზემოქმედების საილუსტრაციოდ შესანიშნავ არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენს ბულგარეთის ძველ დედაქალაქ ველიკოტარნოვოდან 6 კმ. დაცილებული პრეობრაჟენსკის მონასტერიც, რომელიც XII საუკუნის ძვირფასი ძეგლია და პეტრიწონ/ბაჩკოვოს მონასტერს ძალზედ წააგავს.

²⁵ Известия на Болгарския археологически институт, т. I, Свезка II, София, 1924, გვ. 103—132, А. Г р а б а р ь. Болгарския церкви-гробници.

²⁶ ა. უ რ უ შ ა ძ ე, ქართული კულტურის კერა ბულგარეთში, თბ., 1969.

სხვათაშორის, სპეციალისტები საოცარ მსგავსებას ხედავენ აგრეთვე რუმინული ხუროთმოძღვრების ჯვარ-გუმბათოვან სამთავრო ეკლესია არქეშსა (რომელიც აგებულია XVI საუკუნის პირველ ნახევარში) და ბიჭვინთის, ბედიის, მოქვის, სამთავროს, ბეთანიისა და ფიტარეთის ტაძართა შორისაც³⁰. ბუქარესტის ანთიმოზ ივერისეული ეკლესიის ბერის, სანდუ ტუდორის, აზრით ქართული კულტურის ეს კიდევ ერთი ჩინებული ტაძარი თავისი მოჩუქურთმებული ხის კარით, ქვის სვეტის თავებით. ფრესკებითა და სხვა სამკაულებით ანთიმოზის შემოქმედება და ნახელავია. რუმინეთში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირის ბიოგრაფოს ტუდორის მოსაზრებას აკად. ნ. ბერძენიშვილი დასძენს: „ზოგიერთი სამკაული (სვეტის თავისა, მაგალითად) მართლაც მოგვაგონებს ჩვენში გავრცელებულს სამკაულს, ზოგი კი აშკარად განსვავდება. მაინც ქართულ-რუმინული ქრისტიანული არქიტექტურის შედარებითი შესწავლა ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს“³¹.

ბულგარეთში დღესაც მოქმედ პეტრიწონის მონასტრის შორიასლოს აშენებული გრ. ბაკურიანის ძის საძვალე იშვიათი ძველი ფრესკებითაა მოხატული. აქ არის გრ. ბაკურიანის ძის და ათონის მონასტრის დამაარსებელი — გიორგი და ექვთიმე მთაწმინდების პორტრეტები. ამათ გარდა, ქრისტიანული რელიგიის სიუჟეტებზე მოხატული კომპოზიციები ფრესკული ხელოვნების შესანიშნავი შედეგებია. ფაქიზი ნამუშევარია და ქართულს ძალზედ წააგავს ხელში ჩვილი ქრისტეთი გამოსახული მარიამ ღვთისმშობლის სურათი. ქართული კოლორიტითაა შესრულებული მონასტრის „მეორედ მაშენებლების“ ბერი გიორგისა და გაბრიელის სახეები, წმ. ევლიოსისა და სტეფანე პირველწამებულის. იოანე დამასკელისა და კოზმა მაიუმელის, მიქაელ და გაბრიელ მთაწარანგელოზების, იოანე და წმ. ნიკოლოზის პორტრეტები. ქართული ჯიჟღერის შესანიშნავი თავდაპირველი ნიმუშების ავტორი და შემსრულებელია ბულგარეთში XII საუკუნეში მოღვაწე ქართველი იოანე ივერიელი ანუ ივერპულოს//ივერპულეცი. რომლისთვისაც ბიზანტიური ჯიჟღერის სკოლაც კარგად იყო ცნობილი. მკვლევარ ა. ვასილევს მტკიცებით ფუნჯის ეს დიდებული ნატიკი გასაოცარი და თვითმყოფი ტალანტის ნიჭიერი მხატვარია.

³⁰ იონ ნანუ, ქართული და რუმინული ხელოვნების ურთიერთობა, „საბჭოთა ხელოვნება“, 1963, № 8, გვ. 83—88.

³¹ ნ. ბერძენიშვილი, აღწვანი (გამარჯება), თბ., 1949, გვ. 13.



პეტრიწონის (ბაჩეოვოს) სავანის ქტიტორები გრიგოლ და
 აბას ბაქურიანელები

პეტრიწონ/ბაჩკოვოს ეკლესიის საძვალეში იოანე ქართველიშვილის მიერ ნატიფად შესრულებული და დღემდე მოღწეული ფრესკები ნათელყოფენ ქართულ-ბულგარული მხატვრობის საერთოერთო ტრადიციებს, იმ შესანიშნავი ფერწერული მანერის გადატანას ბულგარეთში, რომელიც ქართულ საეკლესიო ხელოვნებას ახასიათებდა³².

პეტრიწონის ტაძრის ძვირფას ნივთ-განძეულობათაგან თვალს ატაცებს ღვთისმშობლის ხატი, რომელიც 1311 წელს მოუპყდითაო ოქროვარაყიანი ვერცხლით იმ ქართული საიუველირო ხელოვნებით, რომელსაც აჟურჟედვა ეწოდება. ბულგარეთში შემორჩენილი ამ ძველი ნაკეთობის წარწერა გვაუწყებს, რომ ქართველთა კუთვნილ პეტრიწონის მონასტერში XIV საუკუნეში მოღვაწეობდნენ ტაოელ ეგნატეს ვაჟიშვილები ათანასე და ოქროპირი, რომელნიც სწავლა-განათლებას და საიუველირო ხელობასაც ეძვე მონასტრის ქართულ სემინარიაში დაუფლებულან. ამასთან, ათანასე მოქლევარი მასწავლებელია და გ.რ. ბაკურიანის ძის მიერ პეტრიწონის მონასტერთან არსებულ სასწავლებელში მუშაობს. რამდენი ქართველი და ბულგარელი შეგიირდი-ხელოვანი გამოზარდა მან არაჟინ უწყის. ეს კია, რომ პროფ. იორდან ივანოვის ცნობით ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მტკიცედ სწამდათ ღვთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალა, რომელიც, რადგან დიდის პატივით სარგებლობდა, საქართველოდანაც ურიცხვ ხალხს იზიდავდაო პეტრიწონს³³.

ეკლესიის გუმბათში ჩატანებული ერთმეტრიანი ყვითელი ფერის ჯვარი, ასომთავრული წარწერით — „ძლევაი“. XI საუკუნის წმინდა ქართული ნაკეთობაა. ეს ე. წ. საზოლავრო ჯვარი, ზემოხსენებული ღვთისმშობლის ხატი და ქართული საერო თუ სასულიერო ოქრომჭედლობის სხვა ნივთები, რომლებიც ბულგარეთის სიძველეთსაცავებშია, ქართულ-ბულგარული ხელოვნების კონტაქტთა, ურთიერთზემოქმედების მაუწყებელ რელიქვიებს და ამ ორა ხალხის ძველი მეგობრობის დასტურს წარმოადგენენ.

ბურუსითაა მოსილი XV—XVIII საუკუნეების ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა. ეს პერიო-

³² ილუსტრაციები იხ. ბორის კანდელაკის ნაშრომში: პეტრიწონის სავანე ბულგარეთში, თბ., 1975.

³³ И. И в а н о в. Асенова крепость над Станимака и Бачковския монастырь, — Известия на българского археологического дружество, II, 1911, София, 1912, гв. 37.

დი ორივე ხალხისათვის მეტად მძიმე და ავბედითი გამოდგა. დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გაჩაღებული ზრდილობით ისინი ქმედითად ეხმარებოდნენ ურთიერთს თურქთა წინააღმდეგ. ქართულ-ბულგარული კონტაქტები შეიზღუდა, თითქმის შეწყდა, თუმცა მთლიანად არ გამქრალა და ზოგჯერ ვლინდებოდა კონსტანტინოპოლში ჩასულ დიპლომატ და ვაჭარ-სოფდგართა შორის. არც პეტრიწონ/ბაჩკოვოს მაჯისცემა შეჩერებულა მთლიანად და თურქთა მსახვრალ ხელს გადარჩენილთ პატრიოტული საქმე უკეთებათ. არც საქართველოს დავიწყებია მთლიანად იგი: სოფიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული, გრიგოლ ბაკურიანის ძისეული ტიპიკონის ნუსხიდან გადაწერილი ერთი, 134 გვერდიანი ხელნაწერი რვეულის უკანასკნელ გვერდზე ახალციხელ მღვდელს იოანე მარკოზიშვილს ნუსხურით მიუწერია:³¹

„ქ. და მე ფრიად ცოდვილმან ყოვლისა კაცისა უარესმან იოვანე მღვდელმან, მარკოზის შვილმან ახალციხიდა მოველ და წიგნები წაეციოთხე თვისა აღვისტოსა იმ წელსა, რომ კალენითეე პატრიარქი რომ მოკუდა, გაბრიელ დაჯდა პატრიარქად. ვინცა შენდობა გვითხრათ თქვენცა შეგინდოთ ღმერთმან. ამინ“³⁵. ე. ი. 1702 წ. მღვდელი იოანე მარკოზაშვილი ბულგარეთის ქართულ საეპარქიაში ჩასულა და იქ დაცული ლიტერატურა უკითხია. ეს კი კიდევ ერთი საბუთია, იმისა, რომ ქართველებს ურთიერთობა მთლიანად არ გაუწყვეტიათ ბულგარეთში 1083 წელს დაარსებულ კულტურულ სამქედლოსთან.

ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობაში აღსანიშნავია რუმინეთში მოღვაწე ანთიმოზ ივერიელის წვლილიც. ბულგარელებთან თავისი კეთილგანწყობილება ამ დიდმა ქართველმა მოაზროვნემ გამოხატა იმ ძვირფასი და უნიკალური ნაშრომით, რომელიც მან 1697 წელს სნაგოვოში გამოსცა „სლავური ენის გრამატიკის“ სახით. ერთი საინტერესო დეტალიც: 1250 წელს პეტრიწონ/ბაჩკოვოს ტაძრის ძველი ფრესკები განუახლებია და ახალიც დაუხატავს ტომით ქართველ იოანე მოსხს, რომელსაც რატომღაც ბერძენ ხელოვნად მიიჩნევს ზოგიერთი უცხოელი მკვლევარი.

³¹ მასზე ადრე, 1967 წლის 15 ოქტომბერს, პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ქართული ტექსტის ბოლუსქ ხელი მოუწერია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს ქართულად, ხოლო 1720 წლის 7 აპრილს იერუსალიმისავე პატრიარქ ხრისანთესს გაუკეთებია მინაწერი.

³⁵ ა. ე. რ. უ. შ. ძ. ე. ქართული კულტურის კერა ბულგარეთში, თბ., 1969, გვ. 68.

ქართული და ბულგარელი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა XIX საუკუნეში

ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთი მეტად საინტერესო და აქტუალური საკითხი ამ ორი მოძმე ხალხის საბრძოლო თანამეგობრობაა. ეს თემა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მეტ-ნაკლებად დამუშავებულია, მაგრამ თავმოყურელია და მთლიანობაში არაა განხილული.

ქართველთა და ბულგარელთა საბრძოლო თანამეგობრობის ერთ-ერთი აღსანიშნავი, შედარებით ადრეული ფაქტია ის, რომ გამოჩენილი დიდი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის მთელი სიმპათიები რუსეთ-თურქეთის 1806 — 1812 წლების ომის დროს განთავისუფლებისათვის მებრძოლი ბულგარელი ხალხის მხარეზე იყო. ქართველი სარდალი მხურვალედ უჭერდა მხარს დუნაისპირა სლავებს თურქთა წინააღმდეგ. მოლდავეთის არმიისადმი გაცემულ ბრძანებაში ბულგარელებისადმი სოლიდარულად განწყობილი პ. ბაგრატიონი წერდა: „მეტად მცირე დროში მტერზე მოპოვებულმა მრავალრიცხოვანმა გამარჯვებებმა მიგვახლოვეს ბულგარელებით დასახლებულ იმ ქვეყნებს, რომელნიც მწვავედ განიცდიან თურქეთის ულლის სიმძიმეს და რომლებიც ოდითვე... რუსეთისადმი ერთგულებასა და მომხრეობას იჩენენ“³⁶.

რუსეთ-თურქეთის ომებში ბალკანეთის ფრონტზე მოქმედ რუსეთის რეგულარულ არმიაში მებრძოლ ქართველ ჯარისკაცებს ვარდა თურქთა ულლისგან სლავთა განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში მონაწილეობდნენ მოხალისე ქართველი მოლაშქრენიც, რომლებიც საკუთარი ინიციატივით და ხარჯებით მიემგზავრებოდნენ ბალკანეთში. საერთო მიზნით აღტკინებულია საბრძოლო თანამეგობრობა კერძო ხასიათს ატარებდა. ამიტომ ძნელია ბალკანეთში მოლაშქრე ქართველთა რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ პრესის იშვიათ ცნობებს, მოხალისეთა საერთო რაოდენობა მცირე არ უნდა ყოფილიყო. ქართველთა გმირობა კი საქვეყნოდ გახდა ცნობილი ბალკანელი ხალხის 1877 — 78 წწ. განმათავისუფლებელ ომში, როდესაც მამაცი ქართველი ნეომარნი ბულგარელ და რუს ჯარისკაცებთან ერთად მედგრად ებრძოდნენ თურქებს. აჯანყებულო³⁷ სლავების ერთ-ერთი არმიის დათვალიერების შემდეგ რუსული გაზეთის ბალკანელი კორესპონდენტი იტყობინებოდა:

³⁶ ლ. ზერაგია, საუკუნეებში ნაწრთობი, „კომუნისტია, 15, XI, 1972.

„მართალია ბერძნები და ალბანელები ძლიერ ცოტანი არიან, მაგრამ მაგიერათ. რომ იცოდეთ, ვინ არიან კიდევ? — იმერლები. ქართლ-ღლები, ოსები, მეგრელები და მათ შორის ქრისტეს სარწმუნოების მადიარებელი აფხაზებიც“. ოსმალეთ-სერბიის ომში მონაწილეობას მიზეზს ქართველები ასე უქსნიდნენ დაინტერესებულ პირთ:

„მინდა ვიომო ჩემი მოძმეების სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის“-ო. ქართველი მოხალისენი ბევრს ჩერქეზები ეგონა, ზოგს ყაზარ-რუსები და სინაძღვილის გაგებისას გაოცებულნი რჩებოდნენ, გაკვირვებით იმეორებდნენ მათთვის უცნობ საქართველოს სახელს. როგორც გაზეთი „დროება“ თავის ქრონიკაში იტყობინება. ერთ-ერთ ფრანგ კორესპონდენტს თარჯიმნის მეოხებით წმინდა გიორგის 2 ჯვრით მკერდდამშვენებულ და 20 წლის წინ სამხედრო სამსახურს თავდანებებულ 60 წლის ქართველი მებრძოლისათვის უკითხავს მოხალისეობის მიზეზი. პასუხი მკაფიო და ლაკონური მიუღია: „ჩვენ თათრებთან საომრად მოვედიო, რა გული მომიტმენდა ამდენი მოძმის წვალებას“³⁷.

რუსულ პრესაში ღაცული ერთი პატარა, მაგრამ საყურადღებო ცნობიდან ვიგებთ, რომ სოხუმის საქალაქო კანცელარიაში ხშირად მიდროდნენ მამაკაცები, რომლებიც ბალკანეთისკენ მიმავალ გზას კითხულობდნენ და აზუსტებდნენ მარშრუტს; ამასთანავე, 100-მდე სოხუმელ ახალგაზრდას სურვილი გამოუთქვამს ბალკანეთში წასასვლელად და ბრძოლებში მონაწილეობისათვის. მათ გარდა 400-მდე ქუთაისელსაც განუზრახავს მოხალისეობა და თბილისის გუბერნიაშიც ბევრი ყოფილა მსურველი³⁸, მაგრამ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება თავს იკავებდა დაფინანსებისაგან. საკუთარი საჭირო თანხა კი ბევრს არ გააჩნდა შორეული მგზავრობისა და აღჭურვილობისათვის. ერთი ასეთი უსახსრო მოხალისე, მოითხოვდა რა დახმარებას ბულგარეთში გამგზავრებისათვის, წერდა: „მე ვიცნობ ბევრ ახალგაზრდას, რომელსაც სურს წასვლა, მაგრამ მათ ფული არ გააჩნიათ. მხოლოდ ამ ერთადერთი მიზეზითაა, რომ ასე ცოტა ახალგაზრდა მიემგზავრება კავკასიიდან“³⁹.

ქართველ-ბულგართა საბრძოლო თანამეგობრობის რეზონანსი

³⁷ „დროება“, 27. VIII, 1876, № 91. გვ. 3.

³⁸ „დროება“, 30. IX, 1876, № 219, გვ. 1.

³⁹ „Тифлисский вестник“, 30, IX, 1876, №219, გვ. 1.

და სიმტკიცე ქართველ მოხალისე-მოლაშქრეთა რაოდენობით და გამგზავრების სურვილით როდი განისაზღვრებოდა. მთავარი, ინტერესთა ერთობლიობა, მხედრული შემართება, ალალი მეგობრული სიყვარული და უანგარო ურთიერთდახმარება იყო. ამის დასტურად ერთ იშვიათ ფაქტს დავიმოწმებთ:

ბულგართა მომიჯნავე და მათგან განუყოფელ სერბიელ მათა დასახმარებლად მებრძოლი ქართველი მოხალისე, რომელიც ბალკანეთის საომარ ასპარეზზე კერძო პირთა ფინანსური დახმარების წყალობით მოხვედრილა, სამშობლოში იწერებოდა: „საკითხი რომ ჩემს პირად არსებობას შეეხებოდეს, მაშინ უწინარეს შიმშილით სიკვდილს ვამჯობინებდი. წიდრე მიმელო ნებაყოფლობითი შეწირულობის თუნდაც კაპიკი, მაგრამ სლავიანთა საკითხში, მათ სასარგებლოდ ვალად და მოვალეობად მიმაჩნია გამოვხატო მადლიერება“⁴⁰.

გაზ. „კავკასიის“ კორესპონდენტის ცნობით, ამიერკავკასიაში ბევრი ემზადებოდა ბალკანეთში წასასვლელად. რათა „მხარდამხარ ებრძოლათ თურქთა წინააღმდეგ თანამოიმე და ერთმორწმუნე ხალხთან ერთად“⁴¹. მეტად დამაჯასიათებელია ის ფაქტიც, რომ მოხალისე ქართველთა ერთი რაზმის ბალკანეთში გამგზავრების წინ თავადმა ანჟირონიკაშვილმა საჯაროდ განაცხადა: „ჩვენ, ქართველებს შესაწირი ფული არ გაგვაჩნია, მაგრამ გვაქვს სიცოცხლე და სისხლი, რომელსაც ჩვენ ხალხით ვაძლევთ მართლმადიდებელ საქმეს“⁴².

ბალკანეთის საომარი არენიდან დაბრუნებული ერთი დაქრილი ქართველი მებრძოლი იტყობინებოდა უამრავ დასახიჩრებულ და ავადმყოფ სლავიანთა მძიმე მდგომარეობაზე და მოითხოვდა დასახმარებლად გაეგზავნათ იქ მედპერსონალი, ე. წ. აზიელი ქირურგები. რომელთაც წინა ბრძოლებში თავი ისახელეს და გაამართლეს დაკისრებული მოვალეობანი. პრესის მომდევნო ნომრებიდან ცნობილი ხდება, რომ ბალკანეთში წასვლის სურვილი გამოუთქვამთ მედიცინის ქართველ მუშაკებს -- ფერშლებს⁴³.

ქართველი ხალხის პატრიოტიზმმა და წარმომადგენელთა მო-

⁴⁰ «Тифлисский вестник», 30, IX, 1876, № 219, გვ. 1.

⁴¹ «დროება», 27. VIII, 1876, № 91, გვ. 3.

⁴² ციტრებულია წიგნიდან: Ш. Мегрелидзе. Закавказье в русско-турецкой войне 1877—1878 гг. Тб., 1972, გვ. 96.

⁴³ «Тифлисский вестник», 14, VIII, 1876, № 181, გვ. 2.

ნაწილობამ ბალკანეთის ბრძოლებში გაოცების გარდა, დიდი საბრძოლო ალტყინებაც გამოიწვია ბულგარელებში, სერბიელებსა და ხორვატებში. უმრავლესობას წარმოდგენაც არ ჰქონდა თანამებრძოლ ქართველ მოხალისეთა ვინაობაზე, ქვეყანაზე, რჯულზე. თითქმის არაეინ იცოდა, რომ ა/კავკასიაში ცხოვრობდნენ ბულგარელთა ერთმორწმუნე ადამიანები, ქართველები, რომელთა ზოგიერთი ზნე-ჩვეულება, ადათ-წესი თუ სახალხო ან რელიგიური დღესასწაულები ერთმანეთს წააგავდა⁴⁴.

ბალკანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით აღფრთოვანებულ და თურქთა წინააღმდეგ ბულგარელი ხალხის ბრძოლით ალტყინებულ საქართველოში ჯერ კიდევ 1875 წლის 27 ოქტომბერს შეუდგნენ სლავთა დასახმარებელი თანხის ნებაყოფლობით შეგროვებას: „ბულგარეთის ფონდისათვის“ ეწყობოდა საქველმოქმედო სპექტაკლები, საღამოები, კონცერტები, ლიტერატურული დისკუსიები⁴⁵, რომელთა შემოსავალი ოსმალთა ულლისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ბალკანელ ხალხებს ეგზავნებოდა. თბილისი-ჯულფის რკინიგზის მეორე დისტანციის მოსამსახურეებმა ამავე მაზნებისათვის ხელფასის 5% გამოყვეს ყოველთვიურად ომის დამთავრებამდე⁴⁶.

მოთარეშე თუ დამპყრობელ ურდოებთან ბრძოლით აბჯარშე-მოცვეთილი ქართველობა ბულგარელთა მიმართ არა მხოლოდ სიტყვით, მორალური მხარდაჭერით, მატერიალური დახმარებით ისაზღვრებოდა, არამედ სისხლხორცეულად იყო დაინტერესებული. ბალკანელ ხალხთა გამარჯვებით, წარმატებებით, რამდენადაც მათში შორეულ მოკავშირეს ხედავდა. ბულგარელებთან ერთად ხმლის ყოველი მოქნევა, ტყვიის გასროლა ოტომანთაგან დაკნინებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შვება იყო. ამიტომაც, ოსმალეთის ქართველობამ სულთნის ჯარში გაწვევაზე და სერბიელთა წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი განაცხადა. მათ დასასაჩუქლად ლაზისტანში ჯარები გაგზავნეს სტამბოლიდან, მაგრამ ხალხი უფრო გაღიზიანდა და ბევრ ადგილზე აჯანყდა კიდევ⁴⁷.

ბულგარეთ-თურქეთ-საქართველოს ისტორიულ ურთიერთობაში სრულიად კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ:

⁴⁴ ტ. კოლეჯა, თ. ჩიქოვანი, დას. ნაშრ., თბ., 1972; «დროება», 27. VIII, 1876, №91 გვ. 3.

⁴⁵ «Тифлисский вестник», 14, VIII, 1876, №181, გვ. 2.

⁴⁶ იქვე, 30. IX, 1876, № 219 გვ. 1.

⁴⁷ «დროება», 7. V, 1976, № 45, გვ. 3.

საუკუნეების მანძილზე კულტურული ტრადიციებით ახლობელ და მეგობარ ბულგარელთა დასახმარებლად, ინდივიდუალურ მოლაშქრეთა გარდა, საქართველოში იქმნებოდა მოხალისეთა რაზმები, ჯგუფები, რომლებიც ბალკანეთისაკენ მილტვოდნენ; ასე, მაგალითად, ბალკანეთში გაჩაღებულ ომში მონაწილეობისათვის ქუთაისის თავად-აზნაურობის ყოფილ წინამძღოლს, ლეიბგვარდიის კაზაკთა პოლკის ყოფილ პოლკოვნიკს ალ. მიქელაძეს, 1854 წელს ქოროხთან ბრძოლის მონაწილე მიქელაძეთა ზღაპრული ასეულის მსგავსად, განუზრახავს თავის მოგვარეთა რაზმის შედგენა⁴⁶.

საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში ბევრმა ქართველმა დაეცა გამოიჩინა თავი. მათ შორის განსაკუთრებით გაითქვეს სახელი ზ. და ა. ჭავჭავაძეებმა, ი. ამილახვარმა, ნათიშვილმა, შერვაშიძემ, დ. ჩხეიძემ, თავართქილაძემ⁴⁷... 1877 — 1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, რომელიც ბულგარეთის განთავისუფლებისათვის წარმოებდა, თავი ისახელეს აგრეთვე: არდიშვილმა, კვიტინიძემ, ჩიკოიძემ, ფანჩულიძემ, ჭავთარაიამ, ბეგიაშვილმა, შამაცაშვილმა, არობელიძემ, ეგაძემ, თუმანიშვილმა, მუსხელიშვილმა, გურიელმა, გოგუაძემ და სხვ.⁵⁰

ქართველ-ბულგართა საბრძოლო თანამეგობრობის ისტორია გვერდს ვერ აუვლის საოცარი სიმამაცისა და შემართების გმირს ვინმე ყაზბეგს, რომელმაც ოფიცრის ხარისხი მიიღო ბალკანეთის აპარატზე და ჯილდოდ დაიმსახურა ორდენი „ტაკოვას ჯვარი“ და მედალი „სიმამაცისათვის“⁵¹.

ქართველ მოხალისეთა ცალკეულ თავგანწირვას, რაზმელთა სიჩაუქეს და სისხლით განმტკიცებულ მეგობრობას ბალკანური პრესა ჰარიბალდელთა მაგალითებს ადარებდა⁵².

გენერალ გურკოს ნაწილებთან ერთად დუნაის ფრონტზე და ბალკანეთის უღელტეხილის გადალახვაში მონაწილეობდა ნიკოლოზ დადიანი. რომელიც ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის მთავრობამ ბულგარეთის მეფის კანდიდატად დაასახელა, ბულგარეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირობისა-

⁴⁶ «Тифлисский вестник», 14. VIII, 1876, № 181, გვ. 2.

⁴⁷ რ. კომახიძე, ორი ხალხის ძმური მეგობრობის კავშირი (ძველად და ახლად), «ლიტერატურული აქარა», 1964, № 6, გვ. 59—67.

⁵⁰ П. Д ж о р б е н а д з е. Дружба закаленная в веках, «Советская Аджария», 13. XII, 1969.

⁵¹ Ш. В. Мегрелидзе, დას. ნაშრ., გვ. 87.

⁵² «დროება», 27. VII, 1876, № 91, გვ. 3.

თვის წმ. ვლადიმირის ორდენით დააჯილდოვა და ძვირფასი ხმალი უბოძა წარწერით: „სიმაჰაციასთვის“.

ქართველ გმირთა პლეადის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ფიგურა, რომელმაც დაუეწიარო სახელი დაიმსახურა ბალკანეთში და ქართველ-ბულგართა საბრძოლო თანამეგობრობის ბრწყინვალე დროშა დიდების შარავანდედით შეამკო, ალექსანდრე კონსტანტინეს ძე იმერეტინსკი-ბაგრატიონი (1837 — 1900) იყო⁵³. რუსეთ-თურქეთის 1877—78 წლების ომის ამ გამოჩენილმა ქართველმა გენერალმა, ბალკანეთის საოპარ ასპარეზზე მოქმედი არმიის შტაბის უფროსმა, უხელმძღვანელა და გამარჯვებით დაავიჯრევინა ქალაქ პლევნის შტურმი. მან „მოკლე დროში მოახდინა შტაბის რეორგანიზაცია, მის შემადგენლობაში შეიყვანა ჩინებული სპეციალისტები... და სწრაფად დაამყარა წესრიგი წინა იერიშებში წარუმატებლობით გულგატეხილ ჯარის ნაწილებში“⁵⁴.

პლევნა თურქების უმთავრესი ბესტიონი იყო და, რადგან მტრის შეტევები შიბკაზე შესუსტდა, რუსეთის გენერალიტეტმა პლევნაზე დარტყმა განიზრახა. წარმატების უზრუნველსაყოფად მოიშველიეს მესამე და მეორე ქვეითი დივიზიები. ამ უკანასკნელს ალ. ბაგრატიონი მეთაურობდა. მაგრამ პლევნის შტურმამდე საჭირო იყო ქალ. ლოვჩის აღება, რისთვისაც საგანგებო რაზმი გამოყვეს ალ. ბაგრატიონ-იმერეტინსკის ხელმძღვანელობით. ძლიერი და სწრაფი დარტყმით 22 აგვისტოს აიღეს ლოვჩა⁵⁵, რისთვისაც ქართველმა გენერალმა მეფის ხელით ნაბოძი წმ გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენი მიიღო. ალ. იმერეტინსკის დამსახურების აღსანიშნავად ლოვჩაში აღმართეს ქართველი გენერლის მონუმენტური ძეგლი, ხოლო ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას იმერეტინსკის სახელი უწოდეს. ვინ იყო იგი? ქართული გაზეთი გვაუწყებს:

„უკანასკნელი მეფე იმერეთისა დავით, როგორც ვიცით, ირაკლი მეფის შვილიშვილმა, სოლომონ მეორემ, ძემ არჩილისამ, გადაადგო ტახტიდან. დავითი მიიცვალა ახალციხეს. მისი შვილი კონსტანტინე სოლომონ მეორემ დაამწყვდია მუხურის ციხეში.

დედამისი დედოფალი ანა გაემგზავრა დიდი ამალით რუსეთს და სთხოვა ალექსანდრეს — ეშუამდგომლა, რომ სოლომონ მეორეს გაეთავისუფლებინა მისი ძე კონსტანტინე ციხიდან. ალექსანდრე პირველმა გამოუგზავნა საკუთარი ელჩი სოლომონ მეორეს ამ

⁵³ გ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ალექსი ბაგრატიონი, «დროშა», 1964, № 1, გვ. 18.

⁵⁴ «Военная энциклопедия», 1912, т. X, გვ. 593—94.

⁵⁵ П. К. Ф о р т у н о в. Война 1877-1878 гг. и освобождение Болгарии, 1950, გვ. 109.

საქმეზე. მეფემ გაანთავისუფლა კონსტანტინე, რომელიც წავიდა რუსეთს... მან შეირთო ცოლი რუსეთში, ეყოლა სამი ვაჟი ივანე, კონსტანტინე და ალექსანდრე, ლენერალი, რომელმაც განითქვა სახელი მხედართმთავრობისა წარსულის რუს-ოსმალთა ომში ქალაქ ლოვჩის აღებით. ამას უწოდებდნენ უგანათლებულეს თავადს იმერეთისას⁵⁶.

ბულგარეთის განთავისუფლებისათვის მედგრად მებრძოლ ალ. ბაგრატიონ-იმერეტინსკისადმი მიძღვნილ გულთბილ წერილში ქართველი მწერალი და პუბლიცისტი გ. წერეთელი მოგვითხრობს: „ქაბუეობის დროს ის მსახურობდა თავის სამშობლო ქვეყანაში და დაღესტნის ომებში გამოიცადა. როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მან განითქვა დიდი მხედართმთავრის სახელი წარსულ რუს-ოსმალთა ომში. ყველას ეხსოვება ის შესაძრწუნებელი დრო, როდესაც ბულგარეთში მთელი რუსეთის მხედრობას განის გზით შეეჭრა სახელგანთქმული ოსმან-ფაშა პლევნაში და ჰლამობდა მთელი რუსეთის არმია შუაზე გაეჭრა. იმან ორჯერ საშინლად დაამარცხა ლენერალი კრიდერები და სკობელევი. ორი თვის განმავლობაში მას შიშში ყავდა მთელი რუსეთის ბალკანის არმია. ამ დროს არმიის შტაბის უფროსად იყო უგანათლებულესი ალექსანდრე იმერეტინსკი. იმან შეთხზა ახალი სამხედრო გეგმა, რომ ოსმან-ფაშას პლევნაში გარს შემორტყმოდა და მთელი მისი მხედრობა ტყვეთ წამოეყვანა.

ამ განზრახვით მან ჯერ იერიშებით აიღო ლოვჩა და მერე დუბინიაკი. რაკი ეს ორი სტრატეგიული ბურჯი წაართვა ოსმალეთის გამოჩენილ მხედართმთავარს და ამით მოუსპო მას გზა, რომ სურსათი და ახალი ჯარები ველარ მიშველებოდნენ კონსტანტინეპოლიდან, შემდეგ მისი ტყვედ წამოყვანაც აღვილი შეიქმნა. თვით ბალკანის ქედზე გადასვლა და კონსტანტინეპოლის ქალაქამდის იერიშების მიტანა უგანათლებულესი თავადი ალექსანდრე იმერეტინსკის საქმე იყო⁵⁷.

რუსეთ-რუმინეთის არმიებმა, ალ. იმერეტინსკის მიერ ქალ. ლოვჩისა და დუბინიაკის აღებისთანავე, ძალთა ახალი დისლოკაცია მოახდინეს და პლევნას ციხე-სიმაგრეზე ახალი იერიშები წამოიწყეს, მაგრამ უშედეგოდ. გენ. ალ. იმერეტინსკი იერიშების მაგიერ ქალაქის ბლოკადას მოითხოვდა. ასეც გადაწყდა. ამიტომ რუ-

⁵⁶ გაზ. «კვალი», 1895, №41.

⁵⁷ გაზ. «კვალი», 1897, № 6, გვ. 125—126.

სეთ-რუმინეთის არმიის შტაბის უფროსობა ქართველ გენერალს ჩააბარეს და ალყის განხორციელება დაავალეს.

პლევნის ბლოკადისა და იერიშების დროს განსაკუთრებით ისახელა თავი მეცხრე საკავალერიო დივიზიამ, რომელსაც ლაშქარაშვილი მეთაურობდა⁵⁸. ქართველ-ბულგართა საბრძოლო თანამეგობრობის გამოჩენილი გმირი ზოგჯერ ფრონტის მთელ მარჯვენა ფლანგს ხელმძღვანელობდა. მისი თაოსნობით ბლოკადის მონაწილე არმიის ერთმა დანაყოფმა მდ. ვინდის ფორსირებით ციხე-სიმაგრის იზოლაცია მოახდინა და წარმატებით მოიგერია რამტრის 3 კონტრშეტევა, პლევნის კომუნიკაციებზე მოძრავ თურქთა ტრანსპორტსა და ჯარს დიდი ზიანი მიაყენა. პლევნის ბლოკადის გარღვევის უშედეგო ცდის შემდეგ 10 დეკემბერს ოსმანთაშას არმია რუსებს ჩაბარდა, რითაც ომის მეორე, თავდაცვითი პერიოდი დამთავრდა და დაიწყო მესამე, ამჯერად შეტევითი პერიოდი.

პლევნისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში მხედრული სიმაძაქითა და გამჭირახობით გამოირჩეოდნენ ბულგარეთის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი მეომრები: გენერალ-ლეიტენანტი მ. წითლანაძე; პლევნის ბლოკადის მარცხენა ფლანგის ჯარის ნაწილების მეთაური გენ. მანველაშვილი; დონის კაზაკთა დივიზიის მეთაური გენერალ-ადიუტანტი შანშიაშვილი; კორნეტი სუმბათაშვილი, რომელსაც სხვათაშორის ორდენი „რუმინეთის ვარსკვლავი“ დაუშსაზურებია; პრაპორშჩიკი ჯაფარიძე, მაიორი ნემსაძე. პერმის პოლკის კაპიტანი ჩოლოყაშვილი⁵⁹, რომელზედაც მეთაური ამბობდა: „უფრო მამაცის დასახელება მე არ შემიძლია“; შტაბს-კაპიტანი დადემქელიანი, რომელსაც პატივი დასდეს იმით, რომ ტყვედ დანებებული ოსმან-თაშა რუსეთის იმპერატორს წარუდგინა⁶⁰.

ამ ბრძოლების მონაწილე ქართველთა უმეტესობა, რომელთაც ბრწყინვალე შარავანდედით შემოსეს რუსეთის საბრძოლო დროშები, უცნობია და მხოლოდ ისტორიის საკუთრებას შეადგენენ. ჩვენი ვალაია ძველი პრესის გაყვითლებული ფურცლებიდან და საარქივო დოკუმენტებიდან მზის შუქზე გამოვიტანოთ რუ-

⁵⁸ შ. მ. გ. გ. ე. ლ. ი. ძ. ე., საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბ., 1974, გვ. 77.

⁵⁹ საოცარი მსგავსებაა ამ ქართულ გვარსა და თურქეთ-სერბიის ომის დროს, 1876 წლის 16 აგვისტოს კლისურისკენ გაქრილი თურქების სასტიკად დამმარცხებელ სერბულთა რაზმის მეთაურ ჩოლოყანტიჩის გვარს შორის, იხ. «Тифлисский вестник», 14. VIII, 1876, გვ. 3.

⁶⁰ შ. მ. გ. გ. ე. ლ. ი. ძ. ე., დას. ნაშრ., გვ. 77—78.

სეთ-თურქეთის ომების მონაწილე ზვენი თანამემამულეების ღვაწლ-
მოსილება და კიდევ ერთი ნათელი სხივი მოვფინოთ ქართველ-
ბულგართა საბრძოლო თანამეგობრობის ჯერ დაუწერელ საინტე-
რესო ისტორიას.

რუსეთის მხედრიონის იმ პროგრესულ ჯგუფს, რომელმაც
XIX საუკუნის 70-იან წლებში ენერგიულად დაიცვა დაპყრობილ
სლავთა ინტერესები და გამჭირაბი დიპლომატიური მოღვაწეო-
ბით ნილაბი ახადა დასავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოთა მზაკ-
ვრულ აღმოსავლურ პოლიტიკას, ეკუთვნოდა ალექსი ნიკოლოზის
ძე წერეთელი. იგი ქართველ-ბულგართა საბრძოლო თანამეგობრო-
ბის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი და სამაგალითო წარმომადგენე-
ლია. ბულგარეთში რუსეთის გენერალური კონსულის თანამდე-
ბობამდე მიღწეული ეს ქართველი ჩინოსანი ვახტანგ VI-ის ამალის
წევრის შთამომავალი და უკრაინული ფოლკლორის მკვლევარ ნი-
კოლოზ წერეთლის შვილი იყო. პენზაში პირველდაწყებითი განათ-
ლების მიღების შემდეგ მას ლოზანაში, შემდეგ კი მოსკოვის უნი-
ვერსიტეტში უსწავლია და დაუმთავრებია კიდევ. შემდეგ იგი პალ-
კანეთის ქვეყნებში, აგრეთვე თურქეთში მოგზაურობით დაინ-
ტერესებულა. ა. წერეთელი ეუფლებოდა სლავურ ენებს, სამარ-
თლის წყაროებს, კანონებს. თეორიული და პრაქტიკული ცოდნით
აღჭურვილი რუსეთში დაბრუნდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს
აზიურ დეპარტამენტში დანიშნულს სამხრეთელ სლავთა საქმეების
წარმოება დააყარეს. შემდეგ იგი ბულგარეთში რუსეთის გენე-
რალური საკონსულოს მდივნად გაუმწესებიათ, ხოლო 1873 წ.
სტამბოლში რუსეთის საელჩოს მეორე მდივნად დაუნიშნიათ.

ალ. წერეთელი დეტალურად ეცნობოდა ბულგართა მძიმე და
აუტანელ ცხოვრებას, მათ უუფლებო ღუხჭირ მდგომარეობას.
რაც თურქთა ხუთ საუკუნოვან მონობას გამოუწვევია: თურქი დამ-
პყრობლები კი, როგორც ი. ბ. სტალინი წერდა, ყველაზე სასტი-
კი ასიმილატორები იყვნენ და ასეული წლების მანძილზე ფლეთ-
დნენ და ასახიჩრებდნენ ბალკანეთის ერებს...

სატრაპთა ბარბაროსული ტერორის მიუხედავად, დაუთრვენ-
ველმა ბულგარელმა ხალხმა გააძლიერა ბრძოლა სულთნის ძა-
ლა-უფლების წინააღმდეგ. ალ. წერეთელი გრძნობდა და ელოდა
სახალხო შფოთს, ამბოხს, საერთო აჯანყებას ბულგარეთის ეროვ-
ნული გმირების რაკოვსკის, ლევსკისა და ბოტევის ხელმძღვანე-

⁶¹ თ. ჩ ი კ ვ ა ნ ი, ტ. კ ო ლ ე ე ი, ხან ასპარეხის ქვეყანაში, თბ., 1972, გვ. 61.

ლობით. ბულგარეთში დიპლომატიურ ასპარეზზე მოღვაწე ქართველი მოხელე უკვე ჰკრეტდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აზვირთებას. მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდებოდა და 1876 წ. აპრილში იფეთქა კიდეც მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა, აღსდგა მთელი ერი და სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაც გააჩალა, მაგრამ „ბრწყინვალე პორტამ“ სისხლში ჩაახშო აჯანყება, სასტიკ რეპრესიებს მიჰყო ხელი და ბულგარელი ხალხის ფიზიკური განადგურება დაიწყო. ამ ძნელბედობისა და უამთა სიავის დროს 28 წლის ქართველი დიპლომატი ვიცე-კონსულად დანიშნეს პლოვდივში და დიდი მოვალეობა დააკისრეს.

1876 წ. 5 ივნისიდან ალ. წერეთელი, რომელიც თურქ-ოსმანთა აღვირაზსწინილი თარეშით უსაზღვროდ იყო აღშფოთებული, ბულგარელთა შებღალულ ინტერესებს თავგამოდებული იცავდა და რუსეთის ხელისუფლებას დაბეჯითებით მოახსენებდა ხალხის სიღუბნეობაზე, თურქთა ძალმომრეობაზე, სასტიკ რეპრესიებზე, თარეშზე. ბულგარელებისადმი მისი ძმური თანაგრძნობა და სოლიდარობა, პირადი სინანული და მეგობრული თანაგრძნობა კარგად ჩანს 1876 წ. პირველსავე მოხსენებაში, რომელსაც ალ. წერეთელი რუსეთის კონსტანტინოპოლელ ელჩს ნ. იგნატიევს უგზავნიდა:

„ყველგან თურქთა მხეცობის კვალს ვაწყდებით... ბულგარელებს ასობით აპატიმრებენ და ქონებას ართმევენ... საპყრობილეებში ტანჯვა-წამებისა და ენით გამოუთქმელი მხეცობის სურათებს ვხედავთ... ქალები და ბავშვები ულუქმაპუროდ და უსახლკაროდ არიან. ირგვლივ სიღატაკე და შიმშილი სუფევს“⁶². იმავე წლის 10 ივნისის წერილში კი წერეთელი აღშფოთებული წერდა: „გუშინ დაიწყო სიკვდილით დასჯა... სასიკვდილოდ განწირულთ უარი ეთქვათ აღსარებაზე... ორი ბულგარელი მღვდელი ანაფორებში ჩამოალჩნევს... თურქები მოითხოვენ სიკვდილით დასჯის ახალ საშუალებებს — სარზე გასმას.. გაპარტახებულ სოფლებში ქალები და ბავშვები ბალახს ჭამენ“⁶³.

პლოვდივის გარეუბნებში მცხოვრები ხალხის მდგომარეობით შეძრწუნებული ალ. წერეთელი ნ. იგნატიევს ატყობინებდა. „სოფლების უმრავლესობა გაძარცვულია... ბულგარელებს ყველგან ხოცავენ... მოსალოდნელია მხეცობის ახალი აქტები.. ყოველივე ეს

⁶² Документи за българската история, т. II. София, 1932, გვ. 192.

⁶³ იქვე, გვ. 193

ხდება საერთო სილატაკისა და გაჭირვების ფონზე⁶⁴. ამ საშინელებათა, ტერორისა და ტანჯვის ოდნავი შემსუბუქების მიზნით ბულგარელი ხალხისადმი მეგობრულად განწყობილი ალ. წერეთელი 1876 წ. ივნისშივე რუსეთის კონსტანტინოპოლელ ელჩს თხოვნით მიმართავდა: „ბულგარელი მოსახლეობის უალრესი გაჭირვების გამო ნება მომეცით საკონსულო სახსრებიდან ქალებისა და ბავშვებისათვის გავცე პური... ბაშბუზუყები ძარცვავენ და ბილწავენ ეკლესიებს... მე ვიყავი პირუმიცაში და სხვაგან. ბულგარელთა უბედურება აღუწერელია და დღითიდღე იზრდება“...⁶⁵.

ცხადია, რომ ბულგარეთისადმი მეგობრულად განწყობილი და ბულგარელი ხალხის ინტერესების დამცველი ალ. წერეთლის მოხსენებანი თუ წერილები სისტემატიურად იგზავნებოდა პეტერბურგის საგარეო საქმეთა სამინისტროში, საიდანაც ისინი გადაეცემოდა ხოლმე რუსეთისა და საზღვარგარეთის პრესას გამოსაქვეყნებლად. ბულგარელი ხალხის გულშემატიკვარი და მათი ინტერესებისათვის მებრძოლი ქართველი დიპლომატის მეცადინეობის წყალობით მოსახლეობის დასახმარებლად, 300 თურქული ლირის გარდა, რუსეთიდან პლოვდივში მიიღეს 2. 000 მანეთი, რომელიც გადაეცა წერეთლის თაოსნობით ორგანიზებულ საქველმოქმედო საზოგადოებას. ამასთანავე, ბულგართა მანუგეშებელმა პლოვდივში გახსნა 100 ადგილიანი თავშესაფარი ქვრივ-ობლების და სნეულ-დავრდომილთათვის⁶⁶. როდოპის მთებში მდებარე რილის მონასტერში დაცული ერთი ცნობით, ალ. წერეთელს სხვა მატერიალური დახმარებაც გაუღია ბულგარეთის აღორძინებისათვის.

თანამომხმე ბულგარელ ხალხს განსაცდელის ჟამს ეხმარებოდა და მეგობრობის ხელს უწყვდიდა მათზე არანაკლებ გაჭირვებული ქართველობაც კი, მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპელები და მათ შორის ინგლისელები განცხრომით ნებივრობდნენ; უფრო მეტიც, დედოფალ ვიქტორიას მთავრობა მზეჩასვენებულ „ბრწყინვალე პორტას“ ურჩევდა ყველა საშუალებით ჩაეწმო ბალკანელი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები და თან „პირს წმენდდა“ პირისხლიან თურქ ჯალათებს. განა ტყუილად ჩიოდა ბულგარელი პოეტი-რევოლუციონერი ხრისტო ბოტევი:

⁶⁴ Документи за българската история, Т. II. София, 1932, გვ. 210.

⁶⁵ იქვე, გვ. 198—201.

⁶⁶ ო. გ. ვ. ი. ნ. ი. დ. ე. წერეთელი რუსეთის გენერალური კონსული ბულგარეთში (1876—1878), ეურ. «დროშა», 1953, № 2, გვ. 17—18.

„ინგლისისგან, მსოფლიოს ამ წურბელასაგან საწყალი და ცოცხალმკვდარი რაიი“⁶⁷ კარგს რას უნდა მოელოდეს.. აურაცხელი დახმარება და იარაღი, რომელსაც ინგლისი თურქეთს უგზავნის, ცხადყოფს, რომ „ავადმყოფი ადამიანის“ ერთადერთ მორალურ და მატერიალურ დასაყრდენს ვერაგი და გაუმძღარი ალბიონი წარმოადგენს“⁶⁸.

საზოგადოებრივი აზრის პროტესტი, აზვირთებული გულის წყრომა, აშკარა ზიზღი, მსოფლიოს მშრომელთა უსაზღვრო აღშფოთება და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა გამოსვლები, ვერას შეელოდა ფიზიკური განადგურების რეალური საფრთხის წინაშე მდგარ ბულგარეთის ხალხს. ისტორიული მოვლენებით და კულტურული ტრადიციებით ურთიერთზე გადაკდობილ ორი მეგობარი ხალხის სულგარძელ ქომავს პლოვდივში კარგად ესმოდა, რომ ოსმალთა სატრაპების ამლაგმველი და ბულგარეთის მხსნელი მხოლოდ დიდი და ერთმორწმუნე რუსეთი იყო, რომ ბულგარელი ხალხის განთიადი აღმოსავლეთიდან უნდა მოფენილიყო და შეიარაღებული ძალების ქმედითი ჩარევით დაედოთ ზღვარი ბარბაროსებისათვის. ასეთი სრულიად სწორი მოსაზრება და შორს განქვერტილი შეხედულება გამოხატა კიდეც ალ. წერეთელმა პეტერბურგს გაგზავნილ 1876 წლის 26 ივლისის დეპეშაში:

„ბულგარელთა უბედურება დღითიდღე იზრდება. თურქთა მძვინვარებას ბოლო არ უჩანს, რადგან პასუხის მომთხოვი არავინ არის... დაიწყო ეპიდემია.. მოსალოდნელია ქრისტიანთა ახალი ელექტა. ბულგარელი ხალხი სრულმა სასოწარკვეთილებამ მოიცვა, წინააღმდეგობის გაწევა მათ არ ძალუძთ... შეველა მხოლოდ გარედან არის მოსალოდნელი. თავისთავად ცხადია, რომ მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთზე ამყარებენ ისინი უკანასკნელ იმედებს“⁶⁹.

1877 წლის 24 აპრილს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. რუსეთის საელჩოს სხვა თანამშრომლებთან ერთად ბულგართა ყველაზე დიდი მეგობარი და ქომავი ალ. წერეთელიც გაიწვიეს თურქეთიდან, მაგრამ იგი როდეს შეეგუა თავის ახალ მშვიდობიან მდგომარეობას—რუსეთში ჩამოსვლისთანავე დაბრუნდა უკან და ბალ-

⁶⁷ „რაი“-ს ექაზდნენ თურქები ხელქვეით (დაპყრობილ) ქრისტიანებს საერთოდ და კერძოდ ბულგარელებსაც, მაგრამ არა პირდაპირი, არამედ ნახიჩის, ჯოგის მნიშვნელობით. ეს ანთროპონომი წარმოსდგება უძველესი სახელი «რაი»-დან. თურქულმა ენამ იგი წინა ორი ასოს რვერსიით მიიღო, დაიმკვიდრა და შეინარჩუნა.

⁶⁸ «Новая България», май, № 1, София, 1952, გვ. 7.

⁶⁹ Документи за Българската история, т. II, София, 1932, გვ. 212.

კანეთის მოქმედ არმიაში მოხალისედ იბრძოდა თანამომემ ბულგარელების განთავისუფლებისათვის. იარაღსხმული ყოფილი დიპლომატი რუს და ბულგარელ ჯარისკაცებთან ერთად მონაწილეობდა დუნაის ფორსირებისათვის წარმოებულ ცხარე ბრძოლებში, გენ. მ. სკობელევის მეთაურობით რომ მიმდინარეობდა. შემდეგ იგი გენ. გურკოს ხელქვეითი ნაწილის ავანგარდშია და ბალკანეთის ორივე ლაშქრობაში მონაწილეობს⁷⁰.

ციხე-სიმაგრე პლენის აღებისა და ოსმან-ფაშას და მ-სი არმიის დატყვევების შემდეგ შეიარაღებულ ძალთა თანაფარდობა საგრძნობლად შეიცვალა ოსეთის სასარგებლოდ. ამიტომ მთავარსარდლობამ კონსტანტინოპოლზე ლაშქრობა გადაწყვიტა. ხუთ დღიანი ფიცხელი, თითქმის მარშისებრი ლაშქრობა და გენ. გურკოს არმიის ავანგარდი ქალ. სოფიას მიადგა. უნალ დაიკავა და მთელმა ძალებმა შეტევა ქალ. პლოვდივის მიმართულებით წარმართა. ხოლო გენ. რადეცკის კორპუსი ტუნჯის დაბლობში დაეშვა რა, ორივე არმიამ ოსმალთა შეიხოვოს დაჯგუფება მოსპო—ვესელ-ფაშას არმია დაატყვევეს: გაანადგურეს სულეიმან-ფაშას ორმოცდაათი ათასიანი კორპუსი და ბალკანეთში თურქეთის არმიის წინააღმდეგობა თითქმის შეწყდა⁷¹.

ბულგარეთის გეოგრაფიული გარემოს, ტერიტორიის, გზებისა და მთაგრებილების კარგმა ცოდნამ განაპირობა ალ. წერეთლის როგორც საზრიანი მზევრავის აუცილებლობა. შესანიშნავად ერკვეოდა რა საომარი ასპარეზის ტოპოგრაფიაში, მან გადაცმულმა დაზვერა და ფეხით გაიარა ბალკანეთის მთების თითქმის უცხოები უღელტეხილი, რომლითაც შეიძლებოდა მტრის ზურგში მოქცევა. უკან მობრუნებული ქართველი მზევრავი სათავეში ჩაუდგა, წინ წაუძღვა და ხაინკოს გადასასვლელის ფორსირებით რუსეთის არმია უვნებლად მიიყვანა ქალაქ ტირნოვოში გამაგრებულ თურქების ზურგში⁷². ტირნოვო იერიშით აიღეს სულ ღირე მსხვერპლის გაღებით. გარნიზონმა დახოცილთა და დაჭრილთა სახით დიდი დანაკლისი განიცადა. მთელი შეიარაღება და აწუნიცია თითქმის მთლიანად გამარჯვებულებს დარჩათ. ამგვარად, გენ. გურკოს არმიის მანევრირებით, რომლის სულისჩამდგმელი ქართველი მზევ-

⁷⁰ თ. გ ე ი ნ ი ძ ე, ალექსი წერეთელი რუსეთის გენერალური კონსული ბულგარეთში, თბ., 1962, გვ. 92.

⁷¹ შ. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, დას. ნაშრ., გვ. 81.

⁷² «Русский Вестник», 1878, кн. X, გვ. 256.

რავი-დოქტორი და მებრძოლი იყო, ბალკანეთის პირველი ლაშქრობა წარმატებით დამთავრდა, შიპკა რუსთა ხელში აღმოჩნდა და მტრის მტკიცე წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა⁷³, რითაც დიდება მოიხვეჭეს არა მხოლოდ გენერალატებმა, არამედ რუს და ბულგარულ ჯარისკაცებთან თანამებრძოლმა ქართველმა მეომრებმაც და პირველ რიგში ალ. წერეთელმა.

1878 წლის 20 იანვარს თურქეთმა ზავი მოითხოვა. შექმნილ ვითარებაში უარის თქმა შეუძლებელი იყო. სახელდახელო მოლაპარაკება გაიმართა, მაგრამ ამასობაში რუსეთის არმიამ „მოალწია სტამბოლიდან 10 კმ დაცილებულ პატარა ქალაქ სან-სტეფანოს. სადაც ზღვის პირას, ერთ პატარა სახლში მთელი ღამე მუშაობდნენ რუსეთ-თურქეთის წარმომადგენლები და ამზადებდნენ საზავო ხელშეკრულების ტექსტს. გაზ. „კავკაზი“ წერდა: „მთელი ღამე თავადი წერეთელი კარნახობდა თავის ამხანაგ შაბაშოვს. ორივე მღაჟანი, რომლებიც ძალზე გადაღლილი იყვნენ ხანგრძლივი მუშაობით (თუმცა კი ამ მუშაობის მნიშვნელობა ავიწყებდაო მათ დაღლილობას), დროთა განმავლობაში კალმების წრიპისნაირს უგდებდნენ მეზობელ ოთახში, სადაც მოწინააღმდეგის მდივნები, ამზადებდნენ ხელშეკრულების თავიანთ ეგზემპლარს. მხოლოდ გათენებისას დამთავრდა მუშაობა და ამ მშრომელმა ადამიანებმა დაიძინეს უწყესრიგოდ მიმოფანტული დოკუმენტების, გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ რუკებს შორის. ისევე გაუხდელად, როგორც ჯარისკაცებმა იციან“.

ამგვარად, ომის დამთავრებისთანავე ალ. წერეთელი დიპლომატიურ სარბიელს დაუბრუნდა და სან-სტეფანოს ზავის ბულგარეთის პროექტი შეადგინა. ხელშეკრულების გაფორმებისა და ხელმოწერის შემდეგ კი პეტერბურგში სახეიმოდ ჩასულ გრაფ ნ. იგნატოვის მაღალი ჩინის პირთა ამაღაში იყო „კონსტანტინოპოლში რუსეთის საელჩოს ყოფილი მდივანი თავადი წერეთელი, რომელსაც მეკრდს უმშვენებდა გიორგის 4 ჯვარი, ორი ოქროსა და ორიც ვერცხლის მედალი და ვლადიმირის IV ხარისხის ორდენი“ — აუწყებოდა ოფიციალური „კავკაზი“.

1878 წლის 8 მარტს დაბა სან-სტეფანოში გაფორმებული საზავო ხელშეკრულებით ბალკანეთში აღმოცენდნენ თავისუფალი და ნახევრად დამოკიდებული სლავური სახელმწიფოები; სრული დამოუკიდებლობა მიიღეს სერბიამ, ჩერნოგორიამ და რუმინეთმა.

⁷³ «Русский Вестник», 1878, кн. X, гл. 258.

ბულგარეთი თუმცა სულთნისადმი ფორმალურად ვასალურ დამოკიდებულებაში რჩებოდა, მაგრამ ამ დღიდან ოსმალებმა ყველა ამოიკვეთეს ბულგარეთიდან. ამიტომ 8 მარტს ბულგარელები განთავისუფლების დღედ მიიჩნევენ.

ქართველ-ბულგართა საბრძოლო თანამეგობრობაში ნაწრაობი ალ. წერეთელი 1878 წ. 24 სექტემბერს ისევ დიპლომატიურ სარბიელს დაუბრუნეს და აღმოსავლეთ რუმელიაში რუსეთის გენერალურ კონსულად დანიშნეს. ამ პოსტზე იგი დაუშრეტელი ენერგიით იღწვოდა თავისუფლების და დამოუკიდებელი განვითარების გზაზე დამდგარი თანამოძმე ხალხის კეთილდღეობისა და ნათელი მომავლისათვის⁷⁴. ბულგარეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების გამომხატველი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის სასახლოდ ისიც უნდა ითქვას, რომ ბერლინის კონგრესის წინა და შემდგომ პერიოდში ალ. წერეთელი ბრწყინვალედ იცავდა ბულგარი ხალხის უფლებებს სხვადასხვა საერთაშორისო კომისიებში, რითაც კიდევ უფრო მოიხვეჭა ავტორიტეტი და ბულგარეთის სახალხო გმირად იქცა⁷⁵. ბულგარელების მიერ „ჩვენ თავადად“ წოდებული ეს პოპულარული პირი, რომლის სახელი შარაყანდელით შეერმოსა, რუსმა ისტორიკოსმა სამართლიანად ასე დაახასიათა: „ბულგარეთის განმათავისუფლებელ ომში საბრძოლო დამსახურებისათვის გიორგის ჯვრებით მკერდმეკობილი ა. წერეთლის ადრინდელი დიპლომატიური სამსახური, მისი ენერგიული მოქმედება და აქტიური მონაწილეობა ბულგარეთში მომხდარ თურქთა მხეცობის გამომჟღავნებაში ანიჭებდნენ მას სრულიად განსაკუთრებულ მდგომარეობას და უდიდეს გავლენას ბულგარელთა შორის. ბულგარელებს მხურვალედ უყვარდათ იგი, უსახლცროდ ენლობდნენ მას და „ჩვენს თავადს“ ეძახდნენ“⁷⁶.

მძიმე სნეულებით შეპყრობილი ქართველი დიპლომატი, მეომარი — მებრძოლი და სახელმწიფო მოღვაწე 1882 წ. რუსეთში, ტამბოვის გუბერნიაში დაბრუნდა, სადაც 1883 წ. გარდაიცვალა კიდევ 35 წლის ასაკში, ისე, რომ საფლავში თან ჩაიტანა ბევრი განუხორციელებელი კეთილშობილური ზრახვა და ქართველ-ბულგარელთა უერთგულესი გრძნობები. 1883 წელს ეურ. „ისტორი-

⁷⁴ М. А. М а т в е е в, Болгария после Берлинского конгресса. СПб., 1887. გვ. 255.

⁷⁵Русский биографический словарь, СПб 1901. გვ. 181.

⁷⁶ П. А. М а т в е е в. Указ. соч., გვ. 273.

ჩესკი ვესტნიკის“ ოფიციალური ნეკროლოგი მწუხარედ იუწყებოდა, რომ ალ. წერეთელი იყო „ჩვენი პერიოდის ერთ-ერთი უმესანიშნავესი მოღვაწე, რომლის უდროო სიკვდილმა უზომო მწუხარება გამოიწვია მთელ ბულგარეთში“⁷⁸. ბულგარეთში გამწესებულ ქართველ სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეს, დიდი ნიჭიერების წყალობით და ცოდნის ფართო პორიზონტის მეოხებით, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობაც უწარმოებია ეთნოგრაფიასა და ისტორიას. ალ. წერეთლის ერთ თანამედროვე კორესპონდენტს თავის ძველ ქართველ მეგობარზე გულისხმობდა დაუწერია: „ბულგარელებს, რომელთა შორის იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, განსაკუთრებით უყვარდათ და უსაზღვროდ ენდობოდნენო“⁷⁹. ოთარ გვინჩიძემ ალ. წერეთლის ბრწყინვალე მოღვაწეობას შესანიშნავი მონოგრაფია მიუძღვნა, მაგრამ ბულგარეთის წიგნთსაცავებში თუ არქივებში ბევრი გამოუმზეურებელი მასალაა, რაც მარავნდვლით შემოსავდა ხალხთა მეგობრობის დიდი მოპირანხელის ალ. წერეთლის სახელს. ამჟამად კი მისი სახელი პლოვდის ჭეჩას და ერთ პატარა სოფელ „წერეთელოვოს“ ამშვენებს⁸⁰.

შიპკის გმირთა ძეგლის შორიასხლოს მდებარეობს რილსკის მონასტერი. ამ ტაძრისა და მისი ტაღანების კედლებზე გაკეთებულ მემორიალურ დაფებზე ამოკვეთილი და ამგვარად უკვდავოფილია ბულგარეთისა და რუსეთის არმიის დაღუპულ მეთმართა სახელები. ერთ-ერთ დაფაზე გარკვევით იკითხება:

„ბალკანეთის ნახევარკუნძულზე 1877—1878 წლების ომში დაღუპულნი: XXIV საარტილერიო ბრიგადის კაპიტანი თავადი ლეონ ვაჩნაძე“.

მეორე დაფაზე:

„პოდპორუჩიკი იოსებ გრიგოლაშვილი“.

მესამეზე —

„ლორის მელიქოვი და კობიევი“⁸¹.

ბულგარეთ-საქართველოს საბრძოლო თანამეგობრობა რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების მომდევნო წლებშიც გრძელდებოდა. ქართველები მონაწილეობდნენ აგრეთვე ბალკანეთის I და II ომშიც

⁷⁸ «Исторический Вестник», 1883, № 10, გვ. 230.

⁷⁹ «Дело», 1886, № 2, გვ. 2—7.

⁸⁰ ლ. ზერაგია, საუკუნეებში ნაწრთობი, «კომუნისტა», 15. XI, 1972.

⁸¹ ნ. ბენაშვილი, ბულგარულ კინოსტატებთან, «საბჭოთა ხელოვნება», 1962, № 12, გვ. 29.

1912—1913 წლებში. ამის ერთი არაპირდაპირი დასტურია რუსულ გაზეთ „Раннее утро“-ს კორესპონდენტ ნ. შევალის დღიურები, რომელშიც მოთხრობილია ოდესის მახლობელ სასაზღვრო პუნქტ უნგენში თავმოყრილ მოხალისეთა შესახებ. სამხედრო კორესპონდენტ ნ. შევალის 1913 წელს სადგურ უნგენში უნახავს „რომელიღაც კავკასიელები, ნაბდებსა და ბეწვის ქულებში, ქამარში ჩარჭობილი მთელი არსენალით და მკერდზე მედლებით“⁸². საბრძოლო თანამეგობრობა და ურთიერთდახმარება გამოიხატა აგრეთვე 1915 წელს ბულგარელი ხალხის სოლიდარობაში, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მათ მიერ მოგროვილი 30000 ფრანკით მოამზადეს და აღჭურვეს ლაზარეთი, რომელიც შემდეგ კავკასიის ფრონტზე მოქმედებდა და დაჭრილ რუსთუ ქართველ მეომრებს კურნავდა⁸³.

ასეთია მოკლედ ქართულ-ბულგარული საბრძოლო თანამეგობრობის ისტორია, რომელიც ვრცელ გამოკვლევას მოელის და ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის მატონეს დაამშვენებს. ი. ჭყონია „დროებაში“ უსაფუძვლოდ როდი აღნიშნავდა, რომ ბულგარეთს ქართველი საზოგადოებრიობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმიტომ. რომ მის განთავისუფლებასათვის გაჩაღებულ ბრძოლებს ქართველი ხალხის ბევრმა შეიღმა შესწირა თავი.⁸⁴ ქართველი პუბლიცისტები და საზოგადო მოღვაწეები ხოტბას ასხამდნენ ბულგარელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ბალკანეთში გაჩაღებული ბრძოლების კულმინაციის პერიოდში საქართველოში გამოვიდა გიორგი წერეთლის პოემა «Арака», რომელიც ბულგარელთა დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტისათვის წარმოებულ გმირულ ბრძოლებს მიეძღვნა. ბალკანელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ბრძოლას და ბულგარეთის საკითხს ფართოდ აშუქებდა ილია ჭავჭავაძის „ივერია“, რომელიც ჩაგრული ხალხების, მათ შორის ბულგარელების ინტერესებს იცავდა. სისტემატურად გამოდიოდა სპეციალური საინფორმაციო ბიულეტენიც ბულგარეთის შესახებ. ბალკანეთის ამბები (ბრძოლა ბულგარეთის განთავისუფლებისათვის) და მათი გამოძახილი 70—80-იანი წლების ქართული პრესის ფურცლებზე აისახა, რაც კარგად არის წარმოდგენილი მიხ. კვესელა-

⁸² Н. Ш е в а л ь е. Правда о войне на Балканах, СПб., 1913, გვ. 33. 17—18.

⁸³ «Речь», 14/27, VI. 1915.

⁸⁴ „დროება“, 7. XI, 1880, № 235, გვ. 1—2.

ვას ნაშრომში⁸⁵. ამიტომ ამ საკითხზე ჩვენ აღარ შევჩერდებით და მხოლოდ დავსძენთ, რომ უინტერესო არ იქნება შესწავლილ იქნეს აგრეთვე რუსულ პრესაში არსებული მასალებიც, რაც ქართულს საინტერესო მომენტებით შეავსებს.

ბულგარეთ-საქართველოს რევოლუციური თანამეგობრობა

XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოსა და ბულგარეთს მხოლოდ ერთად წარმოებული ომებით როდი აკავშირებს. ამ ორი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობამ საფუძველი ჩაუყარა აგრეთვე რევოლუციურ კონტაქტებსაც, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობაში.

ბულგარელი რევოლუციონერ-დემოკრატები ქართველ „თერგ-დალეულოა“ მსგავსად ამაღლდნენ იმდროინდელ რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა აზროვნებამდე, მიესალმებოდნენ პირველ ინტერნაციონალს, პარიზის კომუნას, რუსეთის პროგრესულ მოაზროვნეთა ბრძოლას და ბულგარეთის გამოჩენილი ადამიანების გიორგი რაკოვსკის, ვასილ ლევსკის, ბრისტო ბოტევის მეთაურობით ესწრაფოდნენ პოლიტიკურ-ორგანიზაციული კავშირის დამყარებას აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა რევოლუციონერ-დემოკრატებთან დესპოტიზმის, თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიული რეაქციული რეჟიმების წინააღმდეგ. აზრთა ერთობლიობამ ქართველი ნა-იანელები და ბულგარელი ხალხის მოწინავე ინტელიგენცია ერთმანეთთან სულიერად და ფიზიკურად დააკავშირა. ორი მოძმე ჩაგრული ხალხის რევოლუციური ურთიერთობა და მეგობრობა უფრო ხელშესახები გახდა რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ვ. ი. ლენინის დავალებებით რსდმპ პარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოცდილ ბოლშევიკებს (ნ. სემაშკო და სხვ.) აგზავნიდა ბულგარეთში ბალკანეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან კავშირისა და დახმარებისათვის.

ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-რევოლუციური თანამეგობრობის პირველი ნაბიჯები ცნობილ ქართველ რევოლუციონერ სამუელ გრიგოლის ძე ბუაჩიძის სახელთანაა დაკავშირებული.

⁸⁵ მ. კ ე ე ს ე ლ ა ე ჯ, ბულგარული ლიტერატურა, თბ., 1953, გვ. 240—280.

1911 წელს იაკუტიიდან გამოქცეული ნოე ბუაჩიძე თურქეთში იმალებოდა და თან სამსუხის ქართულ კათოლიკურ მონასტერთან არსებულ ფრანგულ კოლეჯში რუსულ ენას ასწავლიდა: 1914 წელს იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო პროპაგანდას მიჰყო ხელი და იძულებული შეიქმნა თურქეთს გასცლოდა — ბერის სამოსელათ ბულგარეთში გაიქცა⁸⁶. 1915 წელს ნ. ბუაჩიძე შვეიცარიაში ჩავიდა, პირდაპირი კონტაქტი დაამყარა ვ. ი. ლენინთან და აქტიურად ჩაება ბოლშევიკ ემიგრანტთა ჯგუფის მუშაობაში⁸⁷. როგორც ჩანს, ამის შემდეგ მიიღო მან ვ. ი. ლენინისაგან პარტიული დავალება და სამბუა ნოეს ფსევდონიმით სოფიაში ჩავიდა, სადაც ბულგარეთის სდმ პარტიის ხელმძღვანელთა (გ. კირკოვეის და ტ. დანაილოვის) დახმარებით არაღელვარულად დაბინავდა. იგი კონსპირაციულად ცხოვრობდა ვენსლესის ქუჩა № 63-ში, ხოლო შემდეგ, როდესაც ვასილ მულეტაროვმა უშოვნა მას ყალბი დოკუმენტები, ლეგალურ ცხოვრებაზე გადავიდა. ს. ბუაჩიძის ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ბულგარეთის ე. წ. ვიწრო სოციალისტებს ანუ „ტენსიაკებს“ დახმარებოდა მათი პარტიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი შეზღუდულობის დაძლევაში. ამასთანავე, იგი ასრულებდა ე. წ. რეკომენდატორის, რუს და ბულგარულ ბოლშევიკთა შორის მეგობრობის დამამყარებელ მუშაულობის როლს. ბუაჩიძის კონსპირაციასა და უშიშროებაზე პასუხისმგებლები იყვნენ ბულგარელი ამხანაგები ტ. დანაილოვი, ც. ჩრისტოვი, დ. კიჩეიკოვი, რომლებიც ფხიზლად იცავდნენ ქართველ მეგობარს⁸⁸.

ს. ბუაჩიძე მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოციალისტებთან: დ. ბლაგოვეთან, გ. კირკოვეთან, ქრ. კაბაკიევეთან, ვ. კოლაროვთან, გ. დიმიტროვთან, რომლებთანაც ხანგრძლივად მეგობრულად საუბრობდა. კამათობდა პარტიის პოლიტიკის საკვანძო პრობლემებზე, ესწრებოდა როგორც „ტენსიაკების“, ისე ოპორტუნიისტების კრებებს, მიტინგებს, დემონსტრაციებს, პარტიულ ყრილობებს.

⁸⁶ და არა ლენინის დავალებით, როგორც ამას სამუილოვი და პინკასი გვთავაზობენ გაზ. «კომუნისტში» (27. V. 59.) დაბეჭდილ სტატიაში.

⁸⁷ Т. А. Б и р м а н. Ной Буачидзе в Болгарии, «Новая и новейшая история», 1960, № 2, გვ. 127.

⁸⁸ ს. ბუაჩიძის შესახებ იხ. И. Н. Н и к о н о в, В. С. Г а л ь ц е в. Ной Буачидзе, Орджоникидзе, 1957; И. М. М у х а д з е. Товарищ Ной, «Литературная Грузия», 1957, № 5; Д у б и н с к и й. Товарищ Ной, Тб., 1959; კ. მ. ი ვ ა ნ ი ძ ე, სამუელ ბუაჩიძე, თბ., 1956 და სხვ.

სტანეე დიმიტროვთან ერთად ბუაჩიძემ მოიარა ბულგარეთის ქალაქები: პლოვდივი, რუსე, გაბროვო, ვარნა, სლივენი და გაიცნო მათი მცხოვრებლები, რევოლუციონერები. ვ. ი. ლენინისადმი გაგზავნილი წერილები მეტყველებენ. თუ რა კარგად ერკვეოდა ს. ბუაჩიძე ბალკანეთის საკითხებში, რა შესანიშნავად იცნობდა სოციალისტების საქმიანობას, ცალკეული მუშაკების ღირსებებს და როგორ ზუსტად აფასებდა ბულგარელ რევოლუციონერთა პარტიას. იგი იტყობინებოდა: „ობმჩედლოვები“ ჩვენ როდი გვგვანან... მათზე ლაპარაკიც არა ღირს“. მეორე წერილში კი ირწმუნებოდა: „ტენსიაკები“, აი, მათთან შეიძლება საქმის დაქვერა“... აკრიტიკებდა რა ბულგარელ სოციალ-ოპორტუნისტებს, — ნ. ბუაჩიძე მოსაზრებებით და საქმიანობითაც შეუერთდა თავის მეგობარ ზღაგოევს და „ვიწრო სოციალისტებს“⁸⁹. წერილთა ცალკეული შენიშვნებიდან და ქარაგმებიდან ჩანს, რომ ქართველი რევოლუციონერი უახლოეს და უშუალო კონტაქტში იმყოფებოდა „ტენსიაკებთან“⁹⁰.

იმდენად მტკიცე იყო ნ. ბუაჩიძის და ბულგარელი ამხანაგების მეგობრობა, ისეთი ურთიერთპატივისცემა სუფევდა მათ შორის, რომ მატერიალურად ხელმოკლე ქართველ ბოლშევიკს „ტენსიაკები“, სახელდობრ თვით გ. დიმიტროვი, საპრესბო სახსრებით ეხმარებოდნენ და სამუშაოზე აწყობდნენ⁹¹, რადგან, — როგორც ამას თვითონ ჩიოდა 1915 წლის 12 ივლისით დათარიღებულ წერილში⁹², — უმუშევრობა სულს უწწარებდა მას. ს. ბუაჩიძემ ჯერ კიდევ 1915 წელს ღირსეულად დაახასიათა და შეაფასა გიორგი დიმიტროვი, როგორც არა მარტო ბულგარეთის, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატის გამოჩენილი მოღვაწე: „მასა ყველგან ჩვენთან არის, — სწერდა იგი ვ. ი. ლენინს, — მაგრამ ლიდერებიდან მხოლოდ ზღაგოევსა და დიმიტროვზე შეიძლება ყოველთვის და ყველგან ვამყარებდეთ იმედს“⁹³. პარტიულ-მეგობრული დახმარების გარდა, ბუაჩიძეს ევალებოდა ბოლშევიკური ბიულეტენების, მასალების, ცირკულარების, კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელთა სიტყვების, პროკლამაციების ჰედვის, აგრეთვე გაზ. „სოციალ-დემოკრატიის“ და ჟურ. „კომუნისტის“ გავრცელება

⁸⁹ «Исторический архив», 1959, № 3, з. 78.

⁹⁰ «Исторический архив», 1959, № 3, з. 71.

⁹¹ И. Н и к о н о в, В. Г а л ь ц е в, Ной Буачидзе, გვ. 43.

⁹² «Исторический архив», 1959, № 3, з. 79.

⁹³ «Исторический архив», 1959, № 3, з. 79.

„ვიწრო სოციალისტთა“ შორის. ასეთ ლიტერატურას კი ს. ბუაჩიძის დაკვირვებით სოფიაში დიდი გატაცებით კითხულობდნენ, როგორც „გზის მანათობელ ვარსკვლავს“. სწორი და დაბეჭდილობითი მტკიცებით მან დააწმენა ბლაგოვეი და კაბაკიევი, რომ საჭირო იყო ლენინურ პრესაში სტატიების გაგზავნა და ბეჭდვა. ამასთან. თვითონ ანონიმურად ან „სამბუა ნოეს“ ფსევდონიმით აქტიურად თანამშრომლობდა ვიწრო სოციალისტთა ორგანო „რამბოტნიჩესკი ვესტნიკში“ და ბულგარელ მშრომელებს მოუთხრობდა მსოფლიო ომის საშინელებებზე, მის იმპერიალისტურ ხასიათსა და ევროპის პროლეტარიატის მიერ გაჩაღებულ ბრძოლებზე.

როდესაც ბულგარეთის ბურჟუაზიულ პრესაში ცილისმწამებლური სტატია დაიბეჭდა ქართველ სოციალისტთა და ფეოდალთურქთა შორის რუსეთის წინააღმდეგ ვითომ არსებულ შეთანხმებულ ბრძოლაზე (თითქოს ამ კავშირით ქართველებს სურდათ ეპოვებინათ თავიანთი ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობა)—ს. ბუაჩიძეც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით საპროტესტო წერილი გაუგზავნა ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და აღმოფთვება განოხატა⁴⁴ იმის წინააღმდეგ, რომ თითქოს ქართველი ხალხი თავისი დამოუკიდებლობისათვის თურქეთთან ერთად იბრძოდა. ს. ბუაჩიძის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ბულგარული პერიოდის შესახებ არსებული მასალებით შესაძლებელი ხდება ბულგარელი ხალხის ერთგული ადამიანის რევოლუციური საქმიანობა, გავლენა და პატივისცემა შევაფასოთ. როგორც ორი მომეცე ხალხის ისტორიულ-კულტურული თანამეგობრობის კიდევ ერთი დადასტურება, მით უმეტეს, რომ ეს კავშირ-ურიითერთობა და მეგობრობა ბუაჩიძეს სოფიიდან გამგზავრების შემდეგ შევიცარიიდანაც არ შეუწყვეტია და მის შენარჩუნებას მიმოწერით ცდილობდა⁴⁵. ბულგარელი ჟურნალისტები ირწმუნებიან: „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ბუაჩიძე, რომელმაც განსაკუთრებით მტკიცე კავშირი დაამყარა ბლაგოვეთან და დიმიტროვთან, შევიცარიიდან უგზავნიდა მათ სხვა წერილებსაც, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი დღემდე აღმოჩენილი არ არის“⁴⁶.

⁴⁴ ნ. ბუაჩიძის წერილი თურქებთან ქართველების რაიში კავშირის არარსებობაზე დაიბეჭდა «სამბუას» ფსევდონიმით «Работническии вестник»-ში 22. VII, 1915 წ. სათაურით „ქართველი სოციალ-დემოკრატები და ომი“.

⁴⁵ «Исторический архив», 1959, № 9, გვ. 82.

⁴⁶ ი. ს. ა. მ. ი. ლ. ვ. ი. კ. პ. ი. ნ. კ. ა. ს. ი. დიდი ლენინის დავალებით, «კომუნის-

1917 წელს რუსეთში დაბრუნებული ნ. ბუაჩიძე ჩრდ. კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ერთ-ერთი ორგანიზატორი და თერგის რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის თავმჯდომარე იყო. 1918 წლის 20 ივნისს იგი კონტრრევოლუციონერის ხელით დაიღუპა. უდავოა, რომ ბულგარეთ-საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის ქართველი ბოლშევიკის ბულგარეთში მოღვაწეობა თვალსაჩინო მოვლენა და ორი ახლობელი, მხოლოდ ზღვით გამოჩნული, მეგობარი ხალხის ძმური თანამეგობრობის ერთ-ერთი შესანიშნავი ფურცელია²⁷.

ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობა გამოიხატა აგრეთვე გიორგი დიმიტროვისა და სერგო ორჯონიკიძის პირად მეგობრობაშიც, რომელიც ჩაისახა და განმტკიცდა კისლოვოდსკსა და პატიგორსკში.

ფართოდ გახმაურებულ ლაიფციგის პროცესის შემდეგ საბჭოთა კავშირში ჩამოსული გიორგი დიმიტროვი ექიმთა რჩევით საქართველოში მოემგზავრება სამკურნალოდ და დასასვენებლად. იგი 1934 წლის 9 ივლისს თბომაველ „კრიმით“ ბათუმს ეწვია, დაათვალიერა ჩაის ფაბრიკა, საბჭოთა მეურნეობის პლანტაციები; მოინახულა მწვანე კონცხი²⁸; აჭარის საპატიო სტუმრის პატივსაცემად გამართულ ბათუმის მშრომელთა მიტინგზე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ეს გამოჩენილი მოღვაწე საინტერესო და გულთბილი სიტყვით გამოვიდა²⁹. მეორე დღეს კი პარტაქტივზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა და, მსმენელები გააოცა რა თავისი ცოდნით საქართველოს შესახებ, დიდი ოპტიმისტური რწმენით განაცხადა: დღეს „შავი ზღვა ჰყოფს საქართველოს ბულგარეთთან, მაგრამ მალე დადგება ის დღე, როდესაც იგივე შავი ზღვა გადაიქცევა უახლოეს სანაოსნო გზად და როგორც ხიდი დააკავ-

ტა» 27. V. 1959, იხ. აგრეთვე Т. А. Б и р м а н. Ной Буачидзе в болгарии, «Новая и новейшая история», 1960, № 2, გვ. 127—132.

²⁷ მოგვეპოვება საინტერესო ცნობები კიდევ ერთ რევოლუციონერ სატირ ჩერქეზოვზე, რომელსაც მკადრო საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ვ. ი. ლენინთან, განსაკუთრებით სერგო ორჯონიკიძესთან და პეტერბურგის რევოლუციურ შტაბთან.

²⁸ Т. М а х а р а д з е. Дорогой гость. «Литературь. Грузия, 1959, № 8, გვ. 84—86

²⁹ А. Ш е р в а ш и д з е. Из истории дружбы болгарского и грузинского народов, «Совет. Аджария», 6, 7, VI, გვ. 1967.

შირებს ორივე ქვეყანას და იქნება თავისუფალი ურთიერთობა ჩვენს მოსმე ხალხებს შორის¹⁰⁰. ისტორიამ დაგვანახა, რომ ეს წინასწარმეტყველება რეალობად იქცა.

ქართველი და ბულგარელი ხალხის ურთიერთ მეგობრობისა და პატივისცემის ნიშნად, ბათუმის მუშათა ცენტრალურ კლუბს გიორგი დიმიტროვის სახელი მიენიჭა. აღსანიშნავია, რომ გ. დიმიტროვის დედა პარასკევამ და ცოლმა ბლაგოევამ 1933 წელს მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს ბათუმის მშრომელთა ანტი-ფაშისტურ მიტინგზე, რომლის მონაწილენიც მოითხოვდნენ ბულგარეთის ღირსეული შვილისა და ლაიფციგის პროცესის გმირის ფაშისტური ტყვეობიდან დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ლიკანში მკურნალობის დროს გაიცნეს და ერთმანეთს დაუმეგობრდნენ გ. დიმიტროვი და ფ. მახარაძე, რომელიც ბევრს მოუთხრობდა მას ქართულ კულტურაზე. დაინტერესებული სტუმარიც გულმოდგინედ ეცნობოდა მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციების ქვეყანას, მესხეთის მხარეს, ბორჯომსა და მის შემოგარენში შემორჩენილ ისტორიულ ძეგლებს, საუბარში ხშირად ხაზს უსვამდა, რომ საქართველო ძალზე საინტერესო ისტორიის ქვეყანააო; დაათვალიერა სურამის ზღაპრულ-ლეგენდარული ციხე, ორჯერ ეწვია აბასთუმანს. ცხადია, გზად მიმავალმა მოიხილა ახალციხის ბურჯ-გალავნიანი ძველი ბასტიონიც. მშრომელთა თხოვნით ადიგენშიც ჩავიდა. ცნობისმოყვარეობამ და კექელუცმა ბუნებამ გ. დიმიტროვი ზეკარის უღელტეხილამდე მიიყვანა და გააოცა ციხე-სიმაგრეთა სიმრავლემ, მიუვალობამ. გოროზმა და ბუმბერაზმა სახე-იერმა. ისინი მშობლიურ ბულგარეთს აგონებდნენ მოგზაურ—სტუმარს. გ. დიმიტროვმა დაათვალიერა ამიერკავკასიის რკინიგზის სააგიტაციო ვაგონ-მატარებელი. უცხად ააწყო კიდეც პატარა ტექსტი ვაგონის სტამბა-რედაქციაში და საჩუქრად მიიღო სააგიტაციო მატარებლის მუშაკთა ხელით შეკერილი ფეხსაცმელი პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად¹⁰¹. დაბოლოს, გ. დიმიტროვი თბილისზე გავლით მოსკოვს გაემგზავრა და თან წაიღო წარუშლელი შთაბეჭდილებანი საქართველოს დედაქალაქის ძველ, ორიგინალურ არქიტექტურაზე¹⁰².

¹⁰⁰ ლ. ბოლქვაძე, მეგობრობის ხიდი. «კომუნისტა», 6. IX, 1974.

¹⁰¹ ა. ჩარდანოვა, ძვირფასი მოსაგონარი. გაზ. «ახალგაზრდა კომუნისტი», 10. IX. 1959

¹⁰² Т. М. а х а р а д з е. Дорогой гость, «Литерат, Грузия», 1959, №8, გვ. 84—86.

ბარბაროს თურქთა აღვირახსნილი ბატონობით და მხეცური თარეშით უზომოდ შეწუხებული ბულგარელების ერთი ნაწილი, როცა თავშესაფარებლად აქეთ-იქით აწყდებოდა — აზოვისპირა ტერიტორიებსა და ზაპოროჟიეს შემოიხიზნენ, სადაც მცირე კოლონია შექმნეს. სამშობლოდან გადმოხვეწილებმა დაარსეს პატარა ბულგარული სოფლები ბოტეო, არმანგი, ინზოვკა, ბროსლავა, კარაჯა და სხვ. მას შემდეგ ათეული წლები გავიდა. დადგა ჩვენი საუკუნე და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სხივმა სამხრეთ რუსეთში უცხოთაგან დაფუძნებულ სოფლებშიაც შეანათა. ბულგართა ოჯახები ისე გამრავლებულან, რომ საკუთარ საზღვრებში ვეღარ დატიულან და გაფართოება აუცილებელი გამხდარა მათთვის. 30-იან წლებში დასახლებული ბულგარული სოფლებიდან ბევრი ოჯახი ჩამოსახლდა ჩაქესა და ქობულეთში, სადაც იმ დროს პლანტაციების გაშენებასთან დაკავშირებით მუშა-ხელზე დიდი ძოთხონილება იყო და საყოფაცხოვრებო პირობები და კლიმატიც უკეთესი, ვიდრე აზოვისპირეთში. ჩამოსახლებულ ბულგარელთაგან შეგვიძლია დავასახელოთ გლავჩევები, კოსევები, ტერზევები, შერემეტეევები, პერევერზევები. ფრევევები და სხვ. მათ ესე მოეწონათ ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ კეთილი მიღება, მეგობრული დამოკიდებულება, ხასიათი, ადათ-ჩვევები, რომ სამუდამოდ დარჩნენ. ჩაქველები და ქობულეთელებიც კმაყოფილნი იყვნენ ჩამოსახლებულ ბულგარელთა შრომისმოყვარეობით, პატიოსნებით, კეთილსინდისიერებით, გამტანობით. ხიზანმა მალე ფესვი გაიდგა, დაბინავდა, დამკვიდრდა და ქართველ ხალხს შეუსისხლობრცდა. ბულგარეთიდან მათი გადმოხვეწის შემდეგ საუკუნე გავიდა, მაგრამ ზოგიერთ შემოხიზნულთა შთამომავალს დღემდე შემოუნახავს მშობლიური ენა და ჯუნდოვანი წარმოდგენები თავის წარსულზე. ბულგარული ჩამომავლობის ქობულეთელმა ვერა ფრევევამ ჩაის პლანტაციებში ბეჭითი შრომითა და გამრჩე მარჯვენივით, თავი ისე ისახელა, რომ სოციალისტური შრომის გამარის საპატიო წოდება დაიმსახურა. მეორე მისი და სოფიო ფრევევა, რომელიც გარჯითა და ზუყაითი შრომით არავის ჩამოუვარდება და მოწინავეა ჩაქველ მეჩაიეთა შორის.

— ჩემი სამშობლო ქართული ჩაის სამშობლოა, აქ ყოველ ბუჩქს, ხესა და ბილიკს ვიცნობ და მიყვარს, — ამბობს ხშირად სოფიო¹⁰³

¹⁰³ რ. ი მ ნ ა ძ ე. «კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!» ამბობს სოფიო ფრევევა, — «საბჭოთა აპარა», 17. IX. 1964.

ჩაქეში ქართველთა მხარდამხარ ცხოვრობენ და შრომობენ ბულგარელი მარიამ გლაეჩიკა, მარინა პერევერზევა და სხვები. მათ უზომოდ, განსაკუთრებული გრძნობით ახარებთ წრფელი ძმური მეგობრობა ქართველთა და ბულგარელთა შორის. საქართველოში ჩამოსახლებულმა ზოგმა ბულგარელმა საცხოვრებლად ბათუმში აირჩია და ქართველი მუშის შრომით შემართებას აუბა მხარი. მათი შთამომავალი მარინა არაბაჯი ბათუმის გემსაშენი ქარხნის მოწინავე მღარაია, მარია გუგუნსკაია ხილის წყლებისა და ლუდის ქარხნის მუშაკი, ვერა არაბაჯი-აზნაურიანი ბათუმის ტყავის ქარხნის გამოსაყვან საამქროს მღებავი, ნინო თაუხჩი-გურგენიძე თამბაქოს ფაბრიკის მუშათა სასადილოს გამგე.

„ — იფიქრებდა კი პაპაჩემი. როცა მშობლიურ ბულგარეთს ტოვებდა, რომ მისი შვილიშვილები განათლებული და ბედნიერები იქნებოდნენ? — გულმადლიანად აცხადებს ნინო თაუხჩი“¹⁰¹.

მართლაც, ვინ მოსთვლის რამდენი სიკეთე და მადლი გაუკეთებია სტუმართმოყვარე სულგრძელ ქართველ კაცს და დალოცვილ ქართულ მიწა-წყალს შემოკედლებულ ბულგარელთათვის! ქართველ-ბულგარელთა მეგობრული ურთიერთობა ნათესაური ქვეშირებითაც ისე შემტკიცებულა და შესისხლხორცებულა, რომ აჭარაში მცხოვრები ბულგარელთა შთამომავლები ქართველებისგან თითქმის აღარ განირჩევიან.

ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ და უყვართ ქართული ხელოვნება—საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მძლავრი, ნაყოფიერი ნაკადი. ქართული მუსიკა, პოეზია, თეატრი, კინო ამდიდრებენ საბჭოთა ადამიანების შინაგან სამყაროს, მოუწოდებენ მათ სიკეთისათვის, ნათელი იდელებისათვის, აღანთებენ საბრძოლველად ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის ბედნიერ, სიხარულით აღსავსე ცხოვრებას.

ლ. ი. ბ რ ე ნ ე ე ი

ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობაში გამობრძმედილი მეგობრობა, ძმობა და სიყვარული განუყენებული ცნებები როდია. ისინი სოციალისტური ქვეყნების თა-

¹⁰¹ ა. ბ. გ. ო. ლ. ვ. ა., თავისი პუბლიკაციის ბატონ-პატრონი, ესაბჭოთა აჭარა, 22. XI, 1964.

ნამეგობრობის 'შემდღობებელი მონოლითური ძალებიცაა და ამიტომაც, რომ ორივე ხალხის ცხოვრების ყველა დარგის რეალურ მხარეებს გამოხატავენ. სოციალიზმის მშენებელი ქართველი და ბულგარელი ერების ურღვევი, ძმური ერთიანობა, წარმატებანა, ღირსშესაძლებლობა ორივე ქვეყნის ფოლადისებრი სიმტკიცისა და უძლეველობის წყაროა, მისი თავისუფლების, თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის ერთი მთავარი საფუძველია. ქართველი და ბულგარელი ხალხი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით განუხრელად განამტკიცებენ ნაცვალგებით მეგობრობას და თანამშრომლობას ცხოვრების ყველა სფეროში. ორივე ხალხი ერთობლივად იბრძვის საერთო საკაცობრიო ინტერესებისა და სახეუკარი მიზნების, სუვერენული უფლებების, ღიადი თანამეგობრობის აყვავებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ბულგარეთ-საქართველოს პოლიტიკურ დაახლოებას და ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის განახლებას საფუძველი დაუდო სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის 18 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებამ. ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობაში ძმობის ხიდი განამტკიცა და უსაზღვრო პერსპექტივები გადაშალა სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების სოფიის 1967 წლის 12 მაისის ხელშეკრულებამ, რომელმაც დაადასტურა თავისი წინამორბედი 1948 წლის 18 მარტის ისტორიული დოკუმენტის მიზნები, პრინციპები, საპატიო მისია და ძმური ურთიერთობის გაფართოება-განმტკიცების მიზნით განაახლა იგი ორივე ქვეყნის სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გამოცდილების, მიღწევების, მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარების გათვალისწინებით. მისი I მუხლი ითვალისწინებს ხელშეკრულების დამდებ ხალხთა მარადიულ ურღვევ მეგობრობას და ყოველმხრივ თანამშრომლობის განვითარებას, ერთმანეთის ძმურ დახმარებას. მეორე მუხლი ამტკიცებს ურთიერთსარგებლიან ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ორმხრივ და მრავალმხრივ განვითარებას, გაღრმავებას, ეკონომიკური ურთიერთობისა და ვაჭრობის შემდგომ გაფართოებას. მესამე მუხლი აცხადებს: „ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები, სურთ რა ხელი შეუწყონ ორივე ქვეყნის კულტურათა შემდგომ დაახლოებას, კვლავაც განავითარებენ და გააღრმავებენ თანამშრომლობას

და შემოქმედებით საქმიანობას მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ლიტერატურის, ხელოვნების, ბეჭდვითი სიტყვის, კინოს, რადიოს, ტელევიზიის, ტურიზმის, ფიზიკური კულტურისა და სხვა დარგებში¹⁰⁵.

ამ ახალმა ისტორიულმა დოკუმენტმა უსაზღვრო პერსპექტივები გადაშალა ბულგარეთ-საქართველოს კავშირ-ურთიერთობაში, ხელი შეუწყო ორი მოძმე ხალხის სტუმარ-მასპინძლობას, კეთილი ნების ვიზიტებს, ეკონომიკურ გარიგებებს ურთიერთ სარგებლობის პრინციპზე, კიდევ უფრო მყარი გახადა ტრადიციული კულტურული თანამშრომლობა და განადიდა სისხლით შემტკიცებული საბრძოლო თანამეგობრობა. 1967 წლის 12 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური გეგმების კოორდინაცია 1971—1975 წლებისათვის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი გადრმავეებისა და გაფართოების მიზნით.

ბულგარეთ-საქართველოს ყოველმხრივი ურთიერთობის გაცხოველებას ბიძგი მისცა 1968 წლის 16 სექტემბრის მოსკოვის მოლაპარაკებამ, რომელიც გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის კომპარტიების ხელმძღვანელობასა და მთავრობის წევრთა შორის. საუბრების დროს მოხდა აზრთა გაზიარება ორივე ქვეყანაში კომუნიზმისა და სოციალიზმის მშენებლობის, სკკპ და ბულგარეთის კომპარტიის, სსრკ და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის (ბ ს რ) ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების აქტუალურ საკითხებზე. ამასთან კვლავ დადასტურდა აზრთა სრული ერთიანობა ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე. მხარეები შეთანხმდნენ, რომ გააფართოებდნენ ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობის მასშტაბებს. ოფიციალურ შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა გარდა, ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობა გაააქტიურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნამ ბულგარეთში 1962 წლის მაისში.

1962 წლის 10 აგვისტოს კი თბილისში სტუმრად ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო დელეგაცია თავდაცვის მინისტრის, გენერალ-პოლკოვნიკ დ. ნ. ჯუროვის მეთაურობით. ისინი გაეცნენ თბილისს, მის მუზეუმებს, ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული კავშირ-ურთიერთობის ზოგიერთ ფაქტს; დაათვალიერეს მცხეთის ისტორიული ძეგლები, ეწ-

¹⁰⁵ გაზ. «კომუნისტია», 14. V. 1967.

ციენენ რუსთავს, მეგობრობისა და კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას, სადაც გაიმართა გულთბილი საუბრები. კახეთში მოგზაურობისას დ. ჭუროვემა კმაყოფილებით შენიშნა, რომ მთებით გარშემორტყმული და ბალ-ვენახებით დამშვენებული ალაზნის ველი თავის სამშობლოს აგონებს და დასძინა: ქართველ მელვინე-მევენახეთა უმაგალითო გამოცდილება ძალზედ ძვირფასი იქნებოდა ბულგარელი საეციალისტებისთვის.

— ჩვენ შევინახავთ ყველაზე სასიამოვნო მოგონებებს საქართველოში ყოფნის შესახებ, — თქვა გამომშვიდობებისას ჭუროვემა¹⁰².

1963 წლის ოქტომბერში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ბულგარეთის რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაცია, რომელიც გაეცნო ჩვენს მიღწევებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ბულგარელი პარლამენტები მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, სადაც მეგობრული ზაუბარი გაიმართა. დელეგაციის ხელმძღვანელმა ბორის ველჩევმა უღრმესი მადლობა გადაიხადა მეგობრული სტუმართმოყვარეობისათვის¹⁰⁷. ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობასა და თანამეგობრობაში დამკვიდრდა პარტიულ-სახელმწიფოებრივი დელეგაციების გაცვლა-გამოცვლის პრაქტიკა. მოსკოვში ჩამოსული ბულგარეთის კომპარტიისა და მთავრობის საპატიო წევრები ზშირად საქართველოსაც ეწვევიან ხოლმე მეგობრობის ვიზიტით. 1965 წელს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის გიორგი ტრაიკოვის ვიზიტმა საქართველოში ახალი წელილი შეიტანა ქართველ-ბულგართა მეგობრობის განმტკიცებაში. ძვირფას სტუმარს 14 მაისს გულითადად შეეგება ჩვენი დედაქალაქი, რომელიც მორთული იყო ტრანსპარანტებით, ლოზუნგებით, ყვავილებით: საპატიო ბულგარელ ამხანაგებს გულთბილად ესალმებოდა გზაზე ჩამწკრივებული ათასობით თბილისელი. ტრაიკოვს თან ახლდნენ ბულგარეთის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები. საგარეო საქმეთა მინისტრი ივ. ბაშევი, ბულგარეთის მოსკოველი ელჩი სტოიან კარაქოევი, აშხ. ველიუ მაქსიმოვი, კომნა სიტროვა, პეტრე ჩემიბანოვი, რომლებიც მიიღეს საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ბულგარეთის პარტიულ-სახელმწიფოებრივი დელეგაცია დაესწრო ოპერა „აბესალომ და ეთერის“, ეწვია

¹⁰⁶ გაზ. «Заря Востока», 11, 12, 13. VIII. 1962.

¹⁰⁷ გაზ. «Заря Востока», 1. XI. 1963.


საქართველოს მებაღეობისა და ნევენახეობა-მელენეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. დაათვალიერა მისი მარანი-მუზეუმი; იხილა მცხეთის შემოგარენი, „სვეტიცხოველი“, „ჯვარი“, მიხ. მამულაშვილის ბაღი, სამხედრო გზის სიმშენიერე: ეწვია სოფ. ღიღისთავს. სადაც გ. ტრაიკოვმა გამოთქვა სურვილი, რომ ქართველმა კოლმეურნეობებმა და ბულგარელმა კოოპერატორებმა დაამყარონ მკიდრო ურთიერთობა, უკეთ შეისწავლონ ერთმანეთის გამოცდილებანი. სოფლის თვითშემოქმედებითი წრეების წევრებმა სტუმრებს გააცნეს თავიანთი ხელოვნება, ასწავლეს ქართული ხალხური ცეკვები. არც ბულგარელები ჩამორჩნენ და მასპინძელთ უჩვენეს საკუთარი ხალხური ცეკვები.

ბულგარეთის დელეგაციას ოვაციებით შეხვდა ბორჯომის მოსახლეობა, წყლის ჩამომსხმელი ქარხნის მუშა-ნოსამსახურეები. სადაც სტუმრებმა აღნიშნეს, რომ ისინი დიდი სიამოვნებით სვამენ „ბორჯომს“ თავის ქვეყანაში. თბილისში დაბრუნებული ბულგარელები ეწვიენ თბილისის ზღვას, კულტურისა და დღეენების პარკებს. სპორტულ ობიექტებს. მუზეუმებს. მთაწმინდაზე გამართულ ბანკეტზე ტრაიკოვმა განაცხადა: „საქართველოში თავის ისე ვგრძნობდით, თითქოს შინ ვიყავით: და თუ ნებას მოგვცემთ, თან წავიღებთ თქვენი გულის ნაწილს, ხოლო სანაცვლოდ ჩვენი გულის ნაწილს დაგიტოვებთ“¹⁰⁸. 16 მაისს თბილისელებმა ზემოთ გააიღეს გიორგი ტრაიკოვი და მისი თანმგლები პირნი, რომაც კვლავ გამოხატეს მხურვალე ძმური გრძნობები ბულგარელი ხალხისადმი.

1972 წლის 13 ნოემბერს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით. მოსკოვში მოლაპარაკებისას „გაიმართა აზრთა ამხანაგური გაზიარება საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის კომპარტიების, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის მეგობრობის და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების, გაღრმავების გზების შესახებ. სრული ურთიერთ გაგებისა და ურთიერთ დახმარების ატმოსფეროში მხარეებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხებოდა ეკონომიკური ურთიერთობის მასშტაბის შემდგომ გაფართოებასა და ეფექტიანობის ამაღლებას“¹⁰⁹. ქვემოთ თვალ-

¹⁰⁸ გაზ. „კომუნისტა“, 14, 15, 16, 18, 22. V. 1965.

¹⁰⁹ გაზ. „კომუნისტია“, 14. XI. 1972.



ბულგარეთის კომპარტის გენერალური მდივანი ტოდორ ჟეკოვი და ამხ. ე. შე-
ვარდნაძე, ზ. პატარიძე, პ. გილაშვილი თბილისის პიონერთა სასახლის სიმღერისა
და ცეკვის ანსამბლის წევრთა შორის.

საჩინოდ დავინახავთ და ნათელი გახდება, თუ რა დიდი როლი შეასრულა ამ შეთანხმებამ ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობაში.

იმავე წლის 15 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქი ქმური გულითადობით შეხვდა ბულგარეთის დელეგაციას. პარტიის ცკ-ში ოფიციალური ვიზიტის დროს სტუმარ-მასპინძელთა შორის გაიმართა გულთბილი საუბარი. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ ილაპარაკა ქართველი და ბულგარელი ხალხების ტრადიციულ მეგობრულ კავშირ-ურთიერთობაზე. მოაყვანა ორივე რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების, სოფლის მეურნეობის მშრომელთა, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის მოღვაწეთა ნაყოფიერი შემოქმედებითი თანამშრომლობის ზოგიერთი ფაქტი, მაგალითი და ხაზი გაუსვა ორივე მხარისათვის მის პრაქტიკულ სარგებლიანობას და პოლიტიკურ ეფექტიანობას. საპასუხო სიტყვაში ბულგარეთის დელეგაციის მეთაურმა ტოდორ ჟივკოვმა მადლობა გადაიხადა ინფორმაციისათვის და განაცხადა:

„ზოგერთი ჩვენგანი, მათ შორის მეც, ვკოფილვართ თქვენთან. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს ქართული ხალხის ცხოვრებასა და შრომას, წარმოდგენა გვაქვს თქვენს წარმატებებზე. გულწრფელად გვახარებს ქართველი ხალხის მიღწევები. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა მადლობა გადავიხადო ბულგარელ თანამოძმეებთან თქვენი წარმოების მუშაკების, მეცნიერების, კულტურის მოღვაწეთა მჭიდრო თანამეგობრობისათვის, უშუალო კავშირ-ღრთიერთობისათვის“¹¹⁰.

ბულგარეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები ცხოველი ინტერესით გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს—მეტროს, ფაბრიკა-ქარხნებს, კულტურულ დაწესებულებებს, დაესწრნენ რჩეულ ქართველ ხელოვანთა კონცერტს და უზომოდ კმაყოფილნი გამოემშვიდობნენ მეგობარ ხალხს. ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც საბჭოთა კავშირ-ბულგარეთს შორის მოსკოვის მოლაპარაკების შედეგად გამოქვეყნდა, აღნიშნულია: „ორივე დელეგაციამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ სკკპ და ბულგარეთის კომპარტიის, საბჭოთა და ბულგარელი ხალხების ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები, ორივე ქვეყნის ძირეული ინტერესების ერთობა, მეგობრობისა და ძმობის

ლრმა ისტორიული ტრადიციები, წარმატებით და ნაყოფიერად ვითარდება პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში¹¹¹. მხარეებმა განიხილეს აგრეთვე ორივე ქვეყნის თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და განმტკიცების აქტუალური საკითხები, რამაც წინა პლანზე წამოსწია ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობა.

ბულგარეთ-საქართველოს პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონტაქტები, რომლებიც ჩვენი თემის ორგანულ ნაწილს შეადგენენ, ცალმხრივი როდია. კეთილი ნებისა და მეგობრობის გამომხატველი საპასუხო ვიზიტებით ბულგარეთშიც ხშირად ჩადიან საქართველოს მთავრობისა და პარტიულ-პროფკავშირული დელეგაციები. საქართველო (რესპუბლიკის სახელმწიფო და პარტიულ-პროფკავშირული მოღვაწეების სახით) ზოგჯერ წარმოდგენილია ხოლმე ბულგარეთში ჩასულ საბჭოთა კავშირის დელეგაციებში. ამ მიმოსვლების პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა საქვეყნოდ ცნობილია. საილუსტრაციოდ კმარა ბულგარეთის რესპუბლიკის ბლაგოევგრადის ოლქში კომპარტიის საოკრუგო კომიტეტის მიწვევით 1964 წ. სტუმრად ჩასული აჭარის ასსრ პარტიულ-საზოგადოებრივი დელეგაცია. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დონეზე ჩატარებული ვიზიტი ძიზნად ისახავდა ორი მხარის მშრომელთა ძმური ურთიერთობის გაშლას. გააქტიურებას, განმტკიცებას, კონტაქტების უშუალო დამყარებას და შესაფერისი ჰირობების მომზადებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ სამეურნეო დარგში გამოცდილებათა ურთიერთ გაცვლა-განზოგადებასათვის. აჭაოის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლების შეზვედრები ბლაგოევგრადის ოლქის მცხოვრებლებთან და წათ თავკაცებთან, სტუმარ-მასპინძლობის ყოველი ნომენტი, საუბარი, კონტაქტი, პრაქტიკული ცოდნის გადაცემა თუ მეგობრობის ამსახველი საღამო-კონცერტები ქართველი და ბულგარელი ხალხების ინტერნაციონალური სოლიდარობის, მრწამსისა და მეგობრობის მკაფიო დემონსტრირება იყო¹¹².

ქართველი და ბულგარელი ხალხის კულტურული დაახლოებისა და მჭიდრო მეგობრული ურთიერთობის შედეგად ქ. ბლაგოევგრადში გაჩნდა ბათუმის სახელობის ქუჩა და კაფე „აჭარა“, ხოლო ბათუმში გიორგი დიმიტროვის სახელობის 24-ე საშუალო სკო-

¹¹¹ გაზ. „კომუნ-სტი“, 19. XII, 1972.

¹¹² გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 17. XI, 1964.

ლა. ჩამოვიდნენ საზღვაოსნო სასწავლებლის ვარნელი მოსწავლე-პრაქტიკოსები. აჭარის თევზჭერის სამმართველოს მკიდრო კავშირი აქვს ბულგარულ მეთევზეებთან: ორივე ხალხის მამაცი მებადღერები ერთმანეთს ხვდებიან შორეულ ატლანტის ოკეანეში, მეგობრობენ და ერთმანეთს ეხმარებიან თევზის ქერაში. 1964 წელი ჩვენი ხალხების ცხოვრებაში იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ბულგარეთის ბლაგოევგრადის ოლქის მშრომელთა დელეგაციამ საქართველოში სტუმრად ყოფნის დროს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში საჩუქრად და სამახსოვროდ დასტოვა ძვირფასი თასი მოწინავე და ასპარეზობაში გამარჯვებული სპორტული კოლექტივებისათვის.

ქართვლ და ბულგარულ მეცნიერთა ურთიერთობანი

ომის შემდგომი პერიოდის ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურულმა ურთიერთობამ და თანამეგობრობამ ღრმადი ნაარსიანი, სერიოზული და საინტერესო გახადეს, მეცნიერული მუშაობა, კვლევა-ძიება, კონტაქტები, მივლინებები, ექსპედიციები. ბულგარეთით დაინტერესდნენ ყველა დარგის ქართველი მეცნიერები. ასევე, საქართველომ დიდი ცნობისმოყვარეობა დამისახურა ბულგარელთა თვალში. დაიწყო ორივე ქვეყნის ისტორიის, არქეოლოგიის, ყოფის, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურისა და ენის ორმხრივი შესწავლა. თბილისის უნივერსიტეტსა და ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუდენტი ახალგაზრდობა სწავლობს ბულგარულ ენას.

ჩვენი საუკუნის ქართველ და ბულგარულ მეცნიერთა პირველი კონტაქტი დამყარებულა 1936 წელს, როდესაც სოფიაში ქართულ ხელნაწერებს გაცნობია ვარშავის უნივერსიტეტში მოღვაწე გრიგოლ ფერაძე¹³ და ერთი მათგანი (პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი) მიხ. თარხნიშვილს გამოუცია კიდეც ბელგიაში 1954 წელს.

ქართველ საბჭოთა და ბულგარულ მკვლევართა პირველი სამეცნიერო კონტაქტი და უშუალო კავშირ-ურთიერთობა დამყარდა 1949 წელს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა

¹¹³ ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ., 1971, გვ. 25, 26.

აკადემიის სამეცნიერო ექსპედიცია პროფ. ნ. ბერძენიშვილის. აკ. შანიძის და დოც. ო. გიგინეიშვილის შემადგენლობით იმყოფებოდა ბულგარეთში. ექსპედიციის უმთავრესი მიზანი და ამოცანა იყო პეტრიწონის (ბაჩკოვოს) მონასტრის გაცნობა და იქ შემორჩენილ ქართულ სიძველეთა ძიება, გამოკვლევა, ფოტო-ფიქსირება, შესწავლა. ბულგარელი მეცნიერების და კულტურის მოღვაწეთა ხელშეწყობით, ქართველმა მეცნიერებმა მიაკვლიეს ქართულ წარწერაან ლეთისმშობლის უნიკალურ ხატს, რომელიც 1311 წელს მოუპედინებიათ ტაოელ ძმებს ათანასეს და ოქროპირს, მონასტრის ლეთისმშობლის სახელობის მთავარი ეკლესიის გუმბათის თავზე აღმართულ ძველ ქართულ ჭეხარს წარწერათ „ძლევაი“ ანუ „გამარჯვება“, ქართველ მოღვაწეთა ფრესკებსა და მრავალ ქართულ წარწერას. სოფიის საჯარო ბიბლიოთეკაში ბულგარელი კოლეგების დახმარებით ქართველმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ანუ წესდების ქართული ტექსტი, რომელშიც ვრცლადაა მოთხრობილი მონასტრის დაარსების ისტორია. ამ დოკუმენტით ცნობილი გახდა ბულგარეთში მოღვაწე ქართველი გრიგოლ ბაკურიანელის, მონასტრის აღმშენებლის ქველმოქმედება: თუ როგორ შეუწირავს მონასტრისათვის სოფლები გლეხებითურთ და ციხეები. დიდძალი სახნავ-სათესი მამულები. ტყეები და საძოვრები, აგრეთვე საეკლესიო ნივთები — წიგნები. ჭურჭელი, შესამოსელი და სხვ. თანაც გრ. ბაკურიანს აუშენებია სასნეულო და სასტუმრო სტენიმახაში (დღევანდელი ქ. ასენოვგრადი). მარმარსა და ნიკოლწმიდაში, სადაც ქართული სასწავლებელიც კი გაუხსნია.

ნ. ბერძენიშვილმა, აკ. შანიძემ და ო. გიგინეიშვილმა დაადგინეს, რომ ძველი ქართული ხელნაწერები მეორე მსოფლიო ომის დროს სოფიის საეკლესიო მუზეუმიდან რილის მონასტერში გაუხიზნიათ და რომ მონასტრის ტიპიკონის ძველი ქართული ხელნაწერი კუნძულ ბიოსზე ყოფილა დაცული. ამ სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის მატიაწე რამდენიმე სერიოზული ნაშრომით შეივსო. პირველ რიგში ნ. ბერძენიშვილის წიგნით „ძლევაი“ (გამარჯვება) ანუ რუმინეთ-ბულგარეთის მოგზაურობიდან, რომელიც იმავე 1949 წ. გამოიცა თბილისში და 67 გვერდს შეიცავს. აკ. შანიძემ კი საინტერესო სტატია დაბეჭდა გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (21, 29. V. 1949) სათაურით „სამეცნიერო ექსპედიცია ბულგარეთში და მისი შედეგები“. გავიდა 2 ათეულ წელზე

ცოტა მეტი და ქართული სამეცნიერო ლიტერატურა შეივსო ამ ექსპედიციის წყალობით მოპოვებული მასალების საფუძველზე შექმნილი აკ. შანიძის კაპიტალური ნაშრომით: „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“. რომელიც „მეცნიერებაში“ დაბეჭდა 1971 წელს. 1961 წელს ჯ. ჯულაბაშვილმა გამოსცა საინტერესო ნაშრომი: „ვაზოვი და ბულგარეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა“.

1959 წელს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამაყრდენი საკავშირო საზოგადოების ძიერ რუმინეთსა და ბულგარეთში გაიგზავნა ლექტორთა ჯგუფი. ამ ჯგუფში იყვნენ აგრეთვე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები იასე ცინცაძე და ალ. მირცხულავა. ქართველ მეცნიერთა ეს მოგზაურობა ბულგარეთში იმითაა აღსანიშნავი, რომ იგი. ტურიზმის გარდა, ითვისებდა მოხსენებების წაკითხვას. ლექციური პროპაგანდის გამოცდილებათა ურთიერთ გაზიარებას და საბჭოთა კავშირის „ცოდნის“ საზოგადოების ანალოგიური ორგანიზაციის საქმიანობის გაცნობას. ქართველი მეცნიერები ი. ცინცაძე და ალ. მირცხულავა ბულგარეთში შეხვდნენ კოლეგებს, პროფესორ-მასწავლებლებს. ინტელიგენციას და მათ წინაშე ლექციებით წარსდგნენ. ტირნოვოში გულდასმით მოისმინეს ცინცაძის ლექცია თემაზე: „ცნობები ბულგარელების შესახებ X — XI საუკუნის ქართულ წყაროებში“.

ბულგარელი ისტორიკოსები დიდი ცნობისმოყვარეობით ეცნობოდნენ და განიხილავდნენ ალ. მირცხულავას მიერ ბულგარეთში ჩატანილ მასალებს, რომლებიც ასახავდნენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის გიორგი დიმიტროვის ჩამოსვლას, მოგზაურობას, ყოფნასა და მკურნალობას საქართველოში 1934 წელს. ეს მასალები და დოკუმენტები უცნობი იყო ბულგარეთის კომპარტიის ისტორიის ინსტიტუტისათვის და ქართველი მეცნიერის შემწეობით მიიღეს. მათ საფუძველზე სოფიის დიმიტროვის სახელობის მუზეუმში, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის მუზეუმში შეიქმნა სპეციალური ექსპოზიცია — „გ. დიმიტროვი და საქართველო“. თბილისში დაბრუნების შემდეგ ალ. მირცხულავამ ახალ მასალებს მიაკვლია გ. დიმიტროვზე და მათი ასლები გადაუგზავნა ბულგარელ მეგობრებს. კეთილი საქმისა და ბულგარეთთან ნაყოფიერი მეცნიერული თანამშრომლობისათვის ქართველმა მკვლევარმა სოფიიდან მიიღო მადლობის წერილი ბულგარეთის კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძ-

ღვანელის, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის ც. დრაგოიჩევის ხელმოწერით.

1961 — 62 წლებში ბულგარეთში სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი კარლო მეშველიანი, რომელსაც დიდი მეგობრული დახმარება აღმოუჩინეს ბულგარელმა კოლეგებმა პოპოვმა, სტოიკოვმა, გ. მუტაფჩიევამ, ს. დიმიტროვმა სოფიის კორალოვის სახელობის ბიბლიოთეკაში საკუთარ მასალებისა და დოკუმენტების მიგნებასა და ასლების გადაღებაში. ამ სამეცნიერო მივლინებისა და ბულგარელ კოლეგებთან თანამშრომლობის შედეგად საქართველოს ისტორიოგრაფიამ მიიღო კ. მეშველიანის ნაშრომი: „ბულგარეთის არქივებში დაცული ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ“, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების 127-ე ტომში დაიბეჭდა 1968 წელს. მანამდე კ. მეშველიანმა გამოაქვეყნა ნაშრომი: „ბულგარელი ხალხის ბრძოლა თუოქ დამპყრობთა წინააღმდეგ XV — XVI საუკუნეებში“¹¹⁴.

ბულგარელი მეცნიერები და საზოგადოებრიობა ინტერესი იჩენენ ქართველ ლიტერატურულ მკვლევართა და მეცნიერთა ნაშრომებისადმი; 1961 წელს ბულგარეთიდან ითხოვდნენ პროფ. ფანჩულიძის წიგნს „ფრანგი მწერლები“.

სამეცნიერო მივლინებით ბულგარეთში რანდენჯერმე იმყოფებოდა თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი რევაზ სირაძე, რომელმაც რამდენიმე საინტერესო მეცნიერული ნაშრომი გამოაქვეყნა ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობაზე.

ქართველ მეცნიერებს თითქმის ყოველთვის იწვევენ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, ყრილობებზე, ფორუმებზე, კონგრესებზე, რომლებიც ბულგარეთში იმართება.

1969 წელს ქართველი სპეციალისტები მონაწილეობდნენ ანატომისტთა კონგრესში, რომელიც სოფიაში შესდგა. 1970 წელს ქართველი მეცნიერები ესწრებოდნენ ბულგარეთის ეროვნულ კონფერენციას. რომელიც განიხილავდა თეორიული მექანიკის საკითხებს. 1970 წელს ქ. ველიკო ტირნოვოს უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანის პროფ. ს. ვაკლინოვის მიწვევით ერთ თვეს მუშაობდა ბულგარელ ეთნოგრაფებთან ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ ჩიქოვანი.

¹¹⁴ იხ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 63, 1956, გვ. 153—182.

ბულგარელი ეთნოგრაფები ა. პრიმოვსკი. ტ. კოლევა, გ. მიხაილოვა და სხვები თავიანთ მეცნიერულ კვლევა-ძიებას ბალკანურ-კავკასიურ პარალელების მიმართებითაც აწარმოებენ¹¹⁵.

1970 წელს ქ. ვარნაში გაიმართა სოციოლოგთა VII მსოფლიო კონგრესი. მის მონაწილე საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში წარმოდგენილი იყო 4 ქართველი მეცნიერი: აკად. პაატა გუგუშვილი, პროფესორები მიხეილ გეგეშიძე, ვენოზ ქვაჩახია და იური-დიულ მეც. კან. ანზორ გაბიანი. სოციოლოგთა თავყრილობას მიესალმა ბულგარეთის კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი ტოდორ ჟივკოვი, რომელმაც წარმატებები უსურვა მეცნიერთა დღემნიშვნელოვან ფორუმს. კონგრესის ერთ-ერთ სპეციალურ სექციაში მოხსენებით გამოვიდა აკად. პ. გუგუშვილი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფ. გეორგ უზუნოვი რამდენჯერმე იყო საქართველოში. იგი თბილისთან დაკავშირებულია არა მხოლოდ საქმიანი კონტაქტებით, შემოქმედებითად, არამედ მეგობრული ძაღლითაც. რომელიც გაბმულია გ. უზუნოვსა და მის ქართველ კოლეგებს შორის. ბულგარელი პროფესორი ფსიქიატრიისა და ნერვოპათოლოგიის სფეროში მუშაობს და კარგად იცნობს თავისი დარგის ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს. იგი მთელ რიგ საინტერესო პრობლემებს ამუშავებს ჩვენს სპეციალისტებთან ერთად. ასე მაგალითად, აკადემიკოსი პეტრე სარაჯიშვილი და გ. უზუნოვი ერთად მუშაობდნენ ზოგიერთ ეპილეფსიურ დაავადებაზე. პროფ. გ. უზუნოვი კარგად იცნობდა და აქტიურ შემოქმედებით კავშირ-უტოიერთობაში იყო ჩაბმული ცნობილ ქართველ მეცნიერ აკად. ა. ზურაბაშვილთან. 1967 წელს ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. უზუნოვი თბილისში მონაწილეობდა საქართველოს ნერვოპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოების მუშაობაში.

1968 წლის სექტემბერში საქართველოში იმყოფებოდა ბულგარეთის სახალხო განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ორგანოს „უჩიტელსკო დელოს“ სპეცკორესპონდენტი პენჩო ჩერნაევი, რომელიც გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემას და სკოლების მუშაობას. იგი მიიღო განათლების მინისტრმა თ. ლაშქარაშვილ-

¹¹⁵ თ. ჩიქოვანი, ეთნოგრაფია ბულგარეთში ჟურ. „მაცნე“, 1971, № 1, გვ. 186—188.



გულკარელ ქალთა დელეგაცია საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში.

მა და აქტუალურ საკითხებზე ხანგრძლივად ისაუბრეს, რომლის შინაარსიც შემდეგ გამოქვეყნდა ბულგარეთის გაზ. „უჩიტელსკო დელოში“. ქართულ პრესასა და სამეცნიერო გამოცემებშიც ბევრი ბულგარელი სახელმწიფო მოღვაწის, მეცნიერისა და ჟურნალისტის სტატიებია დაბეჭდილი, განსაკუთრებით მოგზაურთა შთაბეჭდილებები. მაგალითად ისიც კმარა, თუ დავასახელებთ ბულგარელი ეთნოგრაფის ნაშრომს, რომელიც ჩვენი სპეციალისტებისათვის მეტად საინტერესოა¹¹⁶. ფრიად საყურადღებო იყო ბულგარელი არქეოლოგის გიორგი ილიას ძე გიორგიევის ყოფნა საქართველოში. იგი საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად თხრიდა ქ. ნოვო-ზაგორასთან უძველეს ნამოსახლარ ეზეროს, რომლის მცხოვრებთ, გ. გიორგიევის მტკიცებით, მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ ტროელებთან. ქართული და ბულგარული არქეოლოგიური მასალის შესწავლა-შეჯერების საფუძველზე მეცნიერი ფიქრობს, რომ აკავკასიის კულტურა და ყოფა ანალოგიებს პოულობენ ეზეროს კულტურასთან და აცხადებს: საქართველოში აღმოჩენილ ცალკეულ ნივთიერ მასალასა და კოლექციებს, რომლებსაც მე ვავეცანი, ბევრ რამეში გააჩნიათ მატერიალური კულტურის საფუძველთა განვითარების ისეთივე მსგავსი ერთობლიობა, როგორც ჩვენს სამხ. დასავლეთის მიწა-წყლის მატერიალურ კულტურასო¹¹⁷.

საქართველოსა და ბულგარეთის მეცნიერთა შემოქმედებით ფერხულში ჩაბმული არიან გეოლოგებიც. აკად. გ. ა. თვალჭრელიძემ და სპილენძის საბადოთა ქართველმა სპეციალისტმა ვ. ი. ბუაძემ 1969 წელს თენახევარი დაჰყო ბულგარეთში. მათ ქმედითი დახმარება აღმოუჩინეს ბულგარელ კოლეგებს ფერადი ლიზონების საბადოთა გაფართოებაში. 1965 წელს გ. თვალჭრელიძემ გულდასმით შეისწავლა ქ. ვრაცასთან მდებარე ისკირის ხეობის უძველესი ხანის მთამადნეულის უბნები და გამოიკვლია მათი გეოლოგიური თავისებურებანი. ამის საფუძველზე ბულგარელმა გეოლოგებმა აღმოაჩინეს ახალი საბადოები. გ. თვალჭრელიძემ ბულგარელებს მიაწვდინა აგრეთვე ტყვიისა და თუთიის სრულიად ახალ საბადოებზე. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა როდოპის მთების მიტოვებული მღაღაროების განახლებისა და ტყე-

¹¹⁶ ა. პ. ი. მ. ვ. ს. კ. ი., როდოპის ბულგარელების ყოფა-ცხოვრების შესახებ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. 16—17, 1972, გვ. 65—68.

¹¹⁷ გაზ. «Вечерний Тбилиси», 19. XII. 1973.

ისა და თუთიის ღარიბმადნეულის ხელმეორედ დამუშავების საქმეშიც. ქართველმა მეცნიერებმა მთელი თავიანთი პროგნოზები და ექსპერიმენტული წინადადებანი, რომლებიც ბულგარეთში მოპოვებული მასალების დამუშავების საფუძველზე მიიღეს, პრაქტიკული გაანგარიშებით განმტკიცებული, უსასყიდლოდ გადასცეს მოძვე ბულგარეთის გეოლოგებს. უანგარო შემოქმედებითი თანამშრომლობის შემდეგ ორივე ქვეყნის მეცნიერებმა გადაწყვიტეს ჩაეტარებინათ ერთობლივი გეოლოგიური კვლევა-ძიებანი მაგმატიზმსა და მეტალოგენიაში ბულგარეთის შუამთიანეთსა და ჩვენს მცირე კავკასიაში.

თანამედროვე მძიმე მეტალურგიის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მაღალხარისხოვან მანგანუმს. ფოლადის უმაღლესი მარკის მისაღები ტექნოლოგიური პროცესი მოითხოვს. მანგანუმის მტკიცე შენადნობებს. ფოლადის დნობის ახალმა მეთოდებმა და ტექნოლოგიამ მადნეულის ახალი ხერხებით დამუშავება მოითხოვა. ამიტომ არაკონდიციური ღარიბი მანგანუმის მადნის გადამუშავება და გამდიდრება თანამედროვე მეტალურგიის № 1 პრობლემად იქცა. ქართველმა მეცნიერებმა პროფ. მ. კეკელიძის ხელმძღვანელობით გრანდიოზული კვლევა-ძიება ჩაატარეს და პრობლემა ორიგინალური ხერხებით დადებითად გადაჭრეს. მის საფუძველზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა ბულგარელი კოლეგებისათვის შემუშავეს სილიკომანგანუმის და ნახშირბად ფერომანგანუმის წარმოების ახალი ტექნოლოგია. ქართველმა სპეციალისტებმა გაითვალისწინეს ბულგარეთის კარბონატული მადნის თავისებურებანი და მნიშვნელოვნად გაადიდეს მანგანუმის მიღება ნაზავიდან, თანაც 3-ჯერ შეამცირეს წიდასთან ერთად დანაჯარგები. ამ სახელმწიფოებრივი საქმისთვის ბეჯითად შრომობდა მეტალურგიის ინსტიტუტის მთელი კოლექტივი, ჰიათურის მანგანუმის ტრესტისა და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაკები. მათთან ერთად ენერგიულად მუშაობდა ბულგარელი მეცნიერი ასენ გეორგიევი, რომელიც გაოცებული იყო მეგობარი კოლეგების თავდადებული შრომითა და საერთო საქმისადმი ერთგულებით. 1970 წელს ბულგარელი მეცნიერებისაგან ქართველმა სპეციალისტებმა დიდი მადლობა მიიღეს ახლად აღმოჩენილი მანგანუმის საბადოს მეცნიერული შესწავლისა და მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგიის შემუშავებაში გაწეული დახმარებისათვის. უწყვეტია ქართველ და ბულგარელ სამთომადნო

მრეწველობის მუშაკთა შემოქმედებით-პრაქტიკული ურთიერთობა, რომელიც ძმური მეგობრობის ხასიათს ატარებს.

1968 წელს, რუსთავეში, ქართული მეტალურგიის ცენტრში, საწარმოო პრაქტიკისათვის ჩამოვიდა 50 ბულგარელი. ისინი ჩვენში სწავლობდნენ მილსაგლინავი წარმოების ტექნოლოგიას. მათზე ადრე რუსთავეში საწარმოო პრაქტიკა გაიარეს ბულგარელმა მეზრძმედებმა. 50 ბულგარელი მეტალურგის ხელმძღვანელმა, ინჟინერმა სრისტო ხრისტოვმა ალალმართლად თქვა: „მოხარული ვართ იმით, რომ შევიძინეთ მდიდარი გამოცდილება რუსთაველი მეტალურგებისა. რომლებიც ძმებით შეგვხვდნენ“. რუსთავეის ფოლადსავეთ ნაწრთობი ძმობა და მეგობრობა, აზრთა და გამოცდილებათა გაზიარება ქართველ და ბულგარელ ტექნიკურ ინტელიგენციას შორის დღესაც გრძელდება მშვიდობის ბურჯთა განსამტკიცებლად. სისტემატურად წარმოებს საქართველოსა და ბულგარეთის ტექნიკური დარგის მუშაკთა ჯგუფების მოგზაურობა. მოაქვს მატერიალური ნაყოფი ასეთ კონტაქტებს? მოაქვს! ამასთან კარგი და სახარბიელო. დელეგაციების გაცვლა-გამოცვლა მიზანშეწონილია ორივე ქვეყნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კონსტრუქციული გაუმჯობესების და სახალხო მეურნეობის განვითარების თვალსაზრისითაც.

1967 წელს ბულგარეთში იმოგზაურა სოციალისტური შრომის გმირმა, თბილისის ჩარხმშენებელი ქარხნის ოსტატმა შოთა ფირცხალავამ. ქ. სოფიის ჩარხმშენებელ ქარხანაში ერთი დეტალის დამზადებისას მუშას თითქმის უბრალო რამ გაუსწორა და აჩვენა, მაგრამ ეს უნებლიე ჩარევა ისეთი რაციონალური გამოდგა, რომ ქართველი კაცის ოსტატობის ამბავი ქარხნის მთელ კოლექტივს მოედო. სტუმრის მოხერხება ისე მოეწონათ, რომ მთელს წარმოებაში უმაღლეს დანერგეს. „გამომგონებელი“ შ. ფირცხალავა კი მუშათა თხოვნით 5 დღეს დატოვეს და სამერმისოდაც მიიპატიჟეს. ვალში არც ბულგარელები დარჩენილან — ქართველ ოსტატს ქარხანა „სატუმბის“ დათვალიერებისას მოეწონა ერთი ინსტრუმენტი, რომელსაც 4 საბურღი ჰქონდა და ერთბაშად 4 ოპერაციას ასრულებდა. თბილისში კი მხოლოდ ერთი ბურღით მუშაობდნენ. ბულგარეთ-საქართველოს ტექნიკური ურთიერთობის ამ ერთ-ერთი მოცემულის მეოხებით ბურღვის ბულგარული ეკონომიური მეთოდი ჩვენშიც დაინერგა.

ამასთანავე, ფართოვდება და მტკიცდება სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა საქართველოსა და ბულგარეთს შორის.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკიდან ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა და ციტრუსოვანი ღებულობის მაღალხარისხოვან ნედლეულს, ნაყოფს, სავაჭრო ორგანიზაციები კი შესანიშნავ კონსერვებს. სამაგიეროდ, აქარის ასრ ბულგარეთს უგზავნის ნატურალურ კოფეინს, ავტოტრანსფორმატორებს, ნავთობპროდუქტებს. ამრტომაც, 1972 წელს ბულგარელებმა სწრაფად და მაღალხარისხოვნად აგვიგეს ტანკერი „დროგობიჩი“.

1968 წლის იანვარში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ბულგარეთის სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის მუშაკთა დელეგაცია ტექნიკური პროგრესის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პროფ. ი. პოპოვის მეთაურობით. ისინი დაესწრნენ საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე მოწყობილ ბულგარეთის გამოფენის გახსნას და ღირსეულად გულისყურით გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის ტექნიკური ცხოვრების მაგისტრებს. სტუმრები ცნობისმოყვარეობით სინჯავდნენ საქართველოს მრეწველობის ექსპონირებულ პროდუქციას. ბულგარელი სპეციალისტები ეწვივნენ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, რომელიც საინჟინრო პროფილის 77 სპეციალობისათვის ამზადებს კადრებს და რომელმაც თავისი არსებობის 45 წლის მანძილზე 36 ათასზე მეტი ინჟინერი გამოუშვა. ბულგარეთის ტექნიკურ მუშაკთა დელეგაცია გაეცნო ინსტიტუტის სასწავლო-აღმზრდელობით და მეცნიერულ მუშაობას, სამრეწველო ელექტროტექნიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის კაბინეტებს; დაათვალიერეს ბიბლიოთეკა, რომელშიც 1.200.000 ტომია დაცული. ბულგარეთის დელეგაცია შეხვდა კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს. ისინი ძალზე დაინტერესდნენ ქართული მეცნიერების ხანგრძლივი პროგრესისა და დაგეგმვის საკითხებით. ბულგარელი მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეთა პატივსაცემად საქართველოს მთავრობამ დარბაზობა გამართა.

ბულგარეთ-საქართველოს მეცნიერული ურთიერთობის აპოთეოზს წარმოადგენდა ბულგარეთის აკადემიის დაფუძნების 100 წლისთავზე ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის 1970 წლის ბრძანებულება, რომლითაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ღვაწლმოსილი პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი კირილესა და მეთოდეს პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა მსოფლიო მეცნიერების განვითარების და ბულგარეთ-საქართველოს მეცნიერულ-საკვლევო კავშირ-ურთიერთობის განმტკიცებისათვის. საპატიო და დამსახურებულ ღირსეული ჯილ-

დოს მიღების გამო საბჭოთა მათემატიკური სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა მორიდეებით განაცხადა: „მომე ქვეყნის, — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, — საპატიო ჯილდოს მე ვღებულობ არა მხოლოდ როგორც საკუთარს, არამედ როგორც ქართული მეცნიერების მიღწევათა მაღიარებელ, ორი აკადემიის — ბულგარეთისა და საქართველოს — მეცნიერული თანამშრომლობის განმტკიცების დამადასტურებელ ჯილდოს“.

ქართველ და ბულგარელ მეცნიერთა თანამშრომლობის ნაყოფიერებაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში და სამთო მექანიკის ინსტიტუტში 1974 წელს მიღებული მაღლობით აღსავსე წერილი, რომელიც ეკუთვნის ბულგარეთის „მეტალურგიისა და მადნეულის მოპოვების“ გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილეს, ინსტიტუტ „ნიპრორუდის“ დირექტორს კ. კოვაჩევს. ქართველი და ბულგარელი მეცნიერები წლების მანძილზე აწარმოებდნენ ერთობლივ კვლევა-ძიებას ადრე დაწუნებულ მარგანეცის საბადოს „ობროჩნიშჩეს“ რაციონალურად დამუშავებისათვის. ქართველ მეცნიერთა მცდელობით, კერძოდ პროფ. ი. ზურაბაშვილისა და ბულგარეთის „ნიპრორუდის“ დირექტორის მოადგილის პ. დოსკალოვის ხანგრძლივი ერთობლივი მუშაობით „ობროჩნიშჩეს“ საბადოები ექსპლოატაციაში შეიყვანეს. ორი მაღაროდან 1973 წელს მიიღეს 40.000 ტონა მარგანეცის მადანი, 1974 წლისათვის კი განზრახული იყო მუშაობის ისე წარმართვა, რომ წლიურად მიეღოთ 400.000 ტონა. ამ ამოცანის განსახორციელებლად, — როგორც კ. კოვაჩევი იუწყებოდა, — ბულგარეთში გადაწყვეტილი იყო გაეგრძელებინათ ქართველი და ბულგარელი სამშომადნო სპეციალისტების ერთობლივი კვლევა-ძიებანი ხარისხიანი მარგანეცის მოპოვების განსახორციელებლად.

შრომითობა სოფლის მეურნეობაში

ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურულმა ურთიერთობამ და თანამეგობრობამ სოფლის მეურნეობაშიც შეაღწია, რადგან ორივე ქვეყანა სოფლის მეურნეობის მაღალი კულტურით ხასიათდება. ორივე ხალხის ხილ-ბოსტნეული, ბღჩეული და მარცვლოვანი კულტურები განთქმულია მთელ მსოფლიოში. ასეთ ხალხს უფლება არა აქვს საკუთარ ნაქუტში გამოიკეტოს; კეთილი კაცი, გამრჯე მუშაკი ისე როგორ გაძუნწდება და გაბოროტ-

დება. რომ მადლიერ მიწაზე მოწეული ქირნახულის სიკეთე სხვას არ გააცნოს, არ უწილადოს. ამ გრძნობით, ამ ხასიათით ზელმძღვანელობდა ქართველი გლეხი, როცა შორეთში გადახიზნული თავის ბედს მწარედ დასტიროდა, მაგრამ მარჯვენით მაინც მიწას ეჭიდებოდა. ვენახი და ქართველი კაცი ცალ-ცალკე ძნელად წარმოგვიდგება — ორივე ერთად შობილა და შეზრდილა თითქოს. ქართული ჯიშის ვაზის კულტურამ მეზობელ ხალხთა ზეარ-ვენახებშიც შეაღწია და დაიდო ბინა. მირონცხებულმა „რქაწითელმა“ მადლიანა ნიადაგი ჰპოვა ბულგარეთის მიწა-წყალზე და მხრები გაშალა. ბულგარეთში თავი ამოჰყო კახურმა „საფერავმაც“. ამ მადლიან საქმეში მეგობრობას და კულტურულ ურთიერთობას მიუძღვის წვლილი.

1950-იან წლებში პირველი კონტაქტები და კავშირ-ურთიერთობა დამყარდა საქართველოს მევენახეობა-მებაღეობის სამეცნიერო-კვლევით და ბულგარეთის ქ. პლოვდივის ანალოგიური ტიპის ინსტიტუტს შორის. ბულგარეთში გაიხარა ქართული ჯიშის ვაზმა. მისგან ბულგარელები საუცხოო სამარკო ღვინოებს აყენებენ. ეარნის მევენახეობისა და მეღვინეობის საცდელ სადგურს, რომელიც სვიატოსლავ (ლაჩკა) ნენოვმა დაარსა, 1961 წელს 40 ჰექტარი მამული ჰქონდა და ვენახს ეკავა მხოლოდ 15 ჰექტარი, რომელზედაც ზარობდა ძველი ჯიშები: „ბულგარი“, „დიმიტრი“, „პერლ დე კსაბა“ და ჩვენებური „რქაწითელი“ და „საფერავი“. 1962 წლის სექტემბერში, როცა თბილისში X საერთაშორისო კონგრესი შესდგა და თავი მოიყარა ოცზე მეტი ქვეყნის წარმოგზავნილმა მევენახე-მეღვინეებმა, მომხსენებელთა შორის გამოარჩეოდნენ ბულგარელები: პროფ. გ. სტოევი, კ. სტოევი და ს. ნენოვი. ისინი ქართული ვენახის „მოციქულებს“ მეგობრობის ვაზებად იხსენიებდნენ. ვაზი და ღვინო ოდითგან მართლაც ძმობისა და მეგობრობის, მშვიდობისა და კეთილდღეობის სიმბოლო იყო. 1960-იან წლებში „რქაწითელსა“ და „საფერავთან“ ერთად ბულგარეთში გაიგზავნა იმერული „ციცქა“ და „ცოლიკაური“. პირველივე მოსავლიდან მიღებული ღვინით ბულგარული დეგუსტატორები დარწმუნდნენ, რომ ქართული ვაზის ნაყოფმა მეგობრულ უცხო მიწაზეც შეინარჩუნა მშობლიური გემოვნება, არომატი და სარგებლიანობა. 1965 წლის ჯაზაფბულს ზესტაფონის, გურჯაანის, თელავის, ყვარლის მევენახეებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს თხოვნით ბულგარეთში გაგზავნეს ნამყენი ვაზის 5 მილიონი კონა. ბულგარელი კოლეგები ვალში არ დარჩენილან და იმავე წელს მიხალცევოს, სტრაჟიცას,

კორტენის, ვარნისა და სხვა კოლექტიური მეურნეობების საჯინგ-სანერგეებიდან იმერეთის, კახეთისა და ქართლის მეურნეობებს მოაწოდეს ნახევარი მილიონი ნერგი, რომელიც საქართველოდან ბულგარეთში გაგზავნილი ნამყენებიდან უხარებიათ. ამ გაცვლა-გამოცვლამ სისტემატური ხასიათი მიიღო. 1966 წლისათვის ბულგარეთში გაიგზავნა ქართული ნაყენის მეორე პარტია 8 მილ. კონის რაოდენობით; სამაგიეროდ, ბულგარეთიდან მოელოდნენ მილიონობით გახარებულ ვაზის ნერგს მეჩხერი ზვრების შესავსებად და ახალი პლანტაციების გასაშენებლად. სოფლის მეურნეობაც ძმობისა და სიყვარულის შემაკავშირებელ ძარღვად იქცა იმ ბუმბერაზ ორგანიზმში, რომელსაც ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა ეწოდება.

ვაზის ნაყოფს დაწურვა, კარგი დაყენება და შენახვა სჭირდება. ამ მიზნით ბულგარეთის ქ. ჩირპანში უახლესი საბჭოთა ტექნიკური მოწყობილობებით აშენდა ღვინის დიდი ქარხანა. რომელაც მუშაობს შამპანიერების უწყვეტი. საბჭოთა კავშირში პირველად შემუშავებული და დანერგილი მეთოდით. რუს სპეციალისტებთან ერთად ჩირპანის ქარხნის მშენებლობასა და დამონტაჟებაში მონაწილეობდა ქართველი ინჟინერი ტრესტ „ორგანიზპრომის“ თანამშრომელი შოთა ჩხუბიანაშვილიც. 1967 წელს იგი თბილისის შამპანური ქარხნის სპეციალისტ ა. ქურდაძესთან ერთად ქალ. ლასკოვეცის ანალოგიური ტიპის ღვინის ქარხნის მშენებლობასა და მონტაჟზე მუშაობდა. შ. ჩხუბიანაშვილის რაციონალიზატორული წინადადებით ღვინის ნაკადის სიჩქარისა და სათავსოებში (ბუტებში) წნევის რეჟიმის ავტომატური რეგულირება დანერგეს. ამ კონსტრუქციულმა სიახლემ საგრძნობლად გააუმჯობესა შამპანურის ხარისხი და, შეამცირა რა პროდუქციის ზედნადები ხარჯები, გააიფხუვა ღვინის ღირებულება. ა. ქურდაძის ინიციატივით კი გააუმჯობესეს ღვინის დამუშავების ტექნოლოგიას თავდაპირველი პროექტი. შემოქმედებითი ძიების, შრომითი წარმატებისა და მეგობრული დახმარებისათვის შ. ჩხუბიანაშვილი დააჯილდოვეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის შრომის ორდენით. საზომ-საკონტროლო მექანიზმებისა და ავტომატიკის ქართველი სპეციალისტი დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა ჩირპანის ქარხნის ექსპლოატაციაში შესავსებად. ამგვარად, ბულგარეთი იქცა მეორე ქვეყნად. სადაც ქართველი სპეციალისტების მეოხებით პირველად გამოიყენეს უწყვეტი ანუ მუდმივი შამპანიერების უახლესი ტექნოლოგია და ტექნიკური სიახლენი.

სეტყვის წინააღმდეგ ერთობლივი მუშაობის და ღონისძიება:

თა კოორდინირების მიზნით ბულგარელმა და საბჭოთა სპეციალისტებმა სამეცნიერო თანამშრომლობის კონტრაქტი დადეს. საბჭოთა კავშირმა ბულგარეთს მიწოდა სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები, რაკეტები, მოწყობილობანი. 1968 წლის ივნისში კისტუმარად გვეწვივნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებიც სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებათა გასაცნობად ჩამოვიდნენ საქართველოში. დელეგაციის წევრები — ბულგარეთის მიწათმოქმედების მინისტრის მოადგილე ს. კნევი, ინჟინერი ე. პავლოვა, მოსკოვში ბულგარეთის სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელი ხ. პოპოვი იყვნენ კახეთში, სადაც გაეცნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის მუშაობას და მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სეტყვის წინააღმდეგ მებრძოლ სამსახურს. სტუმრები ცდილობდნენ სტიქიური მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის დეტალებს ჩასწვდომოდნენ, მათ მოინახულეს საჭაროვლოს სოფლის მეურნეობის ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც და გაეცნენ მანქანათა გამოცდის სადგურის საქმიანობას. ბულგარეთი განვითარებული სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა და მებაღეობა-მევენახეობას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ, სეტყვის საწინააღმდეგო ღონისძიებებს ბულგარელები მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ. საქართველოს და ბულგარეთის ერთნაირმა დაინტერესებამ განაპირობა ორივე ქვეყნის ამავეარი დაახლოება და სპეციალისტთა ურთიერთობაც. ბულგარელი სპეციალისტების სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რესპუბლიკის სათანადო ორგანიზაციების გადაწყვეტილებით 1968 წლის შემოდგომის სეზონზე ბულგარეთში მიიწვიეს ქართველ მეცნიერთა ჯგუფი ა. ქარცივაძის, ა. ორჯონიკიძის, ტ. სალუქვაძისა და სხვათა შემადგენლობით. ისინი რამდენიმე თვის განმავლობაში სწავლობდნენ ბულგარეთის მევენახეობის ზოგიერთ რაიონში სეტყვის მოვლენათა სპეციფიკასა და ხასიათს. ქართველმა „მეზენიტებმა“ შეარჩიეს პოლიგონები, მოამზადეს კადრები, შეიმუშავეს და დაამზადეს სპეციალური რადიო-ლოკაციური სადგური. ასე დამყარდა მეგობრული თანამშრომლობა და პრაქტიკული საქმიანობა საქართველოს გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებსა და ბულგარეთის მშვიდობიან არტილერიისტთა შორის.

მევენახეობა-მელვინეობის სტიმულირებისა და ყურძნის პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 1955 წლიდან ტარდება საერთაშორისო სადევუსტაციო სამუშაოები. ერთი ასეთი

დონისძიება 1966 წელს ბულგარეთში გაიმართა და ახალმოსახ-
ლე „რქაწითელს“, „საფერავს“, „ციცქასა“ და „ოლიკაურს“ დე-
დუღეთში მოყვანილ-დაკავშირებულმა ღვინოებმა იოლად სძლი-
ეს — საკონკურსოდ წარდგენილმა თითქმის ყველა ქართულმა
ღვინომ და კონიაკმა მედლები მიიღო. 1966 წლამდე გამართულ 10
საერთაშორისო კონკურსში ქართულმა ღვინოებმა 557 მედალი
(75 ოქროსი, ამდენივე ვერცხლის და დანარჩენი ბრინჯაოსი) დაიმ-
სახურეს. კონიაკმა კი — 313 მედალი. 1972 წლისათვის საქარ-
თვლოს მევენახეობა-მეღვინეობის ჯილდოთა სკივრში 113 ოქრო
ბრწყინავდა. რომელსაც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში
წეორედ გამართულ საერთაშორისო კონკურსზე მოპოვებული 7
ოქროს მედალიც მიემატა. ჩვენი „სამტრესტი“ ბულგარეთს ეწ-
ვია სუფრის ღვინის 6 და კონიაკის 3 ნიმუშით. მათგან ოქროს მე-
დლით დაიმჯერა იარლიყი „წინანდალმა“, „მუქუზანმა“, „ყვარელ-
მა“, „ახაშენმა“ და კონიაკმა „თბილისმა“, „საქართველომ“ და
„ვარძიამ“; „ტიბაანი“ და „კარდანახი“ ვერცხლის ჯილდოთი დაკ-
ნაყოფილდნენ. ქართული ჩამომავლობის გაბულგარებულმა „რქა-
წითელმა“ და „საფერავმა“ ტოლი ვერ დაუდეს სამშობლოდან
სტუმრად ჩასულ თავის ძმებს.

მეცნიერულ-შემოქმედებითი და მეგობრული კავშირ-ურთი-
ერთობა სუფევს ქართველ და ბულგარელ ბოტანიკოსებს შორის.
რურისტული მოგზაურობისა და ბულგარეთის ფაუნის გაცნობის
გარდა. ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომე-
ლმა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატმა მარინე ივანიშვილმა
შეისწავლა ასტრავალის ახალი სახეობა, რომელიც ბულგარეთი-
დან მიიღო. ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სა-
მეცნიერო ტექნიკის დარგში, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდი-
დატი სულხან შარაშიძე კოლეგებს მოუთხრობს ბულგარელ მეც-
ნიერთა გამოცდილებაზე, რომელიც დაკავშირებულია ატროტამ-
ბაქოს კულტივირების სიახლეებთან. ბიოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი დაინტერესებულ თანამემამულეებს აცნობს თუ როგორ
ახარებენ კაკლის ხეს ბულგარეთში და ამრავლებენ ამ შესანიშნავ
ხეს. სოფლის მეურნეობის სპეციალისტი და მეცნიერი ფრიდონ
სეფიაშვილი 1970 წელს ბულგარეთში გაემგზავრა პლოვდივის მე-
ხილეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობის გა-
საცნობად და იქ ქართული ხილის ბაღს ახალი სიცოცხლე მიანი-
ჭა. 1964 წელს 10 დღე დაჰყო მოძმე ბულგარეთში სოხუმის ეთერ-
ზეთოვანი კულტურების საცდელი სადგურის დირექტორმა, სოფ-

ლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ე. ჩიქვანაიამ, რომელიც ეთერზეთოვანი კულტურებისა და ეთერზეთების წარმოების მსოფლიო კონგრესში მონაწილეობდა.

ომის შემდგომი პერიოდის ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობა ხელოვნებაში

ხელოვნება ისეთი ჯადოსნური სამყაროა, რომლისთვისაც არ არსებობს გეოგრაფიული საზღვრები, ენობრივი ბარიერები და აღქმის დამაბრკოლებელი სიძნელეები. მუსიკას, სიმღერას, ქორეოგრაფიას, ფერწერას, სკულპტურას, ცირკს, კინოსა და თეატრს ერთი, საერთაშორისო ენა ესადაგება და პორიზონტი არ გააჩნია. ხელოვნება აღქმას, მხედველობას, სმენას, ემოციას. შეგრძნებას ექვემდებარება და, მაშასადამე, ყველა ერის წარმომადგენლისათვის ხელმისაწვდომი, მისაღები, გასაგებია. ასე პრივილეგირებული რეალისტური და ხალხური ხელოვნება მსოფლიოს გარშემო თავისუფლად ნავარდობს, ყველა ქვეყანაში იოლად აღწევს. დაუბრკოლებლად ვრცელდება და მასების საკუთრება ხდება.

ხელოვნებაში ყველაზე მეტად მუსიკალურ კულტურას შეუძლია თავი გამოიჩინოს. სხვა საშუალებებზე რომ არაფერი ვთქვათ, მართო რადიოტალღები და ტელევიზია კმარა მის გასავრცელებლად. ამ მხრივ საქართველო და ბულგარეთიც გამოწვევის არ შეადგენენ. მუსიკით ძალზე განებივრებულ ბულგარეთში შვიდამდე საოპერო თეატრი, რამდენიმე კონსერვატორია, სიმფონიური ორკესტრი და მრავალი მუსიკალური სასწავლებელია; თითქმის ყველა ქალაქში და ზოგიერთ სოფელშიც კი არის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ახლა, ბულგარულ მუსიკას და სიმღერებს სადღე არ გაიგონებთ. სად არ მოისმენთ. დიდი პოპულარობით სარგებლობს ბულგარეთის პროფესიონალური მუსიკა და ხალხური და საესტრადო სიმღერები ჯადოსნური მომხიბლაობის მომღვაწე ლილი ივანოვასთან ერთად. ჩვენთვისაც საამოდ ღირს დამატყუებელი მელოდია ბულგარული „სიყვარულისა“. ქართველთა მუსიკალური სმენა დაატყებს ბულგარეთის საოპერო ხელოვნების გამოჩენილმა ვოკალისტებმაც. მაგრამ არც საქართველო ჩამორჩება თავისი მუსიკალური საუნჯის საერთაშორისო კულტურულ სარბიელზე გატანითა და დემონსტრირებით.

სადღესოდ ჩვენ არ გვეგულის ადამიანი, რომელსაც ქართული ჰანგი ჯერ არ სმენია, არ ჩაწვდომია ჩვენი ერის პოლიფონ-

ნიური სიმღერების შნო და ლაზათი, არ დამტკბარა პროფესიონალური მუსიკის შედეგებითა. ყოველივე ეს გაბედულად იქმნის მოძმე და მეგობარ ბულგარელ ხალხზე, რომელთაც „მოხეტიალე ნუსიკოსის“ ილიკო ქურხულის მიერ გავრცელებული სიმღერებიც კარგად ახსოვთ. ქართული მუსიკა, სიმღერები და მელოდიები ბულგარეთში დღეს დიდ მოწონებაშია და საოცარია, რომ მას ასრულებენ არა მხოლოდ ბულგარელები, არამედ იქ საგასტროლოდ ჩასული უცხოელი ანსამბლებიც. აი ფაქტიც: 1964 წელს ბულგარეთში ტურისტული მოგზაურობის დროს სახალხო განათლების ქართველ მუშაკთათვის ყოველ საღამოს ქართულ მელოდიებს უკრავდა და სიმღერებს ასრულებდა ქალ. ვარნაში იმკერად მყოფი პოლონური საესტრადო ორკესტრი¹¹⁸ — ყველაზე ხშირად კი კომპოზიტორ რეკავ ლალიძის „სიმღერას თბილისზე“.

1964 წლისათვის ახალგაზრდა, მაგრამ რამდენიმე საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის ელისო ვირსალაძის საფორტეპიანო კონცერტების პროგრამა, რომლითაც იგი ბულგარეთში გამოდიოდა, შედგენილი იყო კლასიკური და თანამედროვე კომპოზიტორების შოპენის, შუმანის, შუბერტის, ლისტის. პროკოფიევის, შოსტაკოვიჩისა და ალიქსი მაჭავარიანის ნაწარმოებებისაგან. გაზ. „ნაროდნა კულტურას“ რეცენზენტის სიტყვებით რომ ვთქვათ. ეს იყო უაღრესად ძნელი და დიდი გემოვნებით შედგენილი პროგრამა. ქართველი პიანისტის დიდოსტატობით აღფრთოვანებული მსმენელი ენთუზიაზმით იწვევდა ავანსცენაზე გასტროლიორს — პრესა კი წერდა: „ელისო ვირსალაძით მოხიბლულნი ვართ“. 22 წლის პიანისტი სოფიაში უკრავდა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის ერთთვიურთან და სიმფონიური მუსიკის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით. ე. ვირსალაძის გასტროლებმა და ადგილობრივ მუსიკალურ წრეებთან უშუალო კონტაქტმა ხელი შეუწყო ქართულ-ბულგარულ საშემსრულებლო ტექნიკის გაცნობას. ორივე ხალხის დაოსტატებულ ხელოვნათა გამოცდილების გაზიარებას და გამოჩენილ ინსტრუმენტალისტთა თანამეგობრობას.

სოფიისა და რაზგრადის სცენებზე წარმატებით იდგმებოდა მარიკა ბარათაშვილის პიესა „მარინე“ „კრიკინას“ სახელწოდებით. ორი ხალხის კულტურული ურთიერთობისა და ურთიერთშეგავ-

¹¹⁸ უფრო ზუსტად ვარნიდან 10 კმ-ზე მდებარე ცნობილ კურორტ ზლატნიცა პიასიცისა და „აკაცისა“ მომსახურე რესტორან ჯრევატა ლიპაში უკრავდა პოლონეთის ერთ-ერთი სახელგანთქმული საესტრადო ორკესტრი, რომლის რეპერტუარს მართლაც ამჟღავნებდა ბევრი ქართული მუსიკალური ნაწარმოები.

ლენის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ოპერეტამ პატარა კვალი გაავლო ბულგარელთა მუსიკალურ მეხსიერებაში. საქმე ისაა, რომ „კრიჭინას“ ბულგარელმა დამდგმელებმა წინა პლანზე წამოსწიეს ქართული კომპოზიტორის რ. გაბიჩეაძის მუსიკალური ფონი. მეტი ყურადღება მუსიკალურ მხარეს მიაქცევს და როგორც ბულგარულ ეურ. „თეატრში“ ა. ივანოვი წერდა: „სპექტაკლი უფრო მეტად მუსიკალურ-ლირიკული კომედიის სახეს ატარებდა. მაყურებელს ისე მოეწონა იგი. რომ მისი მელოდიები აიტაცა და ხალხურად აქცია“¹¹⁹. ეს ქართული მუსიკალური საუნჯის; ჩვენი თანამედროვე კომპოზიტორის მუსიკალური შემოქმედების კეთილი ზეგავლენის, წვლილისა და პოპულარობის ხორცშესხმული ფაქტია.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიას და მუსიკალურ საზოგადოებას ფართო მუშაობა აქვს გაშლილი ქართული ხალხური სიმღერების. ძველი საგალობლებისა და პროფესიული მუსიკის პროპაგანდისტების საზღვარგარეთ. გახშირდა ქართული მუსიკალური კვირეულები, ფესტივალები, საღამოები უცხოეთში საერთოდ და კერძოდ ბულგარეთში. დამყარებულია შემოქმედებითი კონტაქტები ქართველ და ბულგარელ მუსიკოსთა შორის. დიდი ინტერესით აღევნებენ თვალყურს ბულგარელი სპეციალისტები ჩვენი მუსიკალური კულტურის აღმავლობასა და მის საერთაშორისო წარმატებებს. ამიტომაც გახშირდა უცხოელ მუსიკოსთა ვიზიტები ჩვენს რესპუბლიკაში. ისინი დღეს აღტაცებით მსჯელობენ და აღფრთოვანებით წერენ პრესაში თანამედროვე ქართული ხალხური სიმღერებისა და პროფესიონალური მუსიკის მაღალმხატვრულობაზე, სიდიადეზე, მომხიბლაობაზე, სიფაქიზეზე, ტემპერამენტზე, პოლიფონიაზე....

1966 წელს თბილისში გაიმართა ბულგარული მუსიკის კვირეული, რომელსაც წინ უსწრებდა ქართული საბჭოთა მუსიკის კვირეული სოფიაში და სხვა ქალაქებში, რომლებსაც ჩვენი კომპოზიტორების დიდი ჯგუფი ეწვია და მსმენელებს გააცნო ქართული მუსიკალური ტრადიციები, წარმატებები, აწმყო და მომავალი. გაიმართა კონცერტები. შესრულდა რჩეული ნაწარმოებები: ბულგარეთის კომპოზიტორთა კავშირის მდივანმა ტოდორ პოპოვმა განაცხადა: „შეუძლებელია სიტყვებით გამოხატოთ ის დიდი

¹¹⁹ «მარინა ბულგარეთში.—«კომუნისტი», 11, III, 1969.

აღტაცება და სიამოვნება, რაც ბულგარელმა მსმენელებმა განიცადეს ქართული კამერული მუსიკის მოსმენისას-ო“.

თბილისი იცნობს ბულგარელ კომპოზიტორსა და შემსაზღვრავ დირიჟორს დიმიტრი ვლადიგეროვს. სამაგიეროდ, 1960 წლის მარტში ბულგარეთში საგასტროლოდ იმყოფებოდა ოდისეი დიმიტრიადი, რომელმაც თავისი ჩვეული ოსტატობით უდირიჟორო მეგობარი ქვეყნის ქალაქებში საოპერო სპექტაკლებსა და სიმფონიურ კონცერტებს. იგი პულტთან იდგა პლოდღივში. რუსაში; სოფიაში უდირიჟორო ოპერა „აიდას“ და 2 სიმფონიურ კონცერტს. ო. დიმიტრიადმა ბულგარელთა სიმფონიურ ორკესტრს შეასწავლა და მუსიკის მოყვარულთ მოასმენინა ქართველი კომპოზიტორების რ. ლალიძის („საჭიდაო“), ო. თაქთაქიშვილის (მეორე სიმფონია) და ზაქარია ფალიაშვილის („დაისის“ ფრაგმენტები) ნაწარმოებები. პრესა ძალზე მგრძნობიარედ და გულისხმიერებით ეკადებოდა ქართველი დირიჟორის გასტროლებს. უკლებლივ ყველა ბულგარელის გულახდილობამ და დიდი პატივისცემით მიღებამ ო. დიმიტრიადის ბულგარულ გასტროლებს განსაკუთრებულ საზეიმო ელფერი დასდო.

საქართველოს საერთაშორისო მუსიკალური ურთიერთობისათვის დამახასიათებელია ის, რომ რესპუბლიკის მუსიკალური დაწესებულებანი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები თუ ცალკეული პირები მხოლოდ საკუთარი მიღწევების პროპაგანდით არ იფარგლებიან და მიზნად ისახავენ საზღვარგარეთული, მათ შორის სოციალისტური ქვეყნების, მუსიკალური კულტურის საუცხოო ნიმუშების პროპაგანდასაც ჩვენში. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ინიციატივით 1966 წელს თბილისში მოეწყო ბულგარული მუსიკის კვირეული, რომელიც საზეიმო ვითარებაში ჩატარდა: საქართველოს დედაქალაქს ეწვივნენ ბულგარელი კომპოზიტორები: ტოდორ პოპოვი, მარინ გოლემინოვი, პარაშკევ ხაჩიევი, ლაზარ ნიკოლოვი, სიმეონ პირონკოვი, კრასიმირ კიურკჩისკი, ბოიან იკონომოვი და მუსიკის მცოდნე დიმიტრი ზენგინოვი. ქართულმა მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ გულთბილად მიიღო ბულგარელი სტუმრები, რომლებმაც დიდი ცნობისმოყვარეობით დაათვალიერეს რესპუბლიკის ღირსშესანიშნაობანი. საქართველოს ტელევიზიამ მაყურებელ-მსმენელს გააცნო მეგობარი ქვეყნის წარმომადგენლები და მოასმენინა მათი ნაწარმოებები. გაიმართა მეტად საინტერესო კონცერტებიც, რომლებზედაც მაღალმხატვრული გემოვნებითა და სრულყოფილი ტექნიკური დახვეწილობით

ქართველმა მუსიკოს-ინსტრუმენტალისტებმა შეასრულეს ბულგარული კამერული მუსიკის ნიმუშები.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში გამართულ პრესკონფერენციაზე რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა დავით თიარაძემ მისასალმებელ სიტყვაში წრფელად აღნიშნა: „ბულგარული მუსიკის კონცერტები და ბულგარულ მუსიკოსებთან შეხვედრები საქართველოში, ჩვენი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ისტორიის ახალი ფურცელია... ეს შეხვედრა შემდგომი შემოქმედებითი მეგობრობისა და თანამშრომლობის დასაბამი გახდება“¹²⁰. ორი ქვეყნის მუსიკალური ურთიერთობის ამ ორიგინალურ ღონისძიებას დიდი რეზონანსი მისცა იმან, რომ ბულგარულ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შეასრულეს ქართული ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა, სახალხო არტისტებმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებმა და საუკეთესო ანსამბლებმა. ასეთივე დიდი წარმატებებით ჩატარდა ბულგარული მუსიკის კვირეული და კონცერტები ბათუმსა და თელავში. ბულგარეთის კომპოზიტორთა კავშირის მდივანმა ტოდორ პოპოვმა კმაყოფილებით და მრავლისმეტყველად აღნიშნა: „კვირეულის მონაწილენი მოხარული ვართ, რომ საქართველოს რესპუბლიკას ჰყავს შესანიშნავი შემსრულებლები, რომელთაც ძალუთ ნიჭიერად და მაღალი ოსტატობით წარუდგინონ მსმენელს ბულგარულ კომპოზიტორთა ნაწარმოებები“.

1974 წლის სექტემბერში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 30 წლისთავზე საბჭოთა კავშირში დიდი შემოქმედებითი აღმავლობით მიმდინარეობდა ბულგარეთის კულტურის დღეები. ამ შესანიშნავი ღონისძიების ერთ-ერთი განშტოება იყო ბულგარეთის კამერული ანსამბლის კონცერტი. რომელიც თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ცნობილი ბულგარელი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის ვასილ ლოლოვის ხელმძღვანელობით¹²¹. კულტურის დღეების მონაწილე კამერული მუსიკის ანსამბლმა ქართველ მსმენელს გააცნო თანამედროვე ბულგარელი კომპოზიტორის ა. რაიჩევის მეხუთე სიმფონია და სხვა ნაწარმოებები, რომელთა უღერადობა აღსავსე იყო ტემბრული ფერადონებითა და ტექნიკური ოსტატობით. სიამოვნება მოგვანიჭა მოცარ-

¹²⁰ ბულგარული მუსიკის კვირეული თბილისში, — „საბჭოთა ხელოვნება“, 1966, № 8, გვ. 31—32.

¹²¹ დ. შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ანსამბლის დიდი ხელოვნება, გაზ. «თბილისი», 11, IX. 1974.

ტის კვინტეტმა, მოსტაკოვიჩის საფორტეპიანო კვინტეტმა და ვი-
ვალდის კონცერტის მესამე ნაწილმა ბულგარელ მუსიკოსთა უზადო
შესრულებათ. აუდიტორია განსაკუთრებით აღფრთოვანდა, როდეს-
საც სტუმრებმა ქართველი კომპოზიტორის რეჟაზ გაბიჩეძის „სწრა-
ფი მოძრაობა“ დაუკრეს.



თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ქართველ ხალხს მსო-
ფლიო რეჟონანსის ბევრი, სახელმწიფო მემორიალი გააცნო.
1921 წლამდეც არ მოკლებიათ თბილისელებს უცხოური ვოკალური
სკოლის ღირსშესანიშნავი სოლისტები. შემდგომ პერიოდში მსგავსი
სანუკვარი შესაძლებლობანი იშვიათობას წარმოადგენდა. ნეო-
რე მსოფლიო ომის შემდეგ კვლავ მოგვეცა შესაძლებლობა გვი-
ხილა და მოგვესმინა საერთაშორისო დიპაზონის საოპერო მომ-
ღერლებისათვის. ჩვენი ოპერისა და ბალეტის თეატრი ხშირად
იწვევდა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ცნობილ მუსიკოსებსა და
მომღერლებს, მათ შორის ბულგარელებს, რამაც შესამჩნევად გა-
აცხოველა ბულგარეთ-საქართველოს მუსიკალური ურთიერთობა.

ბულგარელთა ხელოვნებას ქართველი მშრომელები მუდამ
ხალისითა და სიყვარულით ეცნობიან, სიამოვნებით ისმენენ და
ითვისებენ. თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის სცენებზე არა-
ერთხელ წარმატებით გამოსულან ჩვენი მეგობარი ქვეყნის საოპე-
რო მომღერლები, ცნობილი და სახელმწიფო სოლისტები.

1954 წლის ივნის-ივლისში თბილისის ოპერისა და ბალეტის
თეატრის სპექტაკლებში მონაწილეობდნენ ბულგარელი ლირი-
კულ-დრამატული ტენორი დიმიტრი უზუნოვი და კატი გეორგიევა
(ოპერა „იოლანტაში“, „ევგენი ონეგინში“, „კარმენსა“ და „ჩამ-
ბაზებში“), 1956 წელს — IV მსოფლიო ფესტივალის და ვოკალის-
ტთა პრადის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ლირიკული
ტენორი, ნ. ზღრავეკოვი და დრამატული ტენორი, გ. დიმიტროვ-
ს სახელობის პრემიის ლაურეატი გ. რუდაროვი (ოპერა „კარმენში“,
„ტოსკაში“, „ტრავიატასა“ და „რიგოლეტოში“); იმავე 1956 წელს
ჩვენს სცენაზე ოპერა „ტოსკაში“. „სევილიელ დაღაქსა“ და „მთა-
ვარ იგორში“ გამოვიდა ბულგარელი მომღერალი ნიკოლოზ გაუ-
ზიჩი. 1960 წელს თბილისში წარმოდგენილ ოპერა „ტრავიატასა“
და „ტოსკაში“ მთავარ პარტიებს ასრულებდნენ ბულგარელი სოპ-
რანო ლილიანა ვასილევა და ტენორი ნიკოლოზ ნიკოლოვი — ქალ.

სოფიის ოპერის პრემიერები, ბერლინისა და ბუქარესტის მსოფ-
ლიო ფესტივალების, ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსების
და გ. დიმიტროვის პრემიის ლაურეატები. მსმენელთა გულწრფე-
ლი ოვაციებით და გულუხვი მასპინძლობით უაღრესად მოხიბ-
ლულმა გასტროლიორმა განაცხადა:

„თბილისში გატარებული საინტერესო დღეები და გამოსვლე-
ბი უძველესი ტრადიციების მქონე ოპერის სცენაზე... სამუდამოდ
დარჩება ჩვენს გულში, ჩვენს ხსოვნაში. საოპერო მუსიკის თბილი-
სელია მოყვარულები ხომ საოცრად გულისხმიერები არიან. ისინი
დიდა მუსიკალური სიუჟაქიზით აფასებენ ჩვენს ყოველ გამოსვლას.
ასეთი მსმენელების გაცნობა იშვიათი ბედნიერებაა მომღერლისათ-
ვის... რაც უფრო ახლოს გავეცნობით ერთმანეთს, მით უკეთესი.
ჩვენ გვსურს რაც შეიძლება ხშირად ჩამოვიდეთ საქართველოში,
ხოლო თქვენი შესანიშნავი მსახიობები ბულგარეთის ხშირი სტუმ-
რები იყვნენ“¹²².

1961 წლის აპრილში თბილისში მღეროდა სოფიისა და რუსე-
ნის სახალხო ოპერების სოლისტი, ვენის ფესტივალის ლაურეატი
ივან დიმოვი, რომელმაც დახვეწილი ვოკალური ხელოვნებით და
დიდოსტატური სცენურობით განასახიერა ზოზეს როლი ბაზეს
ოპერა „კარმენში“, რადამესისა ვერდის „აიდაში“ და მოგვხიბლა.
დიდებული იყო იგი დარგომიესკის ოპერა „ალში“, რომელშიც ღი-
რსეულად პარტნიორობდა დიდ რუს მომღერალს ა. პიროგოვს. ამა-
ვე დროს, ჩვენს ოპერაში „კარმენსა“ და „აიდაში“ მღეროდა ცნო-
ბილი ბულგარელი მეცო-სოპრანო ანა გეორგიევა, რომელმაც და-
გვიპყრო საუცხოო სცენური ლაზათით, რბილი და ყველა რე-
გისტრში თანაბრად მელღრადი ხმით, ტემბრით, ტემპერამენტით.
იმავე 1961 წელს თბილისში საგასტროლოდ იყო ვოკალისტთა მე-3
საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, სოფიის ოპერისა და ბა-
ლეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი, თავის ქვეყანაში პოპუ-
ლარული ლირიული ტენორი ნიკოლოზ ზდრავკოვი, რომელმაც
გულწრფელი, გამომსახველობითი სცენური ხელოვნებითა და ლა-
მაზი. საამო ტემბრის ტენორით საყოველთაო მოწონება დაიმსა-
სურა ჩვენშიც. იგი გამოვიდა „რიგოლეტოში“ (პერცოგი), „ტრა-
ჯიკატასა“ (ალფრედი) და „ტოსკაში“ (კავარადოსი) და თავისი
უზადო ხელოვნებით თბილისელებიც დაიპყრო.

¹²² ბულგარელი მომღერლები ქართველ მეგობრებთან. გაზ. „კომუნისტი“,
4. 1, 1960.

ბულგარული ვოკალური კულტურის მეოთხე წარმომადგენელი თბილისის საოპერო სცენაზე გახლდათ ახალგაზრდა, მაგრამ: 1961 წლისათვის უკვე სახელმწიფოებრივი მომღერალი პენკა მარინოვა, ლირიკული და კოლორატურული სოპრანოსათვის განკუთვნილი პარტიების ჩინებული შემსრულებელი. ჩვენ მოვისმინეთ მისი ვიოლეტა (ვერდის „ტრავეიატაში“), ჩიო-ჩიო-სანი (პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანში“). თამამად შეიძლება ვაღიაროთ, რომ იგი იაპონელი ქალის ტრაგიკული როლის და პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელია მსოფლიოში. შესანიშნავი ტემბრის ზარივით წკრიალა ხმითა და როლის შთამაგონებელი შესრულებით ქართულ-ბულგარულ ვოკალურ ურთიერთობაში წვლილი შეიტანა ცნობილმა ტენორმა, საერთაშორისო კონკურსების მრავალგზის ლაურეატმა და ოქროს მედალთა მფლობელმა ტოდორ კოსტოვმა, რომელიც თბილისელების წინაშე წარსდგა მანრიკოს (ვერდის „ტრუბადურში“) და კავარადოსის (პუჩინის „ტოსკაში“) პარტიებით.

ბულგარულ გასტროლიორთა უხვმოსავლიან 1961 წელს თბილისის ეწვია სოფიის საოპერო თეატრის ცნობილი სოლისტი, ვენის საერთაშორისო ფესტივალის ვოკალისტთა კონკურსის ლაურეატი ბარიტონი ასენ სელიმსკი, რომელიც სახელგანთქმულია ლირიული და დრამატული პარტიების საუკეთესო შესრულებით. ეს ლალი მომღერალი როსინის ოპერა „სევილიელ დალაქში“ ასრულებდა ფიგაროს როლს და საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტ ნათელა ტულეშთან (როზინა) ღირსეული პარტნიორობით პატარა ფურცელი ჩაწერა ქართულ-ბულგარული ვოკალური ურთიერთობისა და შემოქმედებითი თანამეგობრობის მატიანეში. 1961 წლის 24 დეკემბერს იგი „რიგოლეტოში“ გამოვიდა, შემდეგ — „ტრავეიატაში“. „ტრუბადურში“ კი ორმა ბულგარელმა მომღერალმა, ასენ სელიმსკიმ (დი-ლუნა) და ტოდორ კოსტოვმა (მანრიკო) თბილისელებს ერთად წარმოუდგინეს და მოასმენინეს ნათელი, დაუვიწყარი მხატვრული სახეები მაღალი ვოკალური ხელოვნების დემონსტრირებით. ამის გამო რეცენზენტი შენიშნავდა: „თბილისელებს დიდხანს ემახსოვრებათ სასიხარულო შეხვედრები ბულგარელი ხალხის შესანიშნავ მომღერლებთან“...¹²³.

საოპერო ხელოვნების ქართველმა მოყვარულებმა მოუსმინ-

¹²³ М. Б е р и д з е. Артист яркого дарования, «Заря Востока», 24. XII, 1961.

ნეს სოფიისა და პლოდევის თეატრების პრემიერს, მოსკოვის მსოფლიო •ფესტივალის ლაურეატს სონია ხამერნიკს, რომელმაც თავისი მეცნოპრანოთი დაატკბო „კარმენსა“ და „ტრუბადურზე“ დასწრე საზოგადოება. 1964 წელს მეორედ ჩამოსულმა ხამერნიკმა ოპერა „აიდაშოც“ იმღერა. 1965 წელს საქართველოს საგასტროლოდ ეწვივნენ სოფიის თეატრის პრემიერი ნ. გიუზელევი და მონღერალი ე. კონიავა. დიდი სიმპათიებით სარგებლობს ჩვენში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ბანი ნიკოლა გიაუროვიც.

როგორც დავინახეთ, საქართველოს დედაქალაქს ბულგარელ ვოკალისტთა მთელი ტალღა მოაწყდა და საოპერო სპექტაკლებში მონაწილეობით დაამშვენეს 1961 წლის თეატრალური სეზონი. დამოწმებული ფაქტები შეტყველებენ, თუ რაოდენ იზრდება ინტერესი მომხმ სოციალისტური ბულგარეთისა და საქართველოს მუსიკალური შემოქმედებისადმი, საოპერო ხელოვნებისა და ვოკალური კულტურისადმი. ბულგარეთის საოპერო თეატრების სოლისტთა თბილისური გასტროლები ორი, ერთმანეთისადმი ძმურად განწყობილი ზალხის კულტურული ტრადიციების მძლავრი აღმავლობისა და ცოდნა-გამოცდილების ურთიერთგაზიარების კარგი დემონსტრირება იყო.

არც ქართველები გაწბილებულან საოპერო ხელოვნების ბულგარელი თაყვანისმცემლების წინაშე. ქართველ მომღერლებსაც მუდამ ხალისით უსმენენ და ოვაციებით აცილებენ ბულგარეთში. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში 1959 წელს საგასტროლოდ ჩემოფებოდა „საბკოთა ესტრადა“ 17 მსახიობის მონაწილეობით. მათ შორის იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი შოთა კიკნაძეც, რომელმაც საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ჰიანისტ მარია კამოევასთან ერთად თბილისშივე წინასწარ მოამზადა ბულგარული სიმღერები: „ვაჟი ქალიშვილს თვალს უკრავს“ და „ცოცხლობს კიდევ ცოცხლობს ის“. ქართველ ვოკალისტს რეპერტუარში ჰქონდა აგრეთვე დ. არაყიშვილის რომანსი „ვარსკვლავიანსა ღამეს“, კიაზოს არია ზ. ფალიაშვილის „დაისიდან“ და რუსული საბკოთა სიმღერები. ქართული სიმღერები ვის არ მოეწონებოდა, მაგრამ უფრო მეტი ეფექტი მოახდინა ბულგარულმა რევოლუციურ-პატრიოტულმა სიმღერებმა, რომლებსაც წუნდაუდებლად ასრულებდა მეგობარი ქვეყნის, მაგრამ მასპინძელთათვის მაინც უცხოელი მომღერალი. ამიტომაც იყო, რომ ძველ ნაცნობსა და მეგობარ-კოლეგას დიდი მადლობა გადაუხადეს მასპინძლებმა, საქართველოში წამყოფმა მომღერლებმა კ. გიორგიევმა,

დ. უზუნოვმა და ვ. გაუბიჩმა, რომლებიც სიამოვნებით და სიყვარულით იგონებდნენ თბილისში გატარებულ ბედნიერ დღეებს. ბულგარეთის გაზ. „სახალხო კულტურამ“ ქებისა და დიდების სარეცენზიო სტატიით აღნიშნა საბჭოთა საკონცერტო ბრიგადისა და მისი ქართველი ხელოვანის შ. კიკნაძის სასცენო და ვოკალური დამსახურება.

ახალგაზრდა საოპერო მსახიობთა სოფიის საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობის უფლება და ბულგარეთში გასამგზავრებელი საგზური 1961 წელს დაიმსახურა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტმა მედეა ამირანაშვილმა. როგორც „საქდესი“ სოფიიდან 1963 წლის 23 იანვარს იტყობინებოდა, ბულგარეთში დიდი წარმატებით ჩაიარა საქართველოს სახალხო არტისტის ზურაბ ანჯაფარიძის გასტროლებმა. „სახალხო ოპერის სცენაზე მან შეასრულა რადამესის პარტია ჯ. ვერდის ოპერა „აიდაში“ და გერმანიის ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“. ბულგარეთის კომპეტენტურმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენი თანამემამულის ხელოვნებას; კრიტიკოსი აღიარებდა: „ბრწყინვალე ტემბრმა, განსაკუთრებით ძლიერმა ხმამ, რომელიც ადვილად იღვეს მაღალ ნოტებს, უზრუნველყევს, ის რომ ზურაბ ანჯაფარიძე ალტაელებით მიიღეს ბულგარელმა მსმენელებმა“. — „წერდა გაზ. „ოტეჩესტვენ ფრონტი“. ქართველი დრამატული ტენორის ძლიერ ხმას ბულგარელი შემფასებელი ცნობილ მომღერლის ენრიკო კარუზოს ხმას ადარებდა და მკითხველს აუწყებდა: „ქართველმა მომღერალმა და მსახიობმა განსაკუთრებით დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა ნილოსის სცენაში, რომლის დროსაც საშემსრულებლო ხელოვნების ისეთ მწვერვალზე ავიდა, რისთვისაც ცოტა ვინმეს თუ მიუღწევია“. ქართული სასცენო და ვოკალური ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლის გასტროლებით მოხიბვლილი ბულგარეთის სახალხო არტისტი რაინა მიხაილოვა საზეიმოდ აცხადებდა პრესაში: „ისეთი გასტროლები ჩვენს სცენაზე, როგორიც ნიკიერტი ტენორის ზურაბ ანჯაფარიძის სტუმრობა იყო, დიდი წვლილია მოძმე საბჭოთა ხალხებთან კულტურული კავშირის შემდგომ განმტკიცებაში. ეს დაეხმარება ჩვენს საოპერო მომღერლებს უშუალოდ ისარგებლონ საბჭოთა საოპერო ხელოვნების წმინდა წყაროთი, ხელოვნებისა, რომლის მკაფიო წარმომადგენელმა თა-

ვისი დიდი ოსტატობით თათოეულ ჩვენგანზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა“¹²⁴.

1963 წლის ივლისში ოპერის ახალგაზრდა მომღერალთა მეორე საერთაშორისო კონკურსზე სოფიაში, რომელშიც 26 ქვეყნის 100-მდე რჩეული ვოკალისტი მონაწილეობდა, წარმატება მოაპოვა თბილისის კონსერვატორიის აღზრდილმა ლამარა ჭყონიამ და ლაურეატის წოდება და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ სოფიის სცენაზე გამართულ ამ საერთაშორისო კონკურსის დასკვნით კონცერტზე, რომელსაც ევროპის ტელევიზიით გადასცემდნენ, — ლ. ჭყონიამ შეასრულა ვოლგეტას არია ჯ. ვერდის ოპერა „ტრავეიატადან“ და იმდენად მომხიბვლელად რომ ქართველი ვოკალისტი ქალი ბულგარეთიდან ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მიიპატიეს საგასტროლოდ¹²⁵. სოფიაში, პლოვდივში, ბურგასში, ვარნაში, რუსეში და სხვა ქალაქებში დიდი წარმატებით მიმდინარეობდა აგრეთვე ნოდარ ანდლულაძის გასტროლები. ეს ცნობილი ქართველი ვოკალისტი მონაწილეობდა ოპერა „აიდაში“ (რადამესი), „კარმენში“ (დონ-ხოზე) და მღეროდა კონცერტებზე. დიდი იყო მისი წარმატება, მან დაიპყრო ბულგარელთა გულები. ამიტომ მიიწვიეს მუსიკალურ ფესტივალ „ვარნას გაზაფხულზე“.

ბულგარეთში ქართულმა ოპერამაც შეაღწია. მუსიკალურ თეატრთა რეპერტუარში მათ ჰქონდათ საბჭოთა ოპერეტები: „ერთგული მეგობარი“, „ლალი ნიავი“, „ურთიერთ სიყვარული“, „ტრემბიტა“, „აკულინა“, „ჩემი გიუზელი“ და სხვ. მაგრამ ბულგარეთში უფრო მეტი წარმატება ხვდა ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეს“, რომელიც პირველად 1953 წელს წარმოდგინეს სოფიაში და დიდხანს ამშვენებდა რეპერტუარს. ყველაზე ძვირფასი ისაა, რომ ქართველი კომპოზიტორის ზოგიერთი მოტივი და სიმღერა ოპერის მეოხებით ბულგარეთში გავრცელდა და ბალხის საყვარელ მელოდიად იქცა¹²⁶. „ქეთო და კოტე“ ბულგარულად თაოგმნა დიმიტრი სიმიდოვმა, დადგა მთ. რეჟისორმა ხრისან ცანკოვმა, დირიჟორობდა კოსტა კრუშოვენსკი, მხატვრულად გააფორმა სტან-


¹²⁴ რ. მ ი ხ ა ი ლ ვ ა, ბრწყინვალედ, ძალდაუტანებლად, გაზ. „თბილისი“, 14.11. 1963.

¹²⁵ მ. დ ა ნ ე ლ ი ა, საბჭოთა ვოკალური სკოლის ზეიმი, გაზ. „თბილისი“, 3. VII, 1963.

¹²⁶ „ქეთო და კოტე“ ბულგარეთის თეატრის სცენაზე, ესაბჰ. ხელოვნება, 1955, № 5, გვ. 57.

ჩო სტანჩევმა და ათანას სტოიჩევმა, ქორეოგრაფი ფეო მუსტაკოვ-გენადიევა იყო, ხორშეისტერი კი მილკა ბუზატოვა.

ბულგარეთ-საქართველოს მუსიკალური კულტურის ურთიერთობაში, კომპოზიტორ-შემსრულებელთა და მომღერალთა გარდა, ჩაბმულია მეცნიერთა ვიწრო წრე და ცალკეული მუსიკისმცოდნეებიც, რომლებიც იკვლევენ ქართულ-ბულგარული მუსიკის ზოგიერთ საკითხს, მონაწილეობენ ორივე ქვეყანაში გამართულ თავაჯრილობებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში. 1971 წელს ბულგარეთის კომპოზიტორთა კავშირმა სოფიაში მოაწყო ძველი სლავური



ბულგარეთის სახელმწიფო ხალხური ანსამბლი «ასი ქიზონია»

მუსიკის სიმპოზიუმი, რომელიც ჩილავდა ადრეული და შუა საუკუნეების მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემატურ საკითხებს და ძველი სლავური ნოტაციის სტრუქტურას. ომის შემდგომი პერიოდის ყველა საერთაშორისო მუსიკალურ ფორუმზე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ქართული ხალხური და სასულიერო მუსიკის ორიგინალური სტრუქტურის, რთული ფორმების, პოლიფონიის, ინტონაციებისა და კილოებისადმი. ამიტომ სიმპოზიუმზე მიიპატიჟეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. ვაჟა გვახარიაძე. რომელიც სიმპოზიუმზე წარსდგა ღრმა შინაარსიანი მოხსენებით. მან დამსწრეთ მოუთხრო X — XII საუკუნეების ქართულ მუსიკალურ კულტურაზე და ამასთანავე გააშუქა უძველესი სანოტო ე. წ. ნეუმური დამწერლობის საღაო საკითხები; ილაპარაკა ძველქართულ პროფესიულ მუსიკალურ სკოლებზე, პიმნოგრაფებზე და სხვ. ვ. გვახარიას მოხსენება ილუსტრირებული და გახმოვანებული იყო. ქართველი სპეციალისტის მოსაზრებებმა და მეცნიერულმა დებულებებმა სიმპოზიუმის მონაწილეთა ცხოველი სჯა-ბაასი გამოიწვია; განსაკუთრებით კი ბულგარელები დაინტერესდნენ.

ქართული და ბულგარული მუსიკის კვირეულები, სპექტაკლები, კონცერტები, საღამოები, სპეციალისტთა შეხვედრები, რომლებიც ორივე ქვეყანაში იმართება, თანამოდმე მუსიკოსთა მეგობრობისა და შემოქმედებითი ურთიერთდამოკიდებულების დაუვიწყარი, ქმედითი, ნაყოფიერი და კეთილშედეგიანი ღონისძიებებია.



საესტრადო მუსიკა და სიმღერა მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლების კონცერტებმა თითქოს გადაჭარეს სხვა ჟანრები. მოდურმა ჯაზეზმა და გამყიფანმა მომღერლებმა ღამის დაიპყრეს მსოფლიო. გიტარა და ონიკა. ელექტრო-ინსტრუმენტები და საყდარუნებლები კლასიკურ ინსტრუმენტებს ეჯიბრებიან, პირველობას ჩემულობენ და გასაქანს არ იძლევიან. საბედნიეროდ, ერთბაშად აზვირთებულმა აფიოტაჟმა ნელ-ნელა იკლო, არტახებში მოიკალათა და სადღეისოდ ნორმალურ კალაპოტში მოექცა. საესტრადო ვოკალურ-საკრავიერმა ანსამბლებმა მოქალაქეობრივი უფლებები მოიპოვეს, საკუთარი ორიგინალური იერსახე შეიძინეს.

საესტრადო ვოკალურ-საკრავიერი ხელოვნება საქართველო-

ში ჩვენ დროში აღორძინდა. მის პირველ მერცხლებად ვ. ძაგნიძე და შ. ჩხიკვაძე მოგვევლინა. ქართველმა ახალგაზრდობამ აიტაცა ახლებური ჟანრი. ესტრადაზე გამოჩნდნენ მარეხ გოძიაშვილი. ედუარდ სეფაშვილი, კოტე მაკარიძე. ეს ომის შემდგომი წლები იყო. 1960 წ. შემდეგ კი თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავსა და სხვა ქალაქებში ჩამოყალიბდა: „ორერა“, „ივერია“, „ლილე“, „გორდელა“, „სალხინო“, „დიელო“, „ჩელა“, „მზიური“ და სხვა საგუნდო და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები. ზოგიერთი მათგანი ბულგარეთ-საქართველოს მუსიკალური ურთიერთობის აქტიური მონაწილეა.

1967 წ. საესტრადო ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა“ ბულგარეთში „ვარნის გაზაფხულს“ მუსიკალურ ფესტივალზეა. ქართულ და მსოფლიოს ხალხთა სიმღერებს გარდა მასპინძლები ბულგარული სიმღერებითაც დაატკბეს. პირველი კონცერტი სოფიის ცენტრალურ საზაფხულო თეატრის სცენაზე გამართეს, მეორე — შავი ზღვის კურორტ ვარნაში. „ორერას“ პროგრამის სახასიათო ნომერი იყო ქართული „მრავალყამიერის“ მსგავსი ბულგარული სუფრული სიმღერა, რომლითაც სექსტეტი მსმენელებს ამდენად ძლიერ იპყრობდა, რომ მთელი დარბაზი გასტროლიორებთან ერთად მღეროდა. წარმატება და ჭილდოც უშალღესი დაიმსახურეს — „ვარნის ზაფხულის“ საფესტივალო დიდი დიპლომი¹²⁷.

1969 წ. „ორერა“ კვლავ ბულგარეთშია და ნაცნობებს სოფიაში 20 სექტემბერს ახალი სიურპრიზით ახარებს. პროგრამაში „ორერამ“ რამდენიმე ახალი ბულგარული სიმღერა ჩართო. ანსამბლის მონაწილე კონფერანსიემ კონცერტი ბულგარულ ენაზე წარწარათა, რამაც თითქმის წინასწარ განაპირობა გასტროლიორთა გამარჯვება, შემდეგ „ორერა“ წარსდგა პლოვდივის საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე და მას უჩვეულო საზეიმო ელფერი დასდო. ქართველებმა მოინახულეს კურორტი ვარნაც, სადაც მრავალეროვანი აუდიტორიის მქუხარე ოვაციები დაიმსახურეს. „ორერამ“ დაატკბო იუმორის მოყვარე ქ. გაბროვოელებიც; იყვნენ ლოვეჩში, ტირნოვოსა და ბურგასში. ზღაპრული იყო სლოვენას და იამბოლის ოლქთა დახუნწილულ ზვრებში გამართული კონცერტები. „ორერას“ წევრებს ყველგან ესმოდათ ალურსით გამთბარი სიტყვები: „საქართველო, მეგობრობა, სულიყო“. პოპულარული „სუ-

¹²⁷ გაზ. «Молодежь Грузин», 12. IX, 1967.

ლიკო“ ბულგარელთა შორისაც სიყვარულის, მეგობრობისა და ძმობის სიმბოლოდ იქცა. ბულგარელი პოეტები ერთ პატარა ქალაქში მათ ზეპირად წარმოთქმული ქართული ლექსებით დახვდნენ. „ორერას“ დიდი წარმატება განაპირობა იმან, რომ იგი 22 ენაზე მღეროდა და არცერთი წევრი არ იყო მიჯაჭული ერთ ინსტრუმენტზე — ყველა მათგანი უკრავდა, მღეროდა, ცეკვავდა კიდეც. ზემოხსენებულ „მუსიკური ხელ-ვნების“ დაუფლებამ განაპირობა „ორერას“ დიდი პოპულარობა. 1974 წლის სექტემბერში პლოვდივის საერთაშორისო ბაზრობის უცხოელმა სტუმრებმა და მასპინძლებმაც ამიტომ მიიღეს იგი გულთბილად. მსოფლიოს სავაჭრო ფირმათა საპაექრო ორომტრიალში მას მუსიკალური რიტმებით უნდა წარმოედგინა საბჭოთა ხალხის ჰუმანური მიზნები და კულტურული მიღწევები. „ორერას“ რამდენიმე კონცერტმა პლოვდივის საერთაშორისო ბაზრობაზე ფურორი მოახდინა და ბულგარელები სამუდამოდ დაიძმობილა¹²⁸. მათი კონცერტები დაემთხვა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 30 წლისთავის გრანდიოზულ ზეიმს, 9 სექტემბერს რომ იხდიან ყოველწლიურად. ისედაც საზღვიმოდ განწყობილი ხალხი აღაფრთოვანა რ. ლალიძის, შ. მილორავას, გ. ახარაშვილის მუსიკამ და სიმღერებმა, რომლებსაც „ორერას“ წევრები ასრულებდნენ მაღალმხატვრული გემოვნებით¹²⁹.

„ორერას“ დამსახურებულმა კოლექტივმა „ბულგარული კონცერტებით“ მოკრძალებული წვლილი შეიტანა ქართულ-ბულგარულ მუსიკალურ კავშირ-ურთიერთობაში, რომელიც მუდამ მეგობრობის და პატივისცემის ფონზე ვითარდება.



ძველ ბულგარულ არქიტექტურაში ქართული ხუროთმოძღვრების ანარეკლზე, წაბაძულობაზე, ასახვასა და იდენტურობაზე უკვე აღვნიშნეთ. ვისაც ერთხელ მაინც უხილავს ორივე ქვეყნის ძველი ნაგებობანი, უყოყმანოდ აღიარებს პეტრიწონისა და ძის მსგავს რამდენიმე მონასტრისა და ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ნათესაობას; მათ ანალოგიურ ხასიათზე ზოგიერთი პირდაპირ მიუთითებს და გაბედულ არგუმენტებს გვთავაზობს. საი-

¹²⁸ გაზ. «თბილისი», 23. VIII, 1974.

¹²⁹ Газ, «Заря Востока», 8. VIII, 1974.

ლუსტრაციოდ დავიმოწმებთ პეტრიწონზე გამოთქმულ მოსაზრებას:

„ზედა სართულის მარჯვენა კედელზე, — ვკითხულობთ ტურისტის შთაბეჭდილებაში, — შემორჩენილია ქართველი მხატვრის იოვანეს იშვიათი ხელოვნებით ნახატი ფრესკა ლეთისმშობლისა. შ ე ნ ო ბ ა შ ე ა ს ა უ კ უ ნ ე ე ბ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ი ს ტ ი პ ი უ რ ი ნ ი მ უ შ ი ა. იგი თავისი მონუმენტურობითა და ფაქიზად ნაჩუქრთმევი ხაზებით თათქოსდა უმცროსი ძმის ნაკორწონდისა“¹³⁰.

უკომენტაროდ დავსძენთ, რომ სასიხარულო იქნებოდა ამ პოთეზის მეცნიერულ სინამდვილედ ქცევა. ჯერხნობით კი სპეციალურ ლიტერატურაში ბულგარეთის ისტორიულ ძეგლების შესახებ არსებულ ცნობებს და გამოქვეყნებულ არქიტექტურულ ნაგებობათა იერს თუ გადაჯავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ამ ქვეყნის ხუროთმოძღვრებაში საოცრად და პარმონიულადაა შერწყმული ძველრომაული, თრაკო-ილირიული, ბერძნული, ბიზანტიური და შუასაუკუნეების არქიტექტურა. აქა-იქ გვხვდება რენესანსი და ბაროკოს სტილიც. შემორჩენილია აგრეთვე უძველესი ფალოსური და ბაზილიკური სტილის საკულტო და საერო ნაგებობანი. რომლებიც მცირე აზიურ არქიტექტურას ენათესავენბიან¹³¹.

საქართველოსა და ბულგარეთის თანამედროვე არქიტექტურულ ურთიერთობაზე ერთი ფაქტი მოგვეპოვება: ბულგარეთის ტურისტული ფარმის გადაწყვეტილებით 1970 წლისათვის განსაზღვრული იყო ბულგარეთის საერთაშორისო კურორტად აღიარებულ „ოქროს კეიშნარის“ არქიტექტურული ანსამბლისათვის შეემატებინათ ორიგინალური ქართული რესტორანი, რაც განაპირობა „ქართული კერძების განუმეორებელმა გემოვნებამ, ქართული ეროვნული სამზარეულოს მრავალფეროვნებამ და მეტად მიმზიდველმა, კეთილშობილური სტუმართმოყვარეობის ტრადიციებმა“¹³². ბულგარელთა ჩანაფიქრს ხორცი შეასხეს ექსპერიმენტულ დაპროექტების თბილისის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის არქიტექტორებმა ალ. ბაქრაძემ და ნ. ჯობაძემ. ქართველ ხელო-

¹³⁰ ბ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, სტუმართმოყვარე ბულგარეთში, «სახალხო განათლება», 21. X, 1964.

¹³¹ М. П. Ц а п е и ъ к о. Архитектура Болгарии. М., 1953, с. 43—120.

¹³² ლ. ხ უ ბ უ ლ უ რ ი. ქართული რესტორანი ბულგარეთში—«კომუნისტია», 9. 1, 1970.

ჯანთა ნამუშევარი მოიწონეს ბულგარეთის ტურისტული ფირმის წარმომადგენლებმა და ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამაც. ქართული რესტორნის პროექტი საჩუქრად უძღვნეს ბულგარელ ხალხს. ეროვნულ ხუროთმოძღვრულ მოტივებზე დაყრდნობით ავტორებმა შექმნეს ნაგებობის ისეთი კომპლექსი, რომელიც კარგად შეერწყმის რესტორნისათვის გამოყოფილ გარემოსა და კურორტის შთელ ანსამბლს. 250 კაცისათვის გათვალისწინებული ეს შესანიშნავი ნახელავი ქართულ-ბულგარულ საინჟინრო ხელოვნებას დაამშვენებს და ორი ხალხის ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის უანგარო მეგობრობის გამოხატულება იქნება.



ქართველი და ბულგარელი ხალხის ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობასა და თანამეგობრობას აქტუალურად ეხმიანება გამოფენები, რომლებიც ორივე ქვეყანაში ეწყობა, რათა უფრო მკაფიოდ და თვალსაჩინოდ წარმოისახოს ორივე ქვეყნის სურვილები, მისწრაფებანი, წარმატებები. ურთიერთმეგობრობა, კონტაქტებისა და კავშირის სარგებლიანობა. ამ მიზნით ბევრი რამ კეთდება ბულგარეთში. ქ. ბლაგოევგრადის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სპეციალური დარბაზი აქვს დათმობილი აჭარისა და ბულგარეთის მშრომელთა მეგობრობის, კულტურული კონტაქტებისა და ისტორიული ურთიერთობის ამსახველ ექსპოზიციას. სადაც თავმოყრილია ძალზედ საინტერესო ბევრის მთქმელი ექსპონატები. 1969 წლის დეკემბერში აჭარის საოლქო ტექნიკის სახლში ბულგარეთის კულტურის დღეების დროს გამოფენილი იყო ბულგარელთა კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც საგანგებოდ ჩამოიტანეს ბათუმში; ჩაქვში მოეწყო წიგნების გამოფენა თემაზე: „რა წავიკითხოთ ბულგარეთის შესახებ“. ხშირად ეწყობა მეგობრული შეხვედრები აჭარაში მცხოვრებ და საბჭოთა წეურნეობებში მომუშავე ბულგარელებთან.

1963 წელს ქუთაისს ეწვია ბულგარელი მხატვარი ვ. დიმიტროვ-ვიჩევი, რომელიც დაინტერესდა ძველი კოლხეთის მიწა-წყალთ, მისი თვალწარმტაცი ბუნების პეიზაჟებით.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობის დარბაზში 1970 წლის ოქტომბერში გაიხსნა ცნობილი ბულგარელი გრაფიკოსის გ. სპირიდონოვის ნამუშევართა ორ კვირიანი გამოფენა,

რომელზედაც წარმოდგენილი იყო 55 სხვადასხვა სახის ნაწარმოებები — გრაფიკები, აკვარელი, ოფორტი. საინტერესო იყო სერია „საქართველო“, რომელშიც გამოირჩეოდა ნახატები: „კავკასია“, „ცეკვა“, „შოთა რუსთაველი“, „ვახტანგ გორგასალი“, „ოქროს ჯვარი“ და სხვ. დამთვალეირებელს იზიდავდა აგრეთვე ბულგარელი ხალხის წარსულის ამსახველი სურათები, გმირული პერსონაჟების განმასახიერებელი ტილოები. გრიგოლ სპირიდონოვის გამოფენის გახსნას დაესწრნენ გამოჩენილი ქართველი მხატვრები, რომლებმაც ქართველ და ბულგარელ მხატვართა ნამუშევრების ნაცვალგებით გამოფენა დიდმნიშვნელოვან საქმედ მიიჩნიეს.

ბულგარეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობაში წარმოიშვა ისეთი ფერწერული თემატიკა, რომლის სიუჟეტი აღებულია ქვეყნის ისტორიიდან, ლიტერატურიდან, ყოფა-ცხოვრებიდან, ადამიანებისგან და ზნე-ჩვეულებებიდან. საერთოს ვხედავთ პოპულარულ ქართულ თემას — „ძალა ერთობაშია“, რომელიც კინოსურათ გორგი სააკაძეშია გამოყენებული — და ბულგარელი მხატვრის, დიმიტროვის პრემიის ლაურეატის პროფ. დიმიტრი გიუჯენოვის ისტორიულ ტილოს შორის, რომელსაც ეწოდება „ხანი კუბრატი ვაჟიშვილებით“. მასზე ისაბრათა კონის მაგიერ წარმოდგენილია წყევლების კონა, რომლითაც მოხუცი მამა შვილებს ერთობის ძალის მაგალითს უჩვენებს¹³³.

1972 წლის დეკემბერში თბილისში ექსპონირებული იყო კვეზის მრეწველობის, სავაჭრო საწარმოებისა და მაცივრებისთვის განკუთვნილი ბულგარული მოწყობილობა, რომელსაც დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ არა მხოლოდ კვების ინდუსტრიის საწარმოთა სპეციალისტები, არამედ თბილისელი მშრომელებიც. ბულგარეთის „ტექნოექსპორტის“ წარმომადგენლებმა ქართველი სპეციალისტებისა და კოლეგების პატივსაცემად დარბაზობა გამართეს, რომელმაც საქმიან ვითარებაში ჩაიბრათ.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ტურიზმის კომიტეტის და საქართველოს მინისტრთა საბჭოს უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს ერთობლივი ღონისძიებით 1973 წლის სექტემბერში თბილისში გაიხსნა ფოტო-გამოფენა: „ბულგარეთი — ტურიზმის ქვეყანა“. ამ ღონისძიების მიზანი იყო მეგობარი ქვეყნის სახელგანთქმული კურორტების ჩვენ-

¹³³ Б. Пенчева. Мастер исторического жанра, жур. «Болгария», 1974, № 12, стр. 29.



დ. გუგუნიძე. «ხანი კურბანი ვაჟიშვილებით», — ძალა ერთობაშია.

ნება ფოტოებით, სლაიდებით, ნახატებით, რომლებითაც უხვად იყო შემკული კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიე.

საქართველოს რესპუბლიკამ პლავდივის საერთაშორისო გამოფენაზე 1974 წლის სექტემბერში დიდმნაშენელოვანი ღონისძიება მოაწყო. ქართული ექსპოზიციის მიზანი, კულტურული პროპაგანდის გარდა, იყო უცხოეთის ქვეყნებთან, პირველ რიგში, ბულგარეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოება.



საბჭოთა კავშირისა და ევრ-აზიის ხალხებს შორის უკანასკნელი 3 ათეული წლის მანძილზე კულტურული კონტაქტები საგრძნობლად გაფართოვდა, მაგრამ მაინც იშვიათია, როცა მოქანდაკის ნატიფად ნაბერწი სხვა ქვეყნის ქალაქს ამშვენებს. ქართველ ხალხს აქაც შეუძლია დაიკეხოს. ქართველ ხელოვან-მუშაკს თავისი შრომა და ლაზათი მიუმაღლებია მეზობელი ქვეყნების ქალაქებისთვის. სამაგალითოდ ბულგარეთიც კმარა.

1934 წელს მოქანდაკე კონსტანტინე მერაბიშვილი კურორტ ლიკანში შეხვდა გიორგი დიმიტროვს, რომელიც ლაიპციგის პროცესის შემდეგ ისვენებდა და ნატურიდან შექმნა ამ გამოჩენილი ადამიანის სალონური ჟანრის ბიუსტი. გ. დიმიტროვის დაბადების 90 წლისთავზე მამა-შვილმა კონსტანტინე და მერაბ მერაბიშვილებმა გამოძიერწეს მონუმენტური ქანდაკება, რომელიც მოსკოვში დაიდგა „ბოლშაია პოლიანასა“ და დიმიტროვის სახელობის პუჩათა შესაყარში. ბულგარელმა ხელოვნებათმცოდნეებმა ქართველ ოსტატთა ნახელავში გ. დიმიტროვის პიროვნების რომანტიკული სულისკვეთება, რევოლუციური შემართება და შთაგონება დაინახეს. ხოლო როცა პროფ. კ. მერაბიშვილი და მისი ვაჟი მერაბი სტუმრად მიიწვიეს ბულგარეთში და გ. დიმიტროვის საიუბილეო მგდლით დააჯილდოვეს. პატივისცემის და მეგობრობის ნიშნად ქართველმა სკულპტორებმა ბულგარელ ხალხს საჩუქრად დაუტოვეს 1934 წელს ნატურიდან გამოძიერწილი გ. დიმიტროვის ბიუსტი, რომელიც დღესაც სოფიის რევოლუციურ მუზეუმშია ექსპონირებული.

გაივლის ათეული წლები, საუკუნეები, მაგრამ ხავსი არ მოეკიდება ელგუჯა ამაშუკელის ნახელავს, რომელიც სოფიაშია აღმართული. დიდი შემოქმედებითი ნიჭი, ალღო, უნარი, ცოდნა იყო

საჭირო, რომ ქართველ მხატვარსა და სკულპტორს ბულგარეთის სახელმწიფოს დამაარსებლის ხან ასპარუხის შთამბეჭდავად ნაძერწი ისტორიული სახე მიეღო. ხან ასპარუხის ძეგლის კონკურსზე 120-მდე ავტორი წარსდგა. განსახილველად 80 ნამუშევარი მიიღეს მხოლოდ და ჟიურის განსჯით პირველი პრემია არცერთს არ არგუნეს. ელ. ამაშუკელისა და არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას პროექტები საუკეთესოთა შორის ჩარიცხეს და ხან ასპარუხის სახელობის მუზეუმში შეინახეს. გამოცხადდა კონკურსის მეორე ტური და ე. ამაშუკელის კურთხეული ხელით ნაძერწმა ძეგლმა ბულგარეთის დედაქალაქი დაამშვენა. ახლახან თეიმურაზ ყუბანეიშვილის ნაჩუქრთმევი იოანე პეტრიწისა და გრიგოლ ბაკურიანისძის ქანდაკება საჩუქრად გადაეცა ბულგარეთის რესპუბლიკას, რაც მეორე ქართველი სკულპტორის წვლილია ორი ხალხის კულტურულ მატთანში.

კავშირ-ურთიერთობანი მწერლობასა და მწიგნობრობაში

მწერლობა და მწიგნობრობა ქართველ-ბულგარელთა ეროვნული საუნჯის ერთ-ერთ მთავარ და ძირითად ქვაკუთხედს წარმოადგენდა ოდითგან; ხალხური გენიიდან და ცხოვრების წიაღიდან იღებდა საზრდოს ორივე ქვეყნის ლიტერატურა. ქართული და ბულგარული მწერლობა და ლიტერატურა ორივე ხალხს ერთნაირად აღაგზნებდა და აღაფრთოვანებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ და დამოუკიდებლობისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში. ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურულ თანამეგობრობაში ლიტერატურულ ურთიერთობას ღირსშესანიშნავი ადგილი უკავია. ლიტერატურული კონტაქტები ისტორიული ფესვებით შუა საუკუნეებს წვდება და უფრო ხელშესახები XIX საუკუნეში ხდება. სოციალისტურ ეპოქაში იგი ფართოდ შლის ფრთებს და სამწერლო ხელოვნების მწვერვალებს აღწევს. XIX საუკუნის ქართული მწერლობა და საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენდა ბულგარული ლიტერატურისადმი. ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე, თ. სახოკია და სხვები ქართულ პრესაში ბეჭდავდნენ ბულგარულიდან თარგმნილ ლექსებს, პოემებს, ისტორიულ რომანებს, აქვეყნებდნენ ნარკვევებს ბულგარეთის პოლიტიკურ მდგომარეობაზე, კულტურაზე, ლიტერატურაზე. არც ბულგარელი ხალხის გულშემატკივარი თავკაცი ჩამორჩებოდნენ ქართველებს და შეძლებისამებრ თავის ხალხს

აცნობდნენ საქართველოს პოლტიკურ მდგომარეობას, ხალხის კულტურას, ლიტერატურას.

საშუალო საუკუნეებში ორივე ხალხის სწავლულნი ცხოველ ინტერესს იჩენდნენ ერთუროს ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი. XII საუკუნეში ბულგარელების მიერ თარგმნილი ქართველი მწიგნობრის ფილოსოფიური ნაწარმოებებია ამის დასტური. ამიტომ ხშირად გვესმის გამოთქმა, რომ ქართულ-ბულგარული ლიტერატურული ურთიერთობა სათავეებს შორეულ საუკუნეთა წყვილადში იღებს³⁴. ლიტერატურული კონტაქტები საშუალო საუკუნეებში ნელო ტემპით ვითარდებოდა. XIX საუკუნეში იგი იფურჩქნება და დიდი დიაპაზონის მქლერად ეფექტს საბჭოთა ეპოქაში აღწევს. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ბულგარული კრიტიკული რეალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილმა გმირმა-მწერალმა ივანე ვაზოვმა მოიხსენია პირველად 1901 წელს სოფიაში დაბეჭდილ „ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების მოკლე მიმოხილვაში“.

ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული კონტაქტი ივანე ვაზოვსა და თედო სახოკიას შორის პარიზში მოხდა, როდესაც ქართველმა კაცმა ბულგარელ თანამოკალმეს მიუძღვნა მისივე რომანის „დამონებულნის“ ქართული თარგმანი. ქართულ-ბულგარულ ლიტერატურულ ურთიერთობაში საპატიო ადგილი უჭირავთ მოწინავე ქართველ მოაზროვნეებს. რომლებიც „ივერიის“, „დროების“, „მოამბისა“ და სხვ. ფურცლებზე აქტიურად ეხმიანებოდნენ ორივე ხალხის საჭირბოროტო საკითხებს. გამოჩენილი ქართველი მწერლები. პოეტები, პუბლიცისტები, საზოგადო მოღვაწენი: გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. ჭყონია, ს. მესხი, გ. თუმანიშვილი, არადელი, გ. იოსელიანი, პ. უმიკაშვილი, გ. გრემელი და სხვანი ბასრად ნაკალმევ წერილებში, სტატიებში. ლექსებში, პოემებში, პროზაში თუ კორესპონდენციებსა და ნარკვევებში ფართოდ აშუქებდნენ ორივე ხალხის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებს. რ. ერისთავმა 1876 წელს დაწერა საბრძოლო-პატრიოტული ხასიათის ლექსი-მოწოდება „მომმეთადმი“

ბულგარეთის ხალხის საამაყო შვილი და გამოჩენილი მწერალი ივ. ვაზოვი ფართო მიმოწერაში იყო ჩაბმული ილია ჭავჭავაძე-

³⁴ ლ. მენაბდე, რუსთაველი და ბულგარელი საზოგადოება, —ახალგაზრდა კომუნისტი, 14. VI, 1973.

ძესთან, რ. ისარლიშვილთან, თ. სახოკიასთან. ერთ-ერთ წერილში ამ უკანასკნელს იგი სწერდა: „ჩვენი ხალხის ისტორიული სვე-ბე-დი ერთმანეთს ემთხვეოდა, საბრძოლო მიზანიც ერთნაირი გვექონ-და-ბარბაროსთაგან თავის დახსნა. მკერა, რომ ამ მდგომარეობამ გიბიძგათ თქვენ გეთარგმნათ ჩემი რომანი და უფრო მეტად გა-გელრმავებინათ ჩვენი ხალხების ტრადიციული ურთიერთობანი“¹³⁵.

ბულგარელი კლასიკოსი ივ. ვაზოვი ვალში არ რჩება თავის კოლეგას და, შემოქმედების გაფუჩრჩქენის ასაკში არ წყევტს რა კავშირს ქართველ ინტელიგენციასთან, თვალყურს ადევნებს ჩვენს დრამატურგიას. თეატრალურ ხელოვნებას და ეცნობა სუბბათაშ-ვილ-იუეინის პიესა „ლალატს“, რომელსაც ბულგარეთის სცენა-ზეც წარმოადგენდნენ. ამ პატრიოტულ-ისტორიულ დრამას ბულ-გარელმა მწერალმა მიუძღვნა მეტად შთამაგონებელი და უაღრე-სად საინტერესო წერილი: „ტრალედია „ლალატს“, — აღნიშნავდა ივ. ვაზოვი. — საფუძვლად უძევს ქართული თქმულება. ეს არის სპარსთა მონობის უღელქვეშ მგმინავი ქართველი ხალხის ისტო-რიის ცოცხალი სურათი. ჩვენს სცენაზე დადგმულმა ტრალედიამ, დეკორაციის ნაკლოვანებისა და კოსტუმთა შეუფერებლობის მი-უხედავად, დიდი ინტერესი გამოიწვია მაყურებელში“¹³⁶.

დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის ძმამ ლევან ფალიაშვილმა ივ. ვაზოვის პატრიოტული ლექსის „ბულგა-რეთის“ ტექსტზე დაწერა ორ ნაწილიანი რომანსი. ხოლო მგზნება-რე საბრძოლო ლექსის „ქვემეხებმა იჭუხეს“ ტექსტზე სამხმიანი რომანსი. აღსანიშნავია ისიც, რომ ივ. ვაზოვის შესანიშნავი ლექსი „რუსეთი“ ამ კომპოზიტორმა გამოიყენა საგუნდო სიმღერისათვის, რომელიც ბულგარელი და რუსი ხალხის საბრძოლო თანამეგობ-რობას ეძღვნება.

ივ. ვაზოვის შემდეგ ქართული გენიის უკვდავ ქმნილებას „ვეფხისტყაოსანს“ ბულგარელ ხალხს აცნობს ცნობილი ხელოვა-ნი ე. წ. მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული, რომელიც ქარ-თულ-ბულგარული ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის ორი-გინალური ფიგურაა. ქართული და ბულგარული ხალხური მუსი-კალური შემოქმედება მდიდარი საბრძოლო-განმათავისუფლებელ თემაზე შექმნილი სიმღერებით, რომელნიც დამპყრობ ოტომანთა

¹³⁵ ლ. ჯ უ ლ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვაზოვი და ბულგარეთ-საქართველოს კულტუ-რული ურთიერთობა, თბ., 1961, გვ. 73.

¹³⁶ ი. ვ ა ზო ვ ი, „დამონებულნი“, თბ. 1955, გვ. XV, ო. გვინჩიძის წინასიტყვაობა.

წინააღმდეგ არიან მიმართული და სუვერენიტეტისათვის თავდადებულ მებრძოლთ ხოტბას ასხამენ.

თ. სახოკიას მიერ ბულგარულიდან ქართულად თარგმნილი ივ. ვაზოვის რომანი — „დამონებული“ სპ. ნორაკაძის გამოცემლობამ ცალკე წიგნად გამოაქვეყნა და „ულელქვეშ“ უწოდა. ივ. ვაზოვმა თანამემამულეებს გააცნო საქართველო და მისი მოკლე ისტორია, ლიტერატურა. ვაზოვის შემოქმედება დღესაც აქტუალური და საინტერესოა. ამიტომაც, რომ ქურ. „მნათობში“ იბეჭდებოდა ბულგარელი კლასიკოსის ნაწარმოებები, რომლებიც ირ. აბაშიძემ, გრ. აბაშიძემ და ოთარ გვინჩიძემ თარგმნეს. 1958 წელს გამოცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოუშვა ირ. აბაშიძის წიგნი „თარგმანები“, რომელშიც შესულია ვაზოვისა და ხრისტო ბოტევის ნაწარმოებები. გრ. აბაშიძის მიერ შედგენილ კრებულში — „სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პოეტები“ — წარმოდგენილია აგრეთვე ვაზოვი და ბოტევიც. მათ საპატიო ადგილი უჭირავთ „ბულგარული მოთხრობების“ კრებულშიც, სადაც კლასიკოსების გვერდით ვხვდებით თანამედროვე ბულგარელი მწერლების ნაწარმოებებსაც.

1960 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა ლილიანა სტეფანოვას ლექსების კრებული „როდობის მთებში გაზაფხულია“ და მარკ მარჩევსკის რომანი „ტამბუკტუ“. ითარგმნა და ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდა გეორგ ქარასლაშვილის „ლენკო“ და „რძალი“, იორდან რადიჩოვის „ცხელი შუადღე“, პეტრე ბოტევის „თეთრი ბოცმანი“, ელინ-პელინის მოთხრობები. ზ. დავითიანმა გადმოაქართულა და ქურ. „ხომლში“ (1970, № 5) გამოაქვეყნა ა. სეგრენსკის მოთხრობა „ტრაიიზოს სიმართლე“, ს. მაჟარაშვილმა ლ. ივანოვის იუმორი „იუბილე“ და სხვ. მ. მირნელმა თარგმნა და 1970 წელს გამოაქვეყნა დ. დამიანოვის ლექსი „ლენინის ღიმილი“, რომელიც დაბეჭდილია კრებულში: „მსოფლიოს პოეტები ლენინს“. აქვეა მოთავსებული გ. ძნელაძის მიერ თარგმნილი ლ. ლასკალოვას ლექსი „არქიმედი ცხრაას ჩვიდმეტში“ და ს. ქარასლაშვილის — „ბალადა თავმდაბლობაზე“, გ. კაჭახიძის თარგმნილი ბ. დიმიტროვას — „ლენინთან“ და მ. შოკინის — „ღამე მოსკოვში“, ო. შალამბერიძის თარგმნილი ლ. ელენკოვის — „ღილი კირანახული“ და ი. მილიევი — „აპრილის დღე“, ქ. რადევსკის — „ილიჩი“ (თარგმნა ვ. ჩხიკვაძემ), ნ. ფურნაჩიევის — „უკუდავების წინ“ (თარგმნა მ. ფოცხიშვილმა); რ. ართილაყვამ გაგვაცნო ქ. რადევსკის ლექსი „მსოფლიოს ახსოვს“, ხოლო ხ. ბერულა-

„გამ—ლ. სტუფანოვას „ჩვენს საუკუნეში“; გამომცემლობა „ნაკადულმა“ ქართველ მკითხველს მიაწოდა ბაბულია შელას თარგმნილი ი. რადიჩიკოვის მოთხრობა „პატარა შუა დღე“.

ქართულ პრესაში ხშირად გვხვდება ბულგარული იუმორის კუთხეც თავისი კარიკატურებით. მაგალითად, რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანო „კომუნისტა“ (15. XI. 72) დაბეჭდილია ვ. ცონევის „აღმოჩენა“ და ა. ტონიჩის „მე და ჩემი ძმა“. ორივეს მხრივ დიდ ინტერესს იჩენენ ახალგაზრდა პოეტთა პოეზიისადმი. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი და ბულგარელი პოეტის ლექსები ითარგმნა ორივე ენაზე. ბათუმელმა პოეტმა გიორგი სალუქვაძემ ქართულად თარგმნა ბულგარული „სარწმუნოება“, რომელიც ცნობილ რევოლუციონერსა და ეროვნულ გმირს ნიკოლა ვაპცაროვს ეკუთვნის. ლ. ლევჩევის, ხ. განოვის, გ. კონსტანტინოვის, მ. შოპკინის პოეზიის ზოგიერთი ნიმუში თარგმნა მორის ფოცხიშვილმა.

ბულგარელი მწერლები და პოეტები საქართველოს ხშირი სტუმრები არიან და პატივისცემითა და მეგობრული სიყვარულით ჰვდებიან კოლეგებს, ხოლო პრესა ბულგარულ ლიტერატორებს მათივე ნაწარმოებების გამოქვეყნებით ესალმება. ქართველმა მწერლებმა მეგობრულად მიიღეს ბულგარეთის მწერალთა კავშირის მდივანი გეორგ ქარასლავოვი, მწერლები ტოდორ გენოვა, ნიკოლა ზიდაროვა და ლილიანა სტუფანოვა, რომლებიც მონაწილეობდნენ სსრ კავშირში ჩატარებული ბულგარული კულტურის დღეების ზეიმში. საქართველოს ხშირი სტუმარია ნიკოლოზ კინჩევი. რომელმაც ბევრი მეგობარი შეიძინა თბილისში, საუცხოო შთაბეჭდილებები გაგიზიარა და ლექსებითაც დაგვატბო. 1967 წ. გვეწვია პოეტი ორლინ ორლინოვი. 1968 წელს—ლამარი (რონელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეს დაესწრო), 1969 წელს — იორდან რადიჩიკოვი და მაქსიმ ნაიმოვიჩი, 1970 წელს ლუჩეზარ სტანჩევი და ვასილ ცონევი (რომელმაც სამშობლოში გამოსცა წიგნი საბჭოთა კავშირზე და მასში საქართველოს საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო), 1972 წელს ლუჩეზარ სტანჩევი და ბორიანა ზონევა.

ბულგარელი მწერლებისა და პოეტების საქართველოში ყოფნისას ჩვენს პრესაში ბევრი მათგანის ნაწარმოები გამოქვეყნდა. საკმარისია ვახსენოთ ლ. სულაბერიძის მიერ თარგმნილი და ქართულ პრესაში დაბეჭდილი ლექსები.

„სამ წელზე მეტხანს გეშავდა მუხრან მაქავარიანი ქართულ

სიტყვას, რომ ცოტათი მაინც გაეთავისებინა ბულგარული პოეზიის სულისკვეთებანი“ — წერს კრიტიკოსი რეცენზიაში¹³⁷. ვკითხულობთ 46 ბულგარელი პოეტის 217 ლექსს, რომელიც ქართველ პოეტს უთარგმნია და ვრწმუნდებით, რომ ბულგარული პოეზიის ნიმუშები მ. მაკავარიანს მშობლიური სიტყვა-კაზმული მჭერმეტყველებით მარგალიტებად აუსახავს და ნატიფად ნაძერწ ლექსად წარმოუდგენია: თანამოკალმეთა ნააზრევს იგი ღრმად ჩაწვდომია და ფაქიზი გრძნობით ბულგარული ლექსი ქართული რითმის სილალით აუეღერებია. მუხრან მაკავარიანის მიერ თარგმნილი და შედგენილი „თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგია“ ქართველ-ბულგართა ძმობის შედუღებულ იმ ხიდად და ცისარტყელად წარმოგვიდგება, რომლის ბურჯ-თალი ზღვის ნაპირებსა და სხივთა კონაზე დაფუძნებულია.

ორი ქვეყნის ლიტერატურული ურთიერთობა მხოლოდ თარგმნით როდა შემოიფარგლება. ბულგარული და ქართული მწერლობა ერთმანეთს უძღვნის შემოქმედების ორიგინალურ ნაყოფსაც. მეგობარ ხალხზე და ქვეყანაზე შესანიშნავი ლექსები შეახზა და „საზღვარგარეთული მოტივების“ ცაკლის სახით ცალკე წიგნად გამოსცა მუხრან მაკავარიანმა. ამ ჟანრის პოეზიაში იგრძნობა ბულგარელი ხალხის მძლავრი მაჯისცემა, უძველესი კულტურისადმი სიყვარული, ეროვნული სიხარული და აღფრთოვანება. ბულგარეთის თემას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართველ სხვა მწერალთა შემოქმედებაშიც. მაგალითად, ა. აბშილავამ შეთხზა ლექსი „ბულგარეთი“. ქართველ და ბულგარელ პოეტთა გულწრფელი მეგობრობის მაჩვენებელი იყო ის ძმური და სერიოზული საქმიანი დახმარება, რომელიც მ. მაკავარიანს გაუწიეს კოლეგებმა ბულგარეთში სამივე შემოქმედებითი მივლინების დროს — „ანთოლოგიაზე“ მუშაობის გასაადვილებლად ენის მასწავლებელიც კი მიუჭინეს, რათა იგი დედანში გაცნობოდა კლასიკურ და თანამედროვე ბულგარულ ლიტერატურას.

ბულგარეთშიც დიდია ინტერესი ქართულ პოეზიისა და პოეზიისადმი. ჯერ კიდევ 1900 წელს ბულგარელმა პოეტმა ივან ჩრისტო არნეულოვმა რუსულიდან თარგმნა აკ. წერეთლის ცნობი-

¹³⁷ ა. შენგელია, ძმობის ხიდად გაღებული ცისარტყელა. ფიქრებო თანამედროვე ბულგარული პოეზიის ანთოლოგიაზე, გაზ. „თბილისი“, 3. VII. 1974.

ლი ლექსი „განთიადი“ და მას უწოდა „წმ. დავითის გორა“¹³⁸. პოეტი ქალი ლ. სტეფანოვა გატაცებით თარგმნიდა იოსებ ნონეშვილის ლირიკას; სოფიაში გამოსცეს პოეტ რევაზ ამაშუეელის ლექსების წიგნი. ქართველ პოეტთა შემოქმედებას ბულგარულად თარგმნის ნიკოლოზ კლუჩევი. 1974 წლისათვის გამოსაცემად მზად იყო ნ. ბარათაშვილის და ვაჟა-ფშაველას ლექსები და ქართული პოეზიის ანთოლოგია. საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავე სოფიაში გამოვიდა ბულგარელი ჟურნალისტის ევგენია კირანოვას წიგნი „უძველესი და მუდამ ჭაბუკი საქართველო“. მისი ავტორი 1960 წლის შემოდგომაზე დიდხანს იყო საქართველოში და გაეცნო რესპუბლიკის ქალაქებს, სოფლებს, ისტორიულ ძეგლებს, ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ქართველი ინტელიგენციის საქმიანობას. წიგნში მოკლედ არის აღწერილი ჩვენი სამშობლოს წარსული და აწმყო თავისი პერიოკული ბრძოლებით, 40 წლის წარმატებებით. ე. კირანოვას ნაშრომმა ბულგარეთის საზოგადოებრიობას წარმოდგენა შეუქმნა ქართველ ხალხსა და მის მიღწევებზე. კარგად ილუსტრირებული ეს წიგნი ჩვენი ქვეყნების ისტორიულ-კულტურული ურთიერთობისა და თანამეგობრობის პატარა. მაგრამ თვალსაჩინო ფოლიანტია. საქართველოს სახალხო პოეტის რჩეულ ლექსებს ბულგარეთში ცალკე წიგნი მიუძღვნეს სათაურით „გიორგი ლეონიძე“. ჩვენი „გოგლას“ პოეზია (რედ. ვასილკა ხინკოვა) 1966 წელს გამოაქვეყნა გამომცემლობა „ნაროდნა კულტურამ“. საქართველოს მგოსნის ლექსები ბულგარულად თარგმნა პოეტმა ნიკოლა კინჩევამ. წინასიტყვაობაში მოკლედ მიმოხილულია გ. ლეონიძის ცხოვრება და შემოქმედება. 1975 წელს იმავე „ნაროდნა კულტურამ“ რევაზ ჯაფარიძის კონსულტაციით გამოსცა ფ. გეორგიევას და გ. ჩეშმეჩიევას მიერ მომზადებული და შედგენილი კრებული. რომელშიც ქართველ მწერალთა მოთხრობებია დაბეჭდილი. ნაწარმოებები მაღალმხატვრული გემოვნებით ქართულიდან უთარგმნია დ. სტანკოვს, რომლის შრომას დიდ შეფასებას აძლევს ბულგარეთში მცხოვრები ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ივანე ბიწაძე. ქართული მოთხრობების კრებულში დაბეჭდილია ი. ჭავჭავაძის, ალ. ყაზბეგის, დ. კლდიაშვილის, ვაჟა-ფშაველას, ე. ნინოშვილის, ეკ. გაბაშვილის, ლ. ქიჩელის, ნ. ლორთქიფანიძის, მიხ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, კ. ლორთქიფანიძის. ს. კლდი-

¹³⁸ კ. მ. მ. ვ. ე. ლ. ი. ა. ნ. წერეთლის ლექსის „განთიადის“ ბულგარული თარგმანი, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, 1965, ტ. 114, გვ. 355—356.

აწვილის, დ. შენგელიას, გ. ნატროშვილის, გრ. აბაშიძის, გრ. ჩიქოვანის, რ. ჯაფარიძის, ნ. დუმბაძის. არ. სულაკაურის, ედ. ყიფიანის, თ. კილაძის მოთხრობები. კრებულს ერთვის ქართველ მწერალთა მოკლე ბიოგრაფიები, რაც ზრდის წიგნის ღირებულებას. ეს შესანიშნავი ფაქტი ნათელ სხივს ჰფენს ქართველი და ბულგარელი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიას.

ქართველ მწერალთა ნაწარმოებების ბულგარულად თარგმნა და გამოცემა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული კულტურულ-მეგობრული მკვლევარობის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა.

ვრცელ განხილვას იმსახურებს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ბულგარეთში გაცნობის ისტორია. ამ საკითხს ზერელედ შეეხო ბულგარეთში მცხოვრები ქართველი ლიტერატორი ი. ბიწაძე¹³⁹. პროფ. ლევან მენაბდე კი მოზრდილი მეცნიერული სტატია გამოაქვეყნა¹⁴⁰ ქართულ-ბულგარული ლიტერატურული ურთიერთობა საშუალო საუკუნეებში იხსება და ვითარდება¹⁴¹. XIX საუკუნის II ნახევარში კი იგი ხორცს ისხავს, სათანადო წარმატებებს აღწევს და ფართო მასშტაბს იძენს¹⁴². ქართულ-ბულგარული ლიტერატურული ურთიერთობა დიდ რეზონანსს აღწევს საბჭოთა ეპოქაში, უმეტესად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამ მნიშვნელოვან საქმეში უმთავრესი წვლილი შეიტანა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა“.

შ. რუსთაველი ბულგარელებმა პირველად ივ. ვაზოვის ნეოხებით გაიცნეს¹⁴³. შემდეგ ილიკო ქერხულის ნაშრომისა¹⁴⁴ და სახარო ლექცია-მოხსენებების გეშეობით¹⁴⁵. რამდენიმე ნაშრომი, სტატია თუ ინფორმაცია გამოქვეყნდა ბულგარეთში 1935 — 1938

¹³⁹ ი. ბ ი წ ა ძ ე, უკნობი დიდება (ვეფხისტყაოსნის) ბულგარულად თარგმნის გამო), წერილი სოფიიდან, «კომუნისტა», 31. VII, 1966.

¹⁴⁰ ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, რუსთაველი ბულგარეთში, «ცისკარია», 1973, № 7, გვ. 123—128.

¹⁴¹ იბ. რ. ს ი რ ა ძ ის დასახელებული ნაშრომები «მნათობსა» და «ცისკარში».

¹⁴² მ. კ ვ ე ს ე ლ ა ვ ა, ბულგარული ლიტერატურა, თბ., 1953, გვ. 17—20, 240.

¹⁴³ И. Р а з о в. Погледъ възъ историческия животь на грузинския народъ. «Българска Сбирка», III, София, 1901, გვ. 178—180.

¹⁴⁴ И. К у р г у л и, За звездите лжчезарни за славесвите трети, за Грузия лазурна, София, 1924.

¹⁴⁵ ლ. ჯ უ ლ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოში მოხილულნი, «ცისკარია» 1971, № 8, გვ. 118—121. ლ. კ ი კ ი ნ ა ძ ე, მოხეტაღე მუსიკოსი, «საბჭ. ხელოვნება», 1972, № 1, გვ. 54—55.

წლებში, რუსთაველის პირველი იუბილეს (1937 წ.) წინა და მომდევნო პერიოდში¹⁴⁶. რუსთაველი და მისი პოემა შედარებით ვრცლად და ხორცშესხმით გააცნო თანამემამულეებს ბულგარელმა ჟურნალისტმა ს. ქარაკოსტომამ, რომელმაც თავისი ერის სახალხო გმირთა და „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა შორის პარალელები გაავლო¹⁴⁷. რუსთაველის პირველი იუბილეს დროს, როდესაც პოემის სახელი მსოფლიოს გასწვდა, ბულგარეთში სხვა ხასიათის მასალებიც არის დაბეჭდილი, რადგან მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან დღეებშიც კი არ ჩამქრალა ლამპარი, რომელიც მიმქრალ შუქს ჰფენდა ქართულ-ბულგარულ ლიტერატურულ ურთიერთობას. 1942 წელს ბულგარულ ჟურ. „სახალხო განათლებაში“ გამოქვეყნებული ვ. ელსნერის ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ახალ, შ. ნუტუბიძისეულ რუსულ თარგმანზე გამონაკლისი არ უნდა იყოს¹⁴⁸. 1948 წლის შემდეგ ბულგარეთის პრესაში აქა-იქ გაიელვა ქართული გენიოსის სახელმა და ენციკლოპედიაშიც გამოჩნდა „რუსთაველი“¹⁴⁹. მაგრამ აღნიშნული ზღვაში წვეთია, რადგან უსაზღვრო იყო „ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი.

ლიტერატურული წრეებისა და საზოგადოებრიობის ცნობისმოყვარეობამ კულმინაციას მიაღწია ქართველი პოეტის 800 წლის თავის საიუბილეო ზეიმზე, როცა იგი იუნესკოს პროგრამაში შევიდა და მსოფლიო მასშტაბი მიიღო. ამ დროს ბულგარეთში აღმოჩნდა ჩვენი თანამემამულე ივანე ბიწაძე, რომელმაც ბულგარელთა გაზრდილი ცნობისმოყვარეობის დასაოკებლად და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციისათვის ბევრი რამ გააკეთა და მცირე წვლილიც შეიტანა ორი მოძმე ხალხის კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში. ჩვენს მიზანს აკილდება ივ. ბიწაძის რუსთველოლოგიურ ნაშრომთა აღნუსხვა¹⁵⁰.

¹⁴⁶ Чествуване единъ народенъ поетъ. «Земля», 8. III. 1935; Седемстотинъ и петдесетъ годишнината на единъ великъ поетъ. «Литературенъ гласъ», 16. IV, 1935; Шота Руставели.—«Академикъ», 1938, № 3. გვ. 3. В. Е л о н е რ ь. Шота Руставели ... «Земля», София, 1938, გვ. 89—91.

¹⁴⁷ С. К а р а к о с т о в ь. Поетътъ на любовта и свободата, «Бургаски фаръ», 27. VIII. 1938.

¹⁴⁸ В. Е л с н е р ь. Новъ преводъ на поемата «Юнакъ в тигровата кожа» отъ Шота Руставели. «Народна Просвѣта», 1942, № 1, с. 31.

¹⁴⁹ Кратка Българска Енциклопедия. София, 1964. т. II, с. 75, сб. Грюзинская ССР.

¹⁵⁰ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს ჟურ. «ცისკარში» (1973 წ. № 7) გამოქვეყნებული სია, რომელიც ერთვის პროფ. ლ. მენაბდის ნაშრომს: «რუსთველი ბულგარეთში».

მათი შინაარსობრივ-კრიტიკული განხილვა და იმ ღვაწლის წარმოჩენა, რომელიც მან უკანასკნელ წლებში გასწია ბულგარეთში.

1950-იან წლებში ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წინადადებით „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას შეუდგა პოეტი-აკადემიკოსი ნ. ლილიევი¹⁵¹, რომელსაც ბჭკარედის თარგმნით და კონსულტაციებით ეხმარებოდა ი. ბიწაძე, მაგრამ პოეტმა მუშაობა ვერ დაასრულა, ისე გარდაიცვალა 1960 წელს. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის გაგრძელება ბევრს ეწადა. ზოგი შეუდგა კიდევ საქმეს, მაგრამ ყველას აჯობა პოეტმა სტოიან ბაიჩიევმა, რომლის ნამუშევარიც ი. ბიწაძის სიტყვით მაღალმხატვრულად არის შესრულებული¹⁵². მისი რედაქტორია ი. ბიწაძე, შესავლის ავტორი კი პროფ. ვ. ველჩევი¹⁵³, რომელიც მკითხველს ვრცლად მოუთხრობს „რენესანსულ იდეალთა მომღერალზე“. გულწრფელ მადლობას იმსახურებს სოფიის გამომცემლობა „ნაროდნა კულტურა“. რომელმაც „მსოფლიო კლასიკის“ სერიით გამოუშვა „ვეფხისტყაოსანი“.

რუსთაველის საიუბილეო დღეებში, 1966 წლის სექტემბერში, თბილისში ჩამოვიდნენ ბულგარელი მწერლები ე. ბაგრიანა, დ. გაბე. ც. ანგელოვი, რომლებმაც ხოტბა შეასხეს ქართველ ხალხის საამაყო შვილს, მის პოემას და მხურვალე სიტყვებით შეამკეს ქართულ-ბულგარული ლიტერატურული ურთიერთობა¹⁵⁴. შ. რუსთაველის იუბილეს ბულგარეთში გულისხმიერად და აღმაფრენით გამოეხმაურა ჭარმაგი პოეტი ლ. სტოიანოვი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი და ცნობილი ბულგარელი მოღვაწე, აგრეთვე დიმიტროვის პრემიის ლაურეატი და პოეტი ა. ტოდოროვი, რომელმაც რუსთაველისადმი მიძღვნილი თავისი ერთი წერილი ბულგარულად თარგმნის „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტს წარუძღვარა¹⁵⁵. ბულგარეთის რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში თავისი სიტყვა თქვეს ა. ბარამიძემ, გ. გერმანოვმა, ს.

¹⁵¹ ი. ბ ი წ ა ძ ე, უკნობი დიდება, გაზ. „კომუნისტია“, 31, VII, 1966.

¹⁵² ვეფხისტყაოსანი ბულგარულ ენაზე, „ლიტერატურული საქართველო“, 25. X. 1974.

¹⁵³ ვრცლად იხ. გაზ. „სამშობლო“, 1975 წლის, დეკემბრის №25—26, გვ. 4.

¹⁵⁴ იხ. „Иностранная литература“, 1967, № 2, გვ. 224, 227—228; მნათობი, 1967, № 3, გვ. 123; 127—128; გაზ. „კომუნისტია“, 29. IX, 1966.

¹⁵⁵ А. Т о д о р о в. Злато е недълготрайна а добродетеловечно. „Вечерни новини“, 30. IX, 1966.

დუდევესკიმ და სხვებმა¹⁵⁶. გაძლიერებული ინტერესი მეტყველებს, რომ მომავალში ბულგარელები „ვეფხისტყაოსანს“ სრულად შეიყვანონ. მის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობასაც ჩაწვდებიან და ქართული შაირის შნოსა თუ ლაზათსაც მთლიანად აღიქვამენ.

საქართველოს პრესაში და მეცნიერულ პერიოდიკაში სისტემატიურად აღინიშნება ბულგარული მწერლობის მნიშვნელოვან წარმომადგენელთა საიუბილეო თარიღები. ტელევიზიითა და რადიოთი გადაცემა ბულგარეთის კლასიკოსებისა და თანამედროვე მწერლების შემოქმედება; მათი ბიოგრაფიები წარმოდგენილია ქართულ საცნობარო ლიტერატურაში; ჩვენს პრესაში ქვეყნდება სტატიები ბულგარი ხალხის ისტორიულ თარიღებზე, კომუნისტურ პარტიაზე, მწერალთა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მეგობრობაზე. კულტურასა და ხელოვნებაზე. ომის შემდგომ პერიოდში. განსაკუთრებით კი 1967 წლიდან, ქართველი და ბულგარელი მწერლები უახლოვდებიან ერთმანეთს. შემოქმედებით კონტაქტებს აფართოებენ და მშურად სტუმარ-მასპინძლობენ.

ურთიერთობანი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის და სტუდენტთა კონტაქტები

ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობისა და თანამეგობრობის პროცესში აქტიურად ჩაებნენ ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც, რომლებიც საკავშირო ორგანიზაციების მხარდამხარ ანხორციელებენ შემოქმედებით და მეგობრულ ურთიერთობას დემოკრატიულ და სოციალისტურ ქვეყნებთან. მნიშვნელოვნად გაფართოვდა უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებათა ფუნქციები, სამოქმედო არე და მეტი პასუხისმგებლობაც დაეკისრათ მათ.

1957 წელს შეიქმნა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის სრულიად სახალხო კომიტეტი, ხოლო 1959 წელს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილება (თავმჯდომარე აკად. ლ. ყანჩაველი, პასუხისმგებელი მდივანი ლუარა ზერაგია). იგი თავის კოლექტივის წევრებსა და დაინტერესებულ პირთ აწვდის საჭირო ლიტერატურას, მასალებს,

¹⁵⁶ ლ. მენაბდე, რუსთველი ბულგარეთში, «ცისკარი», 1973, № 7, გვ. 123—128.

აცნობს მათ ბულგარეთის მიღწევებს; ბულგარეთში გზავნის წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების ნოტებს, მუსიკალურ ჩანაწერებს, ფირფიტებს, ფოტო-სურათებს, მოკლემეტრაჟიან კინოფილმებს, დოკუმენტთა ასლებს, სურათების რეპროდუქციებს, კერამიკისა და ქედურობის ნიმუშებს.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრული ურთიერთობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრები აქტიურად მონაწილეობენ ბულგარეთის და მისი ხალხისადმი მიძღვნილ ფოტო-გამოფენების, კინო-ფესტივალების, საზეიმო-საიუბილეო და მეგობრობის საღამოების მოწყობაში. ისინი საქართველისამებრ კითხულობენ ლექცია-მოსხენებებს დაინტერესებულ წარმოება-დაწესებულებებში, სკოლებში და ფაბრიკა-ქარხნებში. განყოფილება სისტემატურად აწყოებს ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულების, ისტორიულ და სხვა თარიღებისადმი მიძღვნილ საზეიმო სიღომებს; ადგენს და ბულგარეთში გზავნის ტურისტულ ჯგუფებს. დელეგაციებს.

ბულგარელი მეგობრები ნაცვალგების პრინციპზე საქართველოში უხვად გვიგზავნიან ყოველივეს, რაც კი ჩვენი ინტერესის სფეროშია მოქცეული. ქართველებისა და ბულგარელების მეგობრული თანამშრომლობა ინტერნაციონალური სულისკვეთებით, პუმანური იდეებით, მშვიდობისმოყვარული პრინციპებითაა გაღწენილი და განმტკიცებული, რაც თვალსაჩინოდ ჩანს ბლაგოევგრადის ოკრუგისა და აჭარის მშრომელთა შორის დამყარებულ მჭიდროდ და მეგობრულ კულტურულ კავშირ-ურთიერთობაში.

1964 წლიდან აჭარის ასსრ და ბლაგოევგრადის ოლქის კონტაქტები განსაკუთრებით გახშირდა. დაიწყო პარტიულ-სამეურნეო და კულტურული დელეგაციების გაცვლა-გამოცვლა. გონიოს ძველისძველ ციხე-სიმაგრის ვრცელ ეზოში გააშენეს „მეგობრობის ბაღი“, სადაც მარადიულ ძმობის სიმბოლოდ კეთილშობილი ხის ნერგები დარგეს ქართველმა და ბულგარელმა პარტიულმა ხელმძღვანელებმა. ბათუმის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდა ბლაგოევგრადის სახელი. სამაგიეროდ, ბლაგოევგრადის ერთი ქუჩა აჭარის სახელს ატარებს. ორივე ქალაქი იცნობა ერთმანეთის ყოფა-ცხოვრებას, საქმიანობას, კულტურას, წარმატებებს სახალხო მეურნეობაში და ერთმანეთს უზიარებს მოწინავეთა გამოცდილებას. აჭარის მუზეუმების ფონდები და ექსპოზიციური სტენდები გამდიდრდა ბულგარულ ხალხთან მეგობრობის ამსახველი ექსპონატებით, საჩუქრებით, სიგელებით, ადრესებით, ფოტოებითა და წერილებით.

ინტერნაციონალური მეგობრობის ისტორია 1964 წელს კიდევ ერთი სამაგალითო მოვლენით დამშვენდა: ბათუმში საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდა ბლაგოვეგრადის ოლქის დელეგაცია. რომელსაც აპარის მშრომელებმა გულთბილი შეხვედრა და მასპინძლობა გაუმართეს. საპატიო სტუმრები გულდასმით გაეცნენ აპარის ისტორიულ ადგილებს. კულტურისა, ხელოვნებისა და არქიტექტურულ აეგლებს, ეწვივნენ მეჩაიეებს, ფაბრიკა-ქარხნების მუშებს. შეხვდნენ მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლებს და გულდასმით ისაუბრეს ორივე მხარისათვის საინტერესო თუ საჭირობო საკითხებზე. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დათვალიერებისას მათ შეიტყვეს, რომ ქარხნის პროდუქცია — დიზელ-საწვავი — ბულგარეთშიც იგზავნება, — ამან სტუმრების დიდი კმაყოფილება და სიხარული გამოიწვია. ბულგარელები მიიპატიეს ოჯახში ქარხნის მუშებმა ივ. სტურუამ და შ. ლომთაძემ.

ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობისადმი მიძღვნილი კრება. დარბაზში შეკრებილ მშრომელთა და ბულგარეთის დელეგაციის შეხვედრა გადაიქცა ზეიშად. ძმობისა და მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაციად. სტუმარ-მასპინძელი კონცერტმა კიდევ უფრო გაახალისა და აღაფრთოვანა. გულთბილი ღონისძიება ბულგარელი და ქართველი ხალხის სანარადისო ძმობის და ურღვევი მკიდრო მეგობრული ურთიერთობის გარანტიად იქცა. საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის, ძმობისა და თანამშრომლობისადმი მიძღვნილმა საოლქო კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოების აპარის განყოფილების შექმნაზე და აირჩია კიდევ გამგეობა 15 კაცის შემადგენლობით. ახლად შობილმა განყოფილებამ მოკლე დროში დიდი და ფართო მუშაობა გააჩაღა და ჩატარებული ღონისძიებებით რესპუბლიკურ ორგანიზაციებსაც კი გაუტოლდა¹⁵⁷.

ბლაგოვეგრადის ოლქის დელეგაციის წევრებს ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ. სტუმრები უხვად დაასაჩუქრეს სამაგისტრო ნივთებით, სუვენირებით, წიგნებით, ფირფიტებით, თაიგულებით, ფოტოებით და ხალხური შემოქმედების ნიმუშებით.

ამაღელვებელი და საოცარი იყო ბლაგოვეგრადელთა და ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ბულგარელ მუშა-მოსამსახურეთა შეხვედრა. აპარაში გაქართველებული ბულგარელები განსაკუთრე-

¹⁵⁷ ბ. ა. ხ. ვ. ლ. ი. ა. ნ. ი. როგორც წყალი და პაერი, გაზ. «საბჭოთა აპარა», 9. IX. 1969.

ბული მოუთმელობით, მღელვარებითა და გულის ფანქცალით ელო-
დნენ თაბამემამულეთა წარმომადგენლებს, მშობლიური ენის მცოდ-
ნე და გვარტომული ჩამომავლობის ძმებს და მეგობრებს. მათ
თავშეყრას გულისამაჩუყებელი ელფერი ედო — ბულგარელებს
მხურვალედ ჰკოცნიდნენ ჩვენი ქართველი ბულგარელები. გაის-
ზოდა მგზნებარე შეძახილები ორივე ენაზე, სიხარულის ცრემლები
უციმციმებდათ ჩამოსულ და დამხვდურ ბულგარელთ. დელეგა-
ციის ხელმძღვანელმა კ. ტრიჩკოვმა მღელვარებისაგან ათრთოლე-
ბულმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ქართულ მი-
წაზე ინახულეს ბედუქუღმართობით ოდესღაც რუსეთის ტრამა-
ლებში გადმოხვეწილი და შემდეგ მადლიან საქართველოს შემო-
ბრუნებული ბულგარელი ძმები, რომლებიც აჭარლებთან ერთად მე-
გობრულად ცხოვრობენ. საქმიანი, საამო, ტკბილი და დაუვიწყარ
შეხვედრები ხუცუბნელი შაქრო შაქარაშვილის გულუხვმა
მასპინძლობამ და შაქარივით ტკბილმა პურ-ღვინომ დაამშვენა,
დაავირობენა¹⁵⁸.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმში მოაწყვეს ახალი ექსპოზიცია,



ბლაგოვეგრადის ოლქის დელეგაცია ბათუმის აეროპორტში.

¹⁵⁸ ვ. ბ ა ბ ა ი ა ნ ი, ბულგარელი სტუმრების ბათუმში ყოფნის მესამე დღე.
გაზ. «საბჭოთა აჭარა», 21. 22. XI, 1964.

რომელიც მეძღვნა ბლაგოვეგრადის ოკრუგისა და აჭარის ისტორიულ-კულტურულ კავშირ-ურთიერთობასა და თანამეგობრობას.

1972 წელს ბლაგოვეგრადის ოკრუგის დელეგაცია აჭარაში გაეცნო ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის, განათლების, მედიცინის, სპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მოპოვებულ წარმატებებს. კინოფირმა სტუმრების მეგობრული ვიზიტი საშვილიშვილოდ უკვდავყო.

მჭიდრო კულტურული და მეგობრული ურთიერთობაა ქ. რუსთავისა და ქ. კრემიკოვცის მშრომელებს შორის. კონტაქტში არიან და საქმიანად თანამშრომლობენ სოხუმისა და ვარნის ორგანიზაციები, მუშა-მოსამსახურეები. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულან თბილისისა და სოფიის რკინიგზელები. სურამის ბაეშვთა სახლს უშუალო კულტურულ-მეგობრული კონტაქტი აქვს დამყარებული ბულგარეთის ქ. პაზარჯიკის იური გაგარინის სახელობის სკოლასთან ქაბუკთა აღზრდის და განათლების საკითხებზე.

1964 წლის აგვისტოში საქართველოს პედაგოგიურმა საზოგადოებამ ბულგარეთში მიაღწინა განათლების ქართველ მუშაკთა 10 კაციანი ჯგუფი — მეცნიერები, მკვლევარები, პედაგოგები, სპეციალისტები, რომლებიც გაეცნენ მეგობარი ქვეყნის საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემას. 1967 წ. კი ქართველმა ბოტანიკოსებმა ამოგზაურეს ბულგარეთში.

1969 წლის 21 ივნისს თბილისს ეწვია დელეგაცია 33 კაცის შემადგენლობით — საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის შემოქმედებითი ახალგაზრდობის კლუბის V სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. ჩამოვიდნენ აგრეთვე ჩეხი და სლოვაკი, პოლონელი, უნგრელი, რუმინელი და გერმანელი ახალგაზრდებიც. ისინი სხდომებზე პროფესიის მიხედვით იკრიბებოდნენ. კლუბის პლენარული სხდომა ბათუმშიც ჩატარდა თემაზე: „შემოქმედების პასუხისმგებლობა ხალხისა და ისტორიის წინაშე სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში“. ფორუმის წევრმა, ჟურნალისტმა და მწერალმა ილია ნიკოლჩინმა მოსწრებულად განაცხადა: „ჩვენ თითქმის ახალი არგონავტები ვართ, მაგრამ ვერძის ნაცვლად მეგობრობის ოქროს საწმისის „გასატაცებლად“ ჩამოსულნი“. ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბი შეიქმნა 1967 წელს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის განმტკიცებისა და კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალგაზრდა მუშაკთა ურთიერთგაცნობა-დაახლოების მიზნით. კლუბის ახალ პრეზიდენტად 1969 წლის

12 ივნისს აირჩიეს ახალგაზრდა ქართველი პოეტი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი რევაზ ამაშუყელი, რომელმაც საზეიმო ფიცი დასდო და მიიღო პრეზიდენტის კვერთხი და ბაფთი ბულგარელი კომპოზიტორის ალექსანდრე იოსიფოვისაგან.

ახალგაზრდა ხელოვანთა კლუბმა, ბულგარეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობაში ახალი ცხოველმყოფელი იერი შეიტანა: თბილისის სასტუმრო „ივერიის“ ვესტიბულში შემდგარი სხდომა, რომელზედაც მონაწილენი ლექსებითა და გულთბილი სიტყვებით გამოდიოდნენ ან სიმღერებსა თუ ცეკვებს ასრულებდნენ. იყო 35 ბულგარელი და ამდენივე ქართველი პოეტის, მხატვრის, მსახიობ-ს. რეჟისორის, მომღერლის, მუსიკოსის საქმიანი, მზიარული და წრფელი თავყრილობა.

1974 წელს ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას 30 წლისთავზე აჭარის მშრომელთა დელეგაცია ბულგარეთში გაემგზავრა და მონაწილეობა მიიღო ბლაგოევგრადელთა ეროვნულ ზეიმში. ამ თარიღთან და გ. დიმიტროვის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით საიუბილეო-სამახსოვრო მედლებით დაჯილდოებულთა შორის 5 ქართველია.

ბულგარეთ-საქართველოს მართლმადიდებელთა ოდითგან მომდინარე ალაღმართალი ურთიერთობა და მეგობრობა აკურთხა და დალოცა ბულგარელთა პატრიარქმა, უწმინდესმა მაქსიმემ 1974 წლის მაისში, როცა იგი თანმხლებ მაღალ ყოვლადუსამღვდელოეს პირებთან ერთად თბილისში ბრძანდებოდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოწვევით. მღვდელ-მთავრებმა ცნობის-მოყვარეობით დაათვალიერეს თბილისის სასულიერო არქიტექტურის ძეგლები, მუზეუმები, კულტურული დაწესებულებანი. ბულგარეთის სულიერ მამებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტის ეტრატებმა. პალიმფსესტებმა, ფოლიანტებმა, თეოლოგიურმა ლიტერატურამ. საპატიო სტუმრები მიიღეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სადაც გულთბილად ისაუბრეს სარწმუნეობრივ ურთიერთობაზე და იმ როლზე, რომელსაც იგი ასრულებს საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებაში. პატრიარქი მაქსიმე ამალით ეწვია მცხეთას. მათ დაათვალიერეს ეკლესია-მონასტრები, ტაძრები, მამულაშვილის ბაღი, სასულიერო სემინარია და ჯვრის მონასტერი, სადაც დიდი ინტერესით მოისმინეს ძველი ქართულ საგალობლები, რესტორან „მარანში“ გამართულ სადილზე კი მადლიერებით მოიხსენიეს ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურ-

თიერთობის უმთავრესი მომენტები. რელიგიის მსახურთა და ქართველ მოღვაწეთა შორის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში გაიმართა შეხვედრა, რომელმაც გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ბულგარეთი და საქართველო თითქოს ტყუპის ცალები გაზდნენ, იმდენად ბევრი რამ გამომჟღავნდა მათ ბუნებასა და ყოფაში, ისტორიასა და ტრადიციებში, კულტურასა და ხელოვნებაში. საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად აჭარისა და მთელი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და შემოქმედებითი ორგანიზაციები უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრული ურთიერთობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებასთან ერთად ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მარადიულად აქციონ ბულგარელებთან ძმური ურთიერთობა.

კავშირ-ურთიერთობანი ხელოვნებაში

სიმღერა და ცეკვა ხალხის ეროვნული საუნჯეა. მასში არეკლილია გარდასულ ეპოქა ვითარება: ომი და მშვიდობა, ბრძოლა და შრომა, გლოვა და სიხარული, ზნე-ჩვეულება და ადამ-წესები, რელიგია და მითოლოგია. ხალხი ცეკვა-სიმღერითაც გამოხატავდა ხასიათს და განწყობილებას. მომღერლები საკრავთან შეხმატკბილებულ მელოდებში აქსოვდნენ და ასახავდნენ ისტორიულ მოვლენებს, გამარჯვებებს, გმირობას... ეს ეროვნული გენია ქართველი და ბულგარელი ხალხის სიმღერებშიც ვლინდება. ისინი მუსიკალურ ოდას უძღვნიან გმირებს. ვაჟკაცებს, საბელოვან მამულიშვილებს, მაგრამ იმავე სიმღერით ჰკილავენ ლაჩრებს და რისხავენ სამშობლოს მოღალატეებს.

ქვეყნის უღირს და გადაგვარებულ-მახინჯ-ლაჩართა ზიზღია გამოხატული ბულგარულ სიმღერა „სტეფანე კარაჯას ანდერძში“ და „ხაჯი დიმიტრის“¹⁵⁹ საბრძოლო პატრიოტულ სიმღერებში, რომლებშიც მტერსა და მოღალატეებს რისხვას უქადის მებრძოლი ხალხი. ხოლო პატრიოტებს მარადიული შარავანდედით მოსავეს. მათი ანალოგიური სიმღერაა ჩვენი „ალი-ფაშა“, სადაც ხალხი მკაცრად სჯის მოღალატე თანამემამულეს რუსეთ-თურქეთის ომის დროს.

¹⁵⁹ ორივენი ბულგარეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის სახალხო გმირები არიან.

შეშასადამე. ორივე ხალხის სულიერ-ნებელობითი განცდები და მტრისა თუ მოალაღობისადმი მრისხანება მსგავსადაა გამოხატული ქართველ-ბულგართა ომახიან საბრძოლო სიმღერებში.

ქართული და ბულგარული სიმღერები ერთმანეთს ჰგვანან არა მხოლოდ სიუჟეტურად, არამედ მუსიკალური მოტივებითაც. ორივე ხალხის მუსიკალურ შემოქმედებაში აშკარად შეიმჩნევა მსგავსი მელოდია, ერთნაირი კილოკავი, სიმღერის ქარგა. ბულგარულ-რუმინული ფერხული ცეკვის ერთი მოტივი ანალოგიურია კარგად ცნობილ სიმღერა „მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილის“ მოტივისა. ილიკო ქურხულს ბულგარეთში მოგზაურობისას, როდესაც იგი თავის განუყრელი ვიოლინოთი და გულდასტვირთ კონცერტებს მართავდა, ქართულის მსგავს ბევრ ცნობილ პანგს გარდა, ბარბითის ანუ მუღნის აკომპანიმენტზე შესრულებული მცირედ შეცვლილი მშობლიური „ჩონგურიც“ სმენია. ცინკო პოპოვის გადმოცემით, სიმღერა „ჩონგური“ ბულგარელთა ცხოვრებაში ისე ღრმად შექრილა, დამკვიდრებულა და პოპულარობაც მოუხვეჭია, რომ ტრადიციულ სიმღერა „ალსდექ. ბალანგლო ჭაბუკოს“ და კმირ ჩავდარზე შეთხზულ ჰაიდუკურ ჰიმნთან ერთად უმღერიათ¹⁶⁰. ამ სიმღერის მოტივიც „მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილის“ მოტივს წაავს.

ილიკო ქურხულის ხუთწლიანი მოოვაწეობა XX საუკუნის ოციანი წლების ბულგარეთის მუსიკალურ კულტურაში საინტერესო ეპიზოდია. ამ ხნის მანძილზე ქართველი „მოხეტიალე მუსიკოსი“ მთელ ქვეყანაში ფეხით მოგზაურობდა და ვიოლინოს გარდა უკრავდა ჩონგურზე, ფანდურზე, ჩანგზე, სალამურსა და საზანდარზე. ერთ-ერთი ბულგარული გაზეთის რედაქტორი იგონებდა: „მოხეტიალე მუსიკოსი ხელჩამოურთმევლად გავიცანი. ის მოვიდა ჩვენს ეზოში თავის „ვიოლინოთი“ და დაუკრა სეკდიანი მელოდია, რომელიც ჩვენს ძველ ბულგარულ სიმღერას ჰგავდა... როდესაც სიმღერა დაწყდა, ფრინველები გაჩუმდნენ. ნაღვლიანი მელოდის შემდეგ უცნობმა ჩაიკოვსკი დაუკრა. ცნობისმოყვარეობამ ფანჯარა გაშალდებინა... ქუჩაში არასოდეს — არც ჩვენში და არც უცხოეთში — არ მომისმენია ასე ყურადღებით გრიგი და ჩაიკოვსკი... რა თავგანწირვაა მუსიკის პოპულარიზაციისა და დემოკრატიზაციისათვის! რა დიდი ძალა უნდა ჰქონდეს ამ ქართველ მეგობარს. დიდი მუსიკალური კულტურის მქონეს, რომ იაროს ქუჩებსა და

¹⁶⁰ ლ. ჯ უ ლ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვაზოვი და ბულგარეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა, თბ., 1961, გვ. 48.

ეზოებში, ასწავლოს ხალხს და შეაყვაროს წმინდა მუსიკა.. ქერხულის მუსიკა სოფლებსა და ქალაქებს მოედო. თეატრებსა და სამკითხველოებს ყველგან დიდი სიამოვნებით უთმობდნენ. იგი მოხსენებებს მუსიკის თანხლებით კითხულობდა. ამ აუდიტორიებიდან ქერხული სკოლებშიც შეიჭრა და ბავშვებს საქართველოზე, ქართულ მუსიკაზე ებასებოდა“¹⁶¹.

ბულგარეთის მთავრობისა და განათლების სამინისტროს სპეციალური ნებართვით, რომელიც გაცემულია 1922 წლის 28 ოქტომბერს № 22428-ით ანუ „უფლების ფურცლით“, ქერხული დიდ შემოქმედებით და პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა ბულგარეთში. მისი „ბაასი“ ანუ მუსიკალური პროპაგანდა სავალდებულო იყო ყველა სკოლისათვის. ორიგინალური სტილის მოხეტიალე ქართველმა მუსიკოსმა შემოიარა 6 ქალაქი, მრავალი დაბა-სოფელი, 3000 სკოლა, უთვალავი ეზო და ქუჩა. სკოლებში იგი მუსიკის გაკვეთილებსაც ატარებდა. პროფ. პეტკო ცონევის მიწვევით სოფლის უნივერსიტეტში ქერხულს ლექცია-კონცერტთა ციკლი ჩაუტარებია ქართულ მუსიკალურ კულტურაზე. უცხოელმა გასტროლიორმა ისეთი დიდი პოპულარობა მოიპოვა, რომ ზულგარელი მოღვაწისა და გამოჩენილი პედაგოგის მიხეილ გერასკოვის ყურადღება მიიპყრო. მან ილიკო ქერხული ხარმანლის პედინსტიტუტში მუსიკის მასწავლებლად დაანიშნინა. იუსტიციის სამინისტროს ნებართვით კი ქერხული მუსიკალურ-სავანმანათლებლო საუბრებს პატიმრებთანაც ატარებდა. იგი გამოდიოდა სახალხო საკრებულოებსა და პედაგოგთა კონფერენციებზეც, იწვევდნენ დაწესებულებებში კონცერტ-საუბრეზისათვის. ბულგარული პრესა გულისხმიერებითა და მაღლიერების გრძნობით ეხმინებოდა ქართველი „აშულისა და საზანდარის“ უანგარო მოღვაწეობას; მაგალითად, დაიბეჭდა დოჩევის. მიშიაკოვის და სხვათა სტატიები; 1926 წლის გაზ. „ზორნიცას“ № 24 მხურვალედ მიესალმებოდა ქერხულის პატრიოტულ საქმიანობას. ინტერესს იწვევს ამ გაზეთში გამოქვეყნებული დონ ხეჩოუსის სტატია («Классическая музыка за народ»), რომელშიც დიდადაა შეფასებული ქართველი მუსიკოსის რეპერტუარი, პედაგოგიურ-აღმზრდელობითი საქმიანობა და მოღვაწეობა¹⁶².

¹⁶¹ თ. გ. მ. ა. რ. ე. ლ. ი, ქართველი მუსიკოსი ბულგარეთში, გაზ. «თბილისი», 2. IV. 1960.

¹⁶² ლ. ჯ. უ. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, ზოგი რამ საქართველოსა და ბულგარეთის კულტურული ურთიერთობიდან, «საბჭოთა ხელოვნება», 1957, № 6 გვ. 56—57.

მუსიკის და ყოველივე ხალხურობისადმი სიყვარული პირველად ქართველმა მუსიკოსმა ჩამოაგება. ეს ცნობილი ქართველი მოხეტიალე მუსიკოსი ჩემი პირველი მასწავლებელია“, — აცხადებს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. იოსიფოვი.

1924 წელს სოფლის გამოცემლობა „ახალმა საზოგადოებამ“ ი. ქურხულს ბულგარულად 3.000-იანი ტირაჟით დაუბეჭდა წიგნი ქართულ მუსიკაზე სახელწოდებით „ვარსკვლავთა კაშკაში“. მამასადაც, ქართველმა კაცმა კალმითაც შეიტანა წელილი „ლავეარდ საქართველოსა“ და რაიას კულტურულ ურთიერთობაში.

ქართველ მეომართა, მოლაშქრე მოხალისეთა და ილიკო ქურხულის მეოხებით, აგრეთვე სხვა გზებით ბულგარეთში გაკრეწებული ქართული ხალხური სიმღერები თუ მუსიკალური მოტივები, ჩვენი ეროვნული კილო და კოლორიტული მელოდია. რომლებიც დიდი პოპულარობითა და ინტერესით სარგებლობდნენ ხალხში, ქართული მუსიკალური საუნჯის ის უძვირფასესი ნიმუშებია, რომლებიც ყველაზე მეტად ეხმიანებოდნენ ორივე ხალხის სულიერ განწყობილებას, უნებლიეთ ორგანულად ერწყმოდნენ ქართველი და ბულგარელი ხალხის კლასიკურ მუსიკალურ საგანძურს. ამის ერთი მკაფიო მაგალითია ქურხულის მიერ გავრცელებული ქართული სიმღერა „სულიკო“, რომელიც პროფაშისტური რეჟიმის პირობებში ბულგარელი კომუნისტების საიდუმლო-სანიშნო და პარტიულ-რევოლუციური ჰიმნი იყო.

1941 წლის მარტში ბულგარეთი ჰიტლერული გერმანიის ჯარებმა დაიკავეს. ოკუპაციის პერიოდში ბულგარელი ხალხის კულტურული ურთიერთობა გარე სამყაროსთან თითქმის მთლიანად შეწყდა. ქვეყანაში ფაშისტური ტერორი თარეშობდა და მთელი ეროვნული ძალა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ იყო მიმართული. ბულგარეთის განთავისუფლების სამამულო ფრონტი და პარტიზანული რაზმები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდნენ გერმანელთა წინააღმდეგ და კატეგორიულად მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირთან ძმური თანამეგობრობის აღდგენას, გაფართოებას. განმტკიცებას. ბულგარეთის მუშათა კლასმა. გლეხობამ, დემოკრატიულმა ინტელიგენციამ კომპარტიის ხელმძღვანელობით გამოიყენეს მომწიფებული რევოლუციური სიტუაცია, რომელიც ჰიტლერულ ჯარებზე საბჭოთა არმიის გამანადგურებელმა დარტყმებმა შექმნეს და 1944 წლის 9 სექტემბერს ძალაუფლება ხელში აიღეს. დაიწყო ახალი ერა ბულგარელი ხალხის ცხოვრებაში. გიორგი დი-

მიტროვის ხელმძღვანელობით ახალი სოციალისტური სახელმწიფო ფართო და დიდი მასშტაბებით შეუდგა პოლიტიკურ და კულტურულ კავშირ-ურთიერთობის განხორციელებას საბჭოთა კავშირის ხალხებთან, მათ შორის ძველ მეგობარ საქართველოსთან.

ბულგარეთის ქ. ვარნას გარეუბანში, ზღვის სანაპიროზე გაშენებული საერთაშორისო პიონერული ბანაკი, სადაც ყოველწლიურად მსოფლიოს ყველა კუთხიდან თავს იყრის სხვადასხვა ქვეყნის ნორჩი თაობა. სხვა ერის შვილებთან ერთად ქართველი ბავშვებიც ლაღად, მსიარულად, მეგობრულად და შინაარსიანად ატარებენ ზაფხულს ვარნის „მეგობრობის ბანაკში“. ქართველ პიონერთა I მერცხალი ბულგარეთის „არტეკში“ 1955 წელს ჩაფრინდა. ეს იყო თბილისის პიონერთა სასახლის აქტიური წევრი ელგუჯა ბურდული, რომელმაც ბულგარულ საყმაწვილო გაზეთ „სექტემბრელში“ თანატოლებს მოუთხრო ქართველ პიონერებზე და მათ მიღწევებზე. მას ხშირად უხდებოდა ცეკვა და ბევრი თაყვანისმცემელიც ზეიძინა; ბულგარულ კოსტიასაგან იოლად შეითვისა ელგუჯამ ცეკვა, სამაგიეროდ, მასპინძელს სიმღერა „დილა“ ასწავლა. ვარნის საქალაქო პიონერულმა ორგანიზაციამ საოპერო თეატრში მოაწყო შეხვედრა და კონცერტი, რომელზედაც ე. ბურდულმა იმღერა „სულიკო“, „დილა“, „სიმღერა თბილისზე“, იცეკვა „მთიულური“ და მსმენელიც და მაყურებელიც მოხიბლა. იგი აქტიურად მონაწილეობდა ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვილკო ჩერვენკოვთან შეხვედრასა და კონცერტში.

ბულგარელთა ერთ-ერთი ადრინდელი მეგობრები გორის მე-4 საშუალო სკოლის ბავშვები არიან. იგი სოფიელი მოსწავლის სიკა მილანოვას ინიციატივით დამყარდა 1950-იან წლებში, ნანული ქუმელაშვილთან მიმოწერით. კულტურული და მეგობრული ურთიერთობა აქვთ გორის რაიონის სოფ. ხიდისთავის მე-15 და ბულგარეთის ვარაჩენსკის ოლქის მენზოდის პროფტექნიკურ სასწავლებლის მოსწავლეებსაც. ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა ორივე სასწავლებლის დირექტორთა თაოსნობით. საქმიანი მიმოწერის შემდეგ 1973 წელს ქართლის შუაგულს ეწვია მენზდრიელი 10 მოსწავლე და 3 პედაგოგი, რომელთაც ყველაზე მეტად საწარმოო პრაქტიკის ორგანიზაცია და მომავალ სპეციალისტთა პროფესიული და-ოსტატება აინტერესებდათ. მათი შეხვედრები და გამოცდილების ურთიერთგაზიარება შემდგომი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ წარმართვის საწინდრად იქცა.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა კარგი

ინიციატივა გამოიჩინა და პრაქტიკაში შემოიღო ახალგაზრდობის ტურისტული ჯგუფების ე. წ. „სპუტნიკის“ მოგზაურობები. „სპუტნიკის“ წევრები დიდი ცნობისმოყვარეობით ეცნობიან საზღვარგარეთული მეგობარი ქვეყნების, მათ შორის ბულგარეთის ღირსშესანიშნაობებს, მიღწევებს. წარმატებებს. ერთი ასეთი ჯგუფი 1960 წ. სოფიისაკენ მიემგზავრებოდა. ქართველ „სპუტნიკელთა“ თხოვნით მატარებლის რადიოკანძის ოპერატორმა გადასცა ქართული საცეკვაო მუსიკა და მარეხ გოძიაშვილის სიმღერები, რომლის ფირიტებიც სუვენირებად მიჰქონდათ ტურისტებს... და ჩვენს ახალგაზრდობას გამოცხადდა კაცი, რომელსაც უთქვამს: „ახლა მოვისმინე სიმღერები და დავრწმუნდრი, რომ აქ ქართველები ხართ, სტალინის სამშობლოდან; მე ფეხბურთელი ვარ, თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგ მითამაშია. ვიცნობ ლოლობერიძესა და ჭკუასელს“. სასიამოვნოა, რომ ქართულ მელოდიებს ასეთი ფუნქციაც შეუძენია და მისი მეოხებით იკვლევენ გზას ბულგარელები მეგობრებისკენ. რაედაც მეგობრობის ბანაკია ბულგარეთში. 1970 წლის ივნისში ლილიანა დიმიტოვის სახელობის ამ საერთაშორისო კომპაეშირულ ბანაკში ისვენებდა მზია შეწირული, რომელიც ბულგარელებთან მეგობრობდა. რადგან ენობრივი ბარიერი მათ შორის დიდ სირთულეს არ ქმნიდა. 25 ივნისს „მეგობრობის კონცერტზე“ მზიამ წარმოადგინა „ქართული ცეკვა“ და მისი შესწავლის მსურველებიც სწრაფად გაუჩნდნენ.

კულტურული და მეგობრული ურთიერთობა სუფევს თბილისისა და სოფიის უნივერსიტეტების იურიდიულ ფაკულტეტებს შორის 1967 წლიდან. როდესაც ფაკულტეტთა მუშაობის გასაცნობად სტუდენტთა 20 კაციანი ჯგუფები გაიცვალა. 1969 წელს ქართველი სტუდენტები მონაწილეობდნენ სოფიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ინიციატივით ჩატარებულ იურისტთა დღისადმი მიძღვნილ ზეიმში. მაშინ გადაწყდა ვაეცვალათ ასპირანტთა და სტუდენტთა ნაშრომები, მოეწყოთ სტუდენტთა სასწავლო გაცვლა-გამოცვლა.

1968 წლის იანვარში შავი ზღვის ფლოტილიის ერთ-ერთ საფლანგმანო გემ „ივანე ფრანკოთი“ მოეწყო ტურისტული მოგზაურობა რუმინეთსა და ბულგარეთში. გემზე იმყოფებოდა ქუთაისის ვ. აბაშიძის სახელობის კულტურის სახლთან არსებული ლენინური კომპაეშირის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი, რომელმაც რუმინეთს გარდა ყონცერტები გამართა ბულგარეთშიც. ვარნას ნავსადგურში „ივანე ფრანკოზე“ მოეწყო მეგობრო-

ზის საღამო. მასპინძლებთან შეხვედრის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. ვემის სცენა ჯერ დაუთმეს ეროვნულ კოსტუმებში გამოწყობილ ბულგარელებს, რომელთაც მშობლიური სიმღერები და ცეკვები წარუდგინეს ტურისტებს. შემდეგ — კი იმერული ცეცხლი დაანთეს სცენაზე ქუთათურმა მოცეკვავეებმა. დაბოლოს. ვემის ეკიპაჟმა, სტუმრებმა და მასპინძლებმა ერთად იმღერეს „თბილისო“. ქუთაისის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა საშეფო კონცერტი გამართა ვარნის ავტო-სარემონტო ქარხანაში, სადაც მთელი დარბაზი ასრულებდა „სიმღერას თბილისზე“ ანსამბლთან ერთად¹⁶³.

იმავე 1968 წელს თბილისის ალ. ჰუშინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი, რომელიც ძირითადად დაკომპლექტებული იყო მუსიკა-ფილოლოგიის ფაკულტეტის (კათედრის გამგე საქ. სახალხო არტისტი გომპ. რევაზ ლალიძე) სტუდენტებით, საგასტროლოდ ეწვია ბულგარეთს, რათა მეგობარი ხალხისთვის გაეცნოთ ქართული მუსიკა, სიმღერები, ცეკვები. თბომაველ „ოსეთს“ ზემოთ დახვდა ვარნის ნავსადგური. სადაც მეგობრობის სახელდახელო მიტინგიც შესდგა. ამ დროს ბულგარეთი მსოფლიო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX ფესტივალისათვის ემზადებოდა. თბილისელ ხელოვანთა ბულგარეთში ჩასვლა და გამოსვლები ფესტივალის ერთ-ერთ პრივლეგიად იქცა.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღესადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომის შემდეგ ვარნელთა წინაშე წარსდგა თბილისის პედ-ინსტიტუტის საესტრადო ორკესტრი თავისი სოლისტებითა და მოცეკვავეებით. საინტერესო და შინაარსიანი გამოდგა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის სოფიის სასახლეში გამართული კონცერტი, რომელსაც საბჭოთა დიპლომატები და ბულგარეთის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი ამხანაგები ესწრებოდნენ. გათვალისწინებულს მაგიერ ორმაგად მეტი დრო დასჭირდა საკონცერტო პროგრამის შესრულებას, იმდენად ხანგრძლივი იყო ტაში, ოვაციები, ნომრების ბისზე გამეორება¹⁶⁴. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ აღფრთოვანებულ შეხვედრებს გაუმართავდნენ და როგორი წარმატება ხვდებოდათ წილად ქართველ სტუდენტებს ბულგარეთის პროვინციულ ქალა-

¹⁶³ თ. მ. ს. ხ. ი., ორი კვირა საზღვარგარეთ, «ქუთაისი», 17, II, 1968.

¹⁶⁴ ა. ბ. ა. ს. ი. ა. ი. ა., ორი კვირა მეგობრებთან, «კომუნისტ», 21, VI, 1968.

ქებში — ყოველი კონცერტი ორი მოძმე ხალხის ახალგაზრდა თაობის მეგობრობისა და სიყვარულის ზეიმს წარმოადგენდა.

ბულგარეთში გვასახელეს რუსთაველებმაც. სოფიაში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალთან ოქროს მედლებით მკერდდაშვენებული დაგვზრუნდა ქართულ მომღერალთა გუნდი „გორდელა“ და ობილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ზურაბ სოტყილაძე, რომელმაც ორფეოსის დიდი პრიზიცი დაიმსახურა. მათი ბედი გაიზიარა აგრეთვე რუსთავეის ხალხური ცეკვის ანსამბლმა „სალხინომ“, რომელსაც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. დარახველიძე ხელმძღვანელობდა¹⁶⁵. მეფოლადეთა ქალაქის მოცეკვავეებმა სოფიაში წარჩინების დამადასტურებელი დიპლომები ფესტივალის ჟიურის წევრთა ავტოგრაფებით მიიღეს.

პლოვდივის 1969 წლის საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც 48 ქვეყანა მონაწილეობდა, მიეძღვნა ბულგარეთის ეროვნულ დღესასწაულს — ფაშიზმზე გამარჯვების 25 წლისთავს; საბჭოთა კავშირის პავილიონში თვალსაჩინო ადგილი დაუთმეს საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს წარმომადგენლებს უახლესი ქართული, ეროვნული მოტივებით დამშვენებული მოდეების სადემონსტრაციოდ. ქართული მელოდიების ფონზე, მწყობრად, ნარნარად გამოდიოდნენ ღია სცენაზე სტილიზებულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ქალიშვილები და თეთრიხიზიანი ვაჟები. სინაზე, სანატიფე, შემართება და სილალე ხბლავდა სტუმარ-მისაწინდელთ. ტაში და ოვაცია ფარავდა გულშიჩამყიდომ ქართულ ჰანგებს, რომლებსაც გიული ჩოხელი ასრულებდა. 80-ზე მეტი მოდელი უჩვენეს. ბულგარეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობაში ეს სიუჟეტი სიახლე და კარგად მოფიქრებული ემოციური სანახაობა სარფიანი ღონისძიებაც იყო, რაც მკაფიოდ ჩანს უცხოური პრესის გამოცხილიდან.

„რაბოტნიჩესკო დელოს“ კორესპონდენტი იური პოპოვი კმაყოფილებით იუწყებოდა: „პლოვდივის ბაზრობა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც სიურპრიზი შემოგვთავაზეს — საქართველოს მოდელებს სახლის რევიუ. სინამდვილეში ეს არის ხალხიანი სპექტაკლი მუსიკით, სიმღერებითა და კარგად დადგმული ცეკვებით“. ძალზედ მოსწონდათ დ. ცქიტეშვილის და ჯ. გეგუჩაძის სიმღერები; ქართული მოდეების პლოვდივში დემონსტრირების

¹⁶⁵ რ. მ. ო. ჩ. ი. ლ. ძ. ე., რუსთავეის წარგზავნილებმაც გვასახელეს, ასოციალისტური რუსთავეა, 18. IX, 1968.

მონაწილე ახალგაზრდული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ხომლის“ წარმატებაში სათანადო წვლილი შეიტანა რესპუბლიკის დამსასურებელი მხატვრის ოთარ ლითანიშვილის მაღლიანმა ხელმაც. გზ. „პანაირნი ნოვინი“ წერდა: „ძნელია იმის თქმა, თუ რა უფრო გიპყრობთ ქართული მოდეების ჩვენებისას — თანამედროვე ჩაცმულობის თამამი ხაზები, მოდელიერთა მდიდრული ფანტაზია... თუ შესანიშნავად შექმნილი, ზომიერების დიდი გრძნობითა და ტაქტით დადგმული პროგრამა. ეს მართლაც ბრწყინვალე დღესასწაულია სტუმრებისა და ბაზრობის დამთვალიერებელთათვის“. ქართველმა მოდელიერ-მომღერალ-მოცეკვავეებმა ორი საშეფო კონცერტი-რევიუ გამართეს სოფიის საბჭოთა საელჩოში და ჩვენი და უცხო დიპლომატებიც მოხიბლეს¹⁶⁶. ამგვარად, ქართული მოდელების სახლმაც შეიტანა თავისი მოკრძალებული წვლილი ბულგარეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობაში.

ზუგდიდის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა“ 1971 წელს ჯარნას ოქროსფერ ნაპირის „ინტერკლუბში“ გამოვიდა და „სულიკოს“ სიმღერისას დარბაზში მსხდომნიც აიყოლია; 14 ქვეყნის წარმომადგენელი გულმოდგინედ უყრავდა ტაშს ზუგდიდელებს, რომელთაც ქ. აქსაკოვოში კონცერტის წინ რაიკომის მდივანი მარია ნანევა მიესალმათ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად 1972 წელს ბულგარეთში იმყოფებოდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ვოკალურ-საკრავიერი ანსამბლი „ივერია“, რომელმაც 25 დღეში 23 კონცერტი ჩაატარა სხვადასხვა ქალაქებში, საშინლად მომქანცველი იყო ყოველდღიური მოგზაურობა, მაგრამ ისეთი მგზნებარე და ტრიუმფალური იყო მიღება-გაცილების სცენები, რომ დაღლა-დაქანცვა არავის უგრძენია, — პირიქით, ისეთი სითბოსა და სიყვარულის ვითარებაში მოექცნენ, რომ ანსამბლის ხელმძღვანელმა ა. ბასილაიამ ბულგარეთს სრულიად სამართლიანად შეარქვა „ათასი ღიმილისა და ვარდების ქვეყანა“. პირველ ოფიციალურ კონცერტამდე „ივერიელნი“ მიიპატიჟეს სოფიის თავზე აღმართულ ვიტოვის დასვენების, გართობისა და მეგობრობის უწმინდეს მთაზე, სადაც კომკავშირელ მშენებელთა ბრიგადების 20 ათასი ახალგაზრდა გაშლილიყო¹⁶⁷. სახელდახელო ესტრადაზე ჯერ ცნობილი ბულგა-

¹⁶⁶ გ. გ. ო. მ. ა. რ. თ. ე. ლ. ი., ქართული მოდაბულგარეთში, «კომუნისტი», 23. X. 1969.

¹⁶⁷ სხვათაშორის, მთაწმირის იყო ზუგდიდელი კომკავშირელ-მშენებელი გიორგი შერვაშიძე, რომელიც თანამემამულე ხელოვანთ გულშეურალედ მიესალმა (ა. ც.).

რელი მსახიობები გამოდიოდნენ. „ივერია“ საფინანსოდ შეძინა-
ხეს და 20 წუთი დაუთმეს, მაგრამ კონცერტი ისეთი აჟიოტაჟით
წარიმართა, რომ მსმენელთა დაყინებული მოთხოვნით ორივე გან-
ჯოფილება შეასრულებინეს, მერე თაიგულებში ჩაფლეს და ავ-
ტობუსით ყვავილებით მოურთეს. სოფიის საქალაქო კომკავშირულ-
მა განყოფილებამ საშეფო კონცერტში მონაწილეობის, მადლიერე-
ბისა და პატივისცემის ნიშნად ანსამბლისათვის საზეიმო მიღება
და ბანკეტი მოაწყო¹⁶⁸.

„ივერიის“ პირველი საჯარო კონცერტი სოფიის 3000 ადგილი-
ან საზაფხულო, ხალხით გაქედილ თეატრში ჩატარდა. ქართულ
სიმღერებს „ჩაფუნას“, „შენი ჰირომე. ძმა ხაროს“ და რ. ლალიძის
და გ. ცაბაძის ნაწარმოებებს თან სდევდა ტაშისა და ვაშაჰ ქუხი-
ლი. როცა ბულგარული სიმღერა „ეჰ. სიყვარულო“ შეასრულა
სოლისტმა ნ. კიკინაძემ და კ. ტატიშვილმა, სცენა ისე გაიქედა თაყ-
ვანისმცემლებით, ისე აივსო თაიგულებით, რომ კონცერტი კინაღამ
ჩაიშალა. საღამოს გაზ. „ვეჩერნი ნოვინი“ აღერთვანებით იუწყ-
ვებოდა: „ვოკალური შემსრულებლები თ. წიკლაური. ვ. ტატიშ-
ვილი, ჯ. ბალაშვილი, თ. ჩხეიძე, ა. მამაცაშვილი და ა. მამიკონიანი
გმნიან შეწყობილ ანსამბლს, რომელმაც რიტმულობის, სიმღერის
კულტურის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ქეშმარიტად განუ-
ნეორებელი, საოცარი მუსიკალობის ნამდვილად ბედნიერი თავ-
შეყრაა“. „ივერია“ კონცერტზე „კალინკა“ შეასრულა და პროგ-
რამა დახურა, მაგრამ დარბაზი ჰქუხდა: „სულიკო“, „სულიკო“! და-
ღამ აღმართი მოხსნა — გასტროლიორებმა მოუშზადებელი „სული-
კო“ იმღერეს. მაგრამ ეფექტი მაინც გრანდიოზული გამოდგა —
ფეხზე ამდგარი 3 ათასი მაყურებელი მსახიობებთან ერთად მღე-
როდა¹⁶⁹.

ვოკალურ-საკრავიერი საესტრადო ანსამბლი „ივერია“ ბულ-
გარეთში ერთ თვეს მოგზაურობდა სიმღერით „გამარჯობა ბულ-
გარეთო, შენო ლურჯო მთებო, მახლობლო დუნაი“ და კონცერ-
ტებს მართავდა სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში. გაზ.
„რაბოტნიჩესკო დელო“ სიამოვნებით წერდა: „ქართველმა მომ-
ღერლეებმა გაგვახარეს ჩვენ არა მხოლოდ ოსტატობის მაღალი დო-
ნით, არამედ უპირველესად ყოვლისა გულდასმით მოფიქრებული

¹⁶⁸ ვ. გ. გოლაშვილი, გმადლობთ, გვეუბნებიან მეგობრები. «ახალგა-
ზრდა კომუნისტი», 17. VIII. 1972.

¹⁶⁹ ვ. გ. გოლაშვილი, „გამარჯობა ბულგარეთო“. გაზ. «თბილისი», 15.
VIII, 1972.

პროგრამით, წუნდაუდებელი გემოვნებით, კონცერტის თავისუფალი წარმართვისა და მსუბუქი ტექნიკური შესრულებით¹⁷⁰. მიხაკებით დამშვენებული კალათებითა და ქართული სიმღერით ეწვივნენ „ივერიელნი“ შუა საუკუნოვანი იბერიული კულტურის ცენტრს პეტრიწონს. რომლის კარიბჭის ახლად გაკრული წარწერა საზღი-მოდ ღალადებს ამ საუანის ივერიელ ფუძემდებელთა და მოღვაწე-თა დიდებულ წვლილზე. „ივერიის“ გასტროლები ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობის სიყვარულისა და მეგობრობის ქეშმარიტი გა-მოხატულება იყო.

საესტრადო მუსიკისა და სიმღერის ბულგარელმა მსახიობებ-მაც მონინადირეს ქართველთა გულები. ვის არ უნახავს და არ უს-მენია მომცრო ტანის გამხდარი მომღერლის, ჯადოსნური ფლეი-ტასავით დამატყვევებელი და მომხიბვლელი ლილი ივანოვასათ-ვის. გულძკერდში ჩამწვდომი მისი სიმღერა დღესაც გვამშვიდებს, გვატკბობს, გვალელებს. მისი დაუვიწყარი კონცერტები, ქართულ-ბულგარული ვოკალური კულტურის ისტორიას ამშვენებს და აღა-მაზებს.

1959 წელს ბულგარეთის ესტრადა სოხუმს ეწვია. სოფიის სა-ოპერო თეატრის სოლისტმა დიანა პოპოვამ ოსტატურად შეასრუ-ლა ბულგარელი კომპოზიტორის დ. ხრისტოვის სიმღერა „ახალ-გაზრდა ქალიშვილი“ და ი. შტრაუსის რომანსი. ძალზე საინტერესო იყო ტრიოს წარმოდგენილი ხალხური ცეკვა „რაჩნიცა“. თავი გა-მოიჩინა სოფიის საოპერო თეატრის სოლისტმა თ. პეტროვამაც, რომელიც საუცხოოდ ასრულებდა ხალხურ სიმღერებს. სოხუმელებს მოეწონათ აგრეთვე ბულგარული ხალხური მელოდია „შეყვარებუ-ლი ჭაბუკი“, ს. ხამერნიკმა იმღერა დუნაევსკის „თუ ვოლგა აღიდ-და“ და ოპერა „კარმენიდან“ კაბალეროს არია. მსახიობმა ხ. სენ-კომ შველთან ერთად წარმოადგინა მაღალმხატვრული და დიდოსტა-ტური საცირკო ნომრები. კარგი იყო ბულგარეთის რადიო „რაის“ სოლისტის ბ. მამალოვის ხალხური სიმღერები და მსახიობ იმიტა-ტორის ხ. პირჩევას ოსტატობაც. ინსტრუმენტალისტთა ტრიომ მრავალფეროვანი პროგრამით და მუსიკალური ოსტატობით აღაფ-რთოვანა მსმენელი¹⁷¹.

1969 წელს დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ბლაგოევგრადის ოლ-

¹⁷⁰ «Заря Востока», 15.IV, 1973.

¹⁷¹ მღერა ბულგარელები, «საბჭოთა აფხაზეთი», 17. VI, 1959.

ქრის ხალხური სიმღერისა და ცეკვის 70 კაციანი ანსამბლის („პირინი“) გასტროლებმა დამსახურებული არტისტის კირილ სტეფენა-ვის ხელმძღვანელობით. ეს იყო მათი პირველი ვიზიტი საქართველოში. ანსამბლ „პირინმა“ კონცერტები გამართა ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კულტურის სახლში, სოფ. ახალშენში, ბობოყვათში, დაგუში, მერე ქობულეთში, რუსთავსა და თბილისში. მრავალფეროვანი და მდიდარი პროგრამით წარსდგნენ ბულგარელები ჩვენი მრავალრიცხოვანი აუდიტორიების წინაშე. ქართველი მსმენელის ყურადღება მიიპყრო კომპ. დ. იანევის სიმღერამ „ბლაგოვევგრადი—ჯარა“-მ და „სულკომ“, რომელიც მიმზიდველ და სასიამოვნო ინტერპრეტაციით სრულდებოდა. პროგრამაში ჰქონდათ ეთნოგრაფიული სურათებიც: „ბულგარული ქორწილი“, „ფერიების ცეკვა“, „ქალთა ღირიული“ „შუშპარი“, „შოპური სიუიტა“, „ბულგარული მელენი“, „პარტიზანები“, „სახუმარი“. „თრაკიელ ბამაკათა ცეკვა“, „ქალთა ძველი ცეკვა“, „საცეკვაო მუსიკალური სურათი“, „თოჯინები“. რომლებიც ბულგარელთა ქორეოგრაფიული ხელოვნების ნიმუშებია. ზოგიერთ მათგანში ქართული ცეკვის მსგავსი ნიუანსები ჩანს.

ბულგარეთის მთა-ბარის თვალწარმატება, მდ. მარიცის ხეობისა და შინდორ-ველის სიმშენიერე, „ოქროს ქვიშნარიანი“ სანაპიროს მზის მცხუნვარება, კაზალნიკური ვარდ-ყვავილების სურნელება და უძველეს ილირიელთა ჰეროიკული შემართება ჩამოიტანა საქართველოს დედაქალაქში ბულგარეთის ბლაგოვევგრადის ოლქის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა „პირინმა“, რომელსაც მსოფლოს 24 ქვეყანა ჰქონდა მოვლილი¹⁷². ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რაოდენ ახლობელი და ნაცნობია ბულგარელთა ქორეოგრაფიული ხელოვნება, რომელსაც ცხადად დაჰკრავს ჩვენი მშობლიური სიოც. განსაკუთრებით ბევრი რამაა სანიშნო და ჩვენეული მათ ეთნოგრაფიულ სურათებში, სიუჟეტურ მონახაზებში, ზოგიერთ საცეკვაო ილეთში, რომლებიც უძველესი თქმულებების და ადამ-წესების მიხედვით შეუდგენიათ. VII—VIII საუკუნეების ბულგარული ცეკვების ერთ ციკლს, რომელსაც „რუსალური თამაშები“ ეწოდება და მაშაც მთიელთა ძალ-გულოვნობას წარმო-სახავს. — მუსიკალური რიტმი, მოძრაობანი, ვარიაციები, ქორეოგრაფიული ქარგა, კოსტუმებიც კი ჩვენებური „ხორუმის“ მსგავსია აქვს და გუდასტირის ანუ ჭიპონის (რომელსაც ბულგარეთის როდოპის მხარეში „ქაბა-ჰაიდე“ ეწოდება) თანხლებით სრულდება.

¹⁷² «Заря Востока», 21. XII, 1969.

გულითადი გრძნობებითა და ალერსით იყო აღვსილი ილიკო სუხიშვილისა და „პირინის“ ხელმძღვანელის კირილ სტეფანოვის მისაღმება. ანსამბლმა თავისი მდიდარი და საინტერესო პროგრამის, მათ შორის ქართული სიმღერების, წარმოდგენით გააფართოვა ჩვენი ხალხების მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ურთიერთობა. იგი კიდევ უფრო გააცხოველა ქ. ბურგასში გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში აქარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მონაწილეობამ. მათი სიცოცხლით აღსავსე სიმღერები და ცეცხლოვანი ცეკვები დღესაც ახსოვთ ბულგარელებს.

ფანტასტიკური შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიოზე და ქორეოგრაფიულ ხელოვნების განვითარებაშიც დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა აკადემიურმა ანსამბლმა სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. მათთვის აღარ არსებობს „თეთრი ლაქები“ დედამიწაზე. მათ ყველგან ტრიუმფალური წარმატებები და განარჯვება დაიმსახურეს. ამ გუნდის მეოხებით ქართული ცეკვის ნიმუშებს კარგად გაეცნენ ბულგარელებიც. როცა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის ეროთვიურზე, 1950 წლის სექტემბერში, საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლმა ბულგარეთის რესპუბლიკის 20 ქალაქში 29 კონცერტი გამართა 800000 მაყურებლისათვის¹⁷³. უდიდესი იყო ინტერესი, ცნობისმოყვარეობა, ოვაციები, აღფრთოვანება და ქებათა-ქება. ბულგარეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ვილკო ჩერვენკოვმა ანსამბლის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „მთელის გრძნობით მოვახსენებ მხურვალე მადლობას ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელებს და მის ყველა წევრს სასწაულებრივი ხელოვნებისა და იმ უდიდესი წვლილისათვის, რაც მათ შეიტანეს ჩვენი ხალხისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მეგობრობის და ძმური თანამშრომლობის შედგომ განმტკიცებაში. ახალ, ბედნიერ შეხვედრამდე. ჩვენო ძვირფასო ქართველო ძმებო და დებო. თქვენი ვილკო ჩერვენკოვი“¹⁷⁴. ამით მთელი ბულგარეთის, ქართული ხელოვნების ყველა თაყვანისმცემლის აზრი, გრძნობა, განწყობილება და მადლობა გამოიხატა. ქართველ მოცეკვავეთა გრანდიოზული ტრიუმფი ბულგარეთში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების კომიტეტის სპეციალურ დეპეშითაც აღინიშნა¹⁷⁵.

¹⁷³ «Батумский рабочий», 22. XI, 1950.

¹⁷⁴ წარუშლელი შთაბეჭდილებები, «ახალგაზრდა კომუნისტი», 19. XII, 1950.

¹⁷⁵ «Заря Востока», 10. X, 1950.

კონცერტები მოედნებზე, სტადიონებზე, კულტურისა და სპორტის სასახლეებში იმართებოდა. სოფის, ალ. ნეველის სახელობის მოედანზე 80 000 მაყურებელმა მოეყარა თავი, ქ. ვარნის მოედანზე კი 35 000. ქართული ცეკვის ანსამბლის წარმატებაზე ბულგარული პრესა იუწყებოდა: „ქართულმა ქორეოგრაფიამ მიაღწია ჭექნიკის სოულყოფის მწვერვალს“ („ოტეჩესტვენი ფრონტი“); „საქართველოს ცეკვის ანსამბლის ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა ბულგარელი და საბჭოთა ხალხის ურთიერთ სიყვარულის გამოვლინებაა“ („ბოლგარო-სოვეტსკოე ედინსტვო“), ვაზ. „ოტეჩესტვენი ფრონტმა“ ქართველი მოცეკვავეებისადმი მიძღვნილი ბულგარელი პოეტის გეორგ სტრუმსკის ლექსიც დაბეჭდა.

ბულგარეთ-საქართველოს მეგობრობის ტრიუმფალურ ზეიმად იქცა კონცერტები და არა მხოლოდ ქორეოგრაფიულ მიღწევათა დემონსტრირებით, არამედ ცოდნის ურთიერთ გაზიარების თვალსაზრისითაც— ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი შეხვდნენ ბულგარეთის მოცეკვავეთა კოლექტივების ხელმძღვანელებს და სიამოვნებით გაუზიარეს შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობის საკუთარი ცოდნა, გამოცდილება, სტილი, მეთოდი, ისაუბრეს მიზნებსა და ამოცანებზე, ქორეოგრაფიულ კვლევა-ძიებაზე და სხვ. ყოველივე ამის შემდეგ აღარავის გაჰყვარებია, რომ სამშობლოში ანსამბლის დაბრუნებისთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ბულგარეთიდან მოვიდა ვ. ჩერვენკოვის ხელმოწერილი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია: „ჩვენს ქვეყანაში ცეკვის ქართული ანსამბლის გასტროლები კულტურის სფეროს დიდ მოვლენას წარმოადგენდა. იგი კიდევ უფრო განამტკიცებს და გააღრმავებს ჩვენი ხალხის მარადიულ და ურღვევ მეგობრობას დიდ საბჭოთა ხალხთან“¹⁷⁶. დაბოლოს ბულგარელთა ნობათში გულწრფელი და ძმური მადლობა გამოთქმული ჩვენი რესპუბლიკისადმი¹⁷⁷.

1964 წელს მეორედ იმყოფებოდა ბულგარეთში საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ამ საგასტროლო მოგზაურობის დროს ანსამბლმა 8 დღის განმავლობაში კონცერტები გამართა პლოვდი-

¹⁷⁶ К. К а л а н д а д з е. Ансамбль народного танца Грузии, «Батумский рабочий», 5. VI, 1951.

¹⁷⁷ საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო. ანსამბლის ბულგარეთში ყოფნის გამო, ვაზ. «კომუნისტი», 22. I, 1951.

ში, გაბროვოში, სოფიასა და სხვა ქალაქებში¹⁷⁸. 1950 წელთან შედარებით გაცილებით მეტი წარმატება მოიპოვეს ქართველმა მოცეკვავეებმა, უფრო დიდი ოვაციები დიმსახურეს და უთვალავი თაყვანისმცემელი შეიძინეს. გაზ. „რეპორტიჟაჟი დელა“ წერდა: „ქართველმა მოცეკვავეებმა მოგვხიბლეს სწრაფი რიტმული ტემპით, მგზნებარე ტემპერამენტით. ბრწყინვალე ქორეოგრაფიული ხელოვნებით“. გაზ. „ზემედელსკი ზნამე“ კი აღნიშნავდა, რომ „ანსამბლის კონცერტები მკაფიო წარმოდგენას გვიქმნიან საბჭოთა საქართველოს თავისთავად საცეკვაო ფოლკლორზე“. საბჭოთა კავშირის დეპუტატთა სააგენტო სოფიიდან იტყობინებოდა: 1964 წლის 26 ივნისს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის სასახლეში გაიმართა ქართველი მოცეკვავეების კონცერტი, რომელსაც ესწრებოდა სახალხო კრების პრეზიდენტის თავმჯდომარე გეორგი ტრაიკოვი, პარტიის ცკ-ის პოლიტიბუროს წევრი სტანკო ტოდოროვი, ცკ-ის მდივანი ივან პრიმოვი, საგარეო საქმეთა მინისტრი ივან ბაშევი, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწენი, ხელოვნების დამსახურებული მუშაკები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები¹⁷⁹. კონცერტებმა დამსწრეთა აღფრთოვანებასა და ოვაციებში ჩაიარა¹⁸⁰. ქორეოგრაფიულ ჟრთივრთ ზეგავლენაზე ალბათ ცეკვის სპეციალისტები ზოგვახსენებენ.

1969 წლის ნოემბრის თბილისური აფიშები უცნაურ სპექტაკლზე იუწყებოდა: ზ. ფალაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ბალეტ „დონ-კიხოტში“ ჩელიტას როლს სოფიის საოპერო თეატრის პრიმა-ბალერინა ცვეტა ჭუმალიევა შეასრულებსო. მერედა რა არის ამაში უცნაური? ის რომ გასტროლიორი ამ ბალეტში პირველად გამოდიოდა და როლი მთლიანად თბილისში იყო მომზადებული ვახტანგ კაბუკიანის დახმარებით¹⁸¹. მანამდე, 1969 წლის გაზაფხულზე ბულგარეთის კულტურის სამინისტროს მიწვევით ვ. კაბუკიანმა სოფიაში დასადგმელად მოამზადა ბალეტა „დონ-კიხოტი“ (პრემიერა სოფიაში შესდგა 26 ოქტომბერს), რომლის მომავალი სოლისტი, ჩელიტას როლის შემსრულებელი ცვეტა ჭუმალიევა თბილისში მოიპატიჟა და ვერა წიგნაძესთან ერთად მეგობრულად გაისარჯა მისთვის. ქართველი ბა-

¹⁷⁸ გაზ. «Заря Востока», 18. VIII, 1964.

¹⁷⁹ გაზ. «Вечерний Тбилиси» 23. VI. 1964; «ლიტერატურული საქართველო», 26. VI 1964.

¹⁸⁰ გაზ. «Заря Востока», 28. VI, 1964.

¹⁸¹ გაზ. «Вечерний Тбилиси», 3. XII, 1969.

ლეტმეისტერი ხშირად პარტნიორობდა ბულგარელ ბალერინას რეპეტიციების დროს. ცვეტა ჯუმალიევას სასცენო წარმატებანი ქართული საბალეტო სკოლისა და მისი გამოჩენილი კორიფის ვ. ჯაბუკიანის დამსახურებაა.

ქართული საბალეტო ხელოვნება კარგა ხანია გასცდა ჩვენს საზღვრებს და საერთაშორისო სარბიელზე გავიდა. კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“ იაპონელებმა და ფინელებმა თვითონვე დადგეს, ფრანგებმა კი მონტე-კარლოში III აქტი წარმოადგინეს, ხოლო პარიზსა და სევეტაში (უნგრეთში). ქართველმა მსახიობებმა დადგეს იგი. ჩვენი საბალეტო ქმნილებათა ამ შესანიშნავმა ნაწარმოებმა ქება-დიდება დაიმსახურა. უფრო მეტიც: დამსახურებული ქართველი კომპოზიტორის ბალეტი „ოტელო“ ბულგარელთათვის თუმცა უცნობია¹⁸², მაგრამ მისი ავტორი ალ. მაჭავარიანი იმდენად პოპულარულია, რომ ნაყოფიერი მუსიკალური მოღვაწეობისათვის კირილესა და მეთოდეს ორდენით დააჯილდოვა იგი ბულგარეთის მთავრობამ 1971 წელს. ამგვარად, ჩვენი ხალხების კულტურულ ურთიერთობაში საბალეტო ხელოვნება თავს იჩენს და ვიმედოვნებთ მომავალში ისიც რეზონანსს შეიძენს.



სახალხო სანახაობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს ბულგარეთში. მაგრამ პროფესიონალურმა თეატრმა, ისე როგორც ჩვენშიც, ფეხი მხოლოდ XIX საუკუნეში აიდგა. 1856 წლიდან ბულგარეთში თუმცა ვრცელდებოდა თვითმოქმედებითი წრეები და თეატრიც, რომელიც მკიდროდ უკავშირდებოდა ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, მაგრამ პროფესიონალიზმს მხოლოდ 1883 წელს ჩაეყარა საფუძველი ქ. პლოვდივში და შემდეგ გადაინაცვლა სოფიაში, სადაც „ოსნოვას“ სახელით მოქმედებდა. 1892 წელს მას უწოდეს „სატახტო ანუ სამეფო დრამატიული დასი „ცრემლი და სიცილი“. 1906 წელს კი იგი სახალხო თეატრად გადააკეთეს.

ბულგარეთის თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეჟისორ ნ. ო. მასალიტინოვს, რომელიც მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიმდევარი და თაყვანისმცემელი იყო. 32-წლი-

¹⁸² გაზ. „მეცხეთის“ (9. IX, 1975) ცნობა „ოტელოს“ ბულგარეთში დადგმაზე მცდარია. (ა. ც.)

ანი უმწიკვლო მოღვაწეობით მან ბულგარულ თეატრში რეალისტური მიმდინარეობა განამტკიცა. მათი რეპერტუარი უმთავრესად გმირულ-პეროიკული და ისტორიულ-რევოლუციური შინაარსის სპექტაკლებით ივსებოდა. ეს სტილი დღესაც ახასიათებს თანამედროვე ბულგარულ თეატრს. ბულგარეთში 40-მდე პროფესიული თეატრი და ერთი თეატრალური ინსტიტუტია; არის მოზარდთა და ოოჯინების თეატრიც. ბულგარეთის თეატრალურ საზოგადოებას დიდი და ფართო კავშირ-ურთიერთობა აქვს ევროპის ქვეყნებთან, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის თეატრალურ კოლექტივებთან. საქართველო ამ მხრივაც მოწინავეთა რიგებშია. 1950 წლიდან ბულგარეთში, არა მხოლოდ მოგზაურობდა, არამედ მუშაობდა კიდევ ქართული სცენის ბევრი გამოჩენილი ოსტატი, სპეციალისტი. ა. ხორავა სამჯერ იყო ბულგარეთში, ვ. ჭაბუკიანმაც დიდხანს დაჰყო სოფიაში „დონ-კიხოტის“ დადგმის მოსამზადებლად.

1970 წელს ბულგარეთში მიიწვიეს ქართველი რეჟისორი გიორგი (გიგა) ლორთქიფანიძე ჭაბუკთა თეატრში პიესის დასადგმელად. მრავალეობის პირნათლად მოხდის შემდეგ საქართველოს კულტურის მინისტრის სახელზე სოფიიდან მოვიდა წერილი ზულგარეთის კულტურისა და ხელოვნების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილას ალ. გეტმანის ხელისმომწერით. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ბულგარეთის მოზარდ-მაყურებელთა ეროვნული თეატრის და ჩემი სახელით გულითად მადლობას ვუცხადებ საქართველოს სსრ სახალხო არტისტს გ. დ. ლორთქიფანიძეს, რომელიც სრულმრავად იყო ჩვენთან და დადგა სამუელ ალიოშინის პიესა „პალატა“. აშხ. ლორთქიფანიძემ ჩვენს შემოქმედებით კოლექტივთან მუშაობით საბჭოთა თეატრის ყველაზე საუკეთესო ტრადიციებთან ნამდვილი შემოქმედებითი ძიებისა და გამოცდილების გაზიარების ატმოსფერო შექმნა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მეგობრობა გ. დ. ლორთქიფანიძესა და ბულგარეთის მოზარდ-მაყურებელთა ეროვნულ თეატრს შორის მომავალშიც გაგრძელდება. 20. VIII. 70. პატივისცემით თავმჯდომარის მოადგილე ალ. გეტმანი“¹⁸³.

ქართველი თეატრალური დაინტერესდნენ ბულგარული დრამატურგიით და ჩვენს მაყურებელს უჩვენეს ბევრი საინტერესო სპექტაკლი. 1953 წელს ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა ბულგარელი მწერლისა და დრამატურგის ორლინ ვასილიევის „ამქვეყნიური სამოთხე“. 1968

¹⁸³ საქართველოს თეატრალური მუზეუმის ფონდი, 1, საქმე 1426, № 14663.

წელს პათუმის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა დადგა ბულგარულ დრამატურგის ი. პეიჩევის „შემოდგომის ყოველ საღამოს“. 1970 წელს ბულგარული დრამატურგიის ფესტივალზე ბათუმელებმა მოსკოველებსაც უჩვენეს პეიჩევის პიესა, რისთვისაც სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს და საკავშირო თეატრალური საზოგადოების დიპლომები დაიმსახურეს. ბათუმში წარმოადგინეს აგრეთვე რ. სტოიანოვის კლასიკურა პიესა „ოსტატობა“.

არც ბულგარელი თეატრალები დარჩენილან ვალში. 1954 წელს სოფიის სახალხო არმიის თეატრმა მაყურებელს უჩვენა მარიკა ბაჩათაშვილის „მარინე“ („პრიკინა“), რომელიც წარმატებით იდგმებოდა ბულგარეთის თეატრებში „ლუდეტინატას“ ანუ „ჩხუბისთვის“ სახელწოდებით. პირველად იგი ადრიანა ბუღევსკა-ას სახალხო თეატრმა დადგა, მერე ქ. რაზგრადისამ. ბულგარულ ეურ. „თეატრ-ს“ გადმოცემით დიდი ინტერესით მოუსმენიათ, მუსიკალური ლირიკული ქართული კომედიისათვის. წარმატებით უჩვენებდნენ აგრეთვე ა. ჩხაიძის პიესა „ხილს“ სახელწოდებით „პროცესი შედგა“. 1969 წელს რეჟისორმა აპოსტოლ კარამიტევმა სოფიის უმაღლესი თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე დადგა ნოდარ დუმბაძის „მე. ბებია, ილიკო და ილარიონი“. სპექტაკლში დეკორატიულ მოტივებად გამოიყენეს ნიკო ფიროსმანიშვილის ნახატები, სოლო მუსიკალურ ფონად ქართული მელოდიები. კომედიის სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით ა. კარამიტევი¹⁸⁴ თავის სტუდენტებთან ერთად გულმოდგინედ სწავლობდა ჩვენს ყოფას, ჩვევებს, კოლორიტს.

1971 წელს ბლაგოევგრადის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ნოდარ დუმბაძის პიესა „ნუ გეშინია, დედა“, რომლის დასადგმელად ბულგარეთში საგანგებოდ მიიწვიეს ქართველი რეჟისორი გიორგი ქავთარაძე. ნაცვალგების პრინციპზე ბულგარელმა რეჟისორმა ანდრე კალუდოვმა 1972 წელს ბათუმში მოამზადა და სცენაზე წარმოადგინა ბულგარული პიესა. სპექტაკლები ადგილობრივი ძალებით იმართებოდა. მეტი ყურადღება მიექცა თეატრალური კოლექტივების უშუალო გაცვლას საკუთარი პროგრამებით. ამიტომ. ბათუმისა და ბლაგოევგრადის დრამატული თეატრების შემოქმედებითი კონტაქტები გაფართოვდა. ბლაგოევგრადელებმა აქარლებს

¹⁸⁴ იგი სხვების მსგავსად ირწმუნება «ბულგარული ბევრ რამეში ჰგავნან ქართველებს: სახელდობრ ერთნაირი ტემპერამენტით, გულგახსნილობით, მზიარულობით, ხელგახსნილობით, სტუმართმოყვარეობით, სულიერი მისწრაფებებითა და სხვა მრავალი კეთილი ჩვევით».

შესთავაზეს კ. ზიდაროვას პიესა „მეფური წყალობის“ ბათუმში დადგმა. 1973 წელს ბათუმს ეწვია ბლაგოვეგრადის ნიკოლო ვაპ-
ცაროვის სახელობის დრამატული თეატრი, რომელმაც მაყურებელს
უჩვენა უ. შექსპირის „უინძორელი მხიარული ქალები“ და თანა-
მედროვე ბულგარელი დრამატურგის ი. რადოევის „წითელი და
მიხაკისფერი“. ამ ორი სპექტაკლთ გასტროლიორებმა შესანიშნა-
ვად წარმოაჩინეს ბულგარული თეატრის ამჟამინდელი სახე და ინ-
დივიდუალური ღირსებანი. რადოევის პიესაში გამოყვანილია გ.
დიმიტროვი, როგორც პროფესიონალური რევოლუციონერი და ლა-
იკციგის პროცესის გამოჩენილი გმირი. შექსპირის დრამატურგიუ-
ლი ნაწარმოები ბულგარელებმა ქობულეთის მშრომელებსაც წა-
რუდგინეს.

1973 წლის მაისში ბლაგოვეგრადელი მსახიობები თბილისსაც
ეწვივნენ და კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზეც
განსახიერეს შექსპირის კომედიის გმირები. მაყურებელმა სიამო-
ნებით იხილა და აღფრთოვანებით მიიღო ბულგარული თეატრის
რეპერტუარი. კულტურული კონტაქტის ამ ერთ-ერთ საინტერესო
მოვლენაზე ბლაგოვეგრადის თეატრის დირექტორმა ემილ კოსტეპე-
კოვმა გულმართლად თქვა: „მღელვარებით ველოდით თბილისელ
მაყურებელთან შეხვედრას... ყველაფერი კარგად წარიმართა... ჩვე-
ნი თეატრების დამეგობრება მომავალი შემოქმედებითა გამარჯე-
ვისათვის ძალას გვმატებს. მიხარია, რომ სტუმარი ვარ ქართველი გმი-
რის აღ. წერეთლის სამშობლოსი“. ბულგარელი თეატრალები გა-
ეცნენ საქართველოს ღირსშესანიშნაობებს და თეატრალურ-საზო-
გადოების სასახლეში შეხვდნენ ქართველ კოლეგებს. ბულგარელთა
გასტროლებმა და მსახიობთა კონტაქტმა გააცხოველა ჩვენი ხალხ-
ების კეთილგანწყობილება.

პირველი ქართული თეატრალური კოლექტივი, რომელიც ბუ-
ლგარეთს ეწვია, იყო ბათუმის ი. ჯავჭავაძის სახელობის სახელმ-
წიფო თეატრი. მას შემდეგ რაც ბულგარელებმა „მარინე“, „ხიდი“
და ნ. ღუმბაძის კომედიები იხილეს, ათმა წელმა განვლო. ბათუმე-
ლების საპასუხო ვიზიტის დროს ბულგარეთში საბჭოთა კავშირის
კულტურის დღეები მიმდინარეობდა. 1973 წლის 5 ნოემბერს ბა-
თუმის თეატრმა ბლაგოვეგრადელ მოსწავლე-ახალგაზრდობას უჩ-
ვენა სპექტაკლები: „ქართული კლასიკა“, „სტუმარ-მასპინძელი“ და
დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“. პიესებს სინქრონულად
თარგმნიდა ბულგარული ენის შესანიშნავი მცოდნე ივეტა გოცი-
რიძე, რაც აცხოველებდა სანახაობას. 6 ნოემბერს ქ. რაზლოვში

ბათუმელებმა უჩვენეს: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. მისი წარმატება წინასწარ იყო გაპირობებული, რადგან იგი ადრე თვით ბულგარელთა მიერ იყო განხორციელებული. რაზლოველთა შთაბეჭდილება კარგად გამოსკვივის ერთი მასპინძლის სადღეგრძელოში: „ამ სპექტაკლის შემდეგ, ყველას, ვინც ჭერ კიდევ არ ზოფილა საქართველოში, აუცილებლად დაებადება სურვილი, ჩავიდეს ამ ქვეყანაში, ხოლო თუ თვითონ ვერ მოახერხა ეს, შეილებსა და შეილიშვილებს უანდერძოს, ეწვიონ ამ შესანიშნავ მხარეს. სადაც ადამიანებმა იციან ასეთი მეგობრობა, ერთგულება და სიყვარული“.

7 ნოემბერს ბლაგოვეგრადის მაკედონიის სახელობის მოედანზე მშრომელთა საზეიმო დემონსტრაცია სტუმრებმა და მასპინძელმა მსახიობებმა ერთად გახსნეს. თეატრალთა კოლონას წინ უძღოდა ნ. ვაპცაროვის და ი. ჭავჭავაძის ვეებერთელა პორტრეტები. ყოველ ნაბიჯზე გაისმოდა: „გაუმარჯოს ქართველ მეგობრებს“. დემონსტრაციის დასასრულს ბლაგოვეგრადელმა და ბათუმელმა არტისტებმა ერთად იცეკვეს ტრიბუნის წინა მოედანზე. 8 ნოემბერს სოფლის თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე აჟარის დასმა წარმოადგინა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. რეჟისორ ა. კარანიტევის მიერ 1969 წელს იმავე სცენაზე დადგმულმა ამავე პიესამ წინასწარ განაპირობა ქართველ მსახიობთა წარმატება. სხვათაშორის სპექტაკლს ადგილობრივი ქართველი ინჟინერი ანზორ ჯადაჭკორია და ბულგარეთში გათხოვილი ნაზიბროლა ყულეჩიშვილიც ესწრებოდა, რომლებიც მშობლიური ხელოვნებით აღფრთოვანებულნი „მეშვიდე ცას“ ეწიენ და სევდა ნარევი ცრემლითაც დაიღვარნენ. 10 ნოემბერს კი ბლაგოვეგრადის კაფე „აჟარაში“ გაიმართა ორივე კოლექტივის შეხვედრა შემოქმედებითი და აქტიური გამოცდილების გაზიარების მიზნით. იმავე საღამოს ჩვენებურები დაესწრნენ რეჟისორ კ. ალექსანდროვის მიერ ქართული ხასიათებით დადგმულ ჩხაიძის „ხიდს“. სპარტაკის სამშობლოში ქალ. სანდანსკში აჟარელი მსახიობები პატრისცემის ნიშნად მიიწვიეს ქორწილში. ბულგარელთა მზიარულ ცერემონიალში ჩართულმა ბათუმელებმა მასპინძლებთან ერთად გააჩაღეს ცეკვა-თამაში. საბჭოთა საქართველოს გასტროლიორებმა ქალ. ბლაგოვეგრადის მშრომელებს საჩუქრად გადასცეს გ. დიმიტროვის ქედური პორტრეტი. აჟარის მსახიობებს პეტრიწონის მონასტერში თვით ეპისკოპოსი ილარიონი მიეგება, წინ წაუძღვა და განმარტებებს სძლედა.

სსრ კავშირის კულტურის დღეებთან დაკავშირებით ბულგარეთ-

ში საბჭოთა სცენის მუშაკთა ჯგუფი გიორგი დიმიტროვის დაბადების 90 წლისთავის აღმნიშვნელი საიუბილეო მედლებით დაჯილდოვდა. მედლები დაიმსახურეს ბათუმელმა მსახიობებმა: ნ. თეთრაძემ, ი. კობალაძემ, ა. მგელაძემ, მ. ხინიკაძემ.

ქართული და ბულგარული პრესა ფართოდ აშუქებს ეროვნულ საკითხებს, ხელოვანთა შემოქმედებას, კულტურულ დაწესებულებათა რეპერტუარს, სახელმწიფო მოღვაწეთა დამსახურებას; მკითხველს აცნობს სტუმრად, მივლინებით თუ ტურისტად მყოფ სპეციალისტებს, მწერლებს, ხელოვანთ, სპორტსმენებს. მაგალითად, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტმა“ მოგვაწოდა ნანა ღვინეფაძის ინფორმაცია ახალგაზრდა შემოქმედთა მეხუთე ქართული კვირეულის ერთ-ერთ მონაწილე მსახიობ ვასილ სტოიჩევეზე, რომელიც ბულგარულ ისტორიულ-მხატვრულ ფილმ „მეფე კალოიანში“ XII საუკუნის მამაც მეფე-მეომარ კალოიანს განასახიერებს და სხვ.



ბულგარეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობაში საპატიო ადგილი უკავია კინოს, რომელსაც ენობრივი ზღუდე ნაკლებ აბრკოლებს. ტიტრით შევსებულ ან ბულგარულად გახმოვანებულ ქართულ კინოფილმებს ხშირად უჩვენებენ მოძმე ქვეყნის თეატრსა და ცისფერ ეკრანებზე, ფესტივალებზე, იუბილეებზე. ბულგარეთში მოეწონათ და კმაყოფილებით მიიღეს „ფიროსმანი“, „არ დაიღარდო“, „ჯარისკაცის მამა“, „ფოთოლცვენა“, „ქორწილი“. 1969 წელს ბულგარეთის ფილმოტეკა „ეიზენშტეინის“ კინოთეატრში მოეწყო ქართული კინოფილმების რეტროსპექტული დემონსტრირება. აჩვენეს 14 ფილმი, მათ შორის „ელისო“, „უკანასკნელი ჯვაროსნები“, „მაგდანას ლურჯა“, „მიხა“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „ვედრება“, „დიმილის ბიჭები“ და სხვ.

სოფიაში ჩატარებულ სოციალისტური ქვეყნების კინემატოგრაფისტთა მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე ერთმანეთს შეხვდნენ ქართველი და ბულგარელი რეჟისორები, სცენარისტები და განიხილეს შემოქმედებითი პერსპექტიული გეგმები, კინოფილმები, თან აქტიურად მონაწილეობდნენ კონფერენციის მუშაობაში. ბულგარეთის კინემატოგრაფიული კავშირის მიწვევით სოფიაში ჩავიდნენ რეჟისორი ოთარ იოსელიანი, ოპერატორი აბესალომ მაისურაძე, კინომცოდნე ოლღა თაბუკაშვილი, რომლებიც 10 დღის

განმავლობაში ეცნობოდნენ ბულგარეთის უახლეს კინო-პროდუქციას, მონაწილეობდნენ დისკუტებში, შეხვდნენ კოლეგებს, საზოგადოებრიობას. ქართული კინოს განვითარების თანამედროვე ეტაპისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მოხსენებით გაპოვიდა ო. თაბუკაშვილი. შემდეგ უჩვენეს იოსელიანის „ფოთოლცეხა“.

საქართველოს ხშირი სტუმრები არიან ბულგარელი რეჟისორები, ოპერატორები, სცენარისტები, კინოდოკუმენტალისტები. მსახიობები. ჩვენშიც ხშირად იმართება ბულგარული კინოფილმების ფესტივალი. 1968 წელს თბილისის კინოთეატრ „ამირანში“ უჩვენეს „ნუშის სურნელება“ და „ალექსანდრე დიდის დაღუპვა“. ფესტივალში მონაწილეობისათვის გვეწვია სცენარისტი სლავა კარასლავოვი. მსახიობი დოროტა ტონჩევა და ოპერატორი ტოპჩევი, რომლებიც გაეცნენ კანოსტუდია „ქართულ ფილმს“, თეატრებს, მუზეუმებს, შეხვდნენ თბილისელ კოლეგებსა და მაცურებლებს.

ბულგარეთის კულტურის დღეებამდე, რომელიც 1969 წლის დეკემბერში მიმდინარეობდა საქართველოში, ბათუმელებმა ნახეს მოძმე ქვეყნის კინო-ხელოვნების ნიმუშები: „მგლის ლეკვი“, „ნუშის სურნელება“, „ადამიანი ჩრდილში“. კულტურის დღეებში კი ბათუმის კინოთეატრ „თბილისში“ უჩვენეს „მეფე კალოიანი“. 1972 წელს აქარაში უჩვენებდნენ: „სანაპიროს ქარს“, „ალექსანდრე დიდის დაღუპვას“, „ჩანძარს“, „ბატონ არაგვინს“ და სხვ. ფესტივალში პრეზენტაციის ქობულეთში და ქედაშიც.

ქართველ კინემატოგრაფისტთა შორის ნაყოფიერად მოღვაწეობს წარმოშობით ბულგარელი კინორეჟისორი ნინელ ნენოვა, რომელიც სოფიაშია დაბადებული და გაზრდილი. მოსკოვის კინემატოგრაფიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მან თავისი ბედი ქართველ ხალხს და ქართულ კინოს დაუკავშირა. 1974 წელს იგი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის კინო-სიმპოზიუმში, რომელიც სოფიაში შესდგა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, თეატრსა და კინოს ნაყოფიერი წვლილი შეაქვს ბულგარეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობაში.



1960-იან წლებიდან თბილისის ცირკის პროგრამები უფრო მრავალფეროვანი და მიმზიდველი გახდა, რადგან გახშირდა მანერა.

ვის უცხოელ ოსტატთა გასტროლები. საციკო სანახაობის მოყვარულებს შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ უცხოელ ჯამბაზებს. მემულამეებს, აკრობატებს, ათლეტებს... პარალელები გაეცლოთ და მათი უნარი შეედარებინათ სამამულო საციკო ხელოვნების წარმომადგენლების ოსტატობასთან. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ საციკო კოლექტივების გაცვლა-გამოცვლაც სასარგებლო საქმედ იქცა და ნაყოფიერი გამოდგა.

ქართულმა ცირკმა საბჭოთა კავშირის საზღვარს პირველად 1966 წელს გადააბიჯა, პოლონეთს ეწვია და მოწონება დაიმსახურა. შემდეგ, მათგან გამოყოფილი ქართველი ცხენოსნები მხედრული შემართებით საფრანგეთში ჯირითობდნენ და სამანუელ ოსტატობას უჩვენებდნენ პარიზელებს — თითქოს ძველ წინამორბედ. დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში მოასპარეზე გურულებს ეკიბრებოდნენ¹⁸⁵.

1970 წლის ზაფხულში საციკო კოლექტივი სამთვენახევარი იმყოფებოდა საგასტროლოდ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში და 21 ქალაქში 120-ზე მეტი საციკო ატრაქციონი გამართა. მარტო სოფიაში 12 დღე დაჰყვეს ქართველმა არტისტებმა, 20 წარმოდგენა გამართეს 2200 ადგილიან თანამედროვე სტილის ცირკის შენობაში და ეროვნული კოლორიტით აღსავსე ხალისიანი პროგრამით მოხიბლეს მეგობარი ბულგარელები. მოსწონდათ აკრობატები ლ. მკედლიშვილის ხელმძღვანელობით, ჰ. ნატროშვილის საჩაერო მფრინავები, ე. ცხომელიძის გაწვრთნილი ძაღლები, ქ. ვარძიევის ცხენოსნები, ეკვილიბრისტი ლალაშვილები, ჯამბაზი ლ. აღდგომელაშვილი, კიბეზე მოვარჯიშე გოლიაძეები და სხვანი. იმავე სეზონზე ბულგარეთის ცირკის მსახიობები მონაწილეობდნენ თბილისში გამართულ დიდ საერთაშორისო საციკო ატრაქციონში უნგრეთის, გერმანიის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებთან ერთად. 1972 წელს კი თბილისის ცირკში ტაშს უკრავდნენ ბულგარეთის საპაერო აკრობატებს, საოცარ ეკვილიბრისტებს, ტანმოვარჯიშეებს, უშიშარ ცხენოსნებს, ჯამბაზებს, ნადირთა მომთვინიერებლებს, იუმორისტ—მასხარებს, პლასტიკოსებს, ილუზიონისტებს... სახალხო ბულგარეთის გასტროლიორთა დიდი და შესანიშნავი საციკო კოლექტივის („სოფიას“) ყველა მსახიობი კარგად გრძნობდა თავს მანუქზე და კიდევ უფრო უკეთესად თბილისში. საციკო ხელოვნების ქართველმა და ბულგარმა ოსტატებმა მაღალი, უზადო ხელოვნების, ჩინებული

¹⁸⁵ იხ. ა. ც ა მ ც ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ცხენოსნები უცხოეთში, თბ., 1958.

მხატვრული გემოვნებით ცხადყვეს ორი მეგობარი ხალხ-ს ადამიანური ძალისა და გონიერების სწრაფვა, უნარისა და შესაძლებლობების დემონსტრირება.

ურთიერთობანი სპორტულ სარბიელზე

ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობაში სპორტსმენები გაზაფხულის მერცხლებსავით გვევლინებიან. პოლიტიკურ ურთიერთობამდე მყარდება ხოლმე სპორტული კონტაქტები, ეწყობა ასპარეზობანი და საერთაშორისო მატჩები. ომის შემდგომ პერიოდის ქართულ-ბულგარული კონტაქტები პირველ რიგში ფიზკულტურასა და სპორტში გამოჩნდა. მსოფლიოს ახალგაზრდობა ერთმანეთს ხვდებოდა ევროპის ფესტივალებზე, რომლებიც საერთაშორისო სტუდენტურ ასპარეზობებსაც მოიცავდნენ¹⁶⁶.

ქართველ და ბულგარელ სპორტსმენთა მეგობრობა ჩაისახა 1947 წლის პრაღის ფესტივალზე და გაფართოვდა 1949 წელს ბუდაპეშტის ფესტივალზე, ხოლო განმტკიცდა 1951 წელს, ბერლინის მესამე მსოფლიო ფესტივალსა და სტუდენტთა თამაშებზე. 1953 წელს ბუქარესტი ზეიმით შეხვდა ახალგაზრდობის საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების მონაწილე ქართველ და ბულგარელ სპორტსმენებს. ბულგარეთისა და საქართველოს ფიზიკური კულტურის წარმომადგენლებმა ერთმანეთი კვლავ იხილეს ზუდაპეშტში 1954 წლის მსოფლიოს სტუდენტურ თამაშებზე.

1955 წელს V ფესტივალზე ვარშავაში ბულგარელ სპორტსმენებთან ერთად არიან საერთაშორისო კლასის ქართველი ოსტატები, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები და რეკორდსმენები. 1957 წელს მოსკოვში იზეიმეს VI მსოფლიო ფესტივალი, რომელიც ახალგაზრდობის III საერთაშორისო მეგობრულმა სპორტულმა თამაშებმა გააცხოველა. აქ სპორტულ სარბიელზე მეგობრულად შეიხვეწნენ ქართველები და ბულგარელები. ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ აგრეთვე სტუდენტთა მსოფლიო პირველობებზე, ახალგაზრდობის შეჯიბრებებზე და ევროპის ჩემპიონატებზე, რომლებიც 1951—1954 წლებში იმართებოდა სოფიაში და სხვაგან. ხშირი იყო სპორტულ სარბიელზე დამეგობრებულ ქართველ და ბულგარელთა პაექრობა მსოფლიო პირველობებზე. თასის გათამაშებებზე: ნეაპოლში, კარლსრუეში, სტამბოლში, ბუდაპეშტში, თეირანში, მოსკოვში.

1952 წელს ჰელსინკი იყო ოლიმპიელ სპორტსმენთა მასპინძე-

ლი, 1956 წელს შორეული მეღბურნი, სადაც მსოფლიოსა და ოლიმპიადების მრავალგზის ჩემპიონი გივი კარტოზია საჭიდაო ხალიჩაზე შეხვდა ბულგარელ დობრევს. 1957 წელს მირიან ცალქალამანიძე სტამბოლის „მეთხატ-ფაშას“ სტადიონზე შეება ბულგარელ ჯენდოვს მსოფლიო პირველობაზე¹⁸⁶. ქართველ-ბულგართა შემდგომი სპორტული კონტაქტები 1960 წლის რომის XVII ოლიმპიურ თამაშებშია საძებნი — ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ავთანდილ ქოიძის სასარგებლოდ დამთავრებული შეხვედრა ბულგარელ დ. სტოიანოვსა და იანჩეკევიჩთან კლასიკურ კიდაობაში. სხვათაშორის, რომის ოლიმპიადის მონაწილე საქართველოს გუნდმა. 16 სპორტსმენმა, XIV ადგილი დაიკავა მოპოვებული ზედელებისა და ქულების რაოდენობით და უკან ჩამოიტოვა საფრანგეთი, დანია, შვეიცარია, პოლანდია, ფინეთი, ავსტრია, ესპანეთი, არგენტინა, ბრაზილია, კანადა და ბულგარეთიც.

1963 წელს სოფიაში, ლევსკის სახელობის სტადიონზე შედგა XV მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ კიდაობაში. გ. სალარაძემ, ვ. რუბაშვილმა და ზ. ბერიაშვილმა მრავალათასიანი ბულგარელი მაყურებლის წინაშე თავი ისახელეს კიდაობაში და ბრწყინვალე ფურცელი. ჩაწერეს ქართული სპორტის ისტორიაში. ვახტანგ ზალავაძე კი, რომელიც საბჭოთა გუნდის მწვრთნელი იყო, სოფიაში არბიტრის მოვალეობასაც ასრულებდა და ქართველ და ბულგარელ სპორტსმენთა გაცნობისა თუ დამეგობრების ინიციატორი იყო. მან სამშობლოში დაბრუნებისთანავე პრესაში ზადლიერებით აღნიშნა მასპინძელთა გულთბილი და მეგობრული დამოკიდებულება¹⁸⁷. 1969 წელს, სოფიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე თავისუფალ კიდაობაში შოთა ლომიძეს ზედმა არგუნა ძალაუწებურად „დაეჩაგრა“ მეგობარი ქვეყნის მძიმე წონის მოჭიდავე ოსმან დურალიევი და ოქროს მედალი ბულგარეთიდან სამშობლოში ჩამოეტანა¹⁸⁸.

ბულგარეთსა და საქართველოს შორის ეწყობოდა საერთაშორისო ამხანაგური მატჩებიც. მათგან ერთ-ერთი თბილისის ცირკის სარბიელზე გაიმართა 1954 წლის 22 ნოემბერს თავისუფალ კიდაობაში. ვ. ზალავაძეს უკვე ჰქონდა ბედნიერება ხალიჩაზე მი-

¹⁸⁶ ა. ც ა მ ც ი შ ი ლ ი, სპორტის დამსახურებული ოსტატები, თბ., 1959.

¹⁸⁷ ვ. ზ ა ლ ა ვ ა ძ ე, ასე ვიბრძოდით ოქროს მედელებისათვის, «ლელო», 16, 18, 19. VI, 1963.

¹⁸⁸ Д. М ч е д л и д з е, Триумф капитана, «Молодежь Грузии», 30, IX, 1969.

სალმებოდა ბულგარელ ნიკოლო სტანჩევს. მეგობრული სიმპათიებით იყვნენ განწყობილი ქართველი ფალანგები და მაყუჩებლებიც ბულგარელი მოჭიდავეებისადმი, მაგრამ სტუმართმოყვარეობას სპორტულმა ალტყინებამ სძლია: მ. ცალქალამანიძემ ხალიჩას გააკრა სიმეონ დიაჩკინი, გიგიაძემ — გ. ვილჩევი, ნ. მუხაშვილმა — სპას პენაევი, ე. ილურიძემ — დიმიტრ იანჩევი, ე. ბალავაძემ — დიმიტრ ჩაფუდოვი, მხოლოდ ნიკოლო სტანჩევმა სძლია ე. ქარქუსაშვილს, პეტკო სირაკოვმა — შ. დაუშვილს, ჰუსეინ მეჰმედოვმა — ოთარ კანდელაკს. ბულგარეთ-საქართველოს პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩის ანგარიშს (5:3) მასპინძელთა სასარგებლოდ არ დაუჩრდილავს გულთბილი მეგობრული განწყობილება. ბულგარეთის სპორტსმენებს ოვაციები გაუშარათა ცირკის სავსე აუდიტორიამ მომხე ხალხის პატივისცემისა და მეგობრობის ნიშნად.

1966 წლის მარტში ქართველ ფალანგებს ბულგარეთში გამგზავრების ჯერმა უწია — თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებს 3 ამხანაგური მატჩი უნდა ჩაეტარებინა ბულგარეთის ქალაქებში. ქ. იამბოლის გზ. „ნაროდენ დრუგარმა“ ჩვენს სპორტსმენებს მთელი გვერდი დაუთმო. ავტორი ფართოდ ახასიათებდა გ. სალარაძეს, ზ. ბერიაშვილს, შ. ლომიძეს. ბულგარელი და ქართველი ხალხის სპორტსმენთა 1 ამხანაგური შეხვედრა, რომელიც უნიკალურ სპორტდარბაზ „დიანაში“ მოეწყო, სტუმრების სასარგებლოდ დამთავრდა. ქართველ ათლეტთა ვიზიტი ქალ. ხასკოვოში გაგრძელდა და წარმატებით დაგვირგვინდა სოფიაში, სადაც საინტერესო იყო არა შედეგი, არამედ ის, რომ ხალიჩაზე გამოსვლის წინ ზ. ბერიაშვილი და ა. კიკნაძე ახალბედა ბულგარელ მოჭიდავეებს „სამბოს“ და საკუთარ-ქართულ ილეთებს უჩვენებდნენ¹⁸⁹. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი მიხ. თიკანაძე არ ჩამორჩა თავის აღზრდილებს. მან თავისი ღრმა ცოდნა და გამოცდილება გაუზიარა ახალგაზრდა ბულგარელ მწვრთნელებს. მატჩებზე დამსწრე ი. სარაჯიშვილი თანამემამულეებს უდიდესი ემაყოფილებით აუწყებდა სტუმართმოყვარე ბულგარელთა გულთბილ, მეგობრულ და ალტაცებით მიღებას¹⁹⁰.

1959 წელს ბულგარეთ-საქართველოს სპორტულ ურთიერთობაში მაგიდის ჩოგბურთელები ჩაებნენ. პირველი საერთაშორისო

¹⁸⁹ ი. სარაჯიშვილი, მ. თიკანაძე, ოლიმპიურ ჩემპიონთა ქვეყანაში, «ლელო», 26, 30, III, 1966.

¹⁹⁰ «Вечер. Тблиси», 19. III, 1966.

ჯუნდური შეხვედრა თბილისის ლენინის სახელობის სპორტულ-დარბაზში გაიმართა. სტუმრებმა თამაშის უაღრესად მაღალი ტექნიკა გამოავლინეს და გამარჯვებისათვის მაყურებლის ტაში და ოვაციები დაიმსახურეს. ბულგარელ მაგიდის ჩოგბურთელებთან თამაში კარგი სკოლა და გამოცდილება იყო ჩვენი სპორტსმენებისთვის. რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისათვის ემზადებოდნენ¹⁹¹.

მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებასა და სპორტულ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფეხბურთს. რომელსაც ფიზიკური კულტურის № 1 სახეობად მიიჩნევენ. ფეხბურთმა ბულგარეთ-საქართველოს სპორტულ კონტაქტებსაც სიკეთის მაღალი მოსცხო. და მეგობრობის შარავანდელით შემოსა. ამასთანავე, მან ორივე ქვეყნის გუნდების ტექნიკურ არსენალს ზოგიერთი თეორიულ-ტექნიკური სტილი და მეთოდი შესძინა.

1952 წელი იყო. საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი ჩატარდა, რომ ოლიმპიურ თამაშების მზადებასთან დაკავშირებით მოსკოვს ეწვივნენ რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები ამხანაგური შეხვედრებისათვის. ერთი მათგანი 14 ივნისს შედგა ქართველ და ბულგარელ ოსტატებს შორის. ეს იყო ორი მეგობარი ხალხის ფეხბურთელთა პირველი საერთაშორისო შეხვედრა მოსკოვის მიწაზე. სოფიელები შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყვნენ, რაზედაც მოსკოვის „ცდსა“-ს გუნდთან მათი საყაიმო (2:2) ანგარიშიც მეტყველებდა. თბილისელებმა გამოიყვანეს ძირითადი შემადგენლობა: მეკარე ვ. მარღანია, დამცველები ვ. ელოშვილი, ნ. ძიპაშვა, ი. სარჯველაძე, ნახევარმცველები ვ. პანიუკოვი ვ. ანთაძე, თავდამსხმელები ა. კეუსელი, კ. გაგნიძე, ი. ვარდიმიადი, ა. ლოლობერიძე, ნ. თოდრია. მატჩის დაწყებიდან წუთიც არ იყო გასული რომ გაგნიძემ თავდამსხმელთა პირველივე ელვისებური შეტევა გოლით დააგვირგვინა. ტაიმის ბოლოს ბულგარელებმა ძლივს შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. მეორე ნახევარი შეუპოვარი ბრძოლით დაიწყო და მალე გაგნიძემ თავისი ანგარიში გაზარდა. ამგვარად, ბულგარეთ-საქართველოს საერთაშორისო სპორტული ურთიერთობა ფეხბურთში ქართველთა გამარჯვებით დაიწყო.

მეორე შეხვედრა 1956 წლის 6 ოქტომბერს შედგა სოფიაში სადაც ორი „დინამოს“ თამაშმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ჩვენი

¹⁹¹ ფ. კ ი რ კ ი ტ ი ძ ე, პირველი საერთაშორისო, „ლელო“, 2. VI., 1959.

არესპუბლიკის სახელს იცავდნენ: მარღანია, ელოშვილი, ძიკაშვი, ხოკოლაძე, კოტრიკაძე, ლოლობერიძე, ხასაია, გავნიძე, კალოვეი, ჭკუასელი და მესხი. ანგარიში ჭკუასელმა გახსნა. მაგრამ მასპინძლებმა მას 2 ბურთით უკაუსეს. მეორე ტაიმში სტუმრებმა იმარჯვეს და თავბრუდამხვევი ბრძოლით თამაში 3:2 მოიგეს. მეორე მატჩი პლოვდივის „სპარტაკთან“ 2:1 დამთავრდა, ამჯერად ბულგარელთა სასარგებლოდ. მესამე — 12 ოქტომბერს რომ გაიმართა ქ. დ-მიტროვის „მინიორთან“ — კვლავ ქართველ ფეხბურთელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა.

1959 წლის 13 სექტემბერს გვეწვია ბულგარეთის ფეხბურთელთა გუნდი „ლეესკი“, რომლის წინააღმდეგ თბილისის „დინამო“ გამოდიოდა კოტრიკაძის, კევაშაშვილის, იამანიძის, კალოვეისა და მესხის გარეშე. ასეთ ვითარებაში „დინამოელები“ სასიფათო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საუკეთესო ფორმაში მყოფ ბულგარეთის ჩემპიონატის ლიდერთან. მაგრამ ამ საერთაშორისო მატჩის გმირმა და სულის ჩამდგმელმა ავთანდილ ლოლობერიძემ ჩვეული ოსტატობით ფეხზე დაუსვა ბურთი უკეთეს პოზიციაში მყოფ ყორღანიას და თამაშის ბედიც მან გადაწყვიტა¹⁹².


1973 წ. 4:1 დამთავრდა „უეფას“-ს თასის გათამაშებისადმი მიძღვნილი ევროპის საკლუბო ტურნირის მონაწილე თბილისის „დინამოს“ და სოფიის „სლავიას“ ფეხბურთელთა მსპარეზობა, რომელიც ჩვენებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს და დამაჯერებელი ანგარიშითაც მოიგეს¹⁹³. გათამაშების 32-ედი ფინალის განმეორებითი მატჩი „სლავიასთან“ შედგა სოფიაში, სადაც ჩვენებურებს მძიმე და დამაბული ბრძოლა მოუხდათ¹⁹⁴. მართალია წავაგეთ მატჩი...; მაგრამ საკუთარ მოედანზე მოპოვებული გამარჯვება (4:1) და ბულგარეთში 0:2 წაგებული მატჩის საერთო ჯამი 4:3 „დინამოს“ ანიჭებდა მე-16-დ ფინალში გასვლის უპირატესობას.

ქართველ და ბულგარელ ფეხბურთელთა ყოველი შეხვედრა, ამხანაგურა თუ ოფიციალური მატჩები გულთბილ, მეგობრულ და ურთიერთ პატივისცემის ვითარებაში მიმდინარეობდა. მაყურებელთა ცხოველ ინტერესს იწვევდა და ორივე ხალხის ძმურ მეგობრობას განამტკიცებდა. ბულგარეთში დღესაც ანსოვთ ქართველი ფეხბურთელების ვირტუოზული თამაში. სიყვარულით იგონებენ

¹⁹² ჩ. ქორიძე, თამაში მიყაეს ვეტერანს, «ლელო», 15. IX, 59.

¹⁹³ ბ. ქორჭია, 4:1 საქმარისი უნდა იყოს, გაზ. «ლელო», 22. IX, 73.

¹⁹⁴ ძნელი მატჩი სოფიაში, გაზ. «ლელო», 6. X, 73.



ვახუჟ ფიჭუშვილი საერთაშორისო ტურიზმის მონაწილე მსახივრე ქალ-
ქების ტაშენის, ლენინგრადის, ბათუმის, ზღაგოვგრადის, ვლადიმირის, ერე-
ნისა და ბუზარის გუნდები

მ. მესხს. ა. ჭკუასელს და პატივს სცემენ ა. ლოლობერიძისა და ვ. მარ-
ღანიას ნათელ ხსოვნას.

ქართველი და ბულგარელი ფეხბურთელების შეიღმა მატჩმა
ჯელი შეუწყო ორ მეგობარ ხალხს შორის ოდითგან გაბმული სა-
კონტაქტო ძაფების ერთ მტკიცე ბაგირად ქცევას.

ბულგარეთ-საქართველოს სპორტული ურთიერთობის ისტო-
რიაში ღირსშესანიშნავი ფურცელი ჩასწერა აგრეთვე ალპინიზმის
ქართულმა სკოლამ. 1963 წელს, როცა ბულგარეთის სახალხო რეს-
პუბლიკის ეროვნული დღესასწაულის დღეებში ქ. ვრატცაში ჩა-
ტარდა მთამსვლელთა საერთაშორისო ფესტივალი, ალპინისტთა ბა-
ნაკ „მოლოვიცაში“ მიხეილ ხერგიანმა და ვლ. კაუნენკომ ჯერ III
და IV კატეგორიის ფრიალო კლდეებზე „წაივარჯიშეს“, ოფიცია-
ლურ შეჯიბრზე კი V კატეგორიის 400 მეტრი სიგრძის, ზოგან
უარყოფითი კუთხის, შვეული კედელი დაიპყრეს 1 საათში. 18
სექტემბერს კი უძნელესი, მთლიანად შიშველი და ადგილებზე
უარყოფითი დახრილობის VI კატეგორიის 600 მეტრიანი კლდო-
ვანი ტრასა მხოლოდ რეინის პალოების გამოყენებით ძლიერ 4
საათში პირდაპირი გზით. იმავე მარშრუტის ათვისებას ბულგარელი
სპორტსმენები 12 საათს მოუწოდნენ კიბეებისა და თოკის ბაქნების
გამოყენებით. თანაც ურთულესი გადმოქანებული ადგილების გვერ-
დის ავლით. მეორე დღეს ცნობილი რუმინელი მთამსვლელები 4
საათში მხოლოდ გასაქვევამდე ანუ ნახევრამდე გავიდნენ მთაზე,
პირდაპირ ველარ განაგრძეს გზა, გარშემოვლა ითაკილეს და უკან
დაბრუნდნენ.

19 სექტემბერს ბულგარელი რუმინელი, ჩეხი და საბჭოთა
სპორტსმენები გადიოდნენ VI „ბ“ კატეგორიის ურთულეს ტრასას,
რომელიც მიხ. ხერგიანმა და ვლ. კაუნენკომ 2 საათსა და 50
წუთში დალაშქრეს; მეორე ადგილზე გამოსული რუმინელები იმა-
ვე საქმეს 7 საათი მოუწოდნენ. ვრატცის საერთაშორისო ალპინის-
ტურ შეჯიბრზე გამოვლინდა საბჭოთა მთამსვლელური სკოლის
ბრწყინვალე კლასი და მიხ. ხერგიანის ფენომენალური შემართება:

პიტალო და სალ კლდეებზე ლაშქრობის შემდეგ გაოცებულმა
უცხოელმა ალპინისტებმა აღფრთოვანებულ მაყურებლებთან ერ-
თად „კლდის ვეფხვად“ წოდებულ ქართველ მთამსვლელს თხოვეს
მოეთხრო კავკასიონის ბუმბერაზ მთებზე, შეეფასებინა უცხოელი
კლდეზე მცოცავნი, გაეცნო მათთვის საკუთარი ტექნიკური ხერხე-
ბი და გამოცდილება. ეს იყო გაუთვალისწინებელი პრესკონფე-
რენცია, რომელმაც გაოცების და გაკვირვების ნიშნის ქვეშ ჩაიარა

და უდიდესი კმაყოფილება არგუნა დამსწრეთ¹⁹⁵. ბულგარელ სპორსტმენებთან მ. ხერგიანმა ბევრი ილაპარაკა ქართულ ალპინისტურ ტექნიკაზე, ხერხებსა და პრინციპებზე, წვრთნის მეთოდებსა და ურთულესი ასვლების გამოცდილებაზე. „კლდის ქართველი ვეფხვი“ ბულგარეთის მთისა და ბარის მცხოვრებთა ნამდვილ გმირად, ლეგენდად იქცა¹⁹⁶. ფიზკულტურა და სპორტიც ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა და თავისი წვლილით განამტკიცა ჩვენი ხალხების მეგობრობა.

¹⁹⁵ პ. გ ვ ა რ ლ ი ა ნ ი, კლდის ვეფხვი, გაზ. «ლელო», 20. X, 1963.

¹⁹⁶ ვ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, კლდის ვეფხვია ბულგარეთში, გაზ. «მებრძოლი» (ზუგდიდი), 3. XII, 1963.

БОЛГАРО-ГРУЗИНСКОЕ СОДРУЖЕСТВО И ИСТОРИКО-КУЛЬТУРНЫЕ ВЗАИМООТНОШЕНИЯ

Резюме

Болгаро-грузинские историко-культурные взаимоотношения привлекли внимание ученых после Второй мировой войны, когда Болгария встала на путь социалистического развития, на путь экономического, политического и культурного сближения с Советским Союзом.

Грузинская общественность всегда проявляла живой интерес к Болгарии. Тема грузино-болгарских литературно-культурных связей и боевого содружества появилась еще в XIX веке. В грузинской печати публиковались материалы о грузино-болгарских связях, литературных контактах. Подчеркивалось единство веры, сходство исторических судеб, выразившееся в борьбе против общих врагов, против византийской и турецкой экспансии.

С 50-х годов XX века грузинские ученые начали изучение средневековых грузино-болгарских литературно-культурных взаимоотношений (Н. Бердзенишвили, К. Кекелидзе, М. Квеселава, Р. Сирадзе, К. Мешвелани), особо подчеркивалось наличие идентичных явлений в этнографическом быту, культуре, архитектуре (Т. Чиковани, Т. Колева, А. Урушадзе, А. Хорава, Б. Кандакли). Несколько работ посвящено болгарской классической литературе XIX века (М. Квеселава, Л. Джулабашвили) и современной литературе.

Вышли монографии о болгаро-грузинском боевом содружестве (О. Гвинчидзе, Ш. Мегрелидзе, Н. Зауташвили), а в 1971 году грузинская историография пополнилась капитальным трудом академика А. Г. Шанидзе¹ о грузинском монастыре Петрици в Бачкове², основателем и строителем

¹ А. Г. Ш а н и д з е. Грузинский монастырь в Болгарии и его типик, Тб., 1971.

² Этимологию этого топонима мы рассматриваем как трехчастный композит и его первоначальной формой считаем па-чан-ков /хав, где «па» — основа глагола действия пал/пар, «чап» — название племени и исходит из «чаник/

которого был византийский придворный деятель, грузин из Тао, Григорий Бакурнани/Пакурнани.

Грузинское происхождение этого выдающегося деятеля подтверждается и этимологией его темперационной фамилии. Пакурнани является композитом и составлен от частично деепричастноизглаголованных глосарных основ «Бар//Пар»³ и «Кур». Первая основа Пар утратила сонант «р» и с «Кур»-ом дает персонифицированный «Пакурнани». По содержанию «Ба[р]» (<Пар) означает род занятия, а именно: мастер, специалист, труженик, который плавит руду при сильном огне до блеска.

«Кур» — этноним металлургов Кузнецов (Кури/Хури) в иберийско-картвельском мире⁴ и исходит из глагола Kwerwa «ковка» с основой Kwer. Путем слияния we получен гласный У: Kwer > Кур. Его первоначальный комплекс «Кр», который с введением гласных образует гетероклитические дуплеты кар = кер = кир = кор = кур путем субституции К в Х дает хар = хер = хир = хор = хур, т. е. «Кур» идентичен с «Хур»-ом. А чередование «Х» и глотальных сibilантов ж, ʃ, ʒ (h, Кь, К) основу «Кур» превращает в параллельные дублеты, подтверждающие нашу этимологию «Бакурнани» и доказывающие его грузинский характер.

Древними металлургами и ковачами в мире были иберийско-картвельские племена, в том числе Халиби, Моссиники, Ту-Бали/То-Пали⁵. На основах «Ба», «Па», «Кур», «Пакур», «Бакур» и «Анд/Ант» в грузинском языке имеется большое число

(чаннг) ჯბჯბ, а «ков/кав» — глагол, перешедший в северокавказскую среду с этнонима и выражающий ремесло — ковать/кавать.

³ Ср. Баба/Пана, Спер /Ибер, Бана/Пана, Бандура/Пандура, Барда/Партави, Апа-, Луна/Аба—Луна, Абнанда/Апианда, Абнандча/Апиандча, Баснани/Паснани, Бергамо/Пергамо, Батони/Патени, Абадели/Апа-дели, Ту-Бал/Ту-Пал, Бараташвили, Парадашвили, Брнали/Приали и т. д.

⁴ Г. А. М е л и к и ш в и л и. К вопросу о древнейшем населении Грузии, Кавказа и Ближнего Востока, Тб., 1965, с. 118, 121, 122, 163—165, 190—192, 195—199.

⁵ Е. Ч е р н ы х. Первый металл планеты, «Наука и жизнь», 1968, № 7; Т. М и к е л а д з е. Некоторые вопросы истории древнейших племен металлургов юго-восточного Причерноморья, «Мацне», 1967, № 1; Г. К в и р к в е л и я. Зарубежные ученые о вкладе грузинских племен в освоение металлов, Тб., 1976 и др.

топонимов⁶, антропонимов⁷, гидронимов⁸ и терминов⁹. Вместе с тем картвельско-занское «Ко», «Ка», «Ку» соотносят с общегрузинским *Ḳwe(s)l* и *Ḳwešd-/Ḳwšd*¹⁰.

Следовательно, антропоним и топоним с основой «Бакур//Пакур», произведенный суффиксом «ан» (<Ант/Анд этнонима) по своему происхождению является грузинским и берет начало из грузинского рода¹¹, обрабатывающего Кини/Ркини (железо), т. е. от племенного имени ту-Бал-Канин//ти-Бар-Канин и идентичным ему ту-Пал-Куни//ту-Пар//Куруни//ту-Па-Кур¹², отсюда «Пакур/Бакур» и «Бакурнани».

В научной литературе «Бакурнани» производят от собственного имени «Бакур» без этимологии¹³. Такое объяснение по-видимому является дискрипционной пертурбацией, т. к. кроме вышесказанного в первоисточниках¹⁴ «Бакурнани» фигурируется как «Бакурнани» и аналогично «Бакур//Пакур» представлена форма «Багратион/Пагкратион/Панкратион», т. е. переход П в Б путем диссимилиации палато. А чередование этнического «Кур/Кул» законное темпериция и обусловлено трансформацией р-л соноров, т. к. «Р» перед «И» палатализируется. Значит, идентификация трансформированного «Бакур/Пакур» исключает персонификацию¹⁵ — имя «Бакур»

⁶ Палдо Палоурн, Баралети, Барн, Курсеби, Курихали, Бакурнани, Бакурцixe, Куртани, Паралис, Куерники, Куанча, Куанхети, Та-Куери, Куара...

⁷ Паркадзе, Бандзе, Барамидзе, Курихали, Куртанидзе, Бакурадзе, Бакурашвили, Бакаури, Баркуа.

⁸ Барети, Бакурхеви, Банисхеви, Баралети, Кура...

⁹ Куртаки, Куро, Баба, Барн, Палата, Парпали, Куери, Кура (ქურა).

¹⁰ Г. Қ л и м о в. Этимологический словарь картвельских языков, М., 1964, с. III.

¹¹ Антропоним «Бакур» в грузинских источниках встречается как имя грузинского царя еще до христианства, см. А. Г л о т т и. Картвельские собственные имена, Тб., 1967, с. 53.

¹² Аналогичные идентификации см. Н. Х а з а р а д з е. Этнические и политические объединения Восточной Малой Азии I половины I тысячелетия до н. э., изд. «Мецниереба», Тб., 1978, с. 59—70.

¹³ З. Ч у м б у р и д з е. Как тебя зовут, Тб., 1971, с. 149.

¹⁴ «Картлис Цховреба» («История Грузии», Вахушти Багратиони), т. IV Тб., 1973, с. 318, 19; 672, 6; 333, 23; 364, 17; 380, 29; 381, 7.

¹⁵ В противном случае топоним обрел бы форму «Бакурта», «Бакуриси», «Бакурети», «Бакурос», «Бакура». Первоначальное название этого топонима

в данном случае не могло быть эпонимом топонима «Бакурнани».

Таким образом топоним «Бакурнани» является глосарным реликтом и восходит, как и фамилия «Бакурнани» от «Пар», «Кур» и «Анд», означающие — племя, род, которые парят и куют металл на огне, т. е. «Парнящи и куйющи Ант/Анд».

В работе рассматривается также и болгаро-грузинская лексическая, топономическая, гидрономическая идентификация и сохранившееся сходство обонх народов в обычаях, быту, религии, домостроительстве, мебели, посуде, искусстве и хозяйстве, т. е. говорится о реликте, создающем интересное сходство и толкающим к изучению этногенеза грузинского и болгарского народов. Заманчива идея исследования параллельных археологических материалов и образцов древней письменности. К сожалению, нам не удалось широко представить в данной работе эти материалы и лишь немного коснулись этой интересной темы.

В книге преимущественно уделено внимание боевому содружеству грузин и болгар XIX—XX вв., политической деятельности соратников-революционеров, контактам современных партийных, государственных и общественных организаций, контактам молодежи; представлены болгаро-грузинские связи в области архитектуры, музыки, хореографии, живописи, театра, кино и спорта, народного хозяйства. Особенно широко рассмотрены связи после 1948 года.

Первая глава работы посвящена средневековым болгаро-грузинским связям, чему предшествует справка из древней истории Болгарии, повествующая о литературных контактах времен Псевдо-Дионисия (Петра Ибера), которые развивались в Стоднерском монастыре и Манганской академии и продолжались в Афонской религиозно-культурной обители, а затем в «Зогарфе» и «Магистре-лавре». Находившиеся на Афонской горе грузинский Иверский и болгарский Петрицонский монастыри оказывали друг другу и материальную помощь. Развитое на фоне византийской культуры и литературы творческое содружество отражалось в сходных взглядах нахо-

было место, где проживали Па(р) — Кур-а-анни/Ба(р) — Кура-анни, т. е. Пакуриан/Бакурианни (геср. Зарднани, Балаанни, Барнабнани, Куанчианни, Қочбаанни); в иллюстр.: место, где обосновались «Па(р)—Кури» (პარ-პალ/ბარ-ბალ—კურნი), работали «Па(р)—Ба(р)—Куриини» (ბარკურბები), а не носящие имя «Бакур», П/роживали «Па(р)/Ба(р)—Кураанни» (ბარკურბები) и принадлежали «Па(р)/Ба(р) — Кураант (ბაკურბანთ)—превратилось «Бакурнани» (ბაკურბანად).

длившихся в одинаковых условиях двух народов и развивалось в одинаковых политических явлениях; оно вело к переводу и изучению греческих и византийских сочинений для обогащения познания народов и создавало почву для типологий в литературах.

В период Грузинского Ренессанса взаимоотношения с Болгарией стали более ощутимыми. Иоанн Чимчимели перевел на грузинский язык богословские сочинения Феофилакта Болгарского. «Боргалети» (Болгария) встречается у историка Давида Стронтеля. Дочь Баграта IV царя Византии Мария заботилась о грузинском культурном центре в Бачкове. В «Картлис цховреба» упоминается «Боргалети». Согласно летописцу царицы Тамары, взгляды и воззрения о Византии совпадали с принципами болгарского царя, что тем самым подчеркивало дальновидность политики Калояна. Автор славянской письменности Кирилл для отрицания «трилингвистической» теории приводил иберийскую письменность и литературу. О Болгарии рассказывают летописец XIV века и переведенная с персидского языка «Барамгуландамани», где говорится о болгарском царевиче Безаде.

С целью ослабления ассимиляционного режима и сохранения национально-культурных традиций грузин Бакуршани в 1083 году основал Петрицонский (Бачковский) монастырь вместе с таойцами Сумбатом и Сергием в недосыгаемой для турок сельджуков Чепелазкской (че-пал-лаз-хи) долине р. Мариц, и одной из причин¹⁶ этого мы считаем общеродовое происхождение грузин-иберийцев и балканцев — пал-к[у]-ан (по нашей этимологии), т. е. от пелазгов, илирийцев-фракийцев, фригийцев, македонцев, хорватов (= <хар-ба-т)-хар-кар-арийцев.

Частое постулирование в исторические источники Болгарии и ее грузинского культурного центра свидетельствует о том, что Болгария с собственными монастырско-просветительскими очагами была в тесной связи с цивилизацией и вместе с Грузией находилась в орбите средневековой культуры. Логические рассуждения с соответствующими ссылками на научные источники в работе позволяют высказать мысль, что архитектурный стиль Петрицонского ансамбля,

¹⁶ На месте Петрицон-бачковского монастыря до христианства наверняка был важный центр языческих культовых ритуалов. Там же была саку ерал-сакуерцхели (в роде кузницы) и это стимулировало грузина Ба(р)-кур//па(р)-курнама, по роду занятий металлурга и ковача, выстроить в Пачкове новый комплекс грузинской обители.

Стенимахской крестообразной церкви и Преображенского монастыря, некоторые декоративные элементы, орнаменты, своды, купола и фрески находят аналогии в грузинской архитектуре, так же, как и в главной церкви в Арче (Румыния). Здесь же говорится и о грузино-болгарской чеканке золота. И, наконец, реставратор фресок в Петрицком (Бачковском) монастыре (1850 г.) Иоанн Мосх считается грузином.

Во второй главе рассматриваются факты, свидетельствующие о боевом содружестве грузин и болгар, рассказывается о симпатиях полководца Багратиона к болгарам, о добровольцах-грузинах, сражавшихся на балканском фронте во время русско-турецких войн, о создании отрядов в помощь Болгарии, о моральной и материальной помощи, о грузинских воинах, которые проявили себя в Болгарии, в частности, о Н. Даднани, А. Казбегн, А. Багратион-Имеретинском, Лашкарашвили, А. Церетели и о тех боевых операциях, в которых они участвовали.

Третья глава посвящена дружбе выдающихся революционеров С. Буачидзе, Г. Димитрова, С. Орджоникидзе, Ф. Махарадзе. Описывается визит Г. Димитрова, его матери и Благоева в Батуми, встречи в Боржоме во время лечения, путешествие по Грузии, впечатления о Грузии. Здесь же кратко говорится о проживающих в Аджарии болгарях.

Четвертая глава касается болгаро-грузинских отношений второй половины XIX и первой половины XX веков в области литературы и искусства, что выражалось в идентичных идеях и произведениях общественных деятелей Грузии и Болгарии воспитанных на традициях русских революционных демократов. Здесь говорится о личных и литературных контактах Ивана Вазова, Тедо Сахокня, Ильи Чавчавадзе, об отражении болгарской поэзии в грузинской музыке, песнях, об идентичных сюжетах в народном творчестве, о сходстве мелодий, мотивов. Более подробно рассказывается о путешествии в Болгарию грузинского музыканта Илико Курхули, о его гастролях, его вкладе в грузино-болгарские взаимосвязи.

Грузино-болгарским историко-культурным связям посвящена пятая глава. Здесь приводится Московский договор от 18 марта 1948 года и Софийское соглашение о дружбе, сотрудничестве и взаимопомощи от 12 мая 1967 года, которое подтвердило исторический документ от 18 марта 1948 года и возобновило его с целью развития социалистического строительства и культурно-экономического сотрудничества. Здесь же речь идет о Московских переговорах 16 сентября 1968

года между руководителями партий и Правительств Советского Союза и НРБ, приводятся результаты этих мероприятий; взаимные визиты делегаций государственных, партийных, профсоюзных и общественных организаций обеих стран, о пребывании в Грузии Г. Трайкова, Д. Джерова, Б. Велчева, И. Бешева, С. Караджоева, В. Максимова, К. Стыровой, П. Чембианова и др. Подробно описан визит первого секретаря ЦК Компартии Болгарии Тодора Живкова в Грузию (в Тбилиси), что еще более укрепило дружеские связи между народной Болгарией и Советской Грузией. Мы рассказываем также и о тех контактах и братских связях, которые установились в 60-х годах между трудящимися Благоевградского округа и Аджарской АССР; здесь же широко рассматриваются результаты, полученные от контактов грузинских и болгарских ученых, успехи в области совместных научных исследований, обмена опытом между специалистами во всех сферах промышленности и сельского хозяйства.

В шестой главе работы рассматриваются вопросы грузинско-болгарских взаимоотношений в области искусства с 1945 года. Здесь же дается сначала краткий исторический обзор искусства обеих стран, вслед за этим идут справки о гастролях Элисо Вирсаладзе в Болгарии, о постановке комедии М. Бараташвили «Маринэ», музыкальных неделях, концертах, о дирижерах Д. Владигерове и О. Димитриадис, творческих контактах композиторов. Здесь же даются материалы, справки и рецензии о гастролировавших в Тбилиси оперных певцах Д. Узунове, К. Георгиевой, Н. Здравкове, Г. Димитрове, Г. Рударове, Н. Гаубиче, Л. Василевой, Н. Николове, И. Димове, А. Георгиевой, П. Мариновой, Т. Костове, А. Селимском, С. Хамеринке и др. Аналогично знакомимся с материалами о гастролях в НРБ грузинских певцов Ш. Кикнадзе, М. Амиранашвили, З. Анджапаридзе, Л. Чкония, Н. Андгуладзе. Здесь же говорится о постановке на болгарской сцене оперы В. Долладзе «Кето и Коте», о симпозиуме, славянской музыки с участием в нем грузинского музыковеда В. Гвахария. В этой же главе мы касаемся вопросов эстрадной музыки, гастролей ансамбля «Опера». Здесь же говорится о древних и современных контактах в области архитектуры. И, наконец, рассматривается плодотворность экспозиционной практики двух стран и популярности в культурной жизни Болгарии грузинских скульпторов К. и М. Мерабишвили, Э. Амашукели, В. Давитая.

В предпоследней главе дается обзор грузинско-болгарских связей в области литературы и книжного дела, между общественными организациями и студентами. Как известно,

грузинские и болгарские литераторы своими шедеврами воодушевляли свои народы в борьбе за национальное освобождение. Причем литературные связи занимают важное место в историко-культурном содружестве. Они своими корнями уходят в глубокую древность. Грузинская литературная общечеловечность прошлого столетия проявляла живой интерес к болгарской литературе. Илья Чавчавадзе, Акакий Церетели, Нико Николадзе, Тедо Сахokia и др. в грузинской периодике печатали переведенные с болгарского языка стихотворения, поэмы, исторические повести, романы, публиковали очерки о политической жизни, культуре, литературе Болгарии.

Т. Сахokia перевел произведения И. Вазова («Под игмом», «Предатель» и др.). Публиковались и другие произведения болгарской классики: в журнале «Мпатоби» — переводы И. Абашидзе, Г. Абашидзе, О. Гвинчидзе. Издательство «Сабчота мцэрал» выпустило образцы творчества И. Вазова, Х. Ботева и др. «Накадули» издало поэтический сборник Л. Стефановой и роман М. Марчевского «Тамбукту». На грузинском языке вышли произведения Г. Караславова, И. Радичкова, П. Бобева, Елси-Пелина, А. Сегренского, Н. Вапцарова и других болгарских авторов. Болгарские писатели Г. Караславов, Т. Генова, Н. Зидарова, Н. Кипчев, О. Орлинов, М. Наймович, Л. Станчев, В. Цонев, Б. Монева имеют тесные связи с грузинскими собратьями по перу. Мухран Мачавариани с большой любовью и мастерством перевел 217 стихотворений болгарских поэтов. Вслед за «Антологией болгарской поэзии» М. Мачавариани опубликовал целый цикл собственных поэтических творений о дружественном болгарском народе.

Болгарские писатели с энтузиазмом знакомят своих читателей с грузинской литературой. Переведены лучшие образцы грузинской прозы и поэзии: «Рассвет», А. Церетели, стихи Н. Бараташвили и Важа Пшавела, лирика И. Ношешвили, стихи Г. Леонидзе и Р. Амашукели и др. В Софии была издана монография Е. Кирановой о Грузии; вышли в свет переведенные Д. Станковым прозаические произведения И. Чавчавадзе, А. Казбеги, Д. Клдиашвили, Е. Габашивили, Л. Кипачели, Н. Лордкипанидзе, М. Джавахишвили, К. Гамсахурдиа, Г. Абашидзе, Г. Чиковани, Н. Думбадзе и др.

Вершиной болгаро-грузинских литературных взаимоотношений является поэма Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре», с которой болгарских читателей впервые ознакомил Иван Вазов, затем И. Курхули, С. Караков, В. Эльснер, а после 50-х годов нашего столетия — Болгарская энциклопедия. Во время празднования 800-летия Шота Руставели

много сделал Иван Бицадзе, опубликовавший несколько трудов в Болгарии. Генеральную поэму переводил Н. Лилев, но смерть помешала закончить эту работу. Это дело продолжил Стоян Бакирджиев и успешно завершил в 1974 году. В ознакомлении болгарских читателей с Руставели и его поэмой значительный вклад внесли профессор В. Велчев, писатель Е. Багряна, Д. Габе, Ц. Ангелов, Л. Стоянов, А. Тодоров, Г. Германов, Х. Дудевский, проживающий в Болгарии наш соотечественник И. Бицадзе и др.

Такая интенсивная популяризация грузинской и болгарской литератур, литературные контакты, содружество мастеров искусства свидетельствуют о братских взаимоотношениях наших народов.

В этой же главе показан и тот большой вклад, который вносят общественные организации Грузии. Грузинское отделение советско-болгарской дружбы, партийные, хозяйственные и культурные учреждения Аджарии и Благоевграда, делегации трудящихся, сотрудничество в области народного хозяйства, форумы молодежи, участие в национальных праздниках, туризм.

Последняя, восьмая глава работы разработана на основе тех материалов, фактов и справок, которые рассказывают о демонстрациях кинофильмов, о цирковых аттракционах и спортивных состязаниях. Такие встречи имели место в «Лагере дружбы» в Варне, в профтехнических училищах сел Хидистави и Менздра, в международном комсомольском лагере грузинских «спутниковцев», во время концертов студенческих ансамблей. В этом деле важную роль сыграли ансамбль танца Кутаисского дома культуры, коллектив художественной самодеятельности Тбилисского педагогического института, ансамбль «Рустави» и «Салхипо», концерт-ревю Тбилисского дома моделей (ансамбль «Хомли»), ансамбль «Чела» из Зугдиди, вокально-инструментальный ансамбль «Иверия» и др. Исполненные ими образцы грузинского искусства, в частности песни «Сулико», «Дила», «Тбилиси», «Чагуна», народные танцы и др., оставили глубокий след в памяти болгарских зрителей.

Большим успехом у грузинских слушателей пользуются эстрадная певица Лили Иванова, солистка оперы Дана Попова и др. Неизгладимое впечатление оставили гастрольные блagueвградского ансамбля «Пирин», исполненные им болгарские песни, танцы, этнографические картины. Мы убедились, насколько близки грузинской публике болгарская хореография, в частности «Русальские игры», напоминающие наш «Хоруми».

В этой последней главе разработаны и представлены материалы о гастролях в НРБ Государственного ансамбля грузинского народного танца под руководством Н. Рамншвили и И. Сухишвили. На фоне концертов этого прославленного коллектива показана та роль, которую сыграла грузинская хореография в деле сближения грузинского и болгарского народов, дружбы и взаимообогащения. Здесь же отмечается и тот резонанс, который имела грузинская балетная школа в грузино-болгарской культурной жизни.

Вслед за кратким экскурсом в историю болгарских зрелищ и театра в работе освещаются болгаро-грузинские театральные и драматургические традиции, близость репертуаров, обмен профессиональным опытом артистов. Грузинские и болгарские театральные деятели (А. Хорава, В. Чабукяни, Г. Лордкипанидзе) всегда принимали участие в творческом сближении грузинской и болгарской школ искусства. На основе впечатлений от демонстрации репертуаров показана эффективность театральных взаимоотношений. С той же убедительностью мы пытаемся показать плодотворность обмена кинопродукции, его дидактическое и патристическое значение. Кроме перечисления демонстрировавшихся фильмов и описания их эмоциональной стороны, показаны взаимоотношения и сотрудничество кинорежиссеров, операторов, сценаристов, актеров.

В заключение читателю, интересующемуся вопросами грузино-болгарских культурных связей, предлагаем некоторые интересные факты и явления, имевшие место в области цирка и спорта, сведения о том большом ажиотаже, который был вызван встречами атлетов, виртуозов, спортсменов дружественных стран, их соревнованиями, матчами. Таким образом, показано, что физкультура и спорт также являются одним из важнейших факторов грузино-болгарских историко-культурных взаимоотношений и сотрудничества, укрепления братских уз народов.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობა შუა საუკუნეებში	5
ქართველი და ბულგარელი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობა XIX საუკუნეში	25
ბულგარეთ-საქართველოს რევოლუციური თანამეგობრობა	42
ბულგარეთ-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ	49
ქართველი და ბულგარელ მეცნიერთა ურთიერთობანი	57
ურთიერთობა სოფლის მეურნეობაში	67
ომის შემდგომი პერიოდის ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობა ხელოვნებაში	72
კავშირ-ურთიერთობანი მწერლობასა და მწიგნობრობაში	92
ურთიერთობანი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის და სტუდენტთა კონტაქტები	102
კავშირ-ურთიერთობანი ხელოვნებაში	108
ურთიერთობანი სპორტულ სარბიელზე	131
„Болгаро-грузинское содружество и историко-культурные взаимоотношения. Резюме“	139

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ე. ჩოჩია
მეცნიერ თანამშრომელი ბ. გიორგაძე

*

ИБ 1434

გამომცემლობის რედაქტორი ი. გაჩეჩილაძე
ტექნორედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ე. ჩიხლაძე

გადაეცა წარმოებას 20.8.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.12.1980;
ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 9,5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,9;

უე 01258;

ტირაჟი 4000;

შეკვეთა № 2819;

ფასი 95 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Амиран Иванович Цамццивили

БОЛГАРО-ГРУЗИНСКОЕ СОДРУЖЕСТВО И
ИСТОРИКО-КУЛЬТУРНЫЕ ВЗАИМООТНОШЕНИЯ

(на грузинском языке)

გამომცემლობა „მეცნიერება“ უახლოეს ღრუში გამოსცემს:

დ. მუხელიშვილი — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II.

ავტორთა კოლექტივი — საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის პერიოდიზაცია.

